

იგორ კეკელია, კახაბერ ქეზულაძე

იმერეთის ტოპონიმია სამუზეუმო
და კარტოგრაფიულ მასალებში

ქუთაისი
2014

ნაშრომში წარმოდგენილია ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგრანტო პროექტის ფარგლებში ავტორთა ჯგუფის მიერ იმერეთის რეგიონის სიძველეთსაცავებში, აგრეთვე მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხელნაწერ მასალათა ფონდში დაცული საისტორიო საბუთებიდან ბარათების სახით ამოწერილი და დამუშავებული ტოპონიმური მასალა.

ტოპონიმები დალაგებულია ანბანური რიგით და მის შესახებ დოკუმენტური მონაცემები წარმოდგენილია ქრონოლოგიური აღმავლობით. წიგნში თავმოყრილი და დამუშავებული საისტორიო მასალა მნიშვნელოვანი წყაროთმცოდნეობითი ღირებულებისაა XVIII-XIX სს. და XX ს-ის პირველი მესამედის იმერეთის ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიისა და სხვა საკითხების შესასწავლად. ამასთანავე, წიგნი გამოადგებათ ქართული ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს - დიალექტოლოგებს, ლექსიკოლოგებს, ფონეტიკურ-მორფოლოგიური სისტემის მკვლევრებს, აგრეთვე ისტორიკოსებს, ეთნოლოგებს, გეოგრაფებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს და სხვ.

რედაქტორი: გიორგი მჭედლიძე, ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.

რეცენზენტები: მერაბ ბერიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი;

იზოლდა რუსაძე, ფილოლოგიის აკადემიური
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;

პაატა ცხადაია, ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.

წიგნი ეძღვნება დიდი ქართველი მეცნიერის -
თედო ჟორდანას დაბადებიდან 160 წლისთავს

წინასიტყვაობა

ხალხის მიერ ბუნებრივსა თუ ხელოვნურად შექმნილ ობიექტებზე შერქმეულმა სახელებმა საუკუნეებსა და ათასწლეულებს გაუძლო. ტოპონიმებს დამწერლობის წარმოშობამდე ხმარობდნენ. საისტორიო და ლიტერატურული წყაროები, ეპიგრაფიული და ფრესკული წარწერები. სიგელ-გუჯრები და კარტოგრაფიული მასალები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის გეოგრაფიულ სახელწოდებებზე.

ტოპონიმი, როგორც ადამიანის განუყრელი თანამგზავრი, თაობიდან თაობას ზეპირმეტყველების, ან წერილობითი გზით გადაეცემა და გარკვეულწილად ერთგვარი ორიენტირის ფუნქციას ასრულებს. „ტოპონიმი ჩნდება ენის წარმოქმნისთანავე და ენას თან ახლავს მისი არსებობის მთელ მანძილზე, - წერდა პროფესორი ალექსანდრე ღლონტი, - მასში უხილავი შემოქმედების ფუნჯით არის აღბეჭდილი ამა თუ იმ დასახლების ზოლში მცხოვრები ხალხისა თუ ტომის ნაკვალევი. ამიტომ იგი ისევე ძველი და გამძლეა, როგორც თვით ენა, მისი მთავარი საკომუნიკაციო ერთეული - სიტყვა... ტოპონიმია სიტყვის ენის ერთ-ერთი პირველი ლექსიკური ინვენტარია. არ არსებობს ენა, რომლის ლექსიკას არ ამდიდრებს ეს მასალა“ (ღლონტი, №4, 1967, გვ. 67).

ტოპონიმი რომ არ არსებულებოდა, კაცობრიობას ქაოსი და არეულობა წააღებდა!.. იგი ენათმეცნიერების დარგია, მაგრამ იმავდროულად ისტორიულ-გეოგრაფიულ კატეგორიასაც მიეკუთვნება. სათანადო წყაროების უქონლობის პირობებში ტოპონიმის მნიშვნელოვანი ინფორმაციული პირველწყაროს ფუნქცია აკისრია. „გეოგრა-

ფიული სახელწოდებები აინტერესებს ყველა ჩვენგანს, - წერს კ. ხარამე, - ბუნებრივია, გვაინტერესებს არა მარტო ამა თუ იმ ადგილის სახელი. არამედ ამ სახელწოდებათა წარმოშობა, მათი შინაარსი, თუ როდის შეიცვალა ეს სახელი, როდის დაერქვა ეს სახელი და სვა. გეოგრაფიული სახელწოდება ყალიბდებოდა ათასეული წლების მანძილზე: ერთნი ჩვენს დრომდე შემორჩნენ, მეორენი უკვე მკვდარი და დავიწყებულია, სხვები გაქრნენ ახალი სახელწოდებების ზემოქმედების შედეგად. ჩვენს დროშიც იქმნება ახალი სახელწოდებები. გეოგრაფიული სახელწოდებები ცოცხლობს, იცვლება ფორმით, ზოგჯერ შინაარსითაც და კვდება. მათი ცხოვრების ხანგრძლივობა სხვადასხვაა. პრაქტიკულად უაზრო სახელწოდებები არ არსებობს“ (ხარამე, №2, 1989: 56-57).

წინამდებარე ნაშრომის სახით წარმოვადგენთ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის (გრანტი #28, „სამუზეუმო და საარქივო მასალა, როგორც იმერეთის ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის წყარო“) ფარგლებში ჩვენ მიერ 2013-2014 წლებში შესწავლილ იმერეთის რეგიონის გეოგრაფიულ სახელწოდებათა მხოლოდ იმ ჯგუფს, რაც იმერეთის სიძველეთსაცავებში, აგრეთვე მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხელნაწერ მასალათა ფონდში დაცული ისტორიული საბუთებიდან ბარათების სახითაა ამოწერილი და დამუშავებული.

საგრანტო პროექტის ფარგლებში ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევის სიახლეს წარმოადგენს ის, რომ პირველად იქმნება იმერეთის რეგიონის ტოპონიმის შედარებით სრული სამეცნიერო ბაზა სამუზეუმო და კარტოგრაფიული მასალებიდან ამოკრეფილი გეოგრაფიული სახელწოდებების სახით. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ არ გვიცდია, მკითხველს მივაწოდოთ ინფორმაცია ამა თუ იმ ობიექტის სახელწოდების წარმომავლობის შესახებ. ამგვარი ენობრივი, ლოგიკურ-მოტივაციური მსჯელობა და მოპოვებული მასალის სხვა ისტორიულ წყაროებთან შედარება-შეჯერება და გაანალიზება საგრანტობ-

ლად გაზრდიდა ნაშრომის მოცულობას, ამასთანავე დაგვაშორებდა კვლევის ჩვენ მიერ ამ ეტაპზე არჩეულ გზას. სრული ჭეშმარიტებაა, რომ წინამდებარე სალექსიკონო მასალა ქართული საისტორიო, გეოგრაფიული მეცნიერებისა და ენათმეცნიერების მეტად მნიშვნელოვანი, ფასდაუდებელი, და, შეიძლება ითქვას, საეტაპო დანიშნულების საკვლევი მასალაა. ენობრივ-ტოპონიმიკური და ისტორიულ-გეოგრაფიული ასპექტით კვლევისას ვერც ერთი მკვლევარი ამ მასალას გვერდს ვერ აუვლის.

აღნიშნული სამუშაოს განხორციელება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ საჭირო კვლევა მომავალში წარიმართოს შემდეგი მიმართულებით: დღემდე სხვადასხვა სამეცნიერო დონეზე შესწავლილი ტოპონიმების ანოტირება-დამუშავება და, საჭიროების შემთხვევაში, დასკვნების კორექტირება ახლამოპოვებულ სამუზეუმო--საარქივო და კარტოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით; ჯერ კიდევ შეუსწავლელი საკითხების დასმა და ტოპონიმთა ეტიმოლოგიურ-ეტიოლოგიური, ასევე ისტორიულ-გეოგრაფიული კუთხით კვლევა სრული საანალიზო მასალის ბაზაზე...

ამგვარი ფართომასშტაბიანი მიზნის განხორციელება პირველ რიგში მოითხოვდა ტოპონიმური მასალის აღწერა-აღწესების დასრულებასა და მთელი დამუშავებული მასალის სისტემატიზაცია--კომპიუტერიზაციას. სინქრონიული კვლევა შედარებით უკეთ წარმოაჩენს რეგიონის ტოპონიმური მასალის სრულ სურათს, თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ენის ლექსიკურ სიმდიდრეს...

აქვე საჭიროდ ვთვლით, ორიოდ სიტყვა ვთქვათ საკითხის ისტორიოგრაფიის გარშემო. იმერეთის რეგიონის ისტორიული გეოგრაფია და ტოპონიმია ადრეც არაერთი მკვლევრის დაინტერესების საგანი ყოფილა. ამ საკითხებს სათანადო ადგილი ეთმობა ივ. ჯავახიშვილის, ე. თაყაიშვილის, ა. შანიძის, ა. ჩიქობავას, ი. ყიფშიძის, ს. მაკალათიას, ზ. ჭუმბურიძის, მ. ალავეძის, თ. ბერაძის, გ. გვინჩიძის, ვლ. ალფენიძის, ო. ქაჯაიას, რ. შამელაშვილის, კ. ხარაძის, ზ. თოლორდავას, მ. კვიციანს, ო. ხუხუას, ი. კეკელიას, ა. ფაილოძის, ც.

ღვინიანიძისა და სხვათა, დიდი თუ მცირე მოცულობის გამოკვლევებსა და წერილებში. საინტერესოა „საქართველოს ტოპონიმიის“ II და III ტომი, სადაც წარმოდგენილია ადგილობრივ მცხოვრებთა ზეპირი გამოკითხვის გზით მოპოვებული გეოგრაფიულ ობიექტთა სახელწოდებანი.

იმერეთის საისტორიო გეოგრაფიის შესწავლის მიზნით ქართველ ისტორიკოსთა, გეოგრაფთა და ენათმეცნიერთა მიერ გაწეული მუშაობა სრულყოფილი და ამომწურავი ვერ იქნება, თუ არ გამოვავლენთ მუზეუმებსა და არქივებში დაცული საისტორიო დოკუმენტებიდან ამოკრებილ ტოპონიმურ მასალას. სწორედ ამ ამოცანის შესრულებას ისახავდა მიზნად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის (ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) თანამშრომლების მიერ X-XVII საუკუნეების ისტორიული დოკუმენტებიდან პირთა და გეოგრაფიული სახელების შესახებ მასალის ამოწერა და მეცნიერული დამუშავება. ბარათებზე ამოწერილი და ანბანის რიგზე დალაგებული მასალა 1964 წელს ცალკე წიგნად გამოიცა¹.

წინამდებარე გამოცემაში შესული საბუთების აბსოლუტური უმრავლესობა შინაარსობრივი თვალსაზრისით ნასყიდობითი ხასიათისაა. გვხვდება „ნასყიდობის სიგელები“, „ფარდის ხელშეკრულებები“, „პირობის წერილები“, „აღსრულებითი ფურცლები“, „გაბჭობის წერილები“, „საწინდრობის წერილები“, „მოცვლილობის ხელწერილები“, „ერთგულების, მორჩილების და მსახურების წერილი“, „დათხოვების ფურცელი“, გაყოფის, გარიგების, საჩივრის, საჩუქრის, წყალობისა და საფიცრის წიგნები, კვიტანციები, განჩინებები, სათავდებოს წიგნი და ა. შ. შეკრებილი მასალის საფუძველზე შესაძლებე-

¹ მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I წიგნი (X-XVII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით) გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ. თბ., 1964.

ლია იმერეთის რეგიონის ტოპონიმთა სახეობრივი კლასიფიკაცია. აქ გვხვდება სახნავ-სათესების, სათიბ-საბალახოების, მინდვრების, სამიმოსვლო გზების, მთების, საკულტო-სარიტუალო ადგილების, სალოცავების, ნაეკლესიარების, აგრეთვე სოფლების, სოფლებს შიგნით უბნებისა და მიკროუბნების, ტბორების, გუბურების, მდინარეების, ღელეების, წყაროების, მორევეების, ჭენჭყის, გორაკ-ბორცვების, ზეგნების, აღმართ-დაღმართებისა და სხვა მისთანათა სახელწოდებანი.

ჩვენს ნაშრომში აღწერის პრინციპი შემდეგი სახისაა: პირველად ვასახელებთ ტოპონიმს; მივუთითებთ, თუ რისი სახელწოდებაა (სახნავისა, ტყისა, მდინარისა...); შემდეგ მოგვაქვს ცნობები მისი საზღვრებისა და მფლობელის (თუ მფლობელების) შესახებ; ვასახელებთ საბუთის შემდგენლებს, გადამწერებს და ა. შ. საბუთი ზოგჯერ ორ ან რამდენიმე სუბიექტს შორის ფორმდებოდა. ჩვენ შესაძლებლობის ფარგლებში ყველა მათგანის ვინაობას ვუთითებთ. ამასთანავე, ვეხებით თარიღს და აღწერას ვასრულებთ საბუთის სარეგისტრაციო ნომრის მითითებით (სადაც შესაძლებელი იყო). დათარიღების საკითხთან დაკავშირებით აქვე შევნიშნავთ, რომ ზოგიერთ საბუთს პირდაპირი ქრონოლოგიური ჩვენება არ გააჩნია. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია მისი დათარიღება საბუთში მოხსენიებული რომელიმე პიროვნების მიხედვით. გეოგრაფიული ადგილის შესახებ ცნობები მოტანილია მხოლოდ ისტორიული დოკუმენტის შინაარსის მიხედვით; ტოპონიმები დალაგებულია ანბანური რიგით და მის შესახებ დოკუმენტურ მასალას წარმოვადგენთ ქრონოლოგიური აღმავლობით. ისტორიული საბუთებიდან დამოწმებული ამონარიდები მოტანილია სრული სიზუსტით. არაა გახსნილი ქარაგმები; გამოყენებული გვაქვს განკვეთილობის ნიშნები - ორწერტილი და სამი წერტილი. საბუთების უმრავლესობა წარმოდგენილი იყო r და v-ზე, მაგრამ, რამდენადაც წინამდებარე სალექსიკონო მასალაში საბუთების ტექსტები სრული სახით არაა გამოქვეყნებული, შესაბამისად გვერდების მითითება r და v-ს ჩვენებით არ გვიცდია.

საბუთის დაზიანების ან შინაარსის ბუნდოვანობის გამო ზოგიერთი ტოპონიმის ამოკითხვა ჭირს. ასეთ შემთხვევაში ფრჩხილებში ვსვამთ კითხვის ნიშანს, ხოლო იმ ადგილას, სადაც სიტყვა ვერ იკითხება, კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული გვაქვს წერტილები [...].

დამუშავებული მასალის კომპიუტერზე აწყობის სამუშაო განახორციელა **ია დევიძე-ოდიშარიამ**. აქვე გვსურს ხელნაწერებზე მუშაობისას გამოჩენილი ყურადღებისა და გულისხმიერი დამოკიდებულებისათვის მადლობა გადავუხადოთ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების ფონდების მთავარ მცველს, ქალბატონ **მანანა ჭუმბურიძეს**, წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს, ქალბატონ **ირმა კილასონიას** და ფონდების მთავარ მცველს, ქალბატონ **დალი ხაჭაპურიძეს**, ბაღდათის ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებს - ბატონ **ზეკა კუჭუხიძეს**, ბატონ **ზურაბ თოლორდავას** და ქალბატონ **ცირა ყურაშვილს**, ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს, ქალბატონ **ინგა მაჭარაშვილს**, ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის დირექტორს, ქალბატონ **ნინო დიდიძეს**, საჩხერის ჯურხა ნადირაძის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს, ქალბატონ **თამარ კაცაძეს**, სხვიტორის აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის ფონდების მთავარ მცველს, ქალბატონ **კლარა მაჭარაშვილს**, ხონის ისტორიული მუზეუმის დირექტორს, ქალბატონ **მანანა ჯოხიძეს**, ტყიბულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მთავარ სპეციალისტს, ბატონ **ზურაბ ბარიხაშვილს**, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა და ძველნაბეჭდი წიგნების განყოფილების უფროსს, ქალბატონ **ციცინო მუმლაძეს**, ამავე მუზეუმის თანამშრომლებს, ქალბატონებს - **ვიოლა ნიჟარაძეს**, **ნინო კუხიანიძეს** და **ეკატერინე ყელაურაძეს**.

ლექსიკონი შრომატევადი და დაუღალავი შრომის ნაყოფია, რაც მოკრძალებით გამოგვაქვს სამზეოზე, იმის ღრმა რწმენითა და სურვილით, რომ მშობლიური მხარის სიყვარულით გულანთებულ ადგილობრივ ენთუზიასტთა და მკვლევართა მიერ მომავალში არა-

ერთი ხალხური მარგალიტი გადაურჩება დავიწყებასა და სრულ გაქრობას.

შემოკლებანი

ადგ. - ადგილი

აღმ. - აღმოსავლეთით (აღმოსავლეთიდან)

აწმ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი

დას. - დასავლეთით (დასავლეთიდან)

ზ. დ. - ზღვის დონიდან

ზმმ - ზესტაფონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

კვ. - კვადრატული

კმ - კილომეტრი

მ. - მეტრი

მდ. - მდინარე

მმას - მარტვილის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი

რ. - რაიონი

სამხრ. - სამხრეთით (სამხრეთიდან)

სოფ. - სოფელი

სმმ - საჩხერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ტმმ - ტყიბულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

უღელტ. - უღელტეხილი

ქიმ - ქუთაისის ისტორიული მუზეუმი

ჩრდ. - ჩრდილოეთით (ჩრდილოეთიდან)

წმმ - წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ხიმ - ხონის ისტორიული მუზეუმი

ხმმ - ხარაგაულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ხმფ- ხელნაწერი მასალების ფონდი

ბაღდათის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერები

ვარციხე (?) - სოფელი; დამოწმებულია სასისხლო სიგელში, სადაც ვკითხულობთ: „ღვთივ გვირგვინოსანმან დავითის ძედ აღმუწებულის ძეთა მეფეთ მეფემან დემეტრე: დაგვეაჯენით ჩვენი ერდგული ყმანი მრავალ ნამსახური ლომსიანის ძეები. ლომსია ივანი ნასყიდაი და მახარებელი, მოხვედით ჩვენსა ვარხედან (ვარციხედან - ი. კ.) და სასისხლო სიგელი ითხოეთ ჩვენი მოწყალებით დიდად ნამსახური იყვენით. მერმე გამოვიკითხეთ თქვენი გვარის კაცი. დია ძველი გიმი და მსახ გამოხვედით, გააჯეთ და შეგიწყალებთ და გიბოძეთ სასისხლო სიგელი, ძველათაც გქონდა სიგელი და თქუჴნც ახლა დაგიმტკიცეთ და გაგიჩინეთ სრული სისხლი. ასოთხმოცი ათასი ძუელი კირმანეული დაგეურვოს: თქვენ ლომსიანიძეთა. ლომსიასა. ივანასა. ნასყიდასა. და მახარებელსა...“. დოკუმენტს არა აქვს მინიჭებული საინვენტარო ნომერი.

იმერეთი - დასახელებულია იმერეთის მეფე დავით გიორგის ძისა და დედოფალ ანას მიერ ლოფსიანიძისათვის ბოძებულ „წყალობის წიგნში“. ესაა 1720 წლის დოკუმენტი, განახლებული 1822 წელს, რაც 1981 წლის მარტის თვეში ზეგნის სამუალო სკოლის პედაგოგს - დოგრაშვილს გადაუცია ყურაშვილისთვის. „წყალობის წიგნში“ ვკითხულობთ: „ქ. წყალობითა და მინდობითა წმიდისა და ერთარსისა სამებისათა ჩვენ ღ-თის ცხებულმან იესიან დავითიან ბაგრატიონმან მეფემან ყოვლისა იმერეთისამან დავით და ერთხორცმან ჩემან დედოფალმან ანნა და ძემან ჩვენმან სასურველმან კოსტანტი-

ნემ, ესე ამიერიდგან ხანთა და აცმთა საუკუნო უცვალადო წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ შენ ჩვენს ერდგულს ყმას ლოფსიანი-ძეს მარკოზს, შენს ძმას დავითს და სვიმონს, შენს სახლიკაცს სვიმონას, სხვათა თქვენთა შვილთა და მომავალთა...“. დოკუმენტს საინვენტარო ნომერი არა აქვს.

ზესტაფონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერები

აბაშიძისეული - საყანე („განჩინება“, 18 მაისი, 1908 წ.); ვრცლად იხ. **გურულისეული**. ზმმ, №54.

ანანოვის არხი - არხი; დასახელებულია 1913 წლის 29 ივლისს შედგენილ დოკუმენტში, რაშიც აღნიშნულია, რომ სახელდებული ობიექტი ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა „ნასათიბარის ალაგს“ (სვირი). ზმმ, №19.

ანძლარი//კაციას ნახორალი - სახნავი; დამოწმებულია 1877 წლის 8 დეკემბერს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, რომლის მიხედვით დილიკაურელმა გლეხებმა - ბიჭია კაციას ძე, ივანე გიორგის ძე, სოფრომ გრიგოლის ძე და ნიკო ვახტანგის ძე კახნიაშვილებმა იოსებ ზურაბის ძე მიშველაძეს 50 მანეთად მიჰყიდეს მიწის ნაკვეთი ანძლარი//კაციას ნახორალი. დოკუმენტის სისწორეს ხელმოწერით ამოწმებენ: ალექსი სალაძე, აზნაურები - დიმიტრი, შამშე და ივანე აბაშიძეები (დილიკაური). ზმმ, №159.

ანძლარის ტყე - საყანე; დამოწმებულია „პირობის წერილში“ (25. VII. 1904 წ.). საზღვრები: აღმოსავლეთით და სამხრეთით - საუ-ლია მიშველაძის, დასავლეთით - იოსებ მიშველაძის, ჩრდილოეთით - გიორგი მიშველაძის მიწის ნაკვეთები (დილიკაური). ზმმ, № 167; ტოპონიმი „ანძლარი“ გვხვდება 1886 წლის 14 დეკემბრით დათარიღებულ „კვიტანციაში“: „...დავით მიშველიძე გაძლევ ამ კვიტანციას

თქვენ (?) იოსებ მიშველიძეს მას შინა რომელ მე მივიღე აქედანვე ცხრა თუმან ნახევარი ადგილის ფასი სახელდოფ ანძლარი რომელიც მოგყიდე ერთის ნასყიდობით ამა ზემო რიცხვს დაწერილი“. ზმმ, №162.

ახოსადგილი - ტყე, საყანე; დამოწმებულია 1916 წლის 20 ივლისს შედგენილ „ნასყიდობის ხელწერილში“, რომლის მიხედვით დაბლასაქარაში მცხოვრებმა ძმებმა - ლუკა და მელიტონ კვირიას ძე კირკიტაძეებმა სახელდებული ობიექტი მიჰყიდეს დილიკაურელ ვარლამ პეტრეს ძე ბუხსიანიძეს. ნახევარი ქვევა ტყე ასე იყო შემოსაზღვრული: აღმოსავლეთით - ილარიონ კირკიტაძის, დასავლეთით - მაქსიმე ჭიჭინაძის, სამხრეთით და ჩრდილოეთით - ყარამან კირკიტაძის კუთვნილი მიწის ნაკვეთები (ქვედა საქარა). ზმმ, №39.

ბაითი - საყანე (ფუთი). იხ. **ნასისხარი**.

ბაღდათის დაჩა - 1902 წ. 11 მარტს შედგენილ „ნასყიდობის ხელწერილში“ დამოწმებულია მიწის ნაკვეთი შორაბიეთი, „მდებარე ბაღდათის დაჩაშიდ“. ვრცლად იხ. **შორაბიეთი**. ზმმ, №47.

ბაჩალიძისოული - ვენახი; დამოწმებულია 1907 წლის 1 მარტით დათარიღებულ „ფარდის ხელშეკრულებაში“. საზღვრები: აღმოსავლეთით - სასოფლო გზა, დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით - ფუტკარაძეთა კუთვნილი მიწები (საქარა). ზმმ, №131.

ბეგისადგილი - მიწის ნაკვეთი („მოცვლილობის ხელწერილი“, 2. III. 1876 წ.); ძმებმა - ერემია და ილია ვასილის ძე სულაქველიძეებმა ერთმანეთს გაუცვალეს კუთვნილი მიწის ნაკვეთები. ილიამ მიიღო ერემიას კუთვნილი მიწა ბეგისადგილის სახელწოდებით. საბუთში ვკითხულობთ: „შენ ერემიას მამულის ბოლოზე მოგები ჩემი საკუთნელი ადგილი სახელდობ წყაროს ფეხი... ამას სამაგიეროთ ორივეს თანხმობით უმეტნაკლოდ ზომით შენი ადგილი ჩემსაუ ადგილზე მობმული. სახელდობ ბეგას ადგილი. იმ ნიშნებს შიგნით, სადაც დღეს ორივეს თანდასწრებით ქუების სამნები ჩავაგდეთ, ეს ად-

გილები ზომით მივცვალ-მოვცვალეთ და მივიღე მე ილია სულაქუელიძემ შენ, ჩემის ძმის ერემიასაგან ეს მოცვლილობის ხელისწერილი... გავყავი მე ერემიამ ჭანტურიძის სოული ადგილი, რომელიც არის ორი ქვევა და ქვევის ორი ნაწილი. ამაშიდ მივიღე ვაკის ადგილშიდ არჩევანი მე ილია სულაქველიძემ გაბრიელას საზღვრისკენ, - ბეგის ადგილშიდ ნიგზის ადგილი. მივიღე მეორე არჩევანი მე მიხეილმა ვაკის ადგილშიდ შუანა ადგილი ბეგის ადგილშიდ ნაპირა ადგილი ამტონა სულაქველიძის საზღვრისკენ“. ხელს აწერენ: ერემია სულაქველიძე და მოწმე თეიმურაზ გოგიას ძე კაკაურიძე. ზმმ, №58.

ბოსლევის საზოგადოება - დასახელებულია 1. 1884 წლის 27 ნოემბერს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“: აღნიშნული საზოგადოების სოფ. დილიკაურში მცხოვრებ მესაკუთრე გლეხს ბეჟან გუგუნას ძე მიშველაძეს თავისი ძმისწულისთვის, იოსებ ზურაბის ძე მიშველიძისთვის მიუყიდა „კეთილის მნებელობით კუთვნილი... ტყიანი ადგილი ერთი ნაჭერი.“ ზმმ, №174; 2. 1886 წლის 14 დეკემბერს შედგენილ „კვიტანციაში“. ზმმ, №162; 3. „ნასყიდობის ხელწერილში“ (7. V. 1889 წ.), რასაც ხელს აწერს ბოსლევის საზოგადოების მამასახლისი გიორგი ჭუმბურიძე. ზმმ, №170; 4. „ნასყიდობის ხელწერილში“ (1 ნოემბერი, 1899 წ.), რასაც ხელს აწერს ბოსლევის საზოგადოების მამასახლისი ივანე დათიაშვილი. ზმმ, №169.

გარემოს ადგილი - მიწის ნაკვეთი (1. VII. 1900 წ.); საზღვრები: აღმოსავლეთით - ლიდა ვარდოსანიძის, დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით - ლუკია დათიას ძე ვარდოსანიძის მიწის ნაკვეთები (საზანო). ზმმ, №114.

გაღმასერი - სახნავი (1 მარტი, 1907 წ., „ფარდის ხელშეკრულება“); საზღვრები: აღმოსავლეთით- ილია საყვარელიძის, დასავლეთით - სამსონა და ივანე, სამხრეთით - ლევანა და სოსია ფუტკარაძეების, ჩრდილოეთით - სილიონ ცეციტიშვილის კუთვნილი მიწის ნაკვეთები (საქარა). ზმმ, №131.

გეზრული - საკარმიდამო, ვენახი; დამოწმებულია „ნასყიდობის ხელწერილში“ (20. VII. 1916 წ.), რომლის მიხედვით დაბლასაქარაში მცხოვრებმა გლეხებმა - ლუკა და მელიტონ კვირიას ძე კირკიტაძეებმა დილიკაურელ ვარლამ პეტრეს ძე ბუხსიანიძეს მიჰყიდეს მიწის 7 ნაკვეთი, მათ შორის - გეზრული (600 საყენი), შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ილარიონ კირკიტაძის, დასავლეთით - იპოლიტე სამხარაძის, ჩრდილოეთით - ჭიჭინაძის მიწის ნაკვეთები, სამხრეთით-გზა (ქვედა საქარა). ზმმ, №39.

გელოური - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია: 1. „ნასყიდობის წერილში“ (25. II. 1895 წ.), რომლის მიხედვით დილიკაურელმა ტატო აბაშიძის ქვრივმა - ევგენია დავითის ასულმა მიშველაძემ იოსებ მიშველაძეს მიჰყიდა „საყანე ადგილები... დობილოიანი დანაშთი მამისა“. საზღვრები: აღმოსავლეთით - იოსებ მიშველაძის, ჩრდილოეთით - ივანე და ამტონ კახნიაშვილების მიწის ნაკვეთები, დასავლეთით - დელე, სამხრეთით - სასოფლო გზა (დილიკაური). ზმმ, №164; 2. 1899 წლის 1 ნოემბერს შედგენილ „ნასყიდობის ხელწერილში“, რომლის მიხედვით დილიკაურში მცხოვრებმა ანტონ გრიგოლის ძე კახნიაშვილმა ივოსებ ზურაბის ძე კახნიაშვილს 120 მანეთად მიჰყიდა კუთვნილი მიწის ნაკვეთი გელოური, „დობილოიანად“. საბუთს ხელს აწერენ: ფარსადან კავთელაძე, ნიკო კახნიაშვილი, მიხაკო კახნიაშვილი, ბოსლევის საზოგადოების მამასახლისი ივანე დათიაშვილი (დილიკაური). ზმმ, №169.

გვერდისერი - სერი; დამოწმებულია „ნასყიდობის ხელწერილში“ (17. XI. 1891 წ.), რომლის მიხედვით სვირელმა გლეხებმა - გიორგი და ივანე მხიარულას ძე კანთელაძეებმა ილია ვასილის ძე სულაქველიძეს მიჰყიდეს საზიარო მიწის ნაკვეთიდან კუთვნილი $\frac{1}{4}$, და საფასურად მიიღეს 60 მანეთი. აღნიშნული მიწის ნაკვეთის ჩრდილოეთ საზღვრად მითითებულია გვერდისერი (სვირი). ზმმ, №60.

გვერდო - მიწის ნაკვეთი სვირში; დამოწმებულია „ნასყიდობის ხელწერილში“ (17. XI. 1891 წ.). ზმმ, №61.

გურულისეული - ვენახი; დასახელებულია 1908 წლის 18 მაისს შედგენილ განჩინებაში, რომლის მიხედვით მამ-შვილ მახათაძეებს შორის ქონების გაყოფის თაობაზე დავა წამოჭრილა. დავას ესწრებოდნენ: ალფეზა ბიწაძე, აზნაური ამბროსი ჟღენტი, დარისპან და ნიკო მახათაძეები და სარდიონ სირდაძე, რომლებმაც ბიჭია მახათაძეს მიაკუთვნეს „ადგილი ვენახიანი, სახელწოდებული გურულისეული, საყანე აბაშიძისეული და ტყის მონაწილეობა“. ტექსტი შედგენილია სანახევროდ, თხრობა შეწყვეტილია. ზმმ, №54.

დაბლარი გვზრულა - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია „ნასყიდობის ხელწერილში“ (20. VII. 1916 წ.). საზღვრები: აღმოსავლეთით - მაქსიმე ჭიჭინაძის, დასავლეთით - მელიტონ და ყარამან კირკიტაძეების, სამხრეთით - ილარიონ კირკიტაძის და ჩრდილოეთით - ილარიონ და ყარამან კირკიტაძეების მიწის ნაკვეთები (ქვედა საქარა). ზმმ, №39.

დაბლარის ვენახიანი ადგილი - მიწის ნაკვეთი (90 კვ. საჟენი); დამოწმებულია „ნასყიდობის წერილში“ (1. XI. 1907 წ.). საქარელმა გლეხმა მალაქია ბესიკის ძე ფუტკარაძემ იაკინთე ოქრუას ძე ფუტკარაძეს 200 მანეთად მიჰყიდა ვენახი, სახელწოდებით - „დაბლარის ვენახიანი ადგილი“, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით და დასავლეთით - მყიდველისა და გამყიდველის, სამხრეთით - კაცია ფუტკარაძის, ჩრდილოეთით - პეტრია და ლავრენტი ფუტკარაძეების მიწის ნაკვეთები. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ „ამა ზემოთ აღნიშნული მიწაზედ ზდევს საცალფეხო გზა, რომელზედაც უნდა იაროს კაცია ფუტკარაძემ...“ (საქარა). ზმმ, №123.

დაბლასაქარა - სოფელი; დასახელებულია 1916 წლის 20 ივლისს შედგენილ „ნასყიდობის ხელწერილში“, რომლის მიხედვით დაბლა საქარაში მცხოვრებმა გლეხებმა დილიკაურელ ვარლამ ბუხ-

სიანიძეს მიჰყიდეს ქვედა საქარაში მდებარე მიწის 7 ნაკვეთის ნაწილი, 1000 მანეთად. ზმმ, №39.

დადიანის ეზოს ალაგი - მიწის ნაკვეთი; 1913 წლის 29 ივლისით დათარიღებული დოკუმენტის მიხედვით სვირში მცხოვრებმა ძმებმა ჯუღელეებმა ურთიერთშორის გაიყვეს მიწის ნაკვეთები - „დადიანის ეზოს ალაგი“ და „ნასათიბარის ალაგი“. პირველი ნაკვეთი მოიცავდა 1800 ჯვარულ საჟენს, ანუ ქცევას და მოქცეული იყო შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით და დასავლეთით - სვირელების, სამხრეთით - გრიგოლ ჯუღელისა და ჩრდილოეთით - ბასილა ჯუღელის მიწის ნაკვეთები. დოკუმენტს ხელს აწერს და ბეჭდის დასმით ამოწმებს სვირის მამასახლისი რობაქიძე (სვირი). ზმმ, №19.

დიდიკლდისღელე - ღელე; 1911 წლის 15 ივნისს შედგენილი „პირობის ხელწერილიდან“ ირკვევა, რომ სახელდებული ობიექტი წარმოადგენდა ცივის (მიწის ნაკვეთის სახელწოდებაა) ჩრდილოეთ მიჯნას (სვირი). მსჯელობისათვის იხ. **სვირიქეთი, ცივი**. ზმმ, №41.

დიდიტბის სერი - სახნავი, ტყე; 1902 წლის 11 აპრილს შედგენილი „ნასყიდობის წერილის“ მიხედვით შორაპნის მაზრის სოფ. სალანძილეში მცხოვრებმა აზნაურმა ნიკალა კონსტანტილეს ძე კიკნაძემ გლეხებს, მოსე და უფლისა გიორგის ძე და ალექსანდრე უფლისას ძე კიკნაძეებს 60 მანეთად მიჰყიდა „სახნავი ადგილი თავისის ტყიანათ“, დიდიტბის სერზე, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ყაფლამ, მიხეილა და იულონ კიკნაძეების, აგრეთვე მყიდველების, დასავლეთით - ყაფლამისა და ზაქარა ყრუაშვილის, სამხრეთით - გრიგოლა კაპანაძის, ჩრდილოეთით - დავით კიკნაძის კუთვნილი მიწის ნაკვეთები. დოკუმენტს ხელს აწერენ: აზნაური ფირანა კიკნაძე და გერმანე ოჩქიტაძე (სალანძილე). ზმმ, №107.

დილიკაური - სოფელი; დასახლებულია რამდენიმე საბუთში: 1. 1850 წლის 30 მარტით დათარიღებულ „ნასყიდობის წიგნში“, როგორც შორაპნისა და არგვეთის „უჩასტკის“ სოფელი. ზმმ, №197; 2.

„ნასყიდობის წერილში“, 27 ნოემბერი, 1884 წ.; დოკუმენტს ხელს აწერენ: აზნაური ბარნაბა მიზანას ძე ქადაგიძე, მოწმე აზნაური ალექსი ქადაგიძე, მალაქია კავთელაძე და სხვანი. ზმმ, №174; 3. „პირობის წერილში“; 14. XII. 1886 წ; ზმმ, №166; 4. „ნასყიდობის ხელწერილში“ (7. V. 1889 წ.); ზმმ, № 170; 5. „პირობის წერილში“ (25. II. 1895). ზმმ, №164; 6. „ნასყიდობის ხელწერილში“ (1. XI. 1899 წ.). ზმმ, №169; 7. „პირობის წერილში“ (25. VII. 1904 წ.); ზმმ, №167.

დიმი - სოფელი; 1910 წლის 15 აგვისტოს შედგენილი ნასყიდობის ხელწერილის მიხედვით სოფ. დიმში მცხოვრებ აზნაურ ელისაბედ ბიჭიას ასულ კიკნაველიძე-ჩხეიძეს ეკუთვნის კიკნაველეთში მცხოვრები მერაბ კიკნაველიძის უძრავ-მოდრავი ქონების 1/6 ნაწილი და ბიჭიასა და ძმების - დიმიტრი და ალექსი კიკნაველიძეების მიერ ერთად შეძენილი ქონების 1/3 ნაწილი. ზმმ, №07.

დობილოს ადგილი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „პირობის ხელწერილში“ (1 ოქტომბერი, 1896 წ.). ნახევარი ქცევა მიწის ნაკვეთს დასავლეთით და ჩრდილოეთით საურმე გზა მიუყვებოდა, სამხრეთით - სოფლის გზა, ჩრდილოეთით მიხეილა მარაქველიძის მიწის ნაკვეთით ისაზღვრებოდა. დოკუმენტს ხელს აწერენ: ვარდენ მერკვილიშვილი და კლდეეთის საზოგადოების მამასახლისი (კვალითი). ზმმ, №24.

ვაკეტყე - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1909 წლის 1 ივლისს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“. საქარელმა ირაკლი ალექსის ძე ფუტკარაძემ იაკინთე ოქროპირის ძე ფუტკარაძეს 300 მანეთად მიჰყიდა „ვაკეტყის ადგილი“. 145 საყენი ფართობის მიწის ნაკვეთი მოქცეული ყოფილა შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ირაკლი ფუტკარაძისა და მისი ობოლი ძმისშვილების მიწის ნაკვეთი, დასავლეთით - მყიდველის, ჩრდილოეთით - ერმანოზა არაბიძის, სამხრეთით - სოსია და ლევანა ფუტკარაძეების მიწის ნაკვეთი. დოკუმენტს

ხელს აწერენ: იპოლიტე ბაბუაძე, საქარის საზოგადოების მამასახლისი არაბიძე (საქარა). ზმმ, №124.

ვაკეტყის ვენახი - საკარმიდამო ნაკვეთი (1 მარტი, 1907 წ. „ფარდის ხელშეკრულება“); საზღვრები: აღმოსავლეთით - ნატალია ფუტკარაძე-არაბიძის კუთვნილი მიწის ნაკვეთი და გზა, დასავლეთით - სამსონა და ივანე ფუტკარაძეების „სამძღვარი“, სამხრეთით და ჩრდილოეთით - გზა (საქარა). ზმმ, №131.

ვაკის ტყე - მიწის ნაკვეთი (20 აგვისტო, 1916 წ.); ზედა საქარელმა გლეხებმა - ივანე და ბეგლარ ტაბატაძეებმა იმავე სოფელში მცხოვრებ სერმონ აღმასხანის ძე ჩხეიძეს მიჰყიდეს მიწის ნაკვეთი „ვაკისტყის“ სახელწოდებით, „რომელზედაც არის ნახევარი ჩირგვნარი და ნახევარი კი ცარიელი ნატყიური“. 400 მანეთად შეძენილი ერთი ქცევა მიწა მოქცეული იყო შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთიდან - ნესტორ ღამბაშიძისა და ლევანტი ედიბერიძის, დასავლეთით და სამხრეთით კვლავ - ნესტორ ღამბაშიძის, ჩრდილოეთით - პავლე და ვანკა ჩხეიძეების კუთვნილი მიწის ნაკვეთები. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „როგორც ზედა პირი ამ ადგილს თავის ჩიგვებიანად, ისე ქვეშა პირი ქვეშსკნელამდის, უნდა შეადგენდეს თქვენს ჩხეიძის სრულ კერძო საკუთრებას“ (ზედა საქარა). ზმმ, №176.

ვენახიანი ადგილი - მიწის ნაკვეთი (1. VII. 1900 წ.); საზღვრები: აღმოსავლეთით და სამხრეთით - შამშე ვარდოსანიძის, ჩრდილოეთით - ლიდა ვარდოსანიძის მიწის ნაკვეთები, დასავლეთით - გზა (საზანო). ზმმ, №114.

ვირის სახტარას ტყე - მინდორი ნარულაში (1 მარტი, 1907 წ., „განყოფილების სიგელი“ (საქარა). ზმმ, №131.

ზედა გარემო - ვენახი; დასახელებულია „ნასყიდობის ხელწერილში“ (1. VIII. 1916 წ.), რომლის მიხედვით ზედა საქარაში მცხოვრებმა გლეხებმა - ვასილ სპირიდონის ძე და ვასასი მარკოზის ასულ-

მა ფუტკარაძეებმა თანასოფლელ გლეხებს - მათე და ონისიმე პორფირეს ძე ქლიბაძეებს 400 მანეთად მიჰყიდეს ვენახიანი მიწა **ზედა გარემო**, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - გზა, სამხრეთით - ვასილ ფუტკარაძის, დასავლეთით - ნესტორ და ვერა კაპანაძეების, ჩრდილოეთით - პორფილე ქლიბაძის მიწის ნაკვეთები. ხელს აწერს ვასასი ფუტკარაძე. დოკუმენტის სისწორეს ამოწმებს ზედა საქარის საზოგადოების მამასახლისის ნაცვალი ყარამან ივანეს ძე ჭანტურიძე (ზედა საქარა). ზმმ, №49.

ზედა საქარა - სოფელი; დამოწმებულია: 1. 1906 წლის 10 ივლისს შედგენილ „კვიტანციაში“. ზმმ, №25; 2. 1913 წლის 31 დეკემბერს შედგენილ მიწის ნაკვეთის სამიჯნო გეგმის ასლში, რომლის მიხედვით ზედა საქარაში მცხოვრები გლეხები - ტრიფონ და ლასო ანდრიას ძე ნიორაძეები ფლობდნენ მიწის ნაკვეთს ნაფოსტარის სახელწოდებით. ნახაზზე ხელს აწერენ: მხაზველი მელიქოვი და უფროსი მიწათმზომელი (ხელმოწერა გაურკვეველია). მიწის აზომვა წარმოებდა 1901-1907 წლებში (ზედა საქარა). ზმმ, № 98; 3. 1915 წლის 27 მარტს შედგენილ ნასყიდობის ხელწერილში. მსჯელობისათვის იხ. **სოფრომაძისეული**. ზმმ, №34; 4. 1916 წლის 1 აგვისტოს შედგენილ „ნასყიდობის ხელწერილში“ დასახელებულია ზედა საქარაში მცხოვრები მესაკუთრე გლეხები - ვასილ სარდიონის ძე და ვასასი მარკოზის ასული ფუტკარაძეები, აგრეთვე მათე და ონისიმე ქლიბაძეები. ზმმ, №49; 5. 1916 წლის 20 აგვისტოს შედგენილ დოკუმენტში, სადაც აღნიშნულია, რომ ზედა საქარაში მცხოვრებმა გლეხებმა - ივანე ალექსანდრეს ძე და ბეგლარ რევაზის ძე ტაბატაძეებმა იმავე სოფელში მცხოვრებ სერმონ აღმასხანის ძე ჩხეიძეს მიჰყიდეს მიწის ნაკვეთი. ზმმ, №177.

ზედა საქარის საზოგადოება - 1916 წლის 1 აგვისტოს შედგენილ „ნასყიდობის ხელწერილს“ ხელს აწერს და ამოწმებს ზედა საქარა-

რის საზოგადოების მამასახლისის ნაცვალი ყარამან ივანეს ძე ჭანტურიძე. ზმმ, №49.

ზედა ჯაბანოურა - იხ. **ჯაბანოურა**.

ზოვრეთი - სოფელი შორაპნის მაზრაში; 1. ზოვრეთელი სოლომონ კაპანაძე „ნაყიდობის პირობას“ აძლევს მირონია ბასილაძეს და ფრიდონა და გლახუნა (ნიკოლოზ) რობაქიძეებს. მსჯელობისათვის იხ. **სილა**. ზმმ, №18; 2. 1909 წლის 13 მაისს შედგენილ „ნასყიდობის ხელნაწერში“ დასახელებულია შორაპნის მაზრის სოფ. ზოვრეთში მცხოვრები გლეხები - გიორგი კაპანაძე და სპირიდონ რობაქიძე. ზმმ, №72.

ზუსა - მდინარე; 1915 წლის 4 ოქტომბერს შედგენილ „ნაყიდობის წერილში“ დასახელებულია, როგორც აღმოსავლეთი საზღვარი სოფ. ზოვრეთში მდებარე მიწის ნაკვეთის $\frac{1}{4}$ -ისა, „სახელწოდებული იგივე „სილა“ (40 კვ. საჟენი). დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით მიწის ნაკვეთს რობაქიძეების საკარმიდამოები ესაზღვრებოდა. დოკუმენტი შეუდგენია ნესტორ კვეტენაძეს. ბოლოში დასმული აქვს ზოვრეთის საზოგადოების სოფლის მამასახლისის ბეჭედი. ზმმ, №18.

თვრინი - სოფელი შორაპნის მაზრაში; „ნასყიდობის ხელწერილში“ (11. III.1902 წ.) დასახელებულია თვრინელი აზნაური მელიტონ ნიკოლოზის ძე ჩხეიძე. ზმმ, №46.

თუზი - სოფელი; დამოწმებულია 1914 წლის 1 ნოემბერს შედგენილი ნასყიდობის ხელნაწერის მიხედვით თუზელმა თავადმა აბაშიძეებმა კიკნაველეთში მცხოვრებ კიკნაველიძეებს მიჰყიდეს სახნავი და ტყე სოფელ ჩალხეთში. ზმმ, №03.

ითხვისი - სოფელი შორაპნის საზოგადოებაში; დასახელებულია 1916 წლის 17 იანვარს დაწერილ „პირობის ხელწერილში“. ზმმ, №32.

ილემი - სოფელი; დასახელებულია 1916 წლის 17 იანვარს რუსულ ენაზე დაწერილ „პირობის ხელწერილში“. ზმმ, №32.

კალოს ადგილი - მიწის ნაკვეთი; მსჯელობისათვის ვრცლად იხ. ქვემოთ ურთხელის ტყე.

კაციას ნახორალი - იხ. ანლძარი.

კახნიოური - მიწის ნაკვეთი („ფარდის ხელშეკრულება“, 1 მარტი, 1907 წ.); საზღვრები: აღმოსავლეთით - ნატალია დარისპანის ასულ არაბიძის, დასავლეთით - სამსონა და ლევანა ფუტკარაძეების კუთვნილი მიწები, სამხრეთით - სასოფლო გზა, ჩრდილოეთით - შუა კახნიოურის დეღე (საქარა). ზმმ, №131.

კვალითი - სოფელი; 1. 1896 წლის 1 ოქტომბერს შედგენილ „პირობის ხელწერილში“ დასახელებულა კვალითელი გლეხები - ალფეზ დავითის ძე და ბესარიონ ბერიკას ძე ბიწაძეები. ზმმ, №24; 2. 1903 წლის 8 მარტს შედგენილ ნასყიდობის ხელწერილში აღნიშნულია, რომ კვალითელმა გლეხმა ბესარიონ ბერიკას ძე ქლიბაძემ თანასოფლელ ალფეზა დათიას ძე ბიწაძეს მიჰყიდა მიწის ნაკვეთი „ნამოსახლის“ სახელწოდებით. ზმმ, №10.

კიკნაველეთი - დასახელებულია: 1. „საწინდრობის ხელწერილში“ (12. III. 1886 წ.). ზმმ, №57; 2. 1902 წლის 11 მარტს შედგენილ „ნასყიდობის ხელისწერილში“. ზმმ, №47; 3. „პირობის ხელწერილში“ (6. III. 1908 წ.). დოკუმენტს ხელს აწერს და ბეჭდის დასმით ამოწმებს კიკნაველეთის საზოგადოების მამასახლისი ვლადიმერ დოგრაშვილი (თუ დავრიშვილი?). ზმმ, №31; 4. 1910 წლის 15 აგვისტოს შედგენილი ნასყიდობის ხელწერილის მიხედვით სოფ. დიშში მცხოვრებ აზნაურ ელისაბედ ბიჭიას ასულ კიკნაველიძე-ჩხეიძეს ეკუთვნის კიკნაველეთში მცხოვრები მერაბ კიკნაველიძის უძრავ-მოძრავი ქონების 1/6 ნაწილი და ბიჭიასა და ძმების - დიმიტრი და ალექსი კიკნაველიძეების მიერ ერთად შეძენილი ქონების 1/3 ნაწილი. ზმმ, №07; 5. ნასყიდობის ხელნაწერში (1. XI, 1914 წ.). ზმმ,

№03. 6. „ფარდის წერილში“ (10 აპრილი, 1919 წ.). ესაა დოკუმენტი კიკნაველეოში მცხოვრებ სამ ძმას შორის მამისეული უძრავ-მოდრავი ქონების გაყოფის შესახებ. ზმმ, №20.

კლდეითის საზოგადოება - 1896 წლის 1 ოქტომბრით დათარიღებულ „პირობის ხელწერილს“ ხელს აწერს კლდეითის საზოგადოების მამასახლისი (გვარი არ იკითხება, სახელია ალექსანდრე). ზმმ, №24.

კლდისდელე - დელე; ერთ-ერთ დოკუმენტში მითითებულია მიწის ნაკვეთის ჩრდილოეთ საზღვრად. ზმმ, #41. იხ. **სვირიქეთი, ცივი**.

კოდისბოლო - ტყე; დასახელებულია რუსულ ენაზე დაწერილ „პირობის ხელწერილში“ (17. I. 1916 წ.), რომლის მიხედვით შორაპნის საზოგადოების სოფ. ითხვისში მცხოვრებმა აზნაურმა თეოდორა ანტონის ასულმა მაჭავარიანმა-წერეთლისამ ილემელ მალაქია ბესოს ძე ხომასურიძეს მიჰყიდა კუთვნილი ტყიანი მამული **კოდისბოლო**, მდებარე სოფელ ილემში. საბუთს ხელს აწერენ თეოდორა წერეთლისა და მოწმე მელიტონ ნიკოლოზის ძე ჭამკვეტაძე (ილემი). ზმმ, №31.

კოპიტნარი - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია „ფარდის ხელშეკრულებაში“ (1 მარტი, 1907 წ.), რაც ისაზღვრებოდა ფუტკარაძეების კუთვნილი მიწებით და აღმოსავლეთიდან - გზით (საქარა). ზმმ, №131.

კოპიტნარისგვერდი - ტყე („ფარდის ხელშეკრულება“, 1 მარტი, 1907 წ.); ისაზღვრებოდა ფუტკარაძეთა ნაკვეთებით, სამხრეთით - ილიკო ცერცვაძის მიწის ნაკვეთით და დედეითი (საქარა). ზმმ, №131.

კოჟორა - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1886 წლის 12 აგვისტოს შედგენილ „საწინდრობის ხელწერილში“, რომლის მიხედვით ქუთაისის გუბერნიის დაბა ყვირილაში მცხოვრებმა დესპინა კიკნაველიძემ სოფ. კიკნაველეოში მცხოვრებ ძმებს, აზნაურებს -

დიმიტრი და ალექსი მერაბის ძე კიკნაველიძეებს გირაოდ 2 წლით დაუთმო მიწის ორი ნაკვეთი, კოჟორას სახელწოდებით, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - კობტა და ფირანა ტატუაშვილების, დასავლეთით - ფილიპე კიკნაველიძის (კიკინაველიძის), სამხრეთით - მიტო და მურძაყან კიკნაველიძეების, ჩრდილოეთით - ალექსი და დიმიტრი კიკნაველიძეების მიწის ნაკვეთები. საბუთს ხელს აწერს დესპინა დუგლაძე. სისწორეს ხელმოწერით ადასტურებს კიკნაველეთის საზოგადოების მოსამართლე მინა კელენჯერიძე. ხელს აწერენ აგრეთვე მოწმეები: ახნაურები - გარსევან და მიხა სოფრომის ძე, ილია გოგიას ძე, მურძაყან ბესოს ძე კიკნაველიძეები, ალექსი კიკნაველიძე (კიკნაველეთი). ზმმ, №57.

ლენჭყისბოლო - სახნავი („ნასყიდობის წერილი“, 25. II. 1895 წ.); საზღვრები: აღმოსავლეთით - გარდაცვლილი ბეჟან მიშველაძის ობლების, დასავლეთით - სოლომონ მიშველაძის, სამხრეთით - იოსებ მიშველაძის კუთვნილი მიწის ნაკვეთები, ჩრდილოეთით - სასოფლო გზა. სახნავი მიწა აღნიშნულ საზღვრებში ევგენია მიშველაძისგან 200 მანეთად უყიდია იოსებ მიშველაძეს. დოკუმენტის სისწორეს ხელს აწერენ: ევგენია მიშველაძე-აბაშიძისა, არჩილ დეკანოზიშვილი, თომა აბულაძე, ბოსლევის საზოგადოების მამასახლისი ივანე კაპანაძე (დილიკაური). ზმმ, №164.

ლევანის საზოგადოება - დასახელებულია „ნასყიდობის წერილში“ (19. IV. 1891 წ.). ზმმ, №109.

მანიშოური - სახნავი („ფარდის ხელშეკრულება“, 1 მარტი, 1907 წ.); საზღვრები: აღმოსავლეთით - სილანდარ და ლავრენტი, დასავლეთით - საჩინო და კიკოლა, სამხრეთით - ლევანა და სისო, ჩრდილოეთით - სამსონა და ივანე ფუტკარაძეების კუთვნილი მიწის ნაკვეთები; 2. ტყე, საზღვრები: ლევანა და სოსია, დასავლეთით - ტარასი, სამხრეთით - სამსონა და ივანე, ჩრდილოეთით - საჩინო და კიკოლა ფუტკარაძეების მიწის ნაკვეთები (საქარა). ზმმ, №131.

მანიშორის ვაკეტყე - ტყიანი მინდორი (1 მარტი, 1907 წ., „ფარდის ხელშეკრულება“); საზღვრები: სამხრეთით და აღმოსავლეთით - ნატალია ფუტკარაძე-არაბიძის, დასავლეთით - სამსონა და ივანე ფუტკარაძეების, ჩრდილოეთით - ზოსიმე ბაბუაძის კუთვნილი მიწის ნაკვეთები (საქარა). ზმმ, №131.

მაცაბეროული - სახნავი; დამოწმებულია 1. 1889 წლის 5 მაისს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“. დილიკაურელმა ბეჟან გუგუნას ძე მიშველაძემ ძმისწულს, იოსებ ზურაბის ძე მიშველაძეს 70 მანეთად მიჰყიდა მაცაბეროული, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - გიორგი და ალფეზა ოტიაშვილების, დასავლეთით - ეგენია მიშველაძის, სამხრეთით - იოსებ მიშველაძის მიწის ნაკვეთები, ჩრდილოეთით - სოლომონ მიშველაძის ვენახი (დილიკაური). ზმმ, №173; 2. „ნასყიდობის წერილში“ (7. V. 1889 წ.), რომლის მიხედვით დილიკაურელმა ეგენია დავითის ასულმა მიშველაძემ იოსებ ზურაბის ძე მიშველაძეს 7 თუმნად მიჰყიდა სახნავი მიწა მაცაბეროული. საზღვრები: აღმოსავლეთით - გიორგი და ჩინო ოტიაშვილების, დასავლეთით - ბეჟან და ეგენია მიშველაძეების, სამხრეთით - მყიდველის, ჩრდილოეთით - ბეჟან მიშველაძის მიწის ნაკვეთები. დოკუმენტს ხელს აწერენ: ეგენია მიშველაძე, აზნაური იასონ ქადაგიძე, ამბაკო სანიკიძე, არჩილ დეკანოიშვილის თხოვნით - სიმონ სალაძე, ბოსლევის საზოგადოების მამასახლისი გიორგი ჭუმბურიძე (დილიკაური). ზმმ, №170; 3. „პირობის წერილში“ (25. VII. 1904 წ.). საზღვრები: აღმოსავლეთით - სასოფლო გზა, დასავლეთით და სამხრეთით - გიორგი მიშველაძის, ჩრდილოეთით - ეგენია მიშველაძის მიწის ნაკვეთები (დილიკაური). ზმმ, №167.

მახათაძისოული//ღელევენახი - სახნავი; დამოწმებულია 1922 წლის 14 აპრილს შედგენილ „მოცვლილობის პირობის ხელწერილში“, რომლის მიხედვით საღანძილელმა ირაკლი და მოსე კიკნაძეებმა ურთიერთშორის გაცვალეს კუთვნილი მიწის ნაკვეთი - მახათაძი-

სოული, იგივე ღლავენახი, რაც მდებარეობდა საღანძილის დაჩაში. საზღვრები: აღმოსავლეთით - გიორგი სოფრომას ძე კიკნაძის, დასავლეთით - ვასილ კიკნაძის, სამხრეთით - მოსე გიორგის ძე კიკნაძისა და ზაქარია ყურაშვილის, ჩრდილოეთით - ვასილ და უფლისა კიკნაძეების შვილების მიწის ნაკვეთები. დოკუმენტს ხელს აწერენ: სავლე კიკნაძე და სერგო ოჩქიტძე და ხარაგაულის აღმასკომის თავმჯდომარე (საღანძილე). ზმმ, №106.

მელოური - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1899 წლის 1 ნოემბერს შედგენილ დოკუმენტში, რომლის მიხედვით დილიკაურელმა ამტონ გრიგოლის ძე კახნიაშვილმა თანასოფლელ ივოსებ ზურაბის ძე კახნიაშვილს მიჰყიდა მიწის ნაკვეთი „მელოური დობილოიანად“ (დილიკაური). ზმმ, №169.

ნაეკლესვარი - ტყე, მინდორი; დამოწმებულია „ფარდის წერილში“ (10 აპრილი, 1926 წ.), რომლის მიხედვით სახელდებული ობიექტი მდებარეობს კიკნაველეთში. ზმმ, №20.

ნაკურტნები - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1909 წლის 13 მაისს შედგენილ „ნასყიდობის ხელწერილში“, რომლის მიხედვით ზოვრეთელმა გლახმა გიორგი საჩინოს ძე კაპანაძემ სპირიდონ ბუჭუს ძე რობაქიძეს 100 მანეთად მიჰყიდა ნაკურტნები, საზიარო მიწის ნაკვეთიდან 1/12. დოკუმენტს ხელს აწერენ: მყიდველი და გამყიდველი (ზოვრეთი). ზმმ, №72.

ნამოსახლი - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია: 1. 1900 წლის 1 ივლისს შედგენილ საბუთში. საზღვრები: აღმოსავლეთით და სამხრეთით - ლუკია ვარდოსანიძის, ჩრდილოეთით - ლიღია ვარდოსანიძე-ჭუმბურიძის მიწის ნაკვეთები, დასავლეთით - გზა. მიწა მოცემულ საზღვრებში საზანოელმა გრიგოლ ეგნატეს ძე გიორგაძემ მიჰყიდა სილიონ გრიგოლის ძე ვარდოსანიძეს (საზანო). ზმმ, №114; 2. მიწის ნაკვეთი; 1903 წლის 8 მარტს შედგენილ ნასყიდობის ხელწერილში აღნიშნულია, რომ კვალითელმა გლახმა ბესარიონ

ბერიკას ძე ქლიბაძემ თანასოფლელ ალფეზა დათიას ძე ბიწაძეს მიჰყიდა მიწის ნაკვეთი „ნამოსახლის“ სახელწოდებით. ზმმ, №10. 3. სახნავი; დამოწმებულია „ნასყიდობის ხელწერილში“ (20. VII. 1916 წ.). საზღვრები: აღმოსავლეთით - გიორგი კირკიტაძის, დასავლეთით - მაქსიმე ჭიჭინაძის, სამხრეთით - რაფაილ ჭიჭინაძის მიწის ნაკვეთები, ჩრდილოეთით - შარაგზა. აღნიშნული სახნავი მიწის მეოთხედს ფლობდა დილიკაურში მცხოვრები ვარლამ პეტრეს ძე ბუხსიანიძე, რაც მას შეუძენია ქვედა საქარელი გლეხებისგან (ქვედა საქარა). ზმმ, №39.

ნანასოული - დაბლარი ვენახი (1 მარტი 1907 წ., „ფარდის ხელშეკრულება“); საზღვრები: აღმოსავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით - ფუტკარაძეთა კუთვნილი მიწის ნაკვეთები, დასავლეთით - სასოფლო გზა (საქარა). ზმმ, № 131.

ნარულის საწისქვილო - წისქვილი ნარულის დელეზე; დასახელებულია „ფარდის ხელშეკრულებაში“ (1 მარტი, 1907 წ.). წისქვილს ფლობდნენ ფუტკარაძეები (საქარა). ზმმ, №131.

ნარულის ტყე (?) - მიწის ნაკვეთი (1 მარტი 1907 წ., „ფარდის ხელშეკრულება“). საზღვრები: აღმოსავლეთით - ნარულის დელე, დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით - ფუტკარაძეების კუთვნილი მიწის ნაკვეთები (საქარა). ზმმ, №131.

ნარულის დელე - დელე (1 მარტი, 1907 წ.); „ფარდის ხელშეკრულებიდან“ ირკვევა, რომ სახელდებული ობიექტი აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა ნარულის ტყეს (საქარა). ზმმ, №131.

ნასათიბარის ალაგი - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1913 წლის 29 ივლისს შედგენილ დოკუმენტში, რომლის მიხედვით სვირელმა ძმებმა - ნესტორ, მოსე, დავით, ნიკოლოზ და ალექსანდრე გიორგის ძე ჯუღელუბმა ურთიერთშორის გაიყვეს მიწის ნაკვეთები სვირში - ნასათიბარის ალაგი და დადიანის ეზოს ალაგი. პირველი მიწის ნაკვეთი მოქცეული იყო შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით

- გრიგოლ ჯულელის მიწის ნაკვეთი, დასავლეთით და სამხრეთით - სასოფლო გზა, ჩრდილოეთით - ანანოვის არხი (სვირი). ზმმ, №19.

ნასაკირები - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1910 წლის 26 თებერვალს შედგენილ „ნასყიდობის ხელწერილში“, რომლის მიხედვით საღანძილელმა მამა-შვილმა - გიორგი და ერასტი კაპანაძეებმა თანასოფლელ მოსე გიორგის ძე კიკნაძეს მიჰყიდეს ნასაკირები სამ თუმნად, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ლადო და ბენია კიკნაძეების, დასავლეთით - ნიკალა კაპანაძის, ჩრდილოეთით - სამსონა და მიხეილ კიკნაძეების მიწის ნაკვეთები, სამხრეთით - რცხინალის დეღე. საბუთს ხელს აწერენ: იასონ ქავთარია და საღანძილის „პომოშნიკი“ ვანო ყრუაშვილი (საღანძილე). ზმმ, №100.

ნასისხარი - სახნავი; დამოწმებულია 1913 წლის 4 მაისს დაწერილ ქვითარში, რომლის მიხედვით სოფ. ფუთში მცხოვრებმა თედორე სოფრომას ძე თუთბერიძემ ონისიმე ივანეს ძე თუთბერიძეს მიჰყიდა სახნავი მიწა **ნასისხარი** და საზღაურად მიიღო 30 თუმანი (ფუთი). ზმმ, №33.

ნასისხარი//ბაიოთი - სახნავი; დამოწმებულია „ნასყიდობის ხელწერილში“ (19. III. 1912 წ.), რომლის მიხედვით ფუთში მცხოვრებმა მესაკუთრე გლეხმა მურმაყან სიმონის ძე ჩინჩალაძემ თანასოფლელ ონისიმე ივანეს ძე თუთბერიძეს 800 მანეთად მიჰყიდა მიწის ნაკვეთი ნასისხარი, იგივე ბაიოთი, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - თედორე თუთბერიძის, დასავლეთით - იოსებ ვარდოსანიძის მიწის ნაკვეთები, სამხრეთით - შუაღელე, ჩრდილოეთით - გზა (ფუთი). ზმმ, №45.

ნაწისქვილარი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1907 წლის 1 მარტს შედგენილ „ფარდის ხელშეკრულებაში“, როგორც „ბაბუცაძისსოული ტყე“. ისაზღვრებოდა ფუტკარაძეებისა და ბუაძის კუთვნილი მიწის ნაკვეთებით და ნარულის დეღეთი (საქარა). ზმმ, №131.

ნიგვზების ადგილი - სახნავი (1 მარტი, 1907 წ.; „ფარდის ხელშეკრულება“); ეკუთვნოდა გედევან ფუტკარაძეს და მოქცეული იყო შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ნატალია ფუტკარაძე-არაბიძის, დასავლეთით და ჩრდილოეთით - ფუტკარაძეთა კუთვნილი მიწის ნაკვეთები, სამხრეთით - კერძო გზა (საქარა). ზმმ, №131.

რაჭვლისეული - ვენახი; დამოწმებულია 1891 წლის 19 აპრილს დათარიღებულ „ნასყიდობის წერილში“, რომლის მიხედვით საღანძილელმა გლეხმა ექვთიმე თომიას ძე ყრუაშვილმა მოსა და უფლისა გიორგის ძე კიკნაძეებს 80 მანეთად მიჰყიდა სახელდებული ობიექტი, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - მოსე კიკნაძის, დასავლეთით - მიქელა კიკნაძის, სამხრეთით - ზაქარია ყრუაშვილის, ჩრდილოეთით - მოსე და უფლისა კიკნაძეების კუთვნილი მიწები. დოკუმენტის სისწორეს ხელმოწერით ადასტურებენ: ექვთიმე თომიას ძე ყრუაშვილი, დიმიტრი ნიკოს ძე შარიქაძე, გერმანე ფირანის ძე იჩქიტაძე, ლელვნის საზოგადოების „სუდიები“: ა. ტაპატაძე, გ. მადრაძე... (საღანძილე). ზმმ, №109.

რუთი - ტყე; დამოწმებულია „მოცვლილობის ხელწერილში“ (3 თებერვალი, 1901 წ.), რომლის მიხედვით საღანძილელში მცხოვრებმა იულან ბესოს ძე კიკნაძემ თანასოფლელებს, მოსე და უფლისა გიორგის ძე კიკნაძეებს მიჰყიდა რუთის ტყე. საზღვრები: აღმოსავლეთით - კოლა დათას ძე კიკნაძისა და უფლისა ანდრიას ძე კიკნაძის, დასავლეთით - ბასილა და ექვთიმე ყრუაშვილების, სამხრეთით - აზნაური იულან ბესოს ძე კიკნაძის, ჩრდილოეთით - მყიდველების, მოსესა და უფლისას კუთვნილი მიწის ნაკვეთები. დოკუმენტს ხელს აწერენ: აზნაური იულან ბესოს ძე კიკნაძე და გერმანე ფირანის ძე იჩქიტაძე (საღანძილე). ზმმ, №102.

რუფოთი - სოფელი; დამოწმებულია თავად დავით წულუკიძის მამულის აღწერის ფურცელში. ზმმ, №115.

რცხინალის ღელე - ღელე; დასახელებულია 1910 წლის 26 თებერვალს შედგენილ „ნასყიდობაში“, რომლის მიხედვით რცხინალის ღელე სამხრეთით ესაზღვრება ნასაკირებს (საღანძილე). ზმმ, №100.

საბამზე - სახნავი (1 მარტი, 1907 წ., „ფარდის ხელშეკრულება“); შემოსაზღვრული იყო ფუტკარაძეთა კუთვნილი მიწის ნაკვეთებით (საქარა). ზმმ, №131.

საბოდოკიო - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1876 წლის 29 თებერვალს შედგენილ „ფარდის წერილში“, რომლის მიხედვით ძმებმა - ილია, მიხეილ და ერემია სულაქველიძეებმა ურთიერთშორის გაიყვეს „საბოდოკიოს ადგილი“: „...გავყავი მე ილიამ სამივე ძმების საერთო ადგილი სახელდობ საბოდოკიოს ადგილი. ამაშიდ მივიღე მე ერემიამ გზისკენ არჩევნად, - მივიღე მე მიხელამ იმაზედ მობმული შუანა ადგილი, დამრჩა მე ილიას ნაწუნები კაკაურიძის საზღვრისკენ...“ დოკუმენტს ხელს აწერენ: ილია და მიხეილ სულაქველიძეები. ხელს აწერენ აგრეთვე და ბეჭდით ამოწმებენ სვირის მოსამართლეები: დიმიტრი ხინჩიაშვილი, ზურაბ ჭყოიძე და ელენა (?) ჭულუხაძე. IV გვერდზე გაკეთებულია ერთხაზიანი წარწერა, შავი ფერის მელნით, ქართულ ენაზე: „ჭანტურიძისეული საბოდოკიოს განყოფილება“ (სვირი). ზმმ, №59.

საზანო - სოფელი შორაპნის მაზრის საზანოს საზოგადოებაში (1. VII. 1900 წ.). ზმმ, №114.

სამზღვარი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1920 წლის 5 იანვარს შედგენილ „ნასყიდობის ხელწერილში“, რომლის მიხედვით კიკნაველეთელმა ძმებმა - ონოფრე და კირილე ივანეს ძე კიკნაველიძეებმა იმავე სოფლის მკვიდრთ, ძმებს - სერგი და იოველ ალექსის ძე კიკნაველიძეებს 700 მანეთად მიჰყიდეს მიწის ორი ნაკვეთი, „სამზღვარად“ წოდებული. საბუთს ხელს აწერს ონოფრე (?) კიკნაველიძე (კიკნაველეთი). ზმმ, №22.

სანაოსთავი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „სესხის წერილში“ (12. IX. 1910 წ.), რომლის მიხედვით კიმოთე ამირანის ძე მალრაძემ გრიგოლ ივანეს ძე ოქროპირიძისგან ისესხა 300 მანეთი. სესხის გასტუმრებამდე ოქროპირიძეს უნდა ესარგებლა მალრაძის მიწის ნაკვეთით, რაც მდებარეობდა დაბა ყვირილაში და ერქვა სანაოსთავი. საზღვრები: აღმოსავლეთით - ასლან მალრაძის, დასავლეთით - გრიგოლ ოქროპირიძის, ჩრდილოეთით - კიმოთე მალრაძის მიწის ნაკვეთები, სამხრეთით - გზა (ყვირილა). ზმმ, №46.

სარიყავი - სახნავი; დამოწმებულია „ნასყიდობის ხელწერილში“ (20. VII. 1916 წ.). საზღვრები: აღმოსავლეთით - ყარამან კირკიტაძის, დასავლეთით და სამხრეთით - ილარიონ და მალაქია კირკიტაძეების, ჩრდილოეთით - ანდრია და გლახუნა ჭიჭინაძეების კუთვნილი მიწის ნაკვეთები. ამ საზღვრებში სარიყავი დაბლასაქარელი გლეხებისაგან უყიდია დილიკაურში მცხოვრებ ვარლამ ბუხსიანიძეს (ქვედა საქარა). ზმმ, №39.

სარცხელა - მიწის ნაკვეთი (10 მარტი, 1852 წ., „ნასყიდობის წერილი“); აზნაურმა მამუკა ქადაგიძემ და მისმა შვილებმა - ოქროპირმა, ნიკოლოზმა და დიმიტრიმ, ყმისაგან - ოქრუა სვიანაძისგან იყიდა მიწის ნაკვეთი „სახრავი მიწა“ და გაუცვალა „სარცხელად“ სახელდებულ მიწის ნაკვეთში. მოწმეები არიან: აზნაურები - ოქროპირ, როსტომ, დახვალ (?), გიორგი ქადაგიძეები, თავადი აბაშიძე, დათია კახნიაშვილი, ბუჭუა და გოგილა ოტიაშვილები, მერაბა და საჩინო მიშველიძეები, აზნაური ბეკო ლეჟავა, ფირანა მიშველიძე, ბეჟიკი ხიხაძე, სესიკი და ზურაბა ეჯიბაძეები. ზმმ, №165.

საქარა - სოფელი შორაპნის მაზრაში; 1. 1874 წლის 1 აგვისტოს შედგენილ „ნასყიდობის ხელწერილში“ დამოწმებულია საქარელი აზნაური ივანე ლევანის ძე ჩხეიძე, თავადი ნიკო მერაბის ძე იაშვილი, მისი გარდაცვლილი გლეხი საჩინო ნეფსაძე, აგრეთვე სიმონა და ლუკა აბულაძეები, ივანე მემანიაშვილი, ბიჭია პატარიძე... ზმმ, №67;

2. დასახელებულია 1907 წლის 1 მარტს შედგენილ „განყოფილების ფარდის ხელშეკრულებაში“. ზმმ, №131; 3. დამოწმებულია 1907 წლის 1 ნოემბრით დათარიღებულ „ნასყიდობის ხელწერილში“. ზმმ, №123; 4. დასახელებულია აგრეთვე 1909 წლის 1 ივლისს შედგენილ „ნასყიდობის ხელწერილში“. ზმმ, № 124; 5. 1910 წლის 26 აპრილს შედგენილ „ნასყიდობის ხელწერილში“. ზმმ, №17; 6. 1916 წლის 15 იანვრით დათარიღებულ დოკუმენტში. საქარელმა აზნაურებმა - სიმონ და გიორგი ნიკოლოზის ძე ავალიანებმა იმავე სოფელში მცხოვრებ აზნაურს - სერმონ ალმასხანის ძე ჩხეიძეს 2000 მანეთად მიჰყიდეს მიწის ნაკვეთი. ზმმ, №197.

საქარია - სახნავი; სერმონ ალმასხანის ძე ჩხეიძემ საქარელი აზნაურებისაგან - სიმონ და გიორგი ავალიანებისგან იყიდა მიწის ნაკვეთი „საქარია“, რისთვისაც გადაიხადა 2000 მანეთი. ობიექტი (8 ქცევა) მოქცეული იყო შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - არტევან, თალხან, ღენტორ, არსენა, ტარასი, ფარსადან და პარმენ ჩხეიძეების, დასავლეთით - იპოლიტე, ფილიმონ და (ვ)ლადიმერ სამხარაძეების, ჩრდილოეთით - გრიგოლ და გიორგი სამხარაძეების მიწის ნაკვეთები, სამხრეთით - სასოფლო შარა. დოკუმენტის სისწორეს ხელმოწერით ადასტურებენ: ნიკოლოზ ავალიანი, გიორგი ნიკოლოზის ძე ავალიანი, კოლია სპირიდონის ძე ჭიპაშვილი, პავლე ჩხეიძე, მიხეილ გედევანის ძე ჩხეიძე (საქარა). ზმმ, №177.

საქარის საზოგადოება - 1. 1906 წლის 10 ივლისს შედგენილ „კვიტანციას“ ხელს აწერს და ბეჭდის დასმით ამოწმებს საქარის საზოგადოების მამასახლისის თანაშემწე (ხელმოწერა არ იკითხება). ზმმ, №25; 2. 1916 წლის 20 ივლისს დაბლასაქარელი კირკიტაძეების მიერ დილიკაურელი ბუხსიანიძისათვის მიცემული „ნასყიდობის ხელწერილის“ სისწორეს ხელმოწერით ადასტურებს საქარის საზოგადოების მამასახლისი ს. ბაბუაძე. ბეჭედზე იკითხება რუსულ ენა-

ზე შესრულებული წარწერა: „ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის საქარის სასოფლო საზოგადოების მამასახლისი“. ზმმ, №39.

საქარიქედი - ტყე; დასახელებულია „ფარდის წერილში“ (10 აპრილი, 1926 წ.). იოველ ალექსის ძე კიკნაველიძეს ძმებს შორის მიწის გაყოფისას წილად ერგო „საქარიქედის ტყენი“ (კიკნაველეთი). ზმმ, №20.

საღანძილე - სოფელი ლეღვანის საზოგადოებაში; დასახელებულია რამდენიმე საბუთში: 1. „ნასყიდობის წერილში“ (19. IV. 1891 წ.). ზმმ, №109; 2. „მოცვლილობის ხელწერილში“ (10 მაისი, 1898 წ.). ზმმ, №101; 3. 1898 წლის 10 მაისს დაწერილ „მოცვლილობის ხელწერილში“. ზმმ, №102; 4. „ნასყიდობის ხელწერილში“ (11. IV. 1904 წ.). ზმმ, №107; 5. 1910 წლის 26 თებერვალს შედგენილ „ნასყიდობაში“. №100; 6. „პირობის ხელწერილში“ (14. IV. 1922 წ.). ზმმ, №106.

საღანძილის დაჩა - დამოწმებულია 1922 წლის 14 აპრილს შედგენილ „პირობის ხელისწერილში“. ზმმ, №106.

საჩეხი - ლელისპირა ადგილი.; დასახელებულია 1926 წლის 10 აპრილს შედგენილ „ფარდის წერილში“ (კიკნაველეთი). ზმმ, №20.

საჭურე/ჭურისთავეები - მიწის ნაკვეთი (კიკნაველეთი). მსჯელობისთვის იხ. ქვაბთაღელე.

სახრავი(ს) მიწა - მიწის ნაკვეთი; „ნასყიდობის წერილში“ (10 მარტი, 1862 წ.) აღნიშნულია, რომ აზნაურმა მამუკამ და მისმა შვილებმა - ოქროპირ, ნიკოლოზ და დიმიტრი ქადაგიძეებმა საბატონო ყმას - ზურაბ მიშველიძეს და მის შვილებს - კიკოს, იოსებს და ნომრევანს მიჰყიდეს მიწის ნაკვეთი „სახრავის მიწის“ სახელწოდებით. შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით - ყმის, ოქრუა სვიანაძის, დასავლეთით - აზნაურ ქადაგიძის, სამხრეთით - თავად აბაშიძის კუთვნილი მიწის ნაკვეთები. ზმმ, №165.

სახნავი მიწა - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1852 წლის 14 მარტს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, რომლის მიხედვით მამუ-

კა, ოქროპირ და ნიკოლოზ ქადაგიძეებმა საბატონო ყმისაგან - ზურაბ სვიანაძისგან იყიდეს სახელდებული ობიექტი. დოკუმენტს ხელს აწერენ: აზნაური ოქროპირ ქადაგიძე, დათია კახნიაშვილი, მიშველაძენი და სხვ. ზმმ, №179.

სვირი - სოფელი; დამოწმებულია: 1. 1876 წლის 29 თებერვალს შედგენილ „ფარდის წერილში“. დოკუმენტს ხელს აწერენ და ბეჭდის დასმით ამოწმებენ სვირის მოსამართლეები: დიმიტრი ხინჩიაშვილი, ზურაბ ჭყოიძე და ელენა (?) ჭულუხაძე. იხ. **საბოლოო**. ზმმ, №59; 2. „ნასყიდობის ხელწერილში“ (17. X. 1891 წ.). ზმმ, №61; 3. „ნასყიდობის ხელწერილში“ (17. XI. 1891 წ.). ზმმ, №60; 4. 1908 წლის 20 იანვარს შედგენილ „პირობის ხელწერილში“. ზმმ, №26; 5. 1911 წლის 15 ივნისს შედგენილ „პირობის ხელისწერილში“. ზმმ, №41; 6. 1913 წლის 29 ივლისს შედგენილ დოკუმენტში. ზმმ, № 19; 7. 1914 წლის 15 დეკემბერს დადებულ პირობის ხელწერილში, იმის თაობაზე, რომ სოფ. სვირში მცხოვრები რომანოზ ივანეს ძე გიორგაძე 1913 წლის 11 დეკემბრისა და 1914 წლის 10 მარტის ხელწერილებით ვალდებული იყო, მიწის ნაკვეთი 1915 წლის მარტის დამლევამდე მიეზომა თანასოფლელ გრიგოლ ნესტორის ძე კამლაძისათვის. პირობის დარღვევის შემთხვევაში აღნიშნული მიწის ნაკვეთი გადადიოდა კამლაძის მფლობელობაში. წერა-კითხვის არცოდნის გამო საბუთს ხელს აწერს სვირის მამასახლისი ფილიმონ ჯუღელი. ზმმ, №05; 8. 1916 წლის 10 იანვარს შედგენილ ნასყიდობის ხელწერილში, რომლის მიხედვით სვირელმა გიორგი ივანეს ძე გიორგაძემ თანასოფლელ გრიგოლ როსტომის ძე კამლაძეს მიჰყიდა საზიარო მიწის ნაკვეთიდან თავისი წილი სახნავი ნაკვეთი, 313 საჟენი ფართისა, და საზღაურად მიიღო 500 მანეთი. საბუთს ამოწმებს სვირის მამასახლისი. ზმმ, №08.

სვირის საზოგადოება - 1911 წლის 15 ივნისს შედგენილ „პირობის ხელწერილს“ ბიჭია ბოჭოიძის თხოვნით ხელს აწერს და ბე-

ჭედს სვამს სვირის საზოგადოების მამასახლისი ს. კაპანაძე. ზმმ, №41.

სვირიქეთი - 1. ტყე; დამოწმებულია „ნაყიდობის ხელწერილში“ (17. XI. 1891 წ.), რომლის მიხედვით სვირელმა გლეხებმა - გიორგი და ივანე მხიარულას ძე კანთელაძეებმა ილია ვასილის ძე სულაქველიძეს მიჰყიდეს საზიარო მიწის ნაკვეთიდან კუთვნილი $\frac{1}{4}$, და საფასურად მიიღეს 60 მანეთი. მოცემულია საზღვრებიც: აღმოსავლეთით - კაპანაძეების, სამხრეთით - ლომინაშვილის მიწის ნაკვეთები, ჩრდილოეთით - გვერდისერი, სამხრეთით - სახელმწიფო საზღვარი. საბუთს ხელს აწერს გიორგი კანთელაძე (სვირი). ზმმ, №60; 2. მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ნაყიდობის ხელწერილში“ (17. XI. 1891 წ.). ზმმ, №61; 3. მიწის ნაკვეთი; 1911 წლის 15 ივნისს შედგენილი „პირობის ხელწერილის“ მიხედვით ბესო ივანეს ძე ჯუღელმა ილია ვასილის ძე და სპირიდონ ერემიას ძე სულაქველიძეებს ნასესხები 3000 მანეთის სანაცვლოდ მისცა „სვირიქეთის მთის ადგილები“, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - კაპანაძეების, ჩრდილოეთით - პილატე ჯუღელისა და მისი „მონაწილეების“, სამხრეთით - ბიჭია ბოჭოიძისა და მისი „მონაწილეების“ მიწის ნაკვეთები, დასავლეთით - დეღე (სვირი). ზმმ, №41.

სილა - 1. მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1915 წლის 4 ოქტომბერს შედგენილ „ნაყიდობის წერილში“, რომლის მიხედვით შორაპნის მაზრის სოფ. ზოვრეთში მცხოვრებმა სოლომონ ოქრუას ძე კაპანაძემ იმავე სოფლის მკვიდრთ - ფრიდონა ბუჭუას ძე რობაქიძეს, მირონია ბასილაძესა და გლახუნია (ნიკოლოზ) მახარას ძე რობაქიძეს მიჰყიდა სახელდებული ობიექტი, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - მყიდველის, ფრიდონა რობაქიძის, დასავლეთით და ჩრდილოეთით - ასევე მყიდველი რობაქიძეების, ხოლო სამხრეთით - სპირიდონ და ვლადიმერ პავლეს ძე კაპანაძეების კუთვნილი მიწის ნაკვეთები (ზოვრეთი). ზმმ, №18; 2. მიწის ნაკვეთი; დასახელებულია

1926 წლის 10 აპრილს შედგენილ „ვარდის ხელისწერილში“, რომლის მიხედვით სახელდებული ობიექტი უძრავი ქონების გაყოფისას წილად ერგო სერგილ ალექსის ძე კიკნაველიძეს (კიკნაველეთი). ზმმ, № 20.

სიქთარვა - სოფელი; დამოწმებულია „ნასყიდობის ხელწერილში“. ზმმ, № 67; 2. დასახელებულია „ნასყიდობის ხელწერილში“ (10. VI. 1864 წ.), რომლის მიხედვით შორაპნის მაზრის სოფ. სიქთარვაში მცხოვრებმა მეთორმეტე რანგის მოხელემ, თავადმა ნიკოლოზ მერაბის ძე იაშვილმა საეკლესიო გლეხებს, ალექსი და ივანე იოსების ძე პატარიძეებს 100 მანეთად მიჰყიდა მამის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით მიღებული მიწა სიქთარვაში. დოკუმენტს ხელს აწერენ: თავადი ნიკოლოზ მერაბის ძე იაშვილი და მოწმეები - თავადი იულონ იესეს ძე იაშვილი, აზნაურები - ალექსანდრე ჩხეიძე და ბესარიონ ალექსის ძე გაბაევი (სიქთარვა). ზმმ, №77.

სოტამანი - მიწის ნაკვეთი, დაბლარი (ნახევარი ქვეცვა); დამოწმებულია 1916 წლის 20 ივლისს შედგენილ „ნასყიდობის პირობის ხელის წერილში“. საზღვრები: აღმოსავლეთით - ყარამან კირკიტაძის, დასავლეთით - დარმანტა კირკიტაძის მიწის ნაკვეთები, სამხრეთით - შარაგზა, ჩრდილოეთით - წყალი (ქვედა საქარა). ზმმ, №39.

სოფრომასოული - ვენახი; დამოწმებულია 1906 წლის 10 ივლისს შედგენილ „კვიტანციაში“, რომლის მიხედვით აზნაურმა რაჟდენ პორფირეს ძე საყვარელიძემ პორფირე თევდორეს ძე ქლიბაძისაგან ზედა საქარაში მდებარე გაყიდული ვენახიანი ადგილის - სოფრომასოულის საფასურად მიიღო 200 მანეთი. ქვითარს ხელს აწერენ რაჟდენ საყვარელიძე და საქარის საზოგადოების მამასახლისის თანაშემწე (ზედა საქარა). ზმმ, №25.

სოფრომადისეული - სახნავი; დამოწმებულია 1915 წლის 27 მარტს შედგენილ „ნასყიდობის ხელწერილში“, რომლის მიხედვით სოფ. ყვირილაში მცხოვრებმა მესაკუთრე გლეხმა იასონ პორფილეს

ძე ქლიბაძემ ძმას - მათეს მიჰყიდა მიწის ნაკვეთი, სახელწოდებით - სოფრომადისეული, რაც მდებარეობდა ზედა საქარაში. საზღვრები: აღმოსავლეთით - პორფილე ქლიბაძის, სამხრეთით - აფრასიონ საყვარელიძის, დასავლეთით - ალექსანდრე ქლიბაძის მიწის ნაკვეთები, ჩრდილოეთით - გზა. ზმმ, #34.

ტობისყანა - მიწის ნაკვეთი, რაც მდებარეობდა ხობოულას დაჩაში; დასახელებულია „პირობის ხელწერილში“ (20. I. 1908 წ.), რომლის მიხედვით სვირელი ძმების - ილია და მიხეილ ვასილის ძე სულაქველიძეების კუთვნილ მიწის ნაკვეთს ტობისყანას უკანონოდ ფლობდნენ დარისპან თომას ძე, ილარიონ და დიმიტრი მამუკას ძე დეკანოიძეები. ისინი სთხოვეს ვექილ გიორგი ბეკოს ძე მემანიშვილს „ამ ადგილის ამოგებას... კანონიერის ვექილობით“. საბუთს ხელს აწერენ: ივანე მემანიშვილი, მიხეილ სულაქველიძის თხოვნით - სამსონ კაპანაძე (სვირი). ზმმ, №26.

ტყიანი ადგილი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ნასყიდობის წერილში“ (27. XI. 1884 წ.). საზღვრები: აღმოსავლეთით - ივანე გოგიას ძის ტყე, დასავლეთით - მყიდველის, იოსებ ზურაბის ძე მიშველაძის საკარმიდამო მიწა, სამხრეთით - დათიკა მიშველაძის ტყე, ჩრდილოეთით - სოფლის გზა (დილიკაური). ზმმ, №174.

ურთხელის ტყე/ურთხელის ტყე - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1907 წლის 1 მარტით დათარიღებულ „ფარდის ხელშეკრულებაში“. სოფ. საქარაში მცხოვრებმა გლეხებმა - ამბაკო, ბესარიონ და ივანე ოქრუას ძე ფუტკარაძეებმა მამის გარდაცვალების შემდეგ უძრავ-მომრავი ქონება „გააფარდეს“ (გაიყვეს). ამბაკო ფუტკარაძეს ერგო „ურთხელის ტყე“ და „მასზედ მობმული სახნავი კალოს ადგილი“ (909 კვ. საყენი), შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით ირაკლი და სოლომონ არაბიძეების, დასავლეთით - „ბესარიონის ფარდი სამოსახლო“, სამხრეთით - საჩინო და კიკოლა, ჩრდილოეთით - სამსონ,

ივანე და სილანდარ ფუტკარაძეების „ადგილები“ (საქარა). ზმმ, №131. **ურთხელის ტყე** - იხ. **ურთხელის ტყე**.

ფიჩხიჯვარი - სახნავი („ფარდის ხელშეკრულება“, 1 მარტი, 1907 წ.); საზღვრები: აღმოსავლეთით და დასავლეთით - ბესარიონ ფუტკარაძის, დასავლეთით, აგრეთვე ლევანა და სოსია ფუტკარაძეების, სამხრეთით - კონსტანტინე გეწაძის კუთვნილი მიწის ნაკვეთები, ჩრდილოეთით - სასოფლო გზა. სახელდებული ობიექტის ერთი ნაწილი (ნახევარი ქცევა) გედევანის საკუთრებას წარმოადგენდა (საქარა). ზმმ, №131.

ფიჩხიჯვარი//ნიგვზის ადგილი//ფიჩხიჯვარი ნიგვზის ალაგი - სახნავი (1 მარტი, 1907 წ. „ფარდის ხელშეკრულება“); საზღვრები: აღმოსავლეთით - იაკინთე ფუტკარაძის, დასავლეთით - ამბაკო ფუტკარაძის, სამხრეთით - კონსტანტინე გეწაძის კუთვნილი მიწის ნაკვეთები, ჩრდილოეთით - გზა (საქარა). ზმმ, №131.

ფიჩხიჯვარი//ნიგვზის ალაგი - იხ. **ფიჩხიჯვარი//ნიგვზის ადგილი**.

ფიჩხიჯვარი//ჭურისწყარო - დამოწმებულია „ნასყიდობის წერილში“ (26. VI. 1910 წ.), რომლის მიხედვით საქარელმა გლეხმა სამსონ მამუკის ძე გეწაძემ იმავე სოფლის მკვიდრ გლეხებს - პორფილე და ზოსიმე თევდორეს ძე ქლიბაძეებს მიჰყიდა საყანე მიწა ფიჩხიჯვარის, იგივე ჭურისწყაროს სახელწოდებით. მოცემულია საზღვრები: აღმოსავლეთით და დასავლეთით - იპოლიტე და პეტრია გეწაძეების, სამხრეთით - ლუკა ჭიპაშვილის, ჩრდილოეთით - მალხაზა სუქნიძის მიწის ნაკვეთები. მოცემულ საზღვრებში გაყიდული მიწა ზომით 0,5 ქცევას შეადგენდა და ოცდაათ თუმნად გაყიდულა. დოკუმენტს ხელს აწერენ სერგი ტარასის ძე აბაშიძე და საქარის საზოგადოების მამასახლისი პეტრე აბულაძე (საქარა). ზმმ, №17.

ფუთი - სოფელი; დასახელებულია 1. 1906 წლის 14 ივლისს შედგენილ ხელნაწერში, რომლის მიხედვით ალექსი თომას ძე

თუთბერიძემ ონისიძე ივანეს ძე თუთბერიძეს მიჰყიდა სამოსახლო ადგილი სოფელ ფუთში. ზმმ, №04; 2. 1906 წლის 25 აგვისტოს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“ (რუსული თარგმანი შესრულებულია ა. დარსაველიძის მიერ), რომლის მიხედვით ფუთში მცხოვრებმა თედორე სოფრომის ძე თუთბერიძემ მიჰყიდა სახნავი მიწა თანასოფელ ონისიძე ივანეს ძე თუთბერიძეს. დოკუმენტს ხელმოწერით ამოწმებენ გიორგი თუთბერიძე და გიორგი ჩინჩალაძე. ზმმ, №82; 3. „ნასყიდობის ხელწერილში“ (19. III. 1912 წ.). ზმმ, №45; 4. დასახელებულია 1913 წლის 4 მაისს შედგენილ ქვითარში. ზმმ, №33;

ფშაველი - მიწის ნაკვეთი; 1876 წლის 26 იანვარს შედგენილი დოკუმენტის მიხედვით აზნაურმა ზურაბ აბაშიძემ სახელდებული ობიექტი უბოძა სეხნია და დათუნა სულაქველიძეებს: „...გიბოდეთ სვირს... ფშაველსა და ჩაგანას შუაზედ დაგიმატეთ და მოგეცით“ (სვირი). ზმმ, №73.

ფხვირი - მიწის ნაკვეთი (15. VI. 1911წ., „პირობის ხელწერილი“); საზღვრები: აღმოსავლეთით - ბასილა ჯუღელისა და მისი „მონაწილეების“, დასავლეთით - ბიჭია ბოჭოიძის მიწის ნაკვეთები, ჩრდილოეთით - წაქაძეების სერი, სამხრეთით - ღელე (სვირი). მსჯელობისათვის იხ. **სვირიქეთი, ცივი, დიდიკლდისღელე**. ზმმ, №41.

ქედის მთა - ტყე; დამოწმებულია 1891 წლის 17 ნოემბერს შედგენილ „ნასყიდობის ხელწერილში“, რომლის მიხედვით სვირელ გლეხებს - გიორგი და ივანე მხიარულას ძე კანთელაძეებს ქედის მთაში ჰქონდათ ტყიანი ადგილი (სვირი). ზმმ, №61.

ქვანთაღელე - ვენახი, ტყე, ღელე; დასახელებულია „პირობის ხელწერილში“ (6. III. 1908 წ.), რომლის მიხედვით ქუთაისის მაზრის სოფ. კიკნაველეთში მცხოვრებმა ძმებმა - დიმიტრი და ალექსი მერაბის ძე კიკნაველიძეებმა ურთიერთშორის გაცვალეს კუთვნილი მიწის ნაკვეთები. დასახელებულია ალექსი კიკნაველიძის კუთვნილი „ერთი ნაკვეთი ადგილი, ვენახიანი, თავის ტყიანა, სახელწოდებუ-

ლი „ქვაბთა-ღელე“ და მოცემულია მისი საზღვრებიც: აღმოსავლეთით - დიმიტრი კიკნაველიძის, ჩრდილოეთით - გიორგი და პლატონ კოხტას ძე კიკნაველიძეების მიწის ნაკვეთები, სამხრეთით - პატარა ღელე ქვაბთაღელე (კიკნაველეთი). ზმმ, №31.

ქვატაბლა - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ფარდის წერილში“ (10 აპრილი, 1926 წ.), რომლის მიხედვით სახელდებული ობიექტი მდებარეობს კიკნაველეთში. ზმმ, №20.

ქვედა ჯაბანოურა - იხ. **ჯაბანოურა**.

ქუთაისი - ქალაქი; დასახელებულია „პირობის წერილში“ (25. VII. 1904 წ.). ზმმ, №167.

ქუთაისის მაზრა - დამოწმებულია: 1. 1910 წლის 15 აგვისტოს შედგენილ ნასყიდობის ხელწერილში, რომლის მიხედვით დიმი სოფელია ქუთაისის მაზრაში. ზმმ, №07; 2. 1914 წლის 1 ნოემბერს შედგენილ ნასყიდობის ხელწერაში, რომლის თანახმად თუზი და კიკნაველეთი სოფლებია ქუთაისის მაზრაში. ზმმ, №03.

ღელევენახი - იხ. **მახათაძისოული**.

ყვირილა - 1. დაბა; დასახელებულია 1886 წლის 12 აგვისტოს შედგენილ „საწინდრობის ხელითწერილში“. ზმმ, №57; 2. 1909 წლის 13 მაისს შედგენილი „ნასყიდობის ხელწერილი“ შეუდგენია ყვირილის ნოტარიუსს - ალექსი ივანეს ძე მასალკინს; 3. დაბა; დამოწმებული „სესხის წერილში“ (12. IX. 1910 წ.). ზმმ, №46; 4. სოფელი; დასახელებულია „ნასყიდობის ხელწერილში“ (27. III. 1915 წ.).

შელოური (?) - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1886 წლის 14 დეკემბრით დათარიღებულ „პირობის წერილში“, რომლის მიხედვით ბოსლევის საზოგადოების სოფ. დილიკაურის მკვიდრს, იოსებ ზურაბის ძე მიშველაძეს ბეჟან გუნას ძე მიშველაძისგან შეუძენია „სახნავი მიწა, ესე იგი დობილო“, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - მყიდველის, დასავლეთით - ბეჟანის ძმის, დავითის, სამხრეთით - თავად სამსონ აბაშიძის, ჩრდილოეთით - მაქსიმე კახნიაშვი-

ლის მიწის ნაკვეთები; „ზომით - სიგრძე თვრამეტი საყენი და ერთი არშინი და ფასი ამა ადგილისა ცხრა თუმანახევარი მივიღე დღეს“ - ვკითხულობთ დოკუმენტში, რომლის სისწორესაც ხელმოწერით ადასტურებენ აზნაური ერმილე საყვარელიძე და მიხაკო ანდრიას ძე კახნიაშვილი, მალაქია ივანეს ძე კავთელაძე, ბოსლევის საზოგადოების მამასახლისები - ს. კავთელაძე, ს. გუმბერიძე და „სუდის კანდიდატი“ ზ. კაპანაძე. (დილიკაური). ზმმ, №166.

შორაბიეთი - საყანე; დასახელებულია ხელწერილში (11. III. 1902 წ.), რომლის მიხედვით შორაპნის მაზრის სოფ. თვრინში მცხოვრებმა აზნაურმა მელიტონ ნიკოლოზის ძე ჩხეიძემ ქუთაისის მაზრის სოფ. კიკნაველეთში მცხოვრებ ალექსი მერაბის ძე და პლატონ კობტას ძე კიკნაველიძეებს 40 თუმნად მიჰყიდა საყანე მიწა შორაბიეთი, რაც მდებარეობდა „ბაღდათის დაჩაშიდ“. მოცემულია საზღვრებიც: აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით - სახაზინო ბანკის მამული, დასავლეთით - გზა და კიკნაველიძის მიწის ნაკვეთი, სამხრეთით - მელიტონ ჩხეიძის მიწის ნაკვეთი (ბაღდათი). ზმმ, №47.

შორაპნის საზოგადოება - 1. 1912 წლის 19 მარტით დათარიღებულ „ნასყიდობის ხელწერილს“ მურძაყან ჩინჩალაძის თხოვნით ხელს აწერს და ბეჭდის დასმით ამოწმებს შორაპნის საზოგადოების მამასახლისის თანაშემწე ელიზბარ თუთბერიძე. ზმმ, №45; 2. დამოწმებულია 1913 წლის 4 მაისს დაწერილ ქვითარში. ზმმ, №33; 3. 1906 წლის 14 ივლისს შედგენილ ხელნაწერში, რომლის მიხედვით თედორე სოფრომის ძე თუთბერიძემ ონისიძე ივანეს ძე თუთბერიძეს მიჰყიდა სახნავი ადგილი შორაპნის საზოგადოების სოფ. ფუთში. ზმმ, №04;

შუა კახნიურის ღელე - ღელე; დასახელებულია „ფარდის ხელშეკრულებაში“ (1 მარტი, 1907 წ.), სადაც აღნიშნულია, რომ სახელდებული ობიექტი წარმოადგენს კახნიურის ჩრდილოეთ საზღვარს (საქარა). ზმმ, №131.

შუალელე - ღელე; წარმოადგენდა ნასისხარის სამხრეთ საზღვარს. დასახელებულია 1912 წლის 19 მარტს შედგენილ „ნასყიდობის ხელწერილში“ (ფუთი). ზმმ, №45.

ჩაგანა - მიწის ნაკვეთი; 1876 წლის 26 იანვარს შედგენილი დოკუმენტის მიხედვით აზნაურმა ზურაბ აბაშიძემ სახელდებული ობიექტი უბოძა სეხნია და დათუნა სულაქველიძეებს: „...გიბომეთ სვირს მისისა საყანით, სარჩოთი სამყოფით, წყლითა და ტყითა, მთითა და ბარითა, საბალახოთა, წყარო-წისკელითა, საფლავ-სამარხითა და ტევრითა ფშაველსა და ჩაგანას შუაზედ დაგიმატეთ და მოგეცით და ოცი მარჩილი და ერთი ზროხა მოგვართვი...“ (სვირი). ზმმ, №73.

ჩალხეთი - სოფელი; დამოწმებულია 1914 წლის 1 ნოემბერს შედგენილ ნასყიდობის ხელნაწერში, რომლის თანახმად შორაპნის მაზრის სოფ. თუზში მცხოვრებმა თავადებმა - გიორგი და მაქსიმე კონსტანტინეს ძე აბაშიძეებმა ქუთაისის მაზრის სოფ. კიკნაველეთში მცხოვრებ ღენტორ და ბარნაბ დიმიტრის ძე და სერგო და იოველ ალექსის ძე კიკნაველიძეებს მიჰყიდეს სახნავი და ტყე სოფელ ჩალხეთში. ზმმ, №03.

ჩი(ბ)ურდანიძისეული - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1876 წლის 26 იანვარს შედგენილ დოკუმენტში, რაც წარმოადგენს იმერეთის დროებითი მთავრობის საგლეხო წიგნში 1823 წლის 29 მარტს შეტანილ №4629 დოკუმენტის ასლს. დოკუმენტის მიხედვით აზნაურმა ზურაბ აბაშიძემ სახელდებული ობიექტი უბოძა გლეხებს - სეხნია და დათუნა სულაქველიძეებს. ამ საქმეში შუამავლების როლი შეუსრულებიათ ქაიხოსრო ყიფიანს, ქათამაძეს, პაატა და სეხნია ჭყოიძეებს. დოკუმენტის სიზუსტეს ამოწმებს მრჩეველი თავადი ერისთავი და გადამწერი ვ. ჩიკვაიძე. „ეს ჩიურდანიძისეული მამული გიბომეთ სვირს მისისა საყანით, სარჩოთი სამყოფით, წყლითა

და ტყითა, მთითა და ბარითა, საბალახოთა, წყარო-წისქვილითა...“ (სვირი). ზმმ, №73.

ცივი - მიწის ნაკვეთი; საზღვრები: აღმოსავლეთით - პილატე ჯუღელისა და მისი „მონაწილეების“ (მეწილეების), დასავლეთით - ივანე საჩინოს ძე ჯუღელისა და მისი მეწილეების მიწის ნაკვეთები, ჩრდილოეთით - კლდის ღელე, სამხრეთით - ზეგნელების საზღვარი (სვირი). მსჯელობისათვის იხ. **სვირიქეთი**. ზმმ, №41.

ცხინალრი - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1898 წლის 10 მაისს შედგენილ „მოცვლილობის ხელწერილში“, რომლის მიხედვით შორაპნის მაზრის სოფ. საღანძილეთში მცხოვრებმა აზნაურმა იულონ ბესიკის ძე კიკნაძემ თანასოფელ გლეხებს - მოსე და უფლისა გიორგის ძე კიკნაძეებს მიჰყიდა ტყე 17 თუმნად. საბუთს ხელს აწერს იულონ კიკნაძე და მოწმეები - ვასილ იჩქიტაძე და გიორგი სვიმონის ძე ყრუაშვილი (საღანძილე). ზმმ, №101.

წაზლარი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია თავად დავით წულუკიძის მამულის რუსულ ენაზე შედგენილ აღწერის ფურცელში (რუფოთი). ზმმ, №115.

წაქაძეების სერი - დასახელებულია „პირობის ხელწერილში“ (15. VI. 1911 წ.), რომლის მიხედვით სახელდებული ობიექტი წარმოადგენდა ფხვირის (ადგ.) ჩრდილოეთ საზღვარს (სვირი). ზმმ, №41.

წინწკილას წყარო - ტყიანი მინდორი (1 მარტი, 1907 წ., „ვარდის ხელშეკრულება“); სამი მხრიდან ისაზღვრებოდა ფუტკარაძეების კუთვნილი მიწის ნაკვეთებით და ჩრდილოეთით - შუა კახნიოურის ღელეთი (საქარა). ზმმ, №131.

წიფლარის დობილო - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1896 წლის 1 ოქტომბერს შედგენილ „პირობის ხელწერილში“. კვალითელმა გლეხებმა - ალფეზა დავითის ძე ბიწაძემ და ბესარიონ ბერიკას ძე ბიწაძემ ურთიერთშორის გაცვალეს კუთვნილი მიწის ნაკვე-

თები. მ. შ. წიფლარის დობილო, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით - ბესარიონ (ბესია) ბიწაძის, ჩრდილოეთით - კაცია მარაქველიძის მიწის ნაკვეთები (კვალითი). ზმმ, №24.

წიფლარის ტყე - მიწის ნაკვეთი; 1896 წლის 1 ოქტომბერს შედგენილი „პირობის ხელწერილის“ მიხედვით კვალითელმა გლეხებმა - ალფეზა დავითის ძე ბიწაძემ და ბესარიონ ბერიკას ძე ბიწაძემ ურთიერთშორის გაცვალეს კუთვნილი მიწის ნაკვეთები, მათ შორის - წიფლარის ტყე, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - გოგისა (?) მარაქველიძის ობლების, ჩრდილოეთით - ალფეზა ბიწაძის მიწის ნაკვეთები, ხოლო დასავლეთით და სამხრეთით - სამეზობლო გზები (კვალითი). ზმმ, №24.

წყაროსფები - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1876 წლის 2 მარტს შედგენილ „მოცვლილობის ხელწერილში“, რომლის მიხედვით ძმებმა, ერემია და ილია ვასილის ძე სულაქველიძეებმა ერთმანეთს გაუცვალეს კუთვნილი მიწის ნაკვეთები. ერემიამ მიიღო ილიას კუთვნილი მიწის ნაკვეთი წყაროსფები. საბუთში ვკითხულობთ: „შენ ერემიას მამულის ბოლოზე მოგიბი ჩემი საკუთნელი ადგილი სახელდობ წყაროს ფები, ზომით იმ ნიშნებს შიგნით, სადაც დღეს ქვების სამნები ჩავაგდეთ, ასეთ რომა წყაროს ფებს იქით მოგიბი შენს მამულზე სათვალე, ისევე ჩემსაში არის. ამას სამაგიეროთ ორივეს თანხმობით უმეტნაკლოდ ზომით შენი ადგილი ჩემსაუ ადგილზე მობმული. სახელდობ ბეგას ადგილი. იმ ნიშნებს შიგნით, სადაც დღეს ორივეს თანდასწრებით ქუების სამნები ჩავაგდეთ, ეს ადგილები ზომით მიცვალ-მოცვალეთ და მივიღე მე ილია სულაქველიძემ შენ, ჩემის ძმის ერემიასაგან ეს მოცვლილობის ხელისწერილი“. ხელს აწერენ: ერემია სულაქველიძე და მოწმე თეიმურაზ გოგიას ძე კაკაურიძე. ზმმ, №58.

წყაროს ღელე - დასახელებულია „ნასყიდობის ხელწერილში“ (11. III. 1902 წ.): „საყანეთადგან, ესე იგი გზიდგან წყაროსღელემდის

ექუსი ქვის სამანი და შემდეგ წყაროსლელე, ვიდრე ბანკის მამულის სამძღურამდე...“ (ბაღდათი). მსჯელობისათვის ვრცლად იხ. **შორაბიეთი**. ზმმ, №47.

ჭანტურიძისეული - ტოპონიმი დამოწმებულია 1876 წლის 29 თებერვალს შედგენილ „ფარდის წერილში“, რომლის მიხედვით ძმებმა - ილია, მიხეილ და ერემია სულაქველიძეებმა ურთიერთშორის გაიყვეს მიწის ნაკვეთები: „გავყავი მე ერემიამ ჭანტურიძის სოფლი ადგილი, რომელიც არის ორი ქცევა და ქცევის ნაწილი...“ ზმმ, №59.

ჭურისთავეები - იგივე **საჭურე** (იხ.).

ჭურისწყარო - სახნავი; იხ. **ფიჩხიჯვარი**.

ხარაგაული - 1922 წლის 14 აპრილს შედგენილ „მოცვლილობის პირობის ხელწერილს“ ხელს აწერენ სავლე კიკნაძე, სერგო ოჩქიტძე და ხარაგაულის აღმასკომის თავმჯდომარე. ზმმ, №106.

ხოხოულას დაჩა - დასახელებულია 1908 წლის 20 იანვარს შედგენილ „პირობის ხელწერილში“, რომლის მიხედვით ხოხოულას დაჩაში მდებარეობდა სულაქველიძეების კუთვნილი მიწის ნაკვეთი (სვირი). ზმმ, №26.

ჯაბანოურა - მიწის ნაკვეთი; „ფარდის წერილიდან“ ირკვევა, რომ არსებობდა ქვედა **ჯაბანოურა** და ზედა **ჯაბანოურა** (კიკნაველეთი). ზმმ, №20.

მარტვილის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხელნაწერები

ალიონა - ტყე; დამოწმებულია 1902 წლის 3 იანვარს შედგენილ „პირობაში“. ფართობი: 0,5 ქცევა; ისაზღვრებოდა ორმოცაპეტა მიწის ნაკვეთებით (ონჯოხეთი). მმას, №87.

ამაღლების საზოგადოება - 1916 წლის 20 იანვარს შედგენილ „ნასყიდობის ხელის წერილს“ ხელს აწერს და ბეჭდის დასმით ამოწმებს ამაღლების საზოგადოების მამასახლისი ხონელიძე. მმას, №91.

ბაგრატასეული - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1922 წლის 22 აგვისტოს შედგენილ „ფარდის წერილში“, როგორც სულორსგამოდმა მდებარე ადგილი (ძულუხი). მმას, №84, 85.

ბამბის გორი/ეწერი - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1911 წლის 20 ივლისს შედგენილ „პირობაში“. ზომა: 420 კვ. საჟენი. ისაზღვრებოდა გალაკტიონ, ალექსანდრე, ზაალ საკანდელიძეების, ჩრდილოეთიდან - ვასილ მიზარბეგის ძე საკანდელიძის მიწის ნაკვეთებით (ბზვანი). მმას, №90.

ბაღდათი - 1. დასახელებულია 1873 წლის 29 სექტემბერს შედგენილ საჩივრის წიგნში: „25-სა ივნისის ამა წელს ყმებთ ლიკლიკა-მენმა თხოვანაშიდ მირთმეულს მისს ბრწყინვალეებას უფალს პრისტავს ბაღდათის უჩასკის კ=ზ ბაგრატიონთან ახსნეს, რომ სიმონეთის მამასახლისი მერაბ სულამანიძე უმართლოდ ხსნის გზას მათს არდგილზედ მდებარეს სოფელსავე სიმონეთს...“ მმას, №07; 2. 1916 წელს რუსულ ენაზე შედგენილ დოკუმენტში დასახელებულია «Судебный Приставъ Багдадского Мир. уч.». მმას, №52.

ბაღდათის საზოგადოება - 1882 წლის 8 მაისს შედგენილ „ნასყიდობის პირობის“ თანახმად ვარციხე ეწოდება სოფელს ბაღდათის საზოგადოებაში. მსჯელობისათვის იხ. **ვარციხე**. მმას, №78.

ბზვანი - 1. სოფელი ქუთაისის მაზრაში; დამოწმებულია 1911 წლის 30 ივლისს შედგენილ „პირობაში“. მმას, №90; 2. 1916 წლის 20 იანვარს შედგენილი „ნასყიდობის ხელის წერილი“. მმას, №91; 3. 1917 წლის 26 მაისს შედგენილი საბუთის მიხედვით ბზვანელმა თეოფილე ალექსის ძე დვალიშვილმა ძულუხში მცხოვრებ ფარსადან გიორგის ძე ხურციძეს მიჰყიდა ცხენი კვიცითურთ. მმას, №28.

ბლისწყარო - 1. მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1896 წლის 8 მაისს შედგენილ „კვიტანციაში“, რომლის მიხედვით უხუთის საზოგადოების სოფ. საპრასიაში მცხოვრებმა გლეხებმა მერაბა და ნიკოლოზ ქაიხოსროს ძე და ოქროპირ გიორგის ძე ხურციძეებმა ძულუხელ ფარსია, დარისმან და პარმენ გიორგის ძე ხურციძეებს 250 მანეთად მიჰყიდეს 5,5 ქვევა მიწის ნაკვეთი ბლისწყარო. კვიტანციას ხელს აწერენ: აზნაური ალექსანდრე გურგენიძე, სარდიონ ხურციძე, ალექსანდრე სიკოს ძე ხელაძე, უხუთის საზოგადოების მამასახლისი რ. გიორგაძე. მმას, №22; 2. საყანე; 1896 წლის 28 მაისს შედგენილი ნასყიდობის წერილის შინაარსიც პირველი დოკუმენტის მსგავსია (ძულუხი). მმას, №81.

ბონკოს შვაწყალი - ღელე; დამოწმებულია 1911 წლის 27 მარტს შედგენილ „მიწის ნასყიდობის პირობაში“, რომლის მიხედვით ბონკოს შვაწყალი სამხრეთიდან ესაზღვრება ჯვარისერს (დიხაშხო). მმას, №89.

ბუხაისეული - სახნავი ისრითის ჭალაში; დამოწმებულია 1920 წლის 21 მარტს შედგენილ „ფარდის წერილში“ (ძულუხი). მმას, №65, 66.

გაბინაური - ტყე; დამოწმებულია 1922 წლის 22 აგვისტოს შედგენილ „ფარდის ხელისწერილში“, რომლის მიხედვით ძულუხელ ფარსადან გიორგის ძე ხურციძეს და მის მეუღლეს - მარიამ გიორგის ასულს შვილებთან უძრავ-მოდრავი ქონების გაყოფისას წილად ერგოთ გაბინაური (ძულუხი). მმას, №84, 85.

გაბინეური - ტყე; დამოწმებულია 1928 წლის 18 ნოემბერს შედგენილ „ფარდის წერილში“, რომლის მიხედვით გაბინეურის ტყეს (1800 კვადრატული საჟენი) აღმოსავლეთიდან ესაზღვრება სიკო ხურციძის, დასავლეთიდან - პლატონ ხელაძისა და არსენ ხურციძის მიწის ნაკვეთები, სამხრეთიდან - მდ. შაშხავი, ჩრდილოეთით - გზა (ძულუხი). მმას, №83, 86.

გამოღმა სულორისპირი - ტყე; იგივე **სულორისპირი** (იხ). მმას, №58.

გაღმა სულორისპირი - 1. ტყე; იგივე **სულორისპირი** (იხ). მმას, №58; 2. მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1898 წლის 14 მაისს შედგენილ „პირობის ხელის წერილში“, რომლის მიხედვით ძულუხელმა ბასილ ბიჭიას ძე ხურციძემ თანასოფლელ დარისპან, ფარსადან და პარმენ გიორგის ძე ხურციძეებს მიჰყიდა გაღმა სულორისპირი, ზომით „ერთი ქცევა და ოთხი კვალი“ (ძულუხი). მმას, №61.

გვრიტის ლაშე/წყაროსთავი - დამოწმებულია 1885 წლის 16 მაისს შედგენილ „პირობის წერილში“, რომლის მიხედვით სიმონეთელმა ივანე და არსენა ლიკლიკაძეებმა გლახუა ლიკლიკაძეს მის-

ცეს მიწის ნაკვეთი გვრიტის ლაშე, იგივე წყაროსთავი (სიმონეთი). მმას, №10.

გორა - სოფელი; 1. დამოწმებულია 1890 წლის 30 ნოემბერს შედგენილ „პირობის ხელის წერილში“. მმას, №96; 2. 1890 წლის 30 ნოემბერს შედგენილ „ნასყიდობის ხელისწერილში“. მმას, №97; 3. 1909 წლის 3 მარტს შედგენილ „ადგილის ნასყიდობით პირობით ხელისწერილში“. მმას, №95; 4. 1918 წლის 25 აპრილს შედგენილ „მოცვლილობის პირობის ხელისწერილში“. მმას, №93; 5. „ადგილის მოცვლის პირობის ხელისწერილში“ (18 იანვარი, 1926 წ.). მმას, №92.

გორის თემი - დამოწმებულია „ადგილის მოცვლის პირობის ხელისწერილში“ (18 იანვარი, 1926 წ.), რომლის მიხედვით გორა სოფელია ამავე სახელწოდების თემში. მმას, №92.

გორის საზოგადოება - 1. 1894 წლის 5 დეკემბერს შედგენილ „პირობის წერილში“ ხელს აწერს და ბეჭდის დასმით ამოწმებს გორის საზოგადოების მამასახლისი. მმას, №74; 2. 1909 წლის 3 მარტს შედგენილ „ადგილის ნასყიდობით პირობით ხელისწერილს“ ხელს აწერს და ბეჭდით ამოწმებს გორის საზოგადოების „პომოშნიკი“ ალექსანდრე ჩხოზაძე. მმას, №95; 3. დამოწმებულია 1918 წლის 25 აპრილს შედგენილ „მოცვლილობის პირობის ხელისწერილში“. მმას, №93.

გორის (თუ გომის?) საზოგადოება - დასახელებულია „პირობის წერილში“ (5. XII. 1894 წ.). მმას, №38.

გორმაღალი - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1922 წლის 22 აგვისტოს შედგენილ „ფარდის წერილში“ (ძულუხი). მმას, №84, 85.

გრიგოლ მაღლაკელიძისეული - საკარმიდამო; დამოწმებულია 1922 წლის 22 აგვისტოს შედგენილ „ფარდის წერილში“ (ძულუხი). მმას, №84, 85.

გუბეები - დამოწმებულია 1922 წლის 22 აგვისტოს შედგენილ „ფარდის წერილში“ (ძულუხი). მმას, №84, 85.

დევის ნასროლის ქვები - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1900 წლის 7 მაისს შედგენილ „პირობით ხელისწერილში“, რომლის მიხედვით ძულუხელმა სიმონ ხურციძემ თანასოფელელ ფარსია ხურციძეს მიჰყიდა **დევის ნასროლის ქვები**, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - სიკო და დიმიტრი ხურციძეების, დასავლეთით - როსაპა ხურციძის, სამხრეთით - სიკო ხურციძის, ჩრდილოეთით - ფილიპე ხურციძის მიწის ნაკვეთები (ძულუხი). მმას, №42.

დვალიშვილები - სოფელი; დასახლებულია 1895 წლის 8 თებერვალს შედგენილ „კვიტანციაში“, რომლის მიხედვით სოფ. დვალიშვილებში მცხოვრებმა გლეხმა თეოფილე იესეს ძე შერაძენიძემ მიიღო 300 მანეთი, ვერცხლის ფული, სიკო და ფარსადან გიორგის ძე ხურციძეებისგან, გაყიდული მიწების საფასურად (დვალიშვილები). მმას, №17.

დვალიშვილების თემი - დამოწმებულია 1923 წლის აპრილით დათარიღებულ „თხოვნაში“, რაშიც ვკითხულობთ: „უხუთის თემის მიწკომს.

თანახმად ქუთაისის მიწადმოქმედების განყოფილების განკარგულებისა, 10 აპრილის თარიღით №2134 დვალიშვილების თემის მიწკომი გთხოვთ აცნობოთ, მას დატოვებული აქვს თუ არა ნორმაში მცხ. 1.ძულუხში უხუთის თემისა ფარსა ხურციძეს ხელქონებული ადგილი მდებარე დვალიშვილების თემში სახელწოდებული „ლომაური“, რომელი მიწა ადგილობრივ მიწკომიტეტის მიერ ჩამორთმეული აქვს მოხსენებულ ხურციძეს. „აპრილი, 1923 წელი. ს. დვალიშვილები. №13. დვალიშვილების თემის მიწკომის თავმჯდომარე ი. დვალიშვილი. მდივანი (ხელმოწერა არ იკითხება)“. დოკუმენტი ნაკლულია. მმას, №82.

დვალიშვილების თემი - დამოწმებულია „განყოფილების ფარდის ხელის წერილში“. მმას, № 83, 86.

დეალიზაციის საზოგადოება - დასახელებულია 1895 წლის 8 თებერვალს შედგენილ „კვიტანციაში“, რასაც ხელს აწერს და ბეჭედის დასმით ამოწმებს დეალიზაციის საზოგადოების მამასახლისი თეიმურაზ დეალიზაცი. მმას, №17.

დეალიზაციის სოფსაბჭო - 1928 წლის 18 ნოემბერს შედგენილ „ფარდის წერილს“ ხელს აწერენ დეალიზაციის სოფსაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცაგარეიშვილი და მდივანი ერ. დეალიზაცი. მმას, №83.

დიხაშხო - სოფელი ვანის საზოგადოებაში; 1. დამოწმებულია 1910 წლის 15 აგვისტოს შედგენილ „ნასყიდობის პირობაში“. მმას, №88; 2. 1919 წლის 1 ოქტომბერს შედგენილ დოკუმენტში, რომლის მიხედვით დიხაშხოელმა მამა-შვილმა ივანე და გრიგოლ მაღლაკელიძეებმა ძულუხელ გედევან და ივანე ფარსადანის ძე ხურციძეებს მიჰყიდეს მიწის ნაკვეთი. მმას, №37; 3. 1922 წლის 22 აგვისტოს შედგენილ „ფარდის წერილში“, რომლის მიხედვით „დიხაშხოს ეზოდგან გზის პირას ნადუქნებთან უნდა მისცეს გედევანმა თუთხმეტი ოთხკუთხედი საყენი საბინაო აპალონს და ვლადიმერს“. მმას, № 84, 85; 4. 1928 წლის 18 ნოემბრით დათარიღებულ „განყოფილების ფარდის ხელის წერილში“, რომლის მიხედვით ძულუხელმა ფარსადან გიორგის ძე, მარიამ გიორგის ასულმა და ვლადიმერ ფარსადანის ძე ხურციძეებმა ქონება გაიყვეს დიხაშხოელ აპალონ ფარსადანის ძე და ელპიტე ალექსის ასულ ხურციძეებთან. მმას, № 83, 86.

ეზო - საკარმიდამო; 1922 წლის 22 აგვისტოს შედგენილ „ფარდის წერილში“ აღნიშნულია, რომ სახელდებული ობიექტი მდებარეობს „სულორის ადგილებში“, „რომელშიდაც სახლი დგას თავის ბზვარიანეთ“ (ძულუხი). მმას, №84, 85.

ემბაკის ღელე - ღელე; 1884 წლის 28 იანვარსა და 23 მარტს, აგრეთვე 1900 წლის 7 მაისს შედგენილი საბუთების მიხედვით სახელ-

დებული ობიექტი აღმოსავლეთიდან ესაზღვრება სულორისპირს (ძულუხი). მმას, №63, 39, 42.

ეწერი - 1. ეზო; დასახელებულია 1919 წლის 1 ოქტომბერს შედგენილ დოკუმენტში: „...ხელს მომწერლებმა, სოფელსა დიხაშხოშიდ მცხოვრებლებმა, ივანე გიორგის ძე და შვილმა მისმა გრიგოლ ივანეს ძე მაღლაკელიძეებმა, მოგსყიდეთ თქვენ სოფელსა ძულუხშიდ მცხოვრებთ, გედევონ და ივანე ფარსადანისძენთ ხურციძებს და მამას მათსა ფარსადან გიორგის ძეს ხურციძეს მცირეწლოვანი შვილების - აპალონ და ვლადიმერ ფარსადანის ძენის ხურციძებისათვის საკუთვნელად, ჩვენი საკუთარი უძრავ-მოძრავი ქონება, სოფელსა დიხაშხოშიდ, სახელდობ ერთი ნაკვეთი ეზოს ადგილი, სახელწოდებული ეწერი, ზომით მაგალითებრ ერთ ქცევა ნახევარი, მეტი ან ნაკლები, სამზღვრებთა შორის; აღმოსავლეთით სასოფლო შარა, დასავლეთით ვასილ შენგელიას სამზღვარი, სამხრეთით მიხეილ მაღლაკელიძე და ჩრდილოეთით ილია მაღლაკელიძე, თავის ღობიანათ, ჭიშკრებიანათ და რაიცა ხეხილი და შიდ ნაკეთობა არის; აგრეთვე ამ ეზოშიდ მყოფი ყველა ნადგამობიანათ, გარდა ღუქნისა...“ (დიხაშხო). მმას, №37; 2. მიწის ნაკვეთი; იგივე **ბამბის გორი** (იხ.) მმას, № 90.

ვანის თემი - 1928 წლის 18 ნოემბერს შედგენილი „განყოფილების ფარდის ხელის წერილის“ მიხედვით დიხაშხო სოფელია ვანის თემში. მმას, №83, 86.

ვანის საზოგადოება - დასახელებულია: 1. 1902 წლის 3 იანვარს შედგენილ „პირობაში“. აღნიშნულ დოკუმენტს ხელს აწერს ვანის საზოგადოების მამასახლისი. მმას, №87; 2. 1910 წლის 15 აგვისტოს შედგენილი „ნასყიდობის პირობაში“, რომლის მიხედვით დიხაშხო სოფელია ხსენებულ საზოგადოებაში. მმას, №88; 3. 1911 წლის 20 თებერვალს შედგენილ „პირობის ხელის წერილში“, რომლის მიხედვით ისრითი სოფელია ხსენებულ საზოგადოებაში. მმას, №41; 4.

1911 წლის 27 მარტს შედგენილი „მიწის ნასყიდობის პირობის“ მიხედვით ისრითი სოფელია ვანის საზოგადოებაში. მმას, № 89.

ვარციხე - სოფელი; 1882 წლის 8 მაისს შედგენილ „ნასყიდობის პირობის“ მიხედვით ვარციხე სოფელია ქუთაისის მაზრის ბაღდათის საზოგადოებაში. დოკუმენტში დასახელებულია ვარციხელი გლეხი თედორე ღვთისწყალობის ძე ხურციძე, რომელმაც ძულუხში მცხოვრებ ძმას - გიორგის და ძმისშვილს - დიმიტრი შაქარას ძე ხურციძეებს მიჰყიდა კუთვნილი მიწის ნაკვეთი და საფასურად მიიღო ათი თუმანი. მმას, №78.

ვენახი - მიწის ნაკვეთი ჯვარისერში; დამოწმებულია 1922 წლის 22 აგვისტოს შედგენილ „ვარდის წერილში“ (ძულუხი). მმას, № 84, 85.

ზაქარა - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1911 წლის 30 ივლისს შედგენილ „პირობაში“. პარალელური სახელწოდება ყოფილა **ნაბამბრის გორი**. ზომა: 540 კვ. საჟენი. საზღვრები: აღმოსავლეთით - საკანდელიძეების, დასავლეთითაც - საკანდელიძეების მიწის ნაკვეთები, სამხრეთით - გზა და საკანდელიძეების მიწის ნაკვეთები, ჩრდილოეთით - გზა და ჩხაიძის მიწის ნაკვეთი (ბზვანი). მმას, №90.

ზაქარა/წყაროსთავი - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1911 წლის 30 ივლისს შედგენილ „პირობაში“, რომლის მიხედვით ბზვანელმა აზნაურებმა - გალაკტიონ და ალექსანდრე ივანეს ძე საკანდელიძეებმა დადეს ურთიერთშორის პირობა, რომ არ განაცხადებდნენ არავითარ პრეტენზიას ბზვანში მდებარე მიწის იმ ნაკვეთებზე, რაც მათ გადასცეს თანასოფლელ აზნაურს - ვასილ მიზარბეგის ძე საკანდელიძეს. მათ შორის დასახელებულია ზაქარა, იგივე წყაროსთავი. ზომა 1020 კვ. საჟენი; საზღვრები: აღმოსავლეთით და სამხრეთით - მესხიშვილის, დასავლეთით - დარისპან ხონელიძის, ჩრდილოეთით - ზაალ და ვასილ საკანდელიძეების მიწის ნაკვეთები (ბზვანი). მმას, №90.

თაგაოლა (?) - სახნავი; დამოწმებულია 1886 წლის 10 აპრილს შედგენილ „პირობაში“, რომლის მიხედვით ძულუხელმა მაქსიმე კიკოლას ძე ხურციძემ თანასოფელ გიორგი ღვთისწყალობის ძე ხურციძეს მიჰყიდა თაგაოლა (?), რაც ისაზღვრებოდა ხურციძეთა მიწის ნაკვეთებით (ძულუხი). მმას, №60.

თაგვინოური - 1. მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1922 წლის 22 აგვისტოს და 1928 წლის 18 ნოემბერს შედგენილ „ფარდის წერილებში“ (ძულუხი). მმას, №83, 84, 85, 86.

თაგოულა - 1. მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1890 წლის 30 ნოემბერს შედგენილ „პირობის ხელის წერილში“, რომლის მიხედვით გორდში მცხოვრებმა აზნაურებმა - ვლადიმერ, სეფე და სერგი გლახუას ძე გამრეკლიძეებმა თანასოფელ გლეხებს - ბესარიონ, დათა და გიგო პავლეს ძე აბრამალაძეებს მიჰყიდეს თაგოული. დოკუმენტს ხელს აწერენ მიწის გამყიდველები. მოწმედ დასახელებულია სამსონ მჭავანაძე და ივანე ლორთქიფანიძე. ბეჭდით ამოწმებს გორის საზოგადოების მამასახლისი გ. მგელაძე (გორა). მმას, №96; 2. მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1928 წლის 18 ნოემბერს შედგენილ „ფარდის წერილში“ (ძულუხი). მმას, №83, 86.

თხილარა - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1916 წელს რუსულ ენაზე შედგენილ დოკუმენტში (ძულუხი). მმას, №52.

თხილარი - ვენახი, ხრამი; დამოწმებულია 1922 წლის 22 აგვისტოს შედგენილ „ფარდის ხელისწერილში“ (ძულუხი). მმას, №84, 85.

იაგვინოური - ტყე; დასახელებულია 1892 წლის 7 თებერვალს შედგენილ „ადგილის ნასყიდობის წერილში“, რომლის მიხედვით ძულუხელმა გლეხმა ნესტორ ბესარიონის ძე რუხვაძემ თანასოფლელებს - ფარსია, დარისპან, პარმენ და სიკო გიორგის ძე ხურციძეებს მიჰყიდა ტყიანი ადგილი იაგვინოური (თუ ლაგვინოური?), შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - გიორგი, ბიკტორ და ექვთიმე რუხვა-

ძეების, ჩრდილოეთით - ბესარიონ და პავლე რუხვაძეების მიწის ნაკვეთები. დოკუმენტს ხელს აწერენ: ნესტორ რუხვაძის თხოვნით - გერასიმე ხელაძე, გიორგი ზურაბის ძე ნიჭარაძე, უხუთის საზოგადოების მამასახლისი ერმალოზ ენუქიძე (ძულუხი). მმას, №26.

იასებარი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ადგილის მოსყიდვის ხელთწერილში“, რომლის მიხედვით ძულუხელმა ბესარიონ როხუაძემ თანასოფლელ გიორგი ხურციძეს მიჰყიდა ერთი ქცევა მიწის ნაკვეთი იასებარი. საბუთს ხელს აწერენ: ბესარიონ როხუაძე, სიმონ ჩიტიაშვილი და სხვანი. მმას, №35.

იასებური - 1. მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ნასყიდობის წერილში“ (23 მაისი, 1877 წ.), რომლის მიხედვით შაქარა ხურციძემ მმას - გიორგის მიჰყიდა „ველის მიწა სახელწოდებით იასებური“ (2,5 ქცევა), შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ივანე გიორგის ძე ხელაძის, დასავლეთით და ჩრდილოეთით - მყიდველის, სამხრეთით - გამყიდველის მიწის ნაკვეთები; მმას, №20; 2. მიწის ნაკვეთი; 1877 წლის 8 დეკემბერს შედგენილი „პირობის ხელწერილის“ მიხედვით ძულუხელმა გლეხებმა - ბესარიონ გლახვას ძე და სიმონ ბესარიონის ძე როხვაძეებმა თანასოფლელ გიორგი ხურციძეს მისცეს იასებური, 4, 5 ქცევა „სანაშენოდ და სანაუთოდ“. საბუთს ხელს აწერენ: ბესარიონ და სიმონ როხვაძეების თხოვნით - სვიმონ ჩიტალაშვილი, უხუთის საზოგადოების მოსამართლეები - გლახვა ხურციძე, სესია ბაჯაძე და გლახვა ვაშალიძაძე. მმას, №39; 3. საყანე; დასახელებულია „ნასყიდობის წერილში“ (5 დეკემბერი, 1881 წ.), რომლის მიხედვით რომანთელმა ივანე ხურციძემ თანასოფლელ გიორგი ხურციძეს მიჰყიდა ოთხი ქცევა საყანე, იასებურის სახელწოდებით, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - წყაროსღელე, დასავლეთით - იასებურის ნაწრეტი ღელე, ჩრდილოეთით - წყაროსღელისა და ნაწრეტი ღელის შესართავი („შეყრილი“). სამხრეთით - მყიდველის მიწის ნაკვეთი. დოკუმენტს ხელს აწერენ: ექვთიმე ხელაძე, მალხაზ

პეტრეს ძე ძიგრაშვილი, ლაზარე გრიგოლის ძე მეფარიშვილი; მმას, №33; 4. მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1882 წლის 11 ივლისს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, რომლის მიხედვით რომანეთელმა ივანე ვახტანგის ძე ხურციდემ ძულუხელ გიორგი ღვთისწყალობის ძე ხურციდეს მიჰყიდა 4 ქცევა მიწის ნაკვეთი იასებური, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ნაწრეტი ღელე და დარისპან ხურციდის მიწის ნაკვეთი, დასავლეთით და სამხრეთით - ნაწრეტის ღელე და წვეთიას ღელე, ჩრდილოეთით - მყიდველის მიწის ნაკვეთი. მმას, №77; 5. სახნავი („ნასყიდობის პირობა“, 13 იანვარი, 1883 წ.); 6. მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1883 წლის 6 მაისს შედგენილ „პირობით ხელის წერილში“, რომლის მიხედვით ძულუხელმა გლეხებმა - გიორგი და დიმიტრი ხურციდებმა შუაზე გაიყვეს სახელდებული ობიექტი. მმას, №46; 7. სახნავი; დამოწმებულია 1888 წლის 24 მარტს შედგენილ „პირობაში“. ძულუხელმა გლეხმა ელიზბარ გიორგის ძე ხურციდემ თანასოფელ გიორგი ღვთისწყალობის ძე ხურციდეს მიჰყიდა საყანე ადგილი იასებური, შემდეგ საზღვრებში: დასავლეთით - გერასიმე ხურციდის, დანარჩენი მხრიდან - მყიდველის მიწის ნაკვეთები. მმას, №44; 8. საყანე; დამოწმებულია 1888 წლის 24 მარტს შედგენილ „პირობის წერილში“, რომლის მიხედვით სისონა გიორგის ძე ხურციდემ თანასოფელ გიორგი ღვთისწყალობის ძე ხურციდეს მიჰყიდა იასებური. მმას, №72; 9. მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1892 წლის 12 ივლისით დათარიღებულ „კვიტანციაში“, რომლის მიხედვით გერასიმე გიორგის ძე ხურციდემ გიორგი ღვთისწყალობის ძე ხურციდეს მიჰყიდა მიწის ნაკვეთი იასებური, რისთვისაც მიიღო 30 მანეთი, ვერცხლის ფული. კვიტანციას ხელს აწერენ გიორგი ნიჟარაძე და უხუთის საზოგადოების მამასახლისი ერმალოზ ენუქიძე. მმას, №23; 10. მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ნასყიდობის წერილში“ (12 ივლისი, 1892 წ.), რომლის მიხედვით ძულუხელმა გლეხმა გერასიმე გიორგის ძე ხურციდემ თანასოფელ გიორგი ხურციდეს მიჰყი-

და მიწის ნაკვეთი იასებური, რაც ისაზღვრებოდა მყიდველის მიწის ნაკვეთებით. საბუთს ხელს აწერენ: კირილე ხელაძე, გიორგი ნიჟარაძე და უხუთის საზოგადოების მამასახლისი ერმალოზ ენუქიძე. მმას, №30; 11. სახნავი; დამოწმებულია 1899 წლის 21 მარტს შედგენილ „ნასყიდობის ხელისწერილში“, რომლის მიხედვით რომანეთელმა გლეხებმა - ამტონ, სავასტი, ლევანტი და სილვანე ბაქარას ძე ხურციძეებმა, ივანე ვახტანგის ძე ხურციძემ, კალისტინე ლილუაშვილმა, გიგო ხურციძის ასულმა და ელისაბედ მარგველაშვილმა ძულუხში მცხოვრებ გლეხებს - სიკო, ფარსია, დარისპან და პარმენ გიორგის ძე ხურციძეებს მიჰყიდეს დაახლ. 0,5 ქვევა საყანე ადგილი იასებური. დოკუმენტს ხელს აწერს ალექსი ხურციძე, ბეჭდის დასმით ამოწმებს უხუთის საზოგადოების მამასახლისი ოქროპირ ხურციძე. მმას, №50; 12. მიწის ნაკვეთი; „პირობის წერილის“ მიხედვით რომანეთელმა გიორგი მარკოზის ძე ხურციძემ ძულუხელ გიორგი ღვთისწყალობის ძე ხურციძეს მიჰყიდა „ექვსი ქვევა იასებურის ადგილი... სახნავი ას მანეთად ვერცხლის ფულად“. მმას, №80; 13. მიწის ნაკვეთი, „განის ადგილი“; 1922 წლის 22 აგვისტოს შედგენილ „ფარდის წერილში“ დამოწმებულია „იასებური სასირე, „იასებურის“ შეღობილი ადგილი, წყაროს პირში, გზას ზევით და გზას ქვევით“. მმას, №84, 85; 14. მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია „ფარდის წერილში“ (18 ნოემბერი, 1928 წ.) (ძულუხი). მმას, №83, 86.

იასებურის ნაწრეტი ღელე - ღელე; დასავლეთიდან ესაზღვრებოდა იასებურს, მიედინებოდა ჩრდილოეთით და უერთდებოდა წყაროსღელეს. მსჯელობისათვის იხ. **იასებური** (ძულუხი). მმას, №33.

იესებური - მიწის ნაკვეთი; „პირობის წერილის“ მიხედვით უხუთის საზოგადოების სოფ. რომანეთში მცხოვრებმა ბეჟანა ივანეს ძე და დარისპან დავითის ძე ხურციძეებმა ძულუხელ გლეხს გიორგი ღვთისწყალობის ძე ხურციძეს მისცეს ოთხი ქვევა მიწის ნაკვეთი „ი-

ესეზურის“ სახელწოდებით, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ანდრია გლახუას ძე ხურციძის, დასავლეთით - გიორგი ხურციძის, ჩრდილოეთით - ბაქარა მარკოზის ძე ხურციძის და სამხრეთით - გოგია და ტარიელ ბუჭუას ძე ხურციძეების მიწის ნაკვეთები. დოკუმენტს ხელს აწერენ: ნიკო ოქროპილაშვილი, უხუთის საზოგადოების მოსამართლეები - მაქსიმე და ვასილ ხურციძეები, „სუდის კანდიდატი“ კაცია ქარჩხაძე, სიმონ ჩიტეშვილი. დასმულია მოსამართლეთა მურასა ბეჭდები (ძულუხი). მმას, №67.

ივანესოული - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ნასყიდობის წერილში“ (23 მაისი, 1877 წ.), რომლის მიხედვით შაქარა ღვთისწყალობის ძე ხურციძემ მმას - გიორგი ხურციძეს მიჰყიდა ივანესოული (68 საჟენი), შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - მაქსიმე გიორგის ძე ხელაძის მიწის ნაკვეთი და ლელე, დასავლეთით და ჩრდილოეთით - თვით შაქარა ხურციძის მიწის ნაკვეთი, სამხრეთით - მყიდველის ეზო (ძულუხი). მმას, №20.

ილაკრისეული - მიწის ნაკვეთი; 1922 წლის 22 აგვისტოს შედგენილი „ფარდის წერილის“ მიხედვით სულორსგალმა მდებარეობს ილაკრისეული, სულორსგამოდმა - ბაგრატასეული. (ძულუხი). მმას, № 84,85

ისრითი - სოფელი ვანის საზოგადოებაში; 1. დამოწმებულია 1911 წლის 27 მარტს შედგენილ „მიწის ნასყიდობის პირობაში“. მმას, №89; აგრეთვე „პირობის ხელის წერილი“, 20 თებერვალი, 1911 წ.). მმას, №41.

ისრითის დარჩა - საყანე ადგილი; დამოწმებულია 1922 წლის 22 აგვისტოს შედგენილ „ფარდის ხელისწერილში“. (ძულუხი). მმას, № 84, 85.

ისრითის ჭალა - დამოწმებულია 1920 წლის 21 მარტს დაწერილ „ფარდის წერილში“. (ძულუხი). მმას, №65, 66.

კაპრანა - 1. მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1870 წელს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, რომლის მიხედვით სიმონეთელმა აზნაურმა ზურაბ პაატას ძე ჭუმბურიძემ თანასოფლელ ყმას - გლაზუა ეგნატეს ძე ლიკლიკაძეს მიჰყიდა კაპრანა, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით და სამხრეთით ღელე, დასავლეთით - ჩიხის საზღვარი. საბუთს ხელმოწერით ამოწმებენ: ზურაბ, ივანე და ვასილ ჭუმბურიძეები და სიმონეთის საზოგადოების მამასახლისი (გვარი არ იკითხება) (ძულუხი). მმას, №02; 2. მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1873 წლის 29 სექტემბერს შედგენილ საჩივრის წიგნში (სიმონეთი). მმას, №07.

კაპრიჭალა - სახნავი; დასახელებულია 1916 წლის 19 იანვარს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, რომლის მიხედვით სიმონეთელმა აზნაურმა მიხეილ ბერის ძე, ყაისო გიორგის ძე და პარმენ ვასილის ძე ჭუმბურიძეებმა თანასოფლელ გლეხებს - გლაზუა ეგნატეს ძე და პოლიკარტე არსენის ძე ლიკლიკაძეებს მიჰყიდეს „ჭალის ადგილი სახნავი ნარწყული, გაღმა და გამოღმა სრულიად, მდებარე სოფელსა სიმონეთს, სახელწოდებული კაპრიჭალა“. დოკუმენტს ხელს აწერენ: სპირიდონ აბულაძე, ყაისო ჭუმბურიძე, სიმონეთის საზოგადოების მამასახლისი კონსტანტინე ლიკლიკაძე (სიმონეთი) მმას, №15.

კაჟალა - 1. ტყე ლაშისთავში; დასახელებულია 1884 წლის 23 მარტს შედგენილ „პირობის ხელწერილში“, რომლის მიხედვით სიმონეთელმა გლეხმა ბეჟანა სესიკას ძე ლიკლიკაძემ თანასოფლელ მესაკუთრე გლეხს - გლაზუა ლიკლიკაძეს გადასცა მიწის ნაკვეთი კაჟალა, „ლაშისთავის ადგილი“, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ეგნატე ლიკლიკაძის, დასავლეთით - გლაზუა ლიკლიკაძის, სამხრეთით - სპირიდონა ლიკლიკაძის, ჩრდილოეთით - პავლია ლიკლიკაძის მიწის ნაკვეთები. საბუთს ხელმოწერით ამოწმებენ: მელიტონ ცქიფურიშვილი, სიმონეთის მოსამართლეები - ალექსი კლდიაშვი-

ლი, მაქსიმე ზაქარიაძე, მიქელა გოგბერაშვილი და სხვანი. მმას, №09; 2. დასახელებულია 1889 წლის 22 იანვარს შედგენილ „პირობის წერილში“, რომლის მიხედვით სიმონეთელმა გლეხმა სპირიდონ ბერიკას ძე ლიკლიკაძემ თანასოფლელ გლეხს - პავლე სპირიდონის ძე ლიკლიკაძეს ნასესხები 60 მანეთის სანაცვლოდ გადასცა კაჟალა, მდებარე ლაშისთავში. საზღვრები: აღმოსავლეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით - ლიკლიკაძეების მიწის ნაკვეთები, სამხრეთით - სასოფლო გზა (სიმონეთი) მმას, №11; 3. სახნავი; დასახელებულია 1900 წლის 20 ივლისს შედგენილ „პირობის ხელერილში“, რომლის მიხედვით სიმონეთელ სპირიდონ ლიკლიკაძეს ემართა თანასოფლელის ვალი - 40 მანეთი, და რადგან ვექსილით განსაზღვრულ ვადაში მან ვერ შეძლო მევალის გასტუმრება, სანაცვლოდ მისცა კუთვნილი სახნავი მიწა - კაჟალა, მდებარე ლაშისთავში. მოცემულია საზღვრები: აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით - გლახუა ლიკლიკაძის (მევალის) მიწის ნაკვეთი და სასოფლო გზა, დასავლეთით და სამხრეთით - ერმინე ივანეს ძე ლიკლიკაძის მიწის ნაკვეთი. დოკუმენტს ხელს აწერენ: ყარამან მაკარიძე, დიმიტრი და აფრასიონ ხოხიაშვილები, არსენა ლიკლიკაძე, ყარამან ზაქარიაძე, სიმონეთის საზოგადოების მამასახლისი ონისიმე მეფარიძე (სიმონეთი). მმას, №13;

კაჟნარის თავი - მიწის ნაკვეთი; „ნასყიდობის წერილის“ (18 თებერვალი, 1870 წ.) მიხედვით აზნაურმა ზურაბ პაატას ძე ჭუმბურიძემ თანასოფლელ სახელმწიფო ყმას - გლახუა ეგნატეს ძე ლიკლიკაძეს მიჰყიდა კაჟნარი, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - სპირიდონა ლიკლიკაძისა და მისი ძმის, დასავლეთით - ანდრია ლიკლიკაძის, ჩრდილოეთით - ჭუმბურიძის მიწის ნაკვეთები (სიმონეთი). მმას, №03.

კაჟნარისწყარო - დასახელებულია 1912 წლის 1 ნოემბერს რუსულ ენაზე შედგენილ დოკუმენტში (სიმონეთი). მმას, №14.

კაჯენალაშისთავი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1871 წელს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, რომლის მიხედვით სიმონეთელმა ყმამ გრიგოლა ბერიკას ძე ლიკლიკაძემ თანასოფლელ ყმებს - სპირიდონ ბერიკას ძე და გლახუა ეგნატეს ძე ლიკლიკაძეებს მიჰყიდა „პარობითი ადგილი“, სახელწოდებით - კაჯენალაშისთავი, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - სპირიდონა ლიკლიკაძის, დასავლეთით - გლახუა ლიკლიკაძის, ჩრდილოეთით - კიკოლა ლიკლიკაძის, სამხრეთით - აზნაურ გრიგოლ ჭუმბურიძის მიწის ნაკვეთები. საბუთს ხელს აწერენ: აზნაური სამსონ ჭუმბურიძე და გიგო გიორგის ძე მინაძე. მმას, №01.

კიკოლისეული - 1. „მამულიანი ადგილი“; დამოწმებულია 1882 წლის 27 ივნისს შედგენილ „ნასყიდობის პირობაში“, რომლის მიხედვით ძულუხელმა მაქსიმე გიორგის ძე ხელაძემ თანასოფლელ გიორგი ღვთისწყალობის ძე ხურციძეს მიჰყიდა სახელდებული ობიექტი, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ქრისტეფორე გიორგის ძე ხელაძის, დასავლეთით - ნოე როხვაძისა და საეკლესიო მიწების ნაკვეთები, სამხრეთით - საეკლესიო მიწა, ჩრდილოეთით - გერასიმე ლაზარეს ძე ხელაძის მიწის ნაკვეთი. საბუთს ხელს აწერენ: მალხაზ დიგრაშვილი, ბასილ და მაქსიმე ხურციძეები, კაცია ქარჩხაძე. მმას, №59; 2. მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1888 წლის 13 აპრილს შედგენილ ხელწერილში, რომლის მიხედვით ძულუხელმა ოსე და გერასიმე ხელაძემ თანასოფლელ გიორგი ხურციძეს მისცეს კუთვნილი სასაფლაო მიწა, რისთვისაც სანაცვლოდ მიიღეს მიწის ნაკვეთი კიკოლისეული, რაც ისაზღვრებოდა ხელაძეების მიწის ნაკვეთებით. საბუთს ხელს აწერენ ივლიანე და გერასიმე ხელაძეები (ძულუხი). მმას, №29.

კოდისპირისთავი - „სასაფლაო ეკკლესიის გალავანში... მამაპაპისოული“; დამოწმებულია 1902 წლის 5 აპრილს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, რომლის მიხედვით ძულუხელ კირილე დიმიტ-

რის ძე ხელაძეს თანასოფლელ გიორგი ღვთისწყალობის ძე ხურციძისათვის მიუყიდია სახელდებული ობიექტი. „სასაფლაოს ალაგი სახელდობრ კოდის პირის თავი ეკკლესიის გალავანში მომიყიდია. და არ გედაო არცა მე და არც ჩემმა შვილმა და მომავალმა არც შენ და არც შენს შვილსა და მომავალსა“, - ვკითხულობთ დოკუმენტში. ხელს აწერენ: კირილე ხელაძე და უხუთის საზოგადოების მამასახლისი ნესტორ ხურციძე (ძულუხი). მმას, №56.

კორბეულა - მიწის ნაკვეთი, საკარმიდამო; დამოწმებულია 1922 წლის 22 ავგისტოს შედგენილ „ფარდის ხელისწერილში“ (ძულუხი). მმას, №84, 85.

კორბოულა - სახნავი და ტყე; დამოწმებულია 1882 წლის 14 მარტს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, რომლის მიხედვით ძულუხელმა გიორგი ხურციძემ თანასოფლელ ილარიონ გლახუას ძე ხურციძისაგან იყიდა მიწის ნაკვეთები - ხოკორეული და კორბოულა. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა 0,5 ქვევასა და 30 საყენ სახნავს და ტყეს და ისაზღვრებოდა: აღმოსავლეთით - კორბოულას ღელეთით, დასავლეთით და სამხრეთით - ილარიონ ხურციძის, ჩრდილოეთით - გიორგი ხურციძის მიწის ნაკვეთებით (ძულუხი). მმას, №71.

კორბოულას ღელე - ღელე; 1882 წლის 14 მარტს შედგენილი „ნასყიდობის წერილის“ მიხედვით კორბოულას ღელე დასავლეთიდან ესაზღვრება ხოკორეულის ტყეს (ძულუხი). მმას, №71.

კორძეულა - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1920 წლის 21 მარტს შედგენილ „ფარდის წერილში“, რომლის მიხედვით ძულუხელმა ფარსადან და პარმენ გიორგის ძე ხურციძეებმა გაიყვეს საზიაროდ ნაყიდი მიწის 4 ნაკვეთი და „ერთი ნაკვეთი მამაპაპისეული მდებარე სოფელსა ძულუხშიდ... სამოსახლო ეზოზედ მოდებული ცარიელი ადგილი სახელწოდებული კორძეულა“ (ძულუხი). მმას, №65, 66.

ლაგვინოური - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია „ნასყიდობის ხელისწერილში“ (1880 წ., 4 ოქტომბერი), რომლის მიხედვით ძულუხელმა ბესარიონ როხვაძემ თანასოფლელ გიორგი ხურციძეს მიჰყიდა ლაგვინოური (ძულუხი). მმას, №64.

ლაშისთავი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ნასყიდობის წერილში“ (1870 წ., 9 ივლისი), რომლის მიხედვით სვიმონეთელმა აზნაურმა ნიკოლოზ პაატას ძე ჭუმბურიძემ თანასოფლელ ყმას - გლახუა ეგნატეს ძე ლიკლიკაძეს მიჰყიდა მიწის ნაკვეთი ლაშისთავი, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - მყიდველს, დასავლეთით - მამუკა ამბროლაძის, ჩრდილოეთით - ბეკო ჭუმბურიძის მიწის ნაკვეთები, სამხრეთით - საჯანგო შარა. დოკუმენტს ხელს აწერენ: აზნაური ნიკოლოზ ჭუმბურიძე, ყმა ბეჟანა სესიკას ძე ლიკლიკაძე, ეგნატე და სპირიდონა ლიკლიკაძეები, სიმონეთის საზოგადოების მამასახლისი მერაბ [...], მოსამართლე თედორე სიმონიშვილი, ბ. ქადაგიძე(სიმონეთი). მმას, №04.

ლომაური//ლომეური - მიწის ნაკვეთი, თხილნარი; დამოწმებულია 1922 წლის 22 აგვისტოს შედგენილ „ფარდის ხელის წერილში“ (ძულუხი). მმას, №84, 85.

ლომაური - მიწის ნაკვეთი; 1923 წლის აპრილით დათარიღებული „თხოვნის“ მიხედვით სახელდებული ობიექტი ადგილობრივ მიწკომიტეტს ჩამოურთმევია ძულუხელი ფარსა ხურციძისათვის (დვალიშვილები). მსჯელობისათვის იხ. **დვალიშვილების თემი**. მმას, №82.

ლემოური - 1. მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „კვიტანციაში“ (8. II. 1895 წ.). დაახლ. 1,5 ქვევა მიწა თეოფილე შერაძენიძეს მიუყიდა სიკო და ფარსადან ხურციძეებისათვის (დვალიშვილები). მმას, №17; 2. მიწის ნაკვეთი; იგივე **ლომაური**. დამოწმებულია 1922 წლის 22 აგვისტოს შედგენილ „ფარდის წერილში“ (ძულუხი). მმას, №84, 85.

ლოყნარის ღელე - ღელე; დამოწმებულია 1883 წლის 4 დეკემბერს და 1884 წლის 28 იანვარს შედგენილ „ნასყიდობის პირობებში“, რომლის მიხედვით ლოყნარის ღელე დასავლეთიდან ესაზღვრება სულორისპირს (ძულუხი). მმას, №58, №63.

ლულუმა - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1870 წლის 11 მარტს შედგენილ საბუთში, რომლის მიხედვით სიმონეთელმა ეგნატე, სიმონა, გლახუა, სპირიდონა, კიკოლა, გრიგოლა და გიორგი ლიკლიკაძეები და როსტომა ვირსალაძე ალექსი, თედორე და ივანე დათუაძეებს გაურიდნენ და მისცეს ლულუმის გარკვეული ნაწილი, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - გზა, დასავლეთით - სისონა ბუილლის ადგილი, ჩრდილოეთით - იოკიმე ბუილლის ადგილი, სამხრეთით - სახელმწიფო გზა. მეორე ნაკვეთი იგივე სახელწოდებით ისაზღვრებოდა შემდეგი სახით: აღმოსავლეთით - გოგი ხოხიაშვილის, ჩრდილოეთით - კიკო გოქაძის, სამხრეთით - ლიკლიკაძეების მიწის ნაკვეთები, დასავლეთით - გზა (სიმონეთი). მმას, №08.

მელიხვრელი - „უმამულო ადგილი“; დამოწმებულია 1902 წლის 3 იანვარს შედგენილ „პირობაში“, 1,5 ქცევა; საზღვრები: აღმოსავლეთით - ღელე, დასავლეთით და სამხრეთით - ორმოცაძეების, ჩრდილოეთით - გიორგი სოხანეიშვილის მიწის ნაკვეთები (ონჯოხეთი). მმას, №87.

ნაბამზარის გორი - მიწის ნაკვეთი; იგივე **ზაქარა** (იხ.) მმას, №90.

ნაბოსტნები - მიწის ნაკვეთი; 1922 წლის 22 აგვისტოს შედგენილ „ფარდის წერილში“ დასახელებულია „შეღობილი ნაბოსტნები საწისკვილიანეთ“ (ძულუხი). მმას, №84, 85.

ნადუქნები - 1922 წლის 22 აგვისტოს შედგენილი „ფარდის წერილის“ მიხედვით ასე ეწოდება ადგილს გზისპირას (დიხაშხო). მმას, №84, 85.

ნაეკლესიები - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1922 წლის 22 ავგისტოს შედგენილ „ვარდის წერილში“ (ძულუხი). მმას, №84, 85.

ნამოსახლი - მიწის ნაკვეთი; იგივე **ჭადოულა** (იხ.) მმას, №94.

ნამჭადვარი - „უმამულო ადგილი“; დამოწმებულია 1902 წლის 3 იანვარს შედგენილ „პირობაში“, რაც ოთხივე მხრიდან ისაზღვრებოდა ორმოცაძეთა მიწის ნაკვეთებით (ონჯოხეთი). მმას, №87.

ნარწყული - სახნავი ჭალაში; დასახელებულია 1916 წლის 19 იანვარს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, რომლის მიხედვით სიმონეთელმა აზნაურმა ჭუმბურიძეებმა ლიკლიკაძეებს მიჰყიდეს „ჭალის ადგილი სახნავი ნარწყული, გაღმა და გამოღმა სრულიად, მდებარე სოფელსა სიმონეთს“ (სიმონეთი) მმას, №15.

ნასამჭედურები - 1. ტყე; დამოწმებულია 1883 წლის 4 დეკემბერს შედგენილ „ნასყიდობის პირობაში“. იხ. **სულორისპირი**. მმას, №58; 2. 1884 28 იანვარს შედგენილ „ნასყიდობის პირობაში“ (ძულუხი). მმას, №63.

ნაფხევი - მიწის ნაკვეთი; 1902 წლის 3 იანვარს შედგენილ „პირობაში“ დასახელებულია, როგორც „მაღლარი მამულიანი... ერთი ქცევა“. მოცემულია საზღვრებიც: აღმოსავლეთით - ცისკარაულას დელე; დანარჩენი სამი მხრიდან - ორმოცაძეთა მიწის ნაკვეთები (ონჯოხეთი). მმას, №87.

ნაწრეტი დელე - 1. დელე; 1882 წლის 11 ივნისს შედგენილი „ნასყიდობის წერილის“ მიხედვით ნაწრეტი დელე აღმოსავლეთით და სამხრეთით ესაზღვრება იასებურს (ძულუხი). მმას, №77; 2. დელე; დამოწმებულია 1896 წლის 28 მაისს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, რომლის მიხედვით ნაწრეტი დელე აღმოსავლეთიდან საზღვრავს საპრასიელი გლეხების მიერ გაყიდულ საყანე ადგილს - ბლისწყაროს (ძულუხი). მმას, №81; 3. დელე; 1898 წლის 10 იანვარს შედგენილი „ნასყიდობის წერილის“ მიხედვით ნაწრეტი დელე აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ტყეშავას. მსჯელობისათვის იხ. **ტყეშავა**

(ძულუხი). მმას, №79; 4. ლელი; დამოწმებულია 1900 წლის 7 მაისს შედგენილ „პირობით ხელისწერილში“, რითაც ირკვევა, რომ სახელდებული ობიექტი წარმოადგენს ტყეშუას (თუ ტყეშავას) აღმოსავლეთ საზღვარს (ძულუხი). მმას, №42.

ონჯოხეთი - სოფელი დვალის მთების საზოგადოებაში; დამოწმებულია 1902 წლის 3 იანვარს შედგენილ „პირობაში“. მმას, №87.

რომანეთი - სოფელი უხუთის საზოგადოებაში; დამოწმებულია 1880 წლის 8 აპრილს შედგენილ „პირობის წერილში“. მმას, №80; 2. „ნასყიდობის წერილის“ (5 დეკემბერი, 1880 წ.) მიხედვით უხუთის საზოგადოების სოფ. რომანეთში მცხოვრებმა გლეხმა ივანე ვახტანგის ძე ხურციძემ თანასოფლელ გიორგი ლუთისწყალობის ძე ხურციძეს მიჰყიდა მიწის ნაკვეთი. მმას, №33; 3. დამოწმებულია 1880 წლის 25 სექტემბერს შედგენილ „პირობის წერილში“. მმას, №67; 4. 1882 წლის 11 ივნისს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“. მმას, №77; 5. 1893 წლის 18 სექტემბერს შედგენილ „პირობაში“ დასახელებულია რომანეთელი გლეხი პავლე ბაქარას ძე ხელაძე. მმას, №45; 6. 1899 წლის 21 მარტს შედგენილი „ნასყიდობის ხელის წერილი“. მმას, №50.

საგვალავა - 1. სახნავი ისრითის ჭალაში; დამოწმებულია 1920 წლის 21 მარტს შედგენილ „ფარდის წერილში“ (ძულუხი). მმას, №65, 66; 2. მიწის ნაკვეთი; იხ. **შაშვეთა**. მმას, №41.

საისრითო ჭალა - ჭალა; დასახელებულია 1911 წლის 20 თებერვალს შედგენილ „პირობის ხელის წერილში“, რომლის მიხედვით ისრითელმა ბიკტორ ერემიას ძე ლორთქიანიძემ ძულუხელ ხურციძეებს მიჰყიდა კუთვნილი სახნავი ადგილი, „მდებარე სოფლის საისრითო ჭალაში“ (ისრითი). მმას, № 41

სალომინაო - სოფელი; 1. დასახელებულია 1894 წლის 5 დეკემბერს შედგენილ „პირობის წერილში“; სალომინაოელმა აზნაურებმა - ვასილ, ვარდენ, ნესტორ და თეიმურაზ ნიკოს ძე ერისთავებმა ძუ-

ლუხელ ხურციძეებს მიჰყიდეს მიწის ნაკვეთი. მმას, №38; 2. 1894 წლის 5 დეკემბერს შედგენილ „პირობის წერილში“ დასახელებულია სოფელ სალომინაოში მცხოვრები აზნაურები - ვასილ, ვარდენ, ნესტორ და თეიმურაზ ნიკოს ძე ერისთავები. მმას, №74; 3. დასახელებულია 1899 წლის 7 აპრილს შედგენილ „პირობაში“, რომლის მიხედვით სალომინაოში მცხოვრები აზნაურების - ვასილ და ვარდენ ერისთავების მამამ, ნიკო ერისთავმა ძულუხელ გლეხებს - გიორგი წყალობას ძე ხურციძეს, ნესტორ ილარიონის ძე ხურციძეს და გერასიმე ლაზარეს ძე ხელაძეს მიჰყიდა 140 ქცევა მიწის ნაკვეთი სვილორის სახელწოდებით. მმას, №47.

სამანქცია - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია: 1. 1890 წლის 20 თებერვალს შედგენილ „კვიტანციაში“, რომლის მიხედვით ძულუხელმა რომანოზ კიკოლას ძე ხელაძემ თანასოფელელ გლეხს - გიორგი ღვთისწყალობას ძე ხურციძეს მიჰყიდა მიწის ნაკვეთი სამანქცია (2 ქცევა და 250 კვადრატული საჟენი), და საფასურად მიიღო 66 მანეთი. კვიტანციას 1890 წლის 20 თებერვალს ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ამოწმებს უხუთის საზოგადოების მამასახლისი სიკო ხელაძე. მმას, №25; 2. 1922 წლის 22 აგვისტოს შედგენილ „ვარდის წერილში“ (ძულუხი). მმას, №84, 85.

სანისლია - დამოწმებულია: 1. „ნასყიდობის ხელის წერილში“ (28 იანვარი, 1884 წ.), რომლის მიხედვით სანისლია სამხრეთიდან ესაზღვრება სულორისპირს. მმას, №63; 2. 1884 წლის 23 მარტს შედგენილი საბუთის მიხედვით სულორისპირი სამხრეთით აღწევდა „სანისლიას არდგილის კარჩხალსქვეშ“. მმას, №39; 3. „ნასყიდობის წერილის“ (4 დეკემბერი, 1883 წ.) მიხედვითაც სახელდებული ობიექტი წარმოადგენს სულორისპირის სამხრეთ საზღვარს (ძულუხი). მმას, №58.

საპრასია - 1. სოფელი უხუთის საზოგადოებაში; 1896 წლის 8 მაისს შედგენილ „კვიტანციაში“. მმას, №22; 2. 1896 წლის 28 მაისს

შედგენილ „ნასყიდობის წერილში“. მმას, №81; 3. 1898 წლის 10 იანვარს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“. მმას, №79; 4. 1898 წლის 10 იანვარს შედგენილ „კვიტანციაში“, რომლის მიხედვით უხუთის საზოგადოების სოფ. საპრასიაში მცხოვრებმა გლეხმა მერაბ ქაიხოსროს ძე ხურციძემ 200 მანეთი მიიღო ძულუხელი გიორგი ღვთისწყალობის ძე ხურციძისაგან, გაყიდული ტყის საფასურად. მმას, №34.

სასირისგორი - 1884 წლის 23 მარტს შედგენილი საბუთიდან ირკვევა, რომ სახელდებული ობიექტი ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა სულორისპირს (ძულუხი). მმას, №39.

საშველია - სახნავი ისრითის ჭალაში; დამოწმებულია 1920 წლის 21 მარტს შედგენილ „ფარდის წერილში“ (ძულუხი). მმას, №65, 66.

საჯანემო გზა/საჯანემო შარა - დასახელებულია „ნასყიდობის წერილებში“, როგორც კაჟნარისთავისა და ლაშისთავის სამხრეთი საზღვარი (სიმონეთი). მმას, №03, 04.

საჯანემო შარა - იგივე **საჯანემო გზა** (იხ.).

სვილორი - ტყე, მიწის ნაკვეთი; 1899 წლის 7 აპრილით დათარიღებული „პირობის“ თანახმად სალომინაოელ ნიკო ერისთავს ძულუხელი ხურციძეებისა და ხელამისთავის მიუყიდა 140 ქცევა მიწის ნაკვეთი სვილორი. დოკუმენტს ხელს აწერენ ნიკოს შვილები - ვასილ და ვარდენ ერისთავები (სალომინაო). მმას, №47.

სვიმონეთი - სოფელი; დასახელებულია: 1. 1865 წლის 21 მაისს შედგენილ ყმობისგან განთავისუფლების დოკუმენტში. მმას, №05; 2. 1870 წლით დათარიღებულ „ნასყიდობის წერილში“. მმას, №02; 3. 1870 და 1871 წლებით დათარიღებულ „ნასყიდობის წერილებში“. მმას, №01; 4. 1873 წლის 29 სექტემბერს შედგენილ საჩივრის წიგნში. მმას, №06; 5. 1874 წლის 23 მარტს შედგენილ „პირობის წერილში“. მმას, №09; 6. „პირობის წერილში“ (22 იანვარი, 1879 წ.), რომლის მიხედვით სიმონეთელ გლეხს - სპირიდონ ბერიკას ძე ლიკლიკაძეს

ემართა პავლე ლიკლიკაძის ფული - 60 მანეთი. მმას, №11; „პირობის წერილში“ (18 მარტი, 1892 წ.). მმას, №12; 8. 1900 წლის 20 ივლისს შედგენილ „პირობის ხელისწერილში“, რომლის მიხედვით სიმონეთელ მესაკუთრე გლახს სპირიდონ ბერის ძე ლიკლიკაძეს ემართა თანასოფლელ გლახუა ეგნატეს ძე ლიკლიკაძის ვალი - 40 მანეთი. მმას, №13; 9. 1916 წლის 19 იანვარს შედგენილ „ნასყიდობის პირობის ხელისწერილში“. დოკუმენტს ხელს აწერს და სახელმწიფო ბეჭდით ამოწმებს სიმონეთის საზოგადოების მამასახლისი ონისიმე მეფარიძე. მმას, №15; 10. დასახელებულია „ნასყიდობის წერილში“. მმას, №10.

სვიმონეთის საზოგადოება - 2. 1871 წლის აპრილით დათარიღებულ „ნასყიდობის წერილში“. მმას, №01; 3. 1872 წლის 9 ივლისს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“. მმას, №04.

სისონესეული - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1922 წლის 22 აგვისტოთი დათარიღებულ „ფარდის წერილში“ (ძულუხი), №84, 85.

სულორი - მდინარე; 1. 1915 წლის 5 აგვისტოს შედგენილი „ნასყიდობის წერილის“ მიხედვით მდ. სულორი წარმოადგენდა სულორისპირის სამხრეთ საზღვარს (ძულუხი). მმას, №62; 2. 1922 წლის 22 აგვისტოს შედგენილ „ფარდის წერილში“ დასახელებულია „სულორს გაღმა თხმელარის ადგილი, სულორის გაღმა ილაკრის სეული“ (ძულუხი). მმას, №84, 85; 3. 1928 წლის 18 ნოემბერს შედგენილი „განყოფილების ფარდის ხელის წერილის“ მიხედვით მდ. სულორი სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მიწის ნაკვეთებს „სულორის“ სახელწოდებით (ძულუხი). მმას, №83, 86; 4. მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1928 წლის 18 ნოემბერს შედგენილ „ფარდის წერილში“. მმას, №83, 86.

სულორისპირი - 1. ტყე; დამოწმებულია 1883 წლის 4 დეკემბერს შედგენილ „ნასყიდობის პირობაში“, რომლის მიხედვით ძულუხელმა ივანე ხურციძემ თანასოფლელ გიორგი ხურციძეს მიჰყი-

და „გაღმა გამოღმა სულორისპირი და ნასამქედურები“. საზღვრები: აღმოსავლეთით - მყიდველის მიწის ნაკვეთი, დასავლეთით - ლოყნარის ღელე და ფილიპე კიმოთეს ძე დვალიშვილის მიწის ნაკვეთი, სამხრეთით - სანისლია, ჩრდილოეთით - ჯიხურის გორა (ძულუხი). მმას, №58; 2. 1884 წლის 28 იანვარს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“ დასახელებულია „სულორისპირი გაღმა გამოღმა და ნასამქედურები“ (ძულუხი). მმას, №63; 3. ტყე; დამოწმებულია 1884 წლის 23 მარტს შედგენილ საბუთში, რომლის მიხედვით ძულუხელმა გლეხებმა - აფრასიონ რევაზის ძე და გერასიმე გიორგის ძე ხურციძეებმა თანასოფლელ გლეხს - გიორგი ღვთისწყალობის ძე ხურციძეს მიჰყიდეს „საზიარო ტყიანი ადგილი მდებარე სოფელს ძულუხშიდ, სახელდობ სულორისპირი გაღმა-გამოღმა და ნამსაქედურებნი გლეხნის პაატა, ბიჭია, სისანა (?), იესე, რასაპა, გიგო, ილარიონ, ელიზბარ, პეტრე, ივანე, ალექსანდრე, კონსტანტინე ხურციძეებისა“, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ეშმაკის ღელე და გიორგი ხურციძის მიწის ნაკვეთი, დასავლეთით - სიმონ თათვიძის მიწის ნაკვეთი, სამხრეთით - „სანისლიას არდგილის კარჩხალისქვეშ“, ჩრდილოეთით - სასირისგორი. მმას, №39; 4. მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1894 წლის 5 დეკემბერს შედგენილ „პირობის წერილში“, რომლის მიხედვით სალომინაოელმა აზნაურებმა, გვარად ერისთავებმა, ძულუხელ ხურციძეებს მიჰყიდეს მიწის ნაკვეთი სულორისპირი: „...მდებარეებთა ზედ მიკვრით სოფელს ძულუხზედ, სახელდებული სულორისპირი, რომელ ადგილსაც თქვენ ხურციძეები და ხელამე ფლობთ...“ დოკუმენტს ხელს აწერენ ვარდენ და ნესტორ ერისთავები, გორის საზოგადოების მამასახლისი მ. მგელამე. მმას, №38; 5. საყანე; დასახელებულია „ნასყიდობის წერილში“ (28 დეკემბერი, 1897 წ.), რომლის მიხედვით ძულუხელმა ელიზბარ გიორგის ძე ხურციძემ თანასოფლელ ხურციძეებს მიჰყიდა საყანე მიწის ნაკვეთი, სულორისპირის სახელწოდებით. საზღვრები: აღმოსავლეთით - ეშმაკის ღელე, და-

სავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით - ხურციძეების მიწის ნაკვეთები (ძულუხი). მმას, №27; 6. მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1900 წლის 7 მაისს შედგენილ „პირობით ხელისწერილში“. საზღვრები: აღმოსავლეთით - ეშმაკის ღელე, დასავლეთით - დარისპან ხურციძის, სამხრეთით - ფარსია ხურციძის მიწის ნაკვეთები, ჩრდილოეთით - მდ. სულორისწყალი (ძულუხი). მმას, №42; 7. 1915 წლის 5 აგვისტოს შედგენილი „კვიტანციიდან“ ირკვევა, რომ ვენედიკტე (ზაგრატი) ქრისტეფორეს ძე ხურციძემ ფარსადან გიორგის ძე ხურციძისაგან მიიღო 100 მანეთი, გაყიდული მიწის ნაკვეთის - სულორისპირის საზღაურად. კვიტანციას ხელს აწერს რაჟდენ ბასილას ძე ხურციძე; სახელმწიფო ბეჭდის დასმით ამოწმებს უხუთის საზოგადოების მამასახლისი ტარასი ხურციძე. მმას, №31; 8. მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1915 წლის 5 აგვისტოს შედგენილ „ადგილობის ნასყიდობის პირობის წერილში“, რომლის მიხედვით ძულუხელმა ვენედიკტე ხურციძემ თანასოფელელ ფარსადან ხურციძეს მიჰყიდა სულორისპირი, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით - ხურციძეების მიწის ნაკვეთები, სამხრეთით - მდ. სულორი (ძულუხი). მმას, №62.

სულორისწყალი - მდინარე; დამოწმებულია 1900 წლის 7 მაისს შედგენილ საბუთში, რომლის მიხედვით მდ. სულორისწყალი ჩრდილოეთიდან ესაზღვრება სულორისპირს (ძულუხი). მმას, №42.

ტყე - მიწის ნაკვეთი; 1928 წლის 18 ნოემბერს შედგენილი „ფარდის წერილის“ მიხედვით სახელდებული ობიექტი წარმოადგენდა 4500 კვადრატული საჟენს (5 ქცევას), რაც აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ისაზღვრებოდა ხურციძეების მიწის ნაკვეთებით, სამხრეთიდან - ღელეთი (ძულუხი). მმას, №83, 86.

ტყეშავა - საყანე; 1898 წლის 10 იანვარს შედგენილი „ნასყიდობის წერილის“ მიხედვით საპრასიელმა გლეხმა მერაბ ქაიხოსროს ძე

ხურციძემ ძულუხელ გიორგი ღვთისწყალობის ძე ხურციძეს მიჰყიდა ტყეშავა შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ნაწრეტი ღელე და ხურციძეების მიწის ნაკვეთები, დასავლეთით - ბესარიონ როხვაძის, სამხრეთით - ელიზბარ და მიხეილ ხურციძეებისა და სიკო ხელაძის, ჩრდილოეთით - ლაზარე და ბესარიონ როხვაძეების მიწის ნაკვეთები. სახელდებული ობიექტის ფართობი იყო 5 ქცევა; გამყიდველს საფასურად მიუღია 200 მანეთი. დოკუმენტს ხელს აწერენ ივლიანე ხელაძე და უხუთის საზოგადოების მამასახლისი რ. გიორგაძე (ძულუხი). მმას, №79.

ტყეშუა - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1900 წლის 7 მაისს შედგენილ „პირობით ხელისწერილში“, რითაც ირკვევა, რომ ძულუხელმა გლახმა სიმონ გიორგის ძე ხურციძემ თანასოფელ ფარსია გიორგის ძე ხურციძეს მიჰყიდა ტყეშუა, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით მიტროფანე როხვაძის მიწის ნაკვეთი და ნაწრეტი ღელე, დასავლეთით - ღელე და შერაშენიძის მიწის ნაკვეთი, სამხრეთით - პავლე როხვაძის მიწის ნაკვეთი, ჩრდილოეთით - ღელე და მყიდველის მიწის ნაკვეთი (ძულუხი). მმას, №42.

უხუთი - სოფელი; 1. დასახელებულია 1878 წლის 30 სექტემბერს რუსულ ენაზე შედგენილ საბუთში. მმას, №32; 2. 1900 წლის 2 დეკემბერს შედგენილ „აღსრულების ფურცელში“ დამოწმებულია „უხუთის სოფლის სუდი“ და უხუთის მამასახლისი. დოკუმენტს ხელს აწერენ სოფლის მოსამართლეები - ხელაძეები და ჩუბინიძე. მმას, №68; 3. დამოწმებულია 1900 წლის 9 დეკემბერს შედგენილ „აღსრულებით ფურცელში“. მმას, №55; 4. 1900 წლის 16 დეკემბერს შედგენილ „აღსრულებით ფურცელში“ დასახელებულია უხუთის სოფლის მოსამართლეები: „სუდმა განიხილა საქმე ძიებისა გამო ვექილის მამის თვისისა გიორგი ხურციძის, პარმენ ხურციძის, მიტრეფონე როხვაძესთან ფულების თაობაზედ. სუდმა განსაჯა: ფიცით უთხრას გიორგი ხურციძეს მიტროფანე როხვაძემ რომ მას მისი ერთი

თუმანი არ ემართოს და თავისუფალ იქნეს და თუ ასე ვერ შეეცდოს გარდახდეს მიტროფანე როხვაძეს ერთი თუმანი, სასარგებლოდ გიორგი ხურციძის. განჩინება შეასრულოს მამასახლისმა. სუდნი: ა. ხელაძე, ხელაძე, სამსონა ჩუბინიძე“. მმას, №54.

უხუთის თემი - 1. 1922 წლის 22 აგვისტოს შედგენილი „ფარდის წერილის“ სინამდვილეს ხელმოწერითა და სახელმწიფო ბეჭდის დასმით იმავე წლის 5 სექტემბერს ამოწმებს უხუთის თემის აღმასკომის თავმჯდომარე ი. ისაკაძე (?). მმას, №84, 85; 2. დასახელებულია 1923 წლის აპრილით დათარიღებულ „თხოვნაში“. მსჯელობისათვის ვრცლად იხ. **დეალიშვილების თემი**. მმას, №82.

უხუთის საზოგადოება - დამოწმებულია 1884 წლის 23 მარტს შედგენილ ადგილის ნასყიდობის წერილში, რომლის მიხედვით ძულუხი სოფელია ხსენებულ საზოგადოებაში. მმას, №39.

უხუთის საზოგადოება - დასახელებულია „ადგილის მოსყიდვის ხელთწერილში“, რომლის მიხედვით საზოგადოებაში შედიოდა სოფ. ძულუხი. მმას, №35.

„ნასყიდობის წერილში“ (23 მაისი, 1877 წ.). დოკუმენტს ხელს აწერენ: ფილიპე ლომინაძე, ანტონა ხელაძე, მამუკა ჩუბინიძე, როსაპა გიორგაძე, მერაბა ბაჯაძე, ბესარიონ გიორგაძე, უხუთის საზოგადოების მამასახლისი ბიჭია ხურციძე. მმას, № 20; 2. 1881 წლის 5 დეკემბერს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, რასაც ხელს აწერს და ბეჭდის დასმით ამოწმებს საზოგადოების მსაჯული ბასილ მაქსიმეს ძე ხურციძე და მსაჯულობის კანდიდატი კაცია ქარჩხაძე. მმას, №33; 3. 1886 წლის 29 მაისს შედგენილ როხვაძეების „თხოვნაში“. მმას, №43; 4. „კვიტანციაში“ (20 თებერვალი, 1890 წ.), რასაც ხელს აწერს და ბეჭდის დასმით ამოწმებს უხუთის საზოგადოების მამასახლისი სიკო ხელაძე. მმას, №25; 5. „ადგილის ნასყიდობის წერილში“ (7. II. 1892 წ.). ხელს აწერს საზოგადოების მამასახლისი ერმალოზ ენუქიძე. მმას, №26; 6. 1892 წლის 12 ივლისს შედგენილ „კვიტანციაში“, რა-

საც ხელს აწერს და ბეჭდის დასმით ამოწმებს უხუთის საზოგადოების მამასახლისი ერმალოზ ენუქიძე. მმას, №23; 7. „ნასყიდობის წერილში“ (12. VII. 1892 წ.). მსჯელობისათვის იხ. **იასებური**. მმას, №30; 8. 1896 წლის 8 მაისს შედგენილ „კვიტანციაში“, რასაც ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ამოწმებს უხუთის საზოგადოების მამასახლისი რ. გიორგაძე. მმას, №22; 9. 1898 წლის 10 იანვარს შედგენილ „კვიტანციაში“, რასაც ხელს აწერს და ბეჭდის დასმით ამოწმებს საზოგადოების მამასახლისი როსტომ გიორგაძე. უხუთის საზოგადოებაში შედიოდა სოფლები - საპრასია და ძულუხი. მმას, №34. 10. „კვიტანციაში“ (5. VIII. 1915 წ.), რასაც ბეჭდის დასმით ამოწმებს საზოგადოების მამასახლისი ტარასი ხურციძე. მმას, №31; 11. 1919 წლის 14 ივნისს შედგენილ „კვიტანციაში“, რასაც ხელს აწერს უხუთის საზოგადოების საზოგადოების კომისარი პ. ხურციძე. იქვე დასახელებულია უხუთის საზოგადოების ვექილები - ილარიონ გიორგაძე, პარმენ ხურციძე და გერმანე ბიბიჩაძე. მმას, №21.

ქუთაისი - ქალაქი; 1. 1901 წლის 24 თებერვალს რუსულ ენაზე შედგენილ დოკუმენტში დასახელებულია ქუთაისის „ოკრუგი“. მმას, №70; 2. 1923 წლის აპრილს შედგენილ „თხოვნაში“ დასახელებულია ქუთაისის მიწათმოქმედების განყოფილება. მმას, №82.

შაშვეთა/საგვალავა - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1911 წლის 20 თებერვალს შედგენილ „პირობის წერილში“, რითაც ირკვევა, რომ ისრითელმა ბიკტორ ერემიას ძე ლორთქმანიძემ ძულუხელ ფარსადან და პარმენ გიორგის ძე ხურციძეებს საისრითო ჭალაში მიჰყიდა მიწის ნაკვეთი შაშვეთა, იგივე საგვალავა. საბუთს მოწმის სტატუსით ხელს აწერენ ნიკო და ნიკიფორე ლორთქმანიძეები (ისრითი). მმას, №41.

შაშხაფი - მდინარე; 1928 წლის 18 ნოემბერს შედგენილი „ფარდის წერილის“ მიხედვით მდ. შაშხაფი სამხრეთიდან ესაზღვრება გაბინეურის ტყეს (ძულუხი). მმას, №83, 86.

ცინაყური - ტყე; დამოწმებულია 1902 წლის 3 იანვარს შედგენილ „პირობაში“; 5 ქცევა ისაზღვრებოდა ბელთაძეთა და ორმოცაძეთა მიწის ნაკვეთებით. დოკუმენტის მიხედვით „ცინაყურის ტყიანი ადგილის ნახევრის მესამედი მოგვიდე რაც მოვა ზომაშიდ“ (ონჯოხეთი). მმას, №87.

ცისკარაულას ღელე - ღელე; 1902 წლის 3 იანვარს შედგენილ „პირობაში“ დასახელებულია, როგორც აღმოსავლეთი საზღვარი ნახევისა (ონჯოხეთი). მმას, №87.

ციცხვი - სახნავი ისრითის ჭალაში; დამოწმებულია 1920 წლის 21 მარტს შედგენილ „ფარდის წერილში“ (ძულუხი). მმას, №65, 66.

ცხილარი - მიწის ნაკვეთი, რაც მდებარეობდა „წისქვილის გაღმა, ერთი ნაჭერი. დარისპან ხურციძის ზიარი“. დამოწმებულია 1922 წლის 22 აგვისტოს შედგენილ „ფარდის წერილში“ (ძულუხი). მმას, №84, 85.

ძულუხი - სოფელი; დასახელებულია 40-ზე მეტ დოკუმენტში:

1. 1877 წლის 23 მაისს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, რომლის მიხედვით უხუთის საზოგადოების სოფ. ძულუხში მცხოვრებმა შაქარა ღვთისწყალობის ძე ხურციძემ და მისმა შვილმა დიმიტრიმ გიორგი ღვთისწყალობის ძე ხურციძეს მიჰყიდა მიწის ნაკვეთი. მმას, №20;
2. 1879 წლის 22 დეკემბერს რუსულ ენაზე შედგენილ დოკუმენტში. მმას, №53;
3. 1880 წლის 8 აპრილს შედგენილ „პირობის წერილში“. მმას, №80;
4. 1880 წლის 25 სექტემბერს შედგენილ „პირობის წერილში“. მმას, №67;
5. 1880 წლის 8 დეკემბერს შედგენილ „პირობის ხელის წერილში“. მმას, №40;
6. „ადგილის მოსყიდვის ხელთწერილში“ (2 თებერვალი, 1881 წ.) დასახლებულია ძულუხელი გლეხები - ბესარიონ გლახუას ძე როხუაძე და გიორგი ხუთისწყალობის ძე ხურციძე. მმას, №35;
7. 1882 წლის 11 ივნისს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“. მმას, №77;
8. 1882 წლის 14 მარტს შედგენილ „ნასყიდობის პირობის წერილში“. მმას, №71;
9. 1882 წლის 27 ივნისს შედგე-

ნილ „ნასყიდობის პირობაში“. მმას, №59; 10. 1883 წლის 13 იანვარს შედგენილ „ნასყიდობის პირობაში“. მმას, №48; 11. 1883 წლის 6 მაისს შედგენილ „პირობის ხელის წერილში“. მმას, №46; 12. 1883 წლის 4 დეკემბერს შედგენილ „ნასყიდობის პირობაში“. მმას, №58; 13. 1884 წლის 28 იანვარს შედგენილ „ნასყიდობის პირობაში“. მმას, №63; 14. ადგილის ნასყიდობის წერილში (23 მარტი, 1884 წ.); 15. 1886 წლის 10 აპრილს შედგენილ „პირობაში“. მმას, №60; 16. 1886 წლის 24 მაისს შედგენილ „პირობის ხელწერილში“, რომლის მიხედვით ძულუხელმა როხვაძეებმა მიწის ნაკვეთი მიჰყიდეს თანასოფლელ ხურციძეს. მმას, №51; 17. 1888 წლის 24 მარტს შედგენილ „პირობაში“. მმას, №44; 18. 1888 წლის 24 მარტს შედგენილ „პირობის წერილში“. მმას, №72; 19. 1888 წლის 13 აპრილს შედგენილ ხელწერილში, რომლის მიხედვით უხუთის საზოგადოების სოფ. ძულუხში მცხოვრებმა ოსე დიმიტრის ძე და გერასიმე ლაზარეს ძე ხელაძეებმა თანასოფლელ გიორგი ხვთისწყალობის ძე ხურციძეს მისცეს კუთვნილი სასაფლაო მიწა ძულუხის წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში. მმას, №29; 20. 1890 წლის 20 თებერვალს შედგენილ „კვიტანციაში“. მმას, №25; 21. 1891 წლის 19 სექტემბერს რუსულ ენაზე შედგენილ დოკუმენტში. მმას, №49; 22. „ადგილის ნასყიდობის წერილში“ (7. II. 1892 წ.). მმას, №26; 23. 1892 წლის 12 ივლისს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“. მმას, №30; 24. 1893 წლის 18 სექტემბერს შედგენილ „პირობაში“ დასახელებულია ძულუხელი გლეხი გიორგი ღვთისწყალობის ძე ხურციძე, რომლის ვალიც ემართა რომანეთელ პავლე ბაქარას ძე ხელაძეს. დოკუმენტს ხელს აწერენ: ივლიანე ხელაძე, უხუთის საზოგადოების სოფლის მოსამართლეები - მ. კაპანაძე, ვ. მეფარიშვილი და ივლიანე ვაშაყმაძე. მმას, №45; 25. 1894 წლის 5 დეკემბერს შედგენილ „პირობის წერილში“. მმას, №38; 26. 1894 წლის 5 დეკემბერს შედგენილ „პირობის წერილში“ დასახელებულია ძულუხელი გიორგი ღვთისწყალობის ძე ხურციძე. მმას, №74; 27. 1896 წლის 8 მაისს შედ-

გენილ „კვიტანციაში“. მმას, №22; 28. 1896 წლის 28 მაისს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“. მმას, №81; 29. 1898 წლის 10 იანვარს შედგენილ „კვიტანციაში“. მმას, №34; 30. 1898 წლის 10 იანვარს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“. მმას, №79; 31. „პირობის ხელის წერილში“ (14 მაისი, 1898 წ.). მმას, №61; 32. 1898 წლის 14 მაისს შედგენილი „კვიტანციით“ ირკვევა, რომ ძულუხელმა ბასილ ბიჭიას ძე ხურციძემ ფარსადან, დარისპან და პარმენ ხურციძეებისაგან გაყიდული მიწის საფასურად მიიღო 60 მანეთი. მმას, №75; 33. 1899 წლის 21 მარტს შედგენილ „ნასყიდობის ხელისწერილში“. მმას, №50; 34. „პირობის ხელის წერილში“ (7 მაისი, 1900 წ.). მმას, №42; 35. 1902 წლის 5 აპრილს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“. მმას, №56; 36. „პირობის ხელის წერილში“ (20 თებერვალი 1911 წ.) მმას, №41; 37. 1915 წლის 5 აგვისტოს შედგენილ „ადგილის ნასყიდობის პირობის წერილში“. მმას, №62; 38. 1916 წელს რუსულ ენაზე შედგენილ დოკუმენტში («Вводный листь»). მმას, №52; 39. 1917 წლის 26 მაისს დაწერილ საბუთში. მსჯელობისათვის იხ. **ბზვანი**. მმას, №28; 40. „ფარდის წერილში“ (21 მარტი, 1920 წ.). მმას, №65, 66; 41. 1922 წლის 22 აგვისტოს შედგენილ „ფარდის წერილში“. მმას, №84, 85; 42. 1923 წლის აპრილით დათარიღებულ „თხოვნაში“ დამოწმებულია როგორც უხუთის თემში შემავალი სოფელი. ვრცლად იხ. **დვალიშვილების თემი**. მმას, №82; 43. „განყოფილების ფარდის ხელის წერილში“ (18 ნოემბერი 1928 წ.) დამოწმებულია როგორც დვალიშვილების თემში შემავალი სოფელი. მმას, №83, 86.

ძულუხის წმინდა გიორგის ეკლესია - ეკლესია; დასახელებულია 1888 წლის 13 აპრილს შედგენილ ხელწერილში. მმას. №29.

წვეთიას ღელე - ღელე; 1. 1882 წლის 11 ივნისს შედგენილი „ნასყიდობის წერილის“ მიხედვით წვეთიას ღელე სამხრეთიდან ესაზღვრება იასებურს. მმას, №77; 2. დამოწმებულია 1883 წლის 6 მაისს შედგენილ „პირობითი ხელის წერილის“, მიხედვითაც ხსენებუ-

ლი ღელე სამხრეთიდან ესაზღვრებოდა იასებურს. დოკუმენტს ხელს აწერენ: მალხაზ პეტრეს ძე მიგრაშვილი, სესია ბაჯაძე, ალექსი ხურციძე და გრიგორ გიორგაძე (ძულუხი). მმას, №46.

წყაროსთავი - მიწის ნაკვეთი; იგივე **ზაქარა** (იხ.) მმას, №90.

წყაროსთავი - იგივე **გვრიტის ლაშე** (იხ.)

წყაროსღელე - ღელე; აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა იასე-ბურს და უერთდებოდა ნაწრეტ ღელეს. მსჯელობისათვის იხ. **იასე-ბური** (ძულუხი) მმას, №33.

წყლისპირი - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1922 წლის 22 აგვისტოს შედგენილ „ფარდის წერილში“ (ძულუხი) მმას, №84, 85.

ჭადოულა//ნამოსახლი - 1. მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1909 წლის 3 მარტს შედგენილ „კვიტანციაში“, რომლის მიხედვით ივლიანე აბრამალაძემ ბესარიონ პავლეს ძე აბრამალაძეს მიჰყიდა ჭადოულა და საფასურად მიიღო 800 მანეთი (გორა). მმას, №94; 2. მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1909 წლის 3 მარტს შედგენილ „ადგილის ნაყიდობით პირობით ხელისწერილში“ (გორა). მმას, № 95; 3. საყანე; 1918 წლის 25 აპრილს შედგენილ „მოცვლილობის პირობის ხელის წერილში“, რომლის მიხედვით სოფ. გორაში მცხოვრებმა ბესარიონ პავლეს ძე აბრამალაძემ და პროკოფი (ბიჭიკო), ნიკოლოზ და მიხეილ ბეხუს ძე გოცირიძეებმა ერთმანეთში გაცვალეს საყანე ჭადოულას სახელწოდებით. საზღვრები: აღმოსავლეთით და სამხრეთით - გოცირიძეების, დასავლეთით - ბიბიჩაძეებისა და ჩხოზაძეების მიწის ნაკვეთები. ფართობი: 3050 კვ. საჟენი (გორა). მმას, №93.

ჭალა - 1. ეზო; 1902 წლის 3 იანვარს შედგენილი „პირობის“ მიხედვით ონჯოხეთელმა ნესტორ გიორგის ძე ორმოცაძემ თანასოფელელ გლეხებს - მინა ბასილაძეს და ბესარიონ და ალუმბა მიქელის ძე ორმოცაძეებს მიჰყიდა „ეზოს ადგილი „ჭალა“, ზომით ერთი ქცევა და ნახევარი“, რაც ოთხივე მხრიდან ისაზღვრებოდა ნიკოლოზ, ბესარიონ და ფილიპე ორმოცაძეების მიწის ნაკვეთებით (ონჯოხეთი).

მმას, №87; 2. საყანე ისრითის დაჩაში; დამოწმებულია 1922 წლის 22 აგვისტოს შედგენილ „ფარდის ხელწერილში“ (ძულუხი). მმას, №84, 85; 3. საყანე; დამოწმებულია 1928 წლის 18 ნოემბერს შედგენილ „ფარდის წერილში“. საზღვრები: აღმოსავლეთით - გზა, დასავლეთით - ექვთიმე ბაქრაძისა და ეზეკია ნარჩემაშვილის, სამხრეთით - სტეფანე ხონელიძის, ჩრდილოეთით - ანაპოლისტე ბუაძისა და პროკოფი ლომიძის მიწის ნაკვეთები (ძულუხი). მმას, №83, 86.

ჭალის საეზოვე ადგილი - დასახელებულია 1919 წლის 1 ოქტომბერს შედგენილ დოკუმენტში. საზღვრები: აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით - ილია მაღლაკელიძის მიწის ნაკვეთები, დასავლეთით და სამხრეთით - გზები (დიხაშხო). მმას, №37.

ჭდოულეი - სასაფლაო; დამოწმებულია „ადგილის მოცვლის პირობის ხელისწერილში“ (18 იანვარი, 1926 წ.), რომლის მიხედვით ს. გორაში მცხოვრებმა ალექსანდრე თემრაზის ძე და ალექსანდრე იესეს ძე ხურციძეებმა, იასონ ზურაბის ძე მოდებამემ და მიხაილ ლვარსაბის ძე შენგელიამ თანასოფლელ ალექსანდრე ბესარიონის ძე აბრამალაძეს გაუცვალეს „სასაფლაო გორას თემისა და სოფელს გორაში მცხოვრების მინის სექციის თანდასწრებით ვლადიმერ ჩიჩაბაძისა და სევერიანე ეტიფანეს ძე აბრამალაძის, ვინაიდან სასაფლაოს მეორე ნაკვეთი ადგილი იყო დაშორებული სასაფლაოზედ. ეს მეორე ნაკვეთი ადგილი... სახელწოდებული ჭდოულეთ“, მოქცეული იყო შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ნაწრეტი ღელე, სამხრეთით - დავით აბრამალაძის, ჩრდილოეთით - ბაგრატ ცერცვაძის მიწის ნაკვეთები; ფართობი 990 კვ. საჟენი. ამის სანაცვლოდ ალექსანდრე აბრამალაძემ ხსენებულ პირებს დაუთმო სასაფლაო „სახელწოდებულ იგივე ჭდოულეთ“, 594 კვ. საჟენი. დოკუმენტს ხელს აწერენ: იასონ მოდებამე და ალექსანდრე ხურციძე (გორა). მმას, №92.

ჭერეხები - ტყე; დასახელებულია „პირობის წერილში“ (16 მაისი, 1885 წ.). ზომა 0,5 ეკევა; საზღვრები: აღმოსავლეთით - ბოჭორიმ-

ვილისა და ლიკლიკადის, დასავლეთით - თომა ლიკლიკადის, სამხრეთით - ივანე და არსენა ლიკლიკაძეების, ჩრდილოეთით - გლახუა ლიკლიკადის მიწის ნაკვეთები. საბუთს ხელს აწერენ სიმონეთის მსაჯულები: ალექსი ბუილი, სპირიდონ სულამანიძე და ივანე არაბიძე (სიმონეთი). მმას, №10.

ჭიტოური - „უმამულო ადგილი“; დამოწმებულია 1902 წლის 3 იანვარს შედგენილ „პირობაში“; 1 ქცევა; ისაზღვრებოდა ორმოცაძეთა მიწის ნაკვეთებით (ონჯოხეთი) მმას, №87.

ხასაბოული - ტყე; დამოწმებულია 1916 წლის 20 იანვარს შედგენილ „ნასყიდობის ხელის წერილში“, რომლის მიხედვით ბზვანელმა სიმონ მიქელის ძე ხანთაძემ თანასოფლელ აზნაურს - გალაქტიონ ივანეს ძე საკანდელიძეს მიჰყიდა ხასაბოული. ზომა: 1 ქცევა და 10 კვალი; საზღვრები: აღმოსავლეთით - ღელე, დასავლეთით და სამხრეთით - ხანთაძეების, ჩრდილოეთით - ბუხაიძის მიწის ნაკვეთები (ბზვანი) მმას, №91.

ხოკორეული - 1. ტყე; დამოწმებულია 1882 წლის 14 მარტს შედგენილ „ნასყიდობის ხელის წერილში“, რომლის მიხედვით ძულუხელმა ილარიონ გლახუას ძე ხურციძემ თანასოფლელ გიორგი ღვთისწყალობის ძე ხურციძეს მიჰყიდა 0,5 ქცევა ტყიანი ადგილი ხოკორეული, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით და დასავლეთით - გამყიდველის, სამხრეთით - ექვთიმე ლაზარეს ძე ხელაძის მიწის ნაკვეთები, ჩრდილოეთით - კორბოულას ღელე (ძულუხი). მმას, №71; 2. მიწის ნაკვეთი, „მამულიანი ადგილი“; დამოწმებულია 1886 წლის 24 მაისს შედგენილ „პირობის ხელწერილში“. ძულუხელ გლეხებს - ბესარიონ გლახუას ძე, სიმონ და ნესტორ ბესარიონის ძე როხვაძეებს სახელდებული ობიექტი მიუყიდათ თანასოფლელ გიორგი ღვთისწყალობის ძე ხურციძისათვის. მოცემულია საზღვრებიც: აღმოსავლეთით - ლაზარე როხვაძის, დასავლეთით - სისონა ხურციძის, სამხრეთით - როსაპა და იესე ხურციძეების, ჩრდილოე-

თით - ბესარიონ როხვაძის მიწის ნაკვეთები. დოკუმენტს ხელს აწერენ: მალხაზ პეტრეს ძე მიგრაშვილი, სესია ბაჯაძე, ალექსი ხელაძე და გრიგორ გიორგაძე (ძულუხი). მმას, №51.

ჯვარისერი - 1. მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1910 წლის 15 აგვისტოს შედგენილ „ნასყიდობის პირობაში“, რომლის მიხედვით დიხაშხოელმა მიტო მახარობლის ძე ერემეიშვილმა თანასოფლელ მართა ერემეიშვილს, მაღლაკელიძის მეუღლეს, მიჰყიდა სახელდებული ობიექტი (405 კვადრატული საჟენი) საზღვრებში: აღმოსავლეთით - მიტო ერემეიშვილის, სამხრეთით - ჩიჯავაძის, ჩრდილოეთით - თადაოზ ერემეიშვილის ობლების მიწის ნაკვეთები, დასავლეთით - თომა საღარეიშვილის მიწის ნაკვეთი და გზა (დიხაშხო) მმას, №88; 2. მიწის ნაკვეთი; „ზომით ექვსასი ოთხკუთხედი საჟენი, ტყე ჯვარის სერისა ერთი ქცევა“; დამოწმებულია 1922 წლის 22 აგვისტოს შედგენილ „ფარდის წერილში“ (ძულუხი). მმას, №84, 85.

ჯვარის სერი - მიწის ნაკვეთი; მოიხსენიება 1919 წლის 1 ოქტომბერს შედგენილ დოკუმენტში, რომლის მიხედვით დიხაშხოელმა მაღლაკელიძეებმა ძულუხელ ხურციძეებს მიჰყიდეს მიწის ორი ნაკვეთი დიხაშხოში - ეწერი და ჯვარის სერი: „მეორე ნაჭერი ადგილი სახელწოდებული ჯვარის სერი ნაყანები, თავის ღობიანათ და შიდ მყოფი ხეხილებით, ზომით მაგალითებრ ექვსასი კვადრატნი საჟენი, სამზღვრებთა შორს: აღმოსავლეთით გზა და მიხეილ მაღლაკელიძე, დასავლეთით ილია მაღლაკელიძე, სამხრეთით გზა და ჩრდილოეთით ისიდორე და ივანე მაღლაკელიძე“ (დიხაშხო). მმას, №37.

ჯვარისწერი - მინდორი, ტყე; დამოწმებულია 1911 წლის 27 მარტს შედგენილ „მიწის ნასყიდობის პირობაში“, რომლის მიხედვით ისრითელმა თავადებმა - კონსტანტინე და ანდრო ნიკოლოზის ძე ჩიჯავაძეებმა თანასოფლელ გლეხებს - ივანე ილარიონის ძე და დავით სოფრომის ძე შენგელიებს, ივანე დარისპანის ძე მაღლაკელიძეს მიჰყიდეს ჯვარისწერი (2, 5 ქცევა) (დიხაშხო). მმას, №89.

ჯიხურის გორა - 1. დამოწმებულია „ნასყიდობის პირობაში“ (4 დეკემბერი, 1883 წ.), რომლის მიხედვით სახელდებული ობიექტი ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა სულორისპირს (ძულუხი) მმას, №58; 2. „ნასყიდობის წერილში“ (28 იანვარი, 1884 წ.), რომლის მიხედვითაც ჯიხურის გორა სულორისპირის ჩრდილოეთი საზღვარია (ძულუხი). მმას, №63.

საჩხერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერები

აბაშიძეების ტყე - 1906 წლის 19 ოქტომბერს შედგენილი „ნასყიდობის წერილში“ კაპნარის ერთ-ერთ საზღვრად მითითებულია აბაშიძეების ტყე (ეთო). სმმ, №26/01-79; A 3/01.

ამოსახვევი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1890 წლის შედგენილ დოკუმენტში, რომლის მიხედვით სახელდებული ობიექტი მდებარეობდა სააბაშიოში (ეთო). სმმ, №26/15-79; A 3/15.

ახოსბოლო - მიწის ნაკვეთი; 1916 წლის 20 ივლისს შედგენილი დოკუმენტის მიხედვით კორბოულში მცხოვრებმა გლეხმა ბასილა პაპუნას ძე მაჭარაშვილმა იმავე სოფელში მცხოვრებ პორფილე, მალაქია და სამსონ ამირანის ძე მაჭარაშვილებს მიჰყიდა მიწის ნაკვეთი „ახოსბოლოს“ სახელწოდებით (კორბოული). სმმ, №45/5; A 5/05.

ბალა - სოფელი; დასახელებულია 1909 წელს შედგენილ საბუთში. სმმ, №26/11-79; A3/11.

ბახიოთი - სოფელი; დასახელებულია „ნასყიდობის წერილში“ (14 ივნისი, 1916 წ.). სმმ, №A -7/01.

ბერების საწისქვილო - იხ. აქვე ბერების წისქვილი.

ბერების წისქვილი - დასახელებულია „ნასყიდობის წერილში“ (27 აპრილი, 1908 წ.), რომლის მიხედვით აზნაურ ნიკოლოზ სვიმონის ძე გოდაბრელიძისგან სპირიდონ გელბახიანის მიერ ნაყიდ მიწის ნაკვეთს დასავლეთით ესაზღვრებოდა ბერების წისქვილი, სამხრეთიდან - ბერების საწისქვილო (კალვათა). სმმ, №4/01.

გარემო - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1914 წლის 20 ნოემბერს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, რომლის მიხედვით ჭორვილელმა გიორგა გაბრიელის ძე და იობი გიორგის ძე ჭედლიშვილებმა თანასოფლელ ბაგრატ არჩილის ძე ჭედლიშვილს მიჰყიდეს მიწის ნაკვეთი „გარემო“, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - სასოფლო გზა, დასავლეთით - მიწის გამყიდველთა, ჩრდილოეთით - სამსონა ჭედლიშვილის, სამხრეთით - დავით ჭედლიშვილის მიწის ნაკვეთები (ჭორვილა). სმმ, №A-06.

გორაძირი - სოფელი (?); 1910 წლის 30 მაისს შედგენილი საბუთის მიხედვით კორბოულელმა გლეხებმა საკუთარი ნებით ურთიერთშორის გაიყვეს მიწები. საზღვრებად დასახელებულია მაჭარაშვილის, კილაძის, შეყლაშვილის, შავაძის მიწის ნაკვეთები, გორაძირის ტერიტორია და საღორათხევის მიწა და ტყე. სმმ, №15; A-5/01.

დუნთა - სოფელი; დასახელებულია 1. „დროებით თავდახსნის სიგელში“ (1868 წ.), რომლის მიხედვით მაია აგიაშვილის გლეხს - დათუა ბულაძეს ყმობისგან თავი დაუხსნია. სმმ, №16/3-79; A 2/01; 2. 1887 წლის 22 ივნისს „ფარდის წერილში“, რომლის მიხედვით დუნთაში მცხოვრებმა გლეხებმა - დათუა, ოსია და მაქსიმე ბულაძეებმა მედიატორების თანდასწრებით გაიყვეს სამოსახლო და მოძრავი ქონება. სმმ, №16/4; A-2/02; 3. 1905 წლის 11 ივლისს შედგენილ საბუთში. სმმ, №16/5; A-2/03.

ეთო - სოფელი; დასახელებულია 2. 1890 წლით დათარიღებულ დოკუმენტში. სმმ, №26/15-79; A-3/15; 3. 1901 წლის 21 აპრილს შედგენილ დოკუმენტში. მსჯელობისათვის იხ. **ეხვევი**. სმმ, №26/8-

79; A3/08; 4. დასახელებულია 1906 წლის 7 მაისს შედგენილ საბუთში. სმმ, №26/2-79; A-3/02; 5. 1912 წლის 16 იანვარს შედგენილი სააქტო ქაღალდის მიხედვით აზნაურ როსტომ იოსების ძე იაშვილისაგან მიწა შეიძინეს ამტონა, სოსია და დავით სისოს ძე ქველაძეებმა. სმმ, №26/3-79; A-3/03; 6. 1912 წლის 16 მარტს შედგენილ საბუთში. სმმ, №26/3-79; A-3/03; დასახელებულია 7. 1915 წლის 31 მარტს შედგენილ დოკუმენტში, რომლის მიხედვით სოფ. ეთოში მცხოვრებმა ბიჭია და ამბაკო ოქროპირის ძე ქველაძეებმა 20 მანეთი ისესხეს ყარამან ამტონის ძე ქველაძისაგან (ეთო) სმმ, №26/12-79; A-12; 8. 1916 წლის 2 ოქტომბერს შედგენილ საბუთში. სმმ, №26/4; A-3/4.

ეხვევი - სოფელი; დასახელებულია 1. 1896 წლის 21 სექტემბერს შედგენილ საბუთში, რომლის მიხედვით ეხვეველმა გლეხმა გიორგი თედორეს ძე გიორგაძემ 100 მანეთი ისესხა ეთოში მცხოვრები ნიკო, ივანე და ანტონ ქველაძეებისაგან. სმმ, №26/5-79; A-3/05; 2. 1900 წლის 12 აგვისტოს შედგენილ დოკუმენტში ეხვევი მცხოვრებმა სვიმონ კიკოს ძე გიორგაძემ 20 მანეთი ისესხა სოფ. ეთოში მცხოვრებია ანტონ სისოს ძე ქველაძისგან. 3. 1901 წლის 21 აპრილს შედგენილ დოკუმენტში, რომლის მიხედვით ეხვევი მცხოვრებმა გლეხმა ბესარიონ ივანეს ძე გიორგაძემ ეთოში მცხოვრებ ანტონ სისოს ძე ქველაძისგან ისესხა 80 მანეთი ვერცხლის ფული. სმმ, № 26/8-79; A-3/08.

ეხეურას დელე - დელე; დასახელებულია 1890 წელს შედგენილ დოკუმენტში (ეთო). სმმ, №26/15-79; A-3/15.

თელას მიწა - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ნასყიდობის წერილში„ (14 ივნისი, 1916 წ.), რომლის მიხედვით ბახიოთში მცხოვრებმა რევაზ გიგოს ძე ნაბოლაშვილმა კორბოულში მცხოვრებ მოსელაზარეს ძე მაჭარაშვილს მიჰყიდა მიწის ნაკვეთი „თელისმიწა“. საზღვრები: აღმოსავლეთით - ბესია ნაბოლაშვილის, დასავლეთით - დომენტი მაჭარაშვილის, სამხრეთით - ფასიკ ნაბოლაშვილის, ჩრდი-

ლოეთით - თვით რევაზ ნაბოლაშვილის მიწის ნაკვეთები (ბახიოთი). სმმ, №A-7/91.

თხილარი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1917 წლის 20 თებერვლით დათარიღებულ „ნასყიდობის წერილში“, რომლის მიხედვით კორბოულელმა გლეხმა სიმონ ფიროსმანის ძე მეგრელიშვილმა თანასოფლელ მოსე ლაზარეს ძე მაჭარაშვილს მიჰყიდა „თხილარის მიწა“, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - სოლომონ სამსონის ძე კილაძის, დასავლეთით - ვასილ დავითის ძე მაჭარაშვილის, ჩრდილოეთით - სოსია ივანეს ძე კილაძის მიწის ნაკვეთები, სამხრეთით - გზა (კორბოული). სმმ, №A-7/02.

ისლარი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1920 წლის 15 მარტს შედგენილ საბუთში, რომლის მიხედვით საირხეში მცხოვრებმა ალექსანდრე ივანეს ძე ლაშხმა დუნთაში მცხოვრებ სიმონ დავითის ძე და ვასილ მაქსიმეს ძე ბუღაძეებს მიჰყიდა მიწის ნაკვეთი „ისლარი“. საზღვრებად მითითებულია: აღმოსავლეთით - ირაკლი წერეთლის მემკვიდრეების სახნავი მიწა, დასავლეთით - ნადეჟდა შამშეს ასული აბაშიძის, სამხრეთით - ბეჟან წერეთლის მემკვიდრეებისა და სიმონ ზობახიძის მიწის ნაკვეთები. ჩრდილოეთით - როსტომ გრიგოლის ძე წერეთლის მიწის ნაკვეთი (საჩხერე). სმმ, №16/6; A-2/04.

კალვათა - დასახელებულია 1. 1908 წლის 27 აპრილს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, რომლის მიხედვით კალვათელმა ნიკოლოზ გოდაბრელიძემ მიწის ნაკვეთი მიჰყიდა სპირიდონ გელბახიანს. სმმ, №A4/01; 2. 1919 წლის 1 ივლისს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“. სმმ, №A4/01; 3. 1920 წლის 15 აპრილს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“. სმმ, №A4/03; 4. 1920 წლის 23 აპრილს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“. სმმ, №A4/02.

კაპნარი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1906 წლის 19 ოქტომბერს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, რომლის მიხედვით

სოფ. ჭალაში მცხოვრებმა აზნაურმა ივანე გედევანის ძე აბაშიძემ გლეხ ანტონ ქველაძეს მიჰყიდა „კაპნარი“ ჭალის მთაში. საზღვრებად მითითებულია მაშოს დეღე, აბაშიძეების ტყე და სამხრეთით - მდ. ძირულა (ეთო). სმმ, №26/01-79; A3/01.

კორბოული - 1. 1914 წლით დათარიღებულ სააქტო ქაღალდში დასახელებულია კორბოულელი გლეხები: გიორგი კიკოლას ძე კაპანაძე, პორფილე, სამსონა და მალაქია ამირანის ძე მაჭარაშვილები. სმმ, №45/2-79; A5/02; 2. დასახელებულია 1915 წლის 9 ოქტომბერს შედგენილ საბუთში. სმმ, №A-5/04; 3. დასახელებულია 1916 წლის 14 ივნისს დათარიღებული „ნასყიდობის წერილში“. სმმ, №A-7/01; 4. დასახელებულია „ნასყიდობის წერილში“ (20 თებერვალი, 1917 წ.) სმმ, №A-7/02. 5. 1919 წლის 4 ნოემბერს შედგენილი საბუთის მიხედვით სოფ. კორბოულში მცხოვრებმა გიორგი საზარელის ძე მაჭარაშვილმა პორფილე, მალაქია და სამსონ მაჭარაშვილებისგან ისესხა 10000 მანეთი. სმმ, №45/6; A-5/06.

კუდიგზა - დასახელებულია 1905 წლის 11 ივლისს შედგენილ საბუთში: „გარდა ამისა, რომელზედაც გზა გადადის დელის თავზე, იმ გზას ქვეშ კუდიგზიდან ძირს დელემდის...“ (დუნთა). სმმ, №16/15; A-2/03.

ლაშის წისქვილი - წისქვილი; დასახელებულია 1915 წლის 9 ოქტომბერს შედგენილ საბუთში, რომლის მიხედვით კორბოულში მცხოვრებმა პორფილე, მალაქია და სამსონ ამირანის ძე მაჭარაშვილებმა იყიდეს წისქვილი და საწისქვილე ადგილის მეხუთედი. ერთ თუმნად, სახელწოდებით „ლაშის წისქვილი“. ისაზღვრებოდა მაჭარაშვილების მიწის ნაკვეთებით. სმმ, №A-5/04.

ლაშურა - დეღე; იხ. შალაური.

ლაშურის დეღე - დეღე; დასახელებულია „ნასყიდობის წერილში“ (15 აპრილი, 1920 წ.), რომლის მიხედვით შალაურელი აბ-

დუშელიშვილების მიწის ნაკვეთს აღმოსავლეთით ლაშურის დეღე ესაზღვრებოდა (შალაური). სმმ, №A-4/03.

მაშოს დეღე - დეღე; 1906 წლის 19 ოქტომბერს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“ კაპნარის ერთ-ერთ საზღვრად მითითებულია მაშოს დეღე (ეთო). სმმ, №26-01-79; A3-01.

მეტეხი - სოფელი; დასახელებულია 1909 წელს შედგენილ საბუთში. სმმ, №26/11-79; A3/11.

ნამარნი - ვენახი; დასახელებულია „ნასყიდობის წერილში“ (14. X. 1915 წ.), რომლის მიხედვით ჭორვილელმა ფარსადან და საშა ჭედლიშვილებმა ბაგრატ არჩილის ძე ჭედლიშვილს მიჰყიდეს ვენახი, სახელწოდებით - ნამარნი. საზღვრები: სამხრეთით და აღმოსავლეთით - ვასილ და ნინა წიქვაძეების ვენახი, დასავლეთით - მერაბა და ივანე ჭედლიშვილების, ჩრდილოეთით - პავლე ჭედლიშვილის მიწის ნაკვეთები (ჭორვილა). სმმ, №A-8/01.

ნასელარი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1916 წლის 2 ოქტომბერს შედგენილ დოკუმენტში, რომლის მიხედვით საირხეში მცხოვრებმა აზნაურმა ციმაკურიძემ ეთოში მცხოვრებ გლახს - ყარამან ანტონის ძე ქველაძეს მიჰყიდა სახნავი მიწა ნასელარი (ეთო). სმმ, №26/4; A-3/04.

საბაშიო მამული - დასახელებულია 1890 წლით დათარიღებული დოკუმენტის მიხედვით ლუარსაბ ბეჟანის ძე იაშვილმა ეთოში მცხოვრებ ყმებს - გლახუა პეტრეს ძე, ანტონ სოსიას ძე... ქველაძეებს მისცა უფლება, რომ ესარგებლათ საბაშიო მამულით, ერთი წლის მანძილზე (ეთო). სმმ, №26/15-79; A-3/15.

საახოვე - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1883 წლის მარტს შედგენილ დოკუმენტში, რომლის მიხედვით სვიმონ იოსების ძე აბაშიძემ მიწის ნაკვეთი „საახოვეს“ სახელწოდებით გადასცა ქველაძეებს, რაც მდებარეობდა ძირულის ნაპირას. სმმ, №26/14-79; A-3/14.

საირხე - სოფელი; 1. 1916 წლის 2 ოქტომბერს შედგენილი დოკუმენტის მიხედვით საირხელმა აზნაურმა ციმაკურიძემ ეთოელ ყარამან ქველამეს მიჰყიდა სახნავი მიწა ნასელარი. სმმ, №26/4; A-3/04; 2. დასახელებულია 1920 წლის 15 მარტს შედგენილ საბუთში. სმმ, №16/6; A-2/04.

საკობია - დასახელებულია 1890 წელს შედგენილი დოკუმენტის მიხედვით სააბაშიო მამული აღმოსავლეთით ისაზღვრებოდა ეხვკურას (?) დელეთი, დასავლეთით კი საკობიამდე ვრცელდებოდა (ეთო). სმმ, №26/15-79; A-3/15.

საქარის ადგილი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ნასყიდობის წერილში“ (13 მაისი, 1913 წ.), რომლის მიხედვით დაბა საჩხერეში მცხოვრებმა მატრონა ბეჟანის ასულმა წერეთელმა გლეხ კარპოზი ამბაკოს ძე კაპანაძეს მიჰყიდეს მიწის ნაკვეთი „საქარის ადგილი“. სმმ, №A-10/01.

საღორათხევის ტყე - სახნავი; დასახელებულია 1. 1910 წლის 30 მაისს შედგენილ საბუთში, როგორც კორბოულში მცხოვრებ გლეხთა შორის გაყოფილი მამულის ერთ-ერთი საზღვარი (კორბოული). სმმ, №15; A -5/01; 2. 1914 წელს შედგენილ „სააქტო ქაღალდში“. სოფ. კორბოულში მცხოვრებ გიორგი კიკოლას ძე კაპანაძეს იმავე სოფელში მცხოვრები გლეხებისათვის - პორფილე, სამსონა და მალაქია ამირანის ძე მაჭარაშვილებისთვის მიუყიდა სახნავი ადგილი „საღორათხევის ტყე“, 20 თუმნად (კორბოული). სმმ, №45/2-79; A-5/02.

საჩხერე - 1. დაბა; „ნასყიდობის წერილი“ (13 მაისი, 1913 წ.). სმმ, №A-10/01; 2. 1913 წლის 27 ივნისს შედგენილი „ნასყიდობის წერილის“ მიხედვით საჩხერელმა ამბაკო კაპანაძემ თავის შვილს - კარპოზს ნება დართო, ესარგებლა მამის მიერ აშენებული კედლით. იხ. **საქარის ადგილი**. სმმ, №A-4/02; 3. დაბა; დასახელებულია 1920 წლის 12 ივნისს შედგენილ საბუთში, რომლის მიხედვით ლავრენტი

ლევანის ძე აბჯანდაძემ საჩხერეში სადუქნე ადგილი მისცა ყარამან ქველაძეს. სმმ, №26/17; A-3/17.

საწისქვილის არხი - „ნასყიდობის წერილის“ (15 აპრილი, 1920 წ.) მიხედვით შალაურელი აბდუშელიშვილების მიწის ნაკვეთს ჩრდილოეთით საწისქვილოს არხი ესაზღვრებოდა (შალაური). სმმ, №A-4/03.

საჯვარე - ტოპონიმი დამოწმებულია 1920 წლის 12 ივნისს შედგენილ საბუთში, რომლის მიხედვით საჩხერელ ლავრენტი აბჯანდაძეს მედიატორული განჩინების ძალით ელისაბედ, ლევან და ალექსანდრე წერეთლებისგან მიღებული სადუქნე ადგილი „საჯვარე“ ყარამან ანტონის ძე ქველაძისთვის გადაუცია. ყარამანს უფლება ეძლეოდა, რომ ამ დუქნით ესარგებლა ჭიათურაში რკინიგზის გაყვანამდე (საჩხერე). სმმ, №26/17; A-3/17.

ღია მდინარე - 1905 წლის 11 ივლისს შედგენილი საბუთის მიხედვით დუნთელმა მღვდელმა ლავრენტი წერეთელმა და მისმა მეუღლემ - ევგენია გარსევანის ასულმა ტყიანი ადგილი მიჰყიდეს იმავე სოფელში მცხოვრებ გლეხს - მაქსიმე ჰავლეს ძე ბუღაძეს. ნაკვეთის საზღვრებად მითითებულია: აღმოსავლეთით - ღია მდინარე, დასავლეთით - ლუღუნიშვილის, ჩრდილოეთით - ზაბახიძის, თოდაძისა და ქველაძის, სამხრეთით - მიხეილ ცოციაშვილის მიწის ნაკვეთები. იქვე საზღვრად მითითებულია: „გარდა ამისა, რომელზედაც გზა გადადის ღელის თავზე, იმ გზას ქვეშ კუდიგზიდან ძირს ღელემდის, რადგან გასაყოფი არის, უნდა გაიყოს შენ და ქველაძემ, ჯოხაძემ“ (დუნთა). სმმ, №16/15; A-2/03.

ყვირილა - მდინარე; 1890 წელს შედგენილი დოკუმენტის მიხედვით სააბაშიო მამულს ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა მდ. ყვირილა (ეთო). სმმ, №26/15-79; A-3/15.

შალაური - დასახელებულია 1. 1920 წლის 15 აპრილს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“. მსჯელობისათვის იხ. ზემოთ **საწისქვილის არხი**. სმმ, №A-4/03; 2. „ნასყიდობის წერილში“ (23 აპრილი, 1920 წ.), რომლის მიხედვით შალაურელმა ყარამან, ნიკო, პეტრე, გრიგოლ, ვასილ და ადამ გიორგის ძე აბდუშელიშვილებმა სახნავი

მიწა გაუცვალეს მიხეილ სიმონის ძე, ვასილ და მარტიოზ გიორგის ძე თურმანიძეებს, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ილია, გედევან, აბჟარ და სევასტი ზიაძეების, დასავლეთით - კონსტანტინე აბდუშელიშვილის, დათია და როსტომა ბლიაძეების, სამხრეთით - ზემოთ დასახელებული აბდუშელიშვილების მიწის ნაკვეთები, ჩრდილოეთით - ღელე ლაშურა (კალვათა). სმმ, №A-4/02.

ძირულა - მდინარე; 1906 წლის 19 ოქტომბერს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“ კაპნარის სამხრეთ საზღვრად მითითებულია მდ. ძირულა (ეთო). სმმ, №26-01-79; A3-01.

ჭაბუკმთისგვერდი - დასახელებულია 1891 წლის იანვარში შედგენილ „ნასყიდობის ხელწერილში“, რომლის მიხედვით მამუკა პავლეს ძე გიორგაძეს 100 მანეთი უსესხია ანტონა, სოსიკა და დათიკა ქველაძეებისაგან და ნასესხები ფულის სანაცვლოდ მათთვის მიუცია მიწის ნაკვეთი **ჭაბუკმთისგვერდი**, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით და დასავლეთით - გზა, სამხრეთით - მაქსიმე გიორგაძის ვენახი, ჩრდილოეთით - ბოჭოიძეების მიწის ნაკვეთი. დოკუმენტს ხელს აწერს არგვეთის საზოგადოების ხელმძღვანელი. სმმ, №26/13-79; A3/13.

ჭორვილა - დასახელებულია 1. 1904 წლის 27 აპრილს რუსულ ენაზე შედგენილ საბუთში, რაშიც საუბარია ქველაძესა და ტყემალაძეს შორის ფულის სესხებაზე. სმმ, №26/10-79; A-3/10; 2. „ნასყიდობის წერილი“ (20 ნოემბერი, 1914 წ.); 3. ნასყიდობის წერილში, რომლის მიხედვით 1915 წლის 14 ოქტომბერს ჭორვილელმა ფარსადან ნარიმანის ძე და საშა ფარსადანის ძე ჭედლიშვილებმა ბაგრატ ჭედლიშვილს მიჰყიდეს მიწის ნაკვეთი. სმმ, №A-8-01; 4. ჭორვილელმა სამსონა ჭედლიშვილმა ბაგრატ ჭედლიშვილს მიჰყიდა მიწის ნაკვეთი. სმმ, №A-80/02.

ჯაბუხტიგვერდი - სახნავი; 1906 წლის 7 მაისს შედგენილი „ნასყიდობის წერილის“ მიხედვით შორაპნის მაზრის სოფ. ეხვევში მცხოვრებმა გლეხმა იოსებ კიკოლას ძე ბოჭოიძემ ეთოში მცხოვრებ

ანტონ სისოს ძე ქველაძეს მიჰყიდა სახნავი მიწა „ჭაბუხტიგვერდის“ სახელწოდებით (ეხვევი). სმმ, №26/2-79;A-3/02.

ჯალაურთა - სოფელი; დასახელებულია 1919 წლის 1 ივლისს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, რომლის მიხედვით კალვათელეზმა - ლადიკო და სიმონ ჟორჯოლაძეებმა და სოფ. ჯალაურთაში მცხოვრებმა ვარდენ სარდიონის ძე მაჭავარიანმა 110 კვადრატული საჟენი მიწის ნაკვეთი მიჰყიდეს სერგო საჩინოს ძე გელბახიანს (კალვათა). სმმ, №A-4/01.

სხვიტორის აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერები

ბრმაღელე - დასახელებულია 1859 წლით დათარიღებულ საბუთში („ფარდის ბარათი“): „ჩყნთ-ს წელსა თებერვლის ი-ს დღესა, ერთ ფარდათ ჩიხურის გაღმით აღმოსავლეთისაკენ საქამთარძოს სამძღურამდის, რომელზედაც არის სამანი და ამა სამანიდან გამოყვევა სერ-სერ სადაცა კიდეც სამნები არის გადმოყოლებული და ჩამოაჭრის ბრმა ღელეზედ. ხოლო ღელე ესე ჩაერთვის ჩიხურის მდინარეს და ესრეთ შეყვევა მდინარე ჩიხურის დიდ ღელემდის, შემდგომ შეყვევა დიდ ღელეს და შევა სერზედ და იქიდან ჩაასწორებს და ჩავა ჯრუჭულის მდინარეში, ამ ჩიხურის გაღმით აღმოსავლეთისაკენ სამწერამდის სამზღურამდის და ეს ზემოხსნებული ფარდი ვი-

საც დარჩება სკინდავას მდინარეც და საბუის ღელეც იმისი საკუთრება იქმნება, გზა სასიარულოთ არც გაღმა და არც გამოღმა მდინარის ჩიხურისა არ მოუშალოთ ერთმანეთს. ამის გარდა გასაყოფათ დარჩა ადგილი უცხო მთის ღელეს იქით ნაურთევის სერზედ რომ სამზღაური მოიხსენება იქამდის დასავლეთის მხრით გორისჯვრამდის. კნიაზ როსტომ წერეთელი, კნიაზ გიორგი წერეთელი, თჳდი ნიკოლოზ წერეთელი. ამის გარიგებაში დამსწრე ვარ ღენერალ ლეიტენანტი თ. გიორგი ალექსანდრე წერეთელი. ამის გარიგებაში დამსწრე ვარ სტარში სოვეტნიკი [არ იკითხება] ი. ზუბაშვილი“. აწსმ, №5896.

გონჯისხევის მთა - დამოწმებულია უთარიღო დოკუმენტში („პირველი ფარდი“): ტექსტი მოგვაქვს სრულად: „პირველი ფარდი გონჯისხევის მთისა, რომელიც ისამძღვრება აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ტყემდინ, თავადთ ასლან, გიორგი და ივანე წერეთლების მემკვიდრეებისა, დასავლეთით მდინარე გონჯურამდინ და ეს გონჯურა შეაჭრის ჩრდილოეთისკენ კვინცხანარის სერზედ, ეს სერი შეყვება ჩრდილო მხრით და მიაჭრის საზღვარზედ მთისა კნიაზ ასლან, გიორგი და ივანე წერეთლების მემკვიდრეებისა, და სამხრეთით ნასაჯვარევის გორა ჩააჭრის მდინარე გონჯურამდინ, ამ ფარდიდან გამოირიცხება ამ საზღვარსავე შიგან მდებარე ტყეები, მიცემული გლეხი წმანელებთანდმი მამულისთვის დასასვენრად, რომელთამე განგანი(?) დასავლეთის მხარეზე სეწრის(?) გახიდამ გონჯურამდე და ნახშირის ღელემდი. ეს ფარდი ეკუთვნის კნიაზ დავით როსტომის ძეს წერეთელს. თჳდი აკაკი როსტომის ძე წერეთელი“. აწსმ, №5937.

გონჯურა - მდინარე. მსჯელობისათვის იხ. **გონჯისხევის მთა**. გონჯიხევის მთა დასავლეთით მდ. გონჯურამდე ვრცელდებოდა. „ეს გონჯურა შეაჭრის ჩრდილოეთისკენ კვინცხანარის სერზედ...“; „სამხრეთით ნასაჯვარევის გორა ჩააჭრის მდინარე გონჯურამდინ“. აწსმ, №5937.

გორისჯვარი - დამოწმებულია „ფარდის ბარათში“ (1859 წ.). ტექსტის ციტირება იხ. აქვე - **ბრმაღელე**. შდრ. **გორიჯვარი** - ნაეკლესიარი თუზში (თერჯოლის რ.).

დიდღელე - ღელე; დამოწმებულია 1859 წლით დათარიღებულ საბუთში („ფარდის ბარათი“). მსჯელობისათვის იხ. **ბრმაღელე**. აწსმ, №5896.

ნასაჯვარევის გორა - დასახელებულია აკაკი წერეთლის მიერ დაწერილ „ფარდის წერილში“: „...სამხრეთით ნასაჯვარევის გორა ჩააჭრის მდინარე გონჯურამდინ...“. მაშასადამე, სახელდებული ობიექტი მდ. გონჯურას ნაპირზე მდებარეობს. აწსმ, №5937.

ნაურთევის სერი - დამოწმებულია „ფარდის ბარათში“ (1859 წ.). ტექსტის ციტირება იხ. აქვე - **ბრმაღელე**.

ნახშირის ღელე - ღელე; დამოწმებულია „ფარდის ბარათში“: „დასავლეთის მხარეზე... გონჯურამდი და ნახშირის ღელემდი“. აწსმ, №5937.

საბუისღელე - დამოწმებულია 1859 წლის „ფარდის ბარათში“: „სკინდავას მდინარეც და საბუის ღელეც იმისი საკუთრება იქმნება...“ აწსმ, №5896.

სამწერა - დასახელებულია „ფარდის ბარათში“ (1859 წ.). იხ. **ბრმაღელე**.

საქამთარძო - დამოწმებულია „ფარდის ბარათში“ (1859 წ.). „ერთ ფარდათ ჩიხურის გაღმით აღმოსავლეთისაკენ საქამთარძოს სამძღურამდის...“; აწსმ, №5896.

სკინდავა - მდინარის სახელწოდებად დამოწმებულია „ფარდის ბარათში“ (1859 წ.). კონტექსტი იხ. - **ბრმაღელე**.

უცხო მთის ღელე - დამოწმებულია 1859 წლის დეკემბრით დათარიღებულ „ფარდის ბარათში“: „ამის გარდა გასაყოფათ დარჩა ადგილი უცხო მთის ღელეს იქით, ნაურთევის სერზედ რომ სამზღაური მოიხსენიება, იქამდის...“ აწსმ, №5896.

კვინცხანარის სერი - „ეს გონჯურა შეაჭრის ჩრდილოეთისკენ კვინცხანარის სერზედ. ეს სერი შეყვება ჩრდილო მხრით და მიაჭრის

საზღვარზედ მთისა კნიაზ ასლან, გიორგი და ივანე წერეთლების მემკვიდრეებისა“. აწსმ, №5937.

ჩიხურა - მდინარე. დამოწმებულია 1859 წლის თებერვალს შედგენილ „ფარდის ბარათში“. „ერთ ფარდათ ჩიხურას გაღმით აღმოსავლეთისაკენ საქამთარმოს სამძღვრამდის, რომელზედაც არის სამანი...“; ბრმაღელე „ჩაერთვის ჩიხურის მდინარეს და ესრეთ შეყვება მდინარე ჩიხურის დიდ ღელემდის...“; „გზა სასიარულოთ, არც გაღმა და არც გამოღმა მდინარის ჩიხურისა არ მოუშალოთ ერთმანეთს“. აწსმ, №5896.

წმანი - დასახელებულია აკაკი წერეთლის „ფარდის წერილში“: „...ამ ფარდიდან გამოირიცხება ამ საზღვარსავე შიგან მდებარე ტყეები, მიცემული გლეხი წმანელებთადმი მამულისთვის დასასვენრად...“. აწსმ, №5937.

ჯრუჭულა - მდინარე. ვრცლად იხ. **ბრმაღელე**. აწსმ, №5896.

ტყიბულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერები

ანადასტური//გოლოულა - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1912 წლის 10 თებერვალს შედგენილი „კვატანციაში“, რომლის მიხედვითაც ჭყეპელმა აზნაურებმა ნიკოლოზ და პოლიევკტოს თეიმურაზის ძე ჟორჟოლაძეებმა იმავე სოფელში მცხოვრებ გლეხებს - მიხეილ და ბასილ ლუკას ძე გოლოძეებს 400 მანეთად მიჰყიდეს მიწის ნაკვეთი **ანადასტურის**, იგივე **გოლოულას** სახელწოდებით, რაც მდებარეობდა „სოფლის ჭყეპის დარჩაშიდ“ (ჭყეპი). ტმმ, №5416; 1914

წლის 6 აგვისტოს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“ სახნავის სახელწოდებად დამოწმებულია **გოლოული/ნასკური**. ტმმ, №4713.

ბაბილაულა - მიწის ნაკვეთი („ფარდის წერილი“, 25. I. 1914 წ.); წილად რგებია სერგია ნიკოლოზის ძე ფორჩხიძეს, ექვს ძმას შორის უძრავ-მოძრავი ქონების გაყოფისას. „ფარდის წერილის“ მიხედვით „ბაბილაულას ადგილი თავის ღობე-გალავნით და ტყით“ მოქცეული იყო შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ვარდენა ფორჩხიძის „სანაკილო“ (სანაკელო), დასავლეთით და ჩრდილოეთით - ბრეგაძის მიწის ნაკვეთი, სამხრეთით - გზა (ძიროვანი). ტმმ, №110/01.

ბაზარტყიბული - თავშესაყრელი ადგილი; „ჩემდა საკუთრება ერთი ნაკვეთი ადგილი, მდებარე ბაზარ ტყიბულში, სახელწოდებული „ტყიბულას გვერდის“ ადგილი. 225 კვადრატული საჟენის მქონე ნაკვეთი 138 კვ საჟენი“. ტმმ. №1135/15.

ბერისეული - დამოწმებულია „ადგილ-მამულის მიჩენილობის წიგნში“, როგორც წყალობა კუპრაშვილის საყანე მიწის ნაკვეთი (საწირე). ტმმ, №330/35.

ბერისსოულის ალაგი - მიწის ნაკვეთი; საზღვრები: აღმოსავლეთით - კირილეს, დასავლეთით და სამხრეთით - მალხაზა და სარდიონა ზურაბის ძე კუბლაშვილების, ჩრდილოეთით - გიორგი ტოფაძის კუთვნილი მიწის ნაკვეთი. ტმმ, №330/17.

ბობდაული - დამოწმებულია 1916 წლის 21 ნოემბერს შედგენილ „გარიგების ხელწერილში“. დოკუმენტს ხელს აწერენ: სერგია კუბლაშვილი, მიხეილ ტოფაძე, ანდრია და მიხეილ ცირეკიძეები, საწირის საზოგადოების მამასახლისი კირილე ცქიფურიშვილი (საწირე). ტმმ, №330/11.

ბრეკი - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1909 წლის 15 მარტს შედგენილ „ფარდის წერილში“ (მუხურა); ტმმ, №50/01.

ბუბაშვილის საზღვარი - დასახელებულია „ნაყიდობის წერილში“ (12. III. 1904 წ.), როგორც „ჭალისადგილის“ აღმოსავლეთი მიჯნა (დაბაძველი). ტმმ, №110/10.

ბუბლოული - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1893 წლის 28 თებერვლით დათარიღებულ „შერიგებით წერილში“. საწირელ გლეხებს - გიორგი კიკოლას ძე, გაბრიელ, ელია და მალაქია ივანეს ძე ტივაძეებს სასამართლოში დავა ჰქონიათ მალხაზა და სარდიონა ზურაბის ძე, გარსევანა, პეტრეს ძე და წყალობა იობის ძე კუბლაშვილთან, ბუბლოულისა და ჩერუას „გზის თაობაზე“ (საწირე). ტმმ, №33014.

ბუეთის დაჩა - დასახელებულია 1914 წლის 6 აგვისტოს შედგენილ „ნაყიდობის წერილში“, რითაც ირკვევა, რომ სოფ. ჭყეპში მცხოვრები აზნაურის - ესტატე ალექსის ძე ჟორჟოლადის კუთვნილ ტყესა და სახნავს - გოლოულს//ნასკეურს ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა ბუეთის დაჩა (ბუეთი). ტმმ, №4713.

ბუქვილა - მიწის ნაკვეთი და ტყე, „მდებარე ნაბოსლევის დარჩაშიდ“; დასახელებულია 1906 წლის 26 დეკემბერს შედგენილ „ნასყიდობით პირობის ხელისწერილში“. სახელდებული ობიექტი ნაბოსლეველ გლეხს - ნესტორ ბასილას ძე ხუჯაძეს 100 მანეთად მიუყიდია კურსებელ ბესარიონ დავითის ძე აბესაძისათვის, შემდეგ საზღვრებში: ლევან ხუჯაძისა და მისი ძმების, დასავლეთით - ივანე და დომენტი ხუჯაძეების სამანი („ნაკოლი“ ანუ ნიშანი), სამხრეთით - გზა და ჩრდილოეთით - ვასილ ხუჯაძის სამანი (ნიშანი) და ღელე (ნაბოსლევი). ტმმ, №113/03.

გაბრიაული - ვაკე; დამოწმებულია ქათამაძეების „ფარდის წერილში“ (18. XI. 1891 წ.), რომლის მიხედვით უძრავ-მოძრავი ქონების გამიჯვნისას გიგო სოლომონის ძე ქათამაძეს წილად რგებია „ვაკე გაბრიაული თავის საზღვრებს შიგნი“ (ძიროვანი). ტმმ, №110/08.

გაღმასახეო - მიწის ნაკვეთი (10. XI. 1907 წ., „ფარდისა და პირობის ხელწერილი“); მდებარეობდა საწირის საზოგადოების სოფ. ტყიბულში. ტმმ, №1135/46.

გვერდის ადგილი - მიწის ნაკვეთი („ნაყიდობა“, 9.II.1902 შ.). ძირითადი სოფრომადეებსა და ცირეკიძეებს სახელწოდებული ობიექტი ნაჩიხდარაულთან ერთად მიუყვლიათ სოფრომადეებისათვის. საზღვრები: აღმოსავლეთით - მყიდველების, დასავლეთით - ეფრემა სოფრომადისა და „მისი მონაწილეების“, სამხრეთით - იანვარა ფოჩხიძის კუთვნილი მიწები, ჩრდილოეთით - სასოფლო შარა (ძიროვანი). ტმმ, №110/02.

გიგაულა - მიწის ნაკვეთი; „თავის ღობე-გალავნით“, ძმებს შორის უძრავ-მომრავი ქონების გამიჯვნისას წილად რგებია ძირითადი ვარდენა ნიკოლოზის ძე ფორჩხიძეს, საშენებელასთან ერთად (ძიროვანი). ტმმ, №110/01.

გიგაულას წყარო - წყრო; დამოწმებულია 1914 წლის 25 იანვარს შედგენილ „ფარდის წერილში“: „...გიგაულას ადგილზე, რომელიც არის გზაზემთ წყაროსწყალი, ვერ დაუშალოს ბაბილაულის ადგილის მეპატრონეს და ვერც სხვა ძმებს ეს წყარო არ დაეშალოს სახარჯოთ...“ (ძიროვანი). ტმმ, №110/01.

გოგნი - დასახელებულია 1907 წლის 26 იანვარს შედგენილ „პირობის ხელის წერილში“, როგორც ჩხარის საზოგადოებაში შემავალი სოფელი. დოკუმენტის მიხედვით, გოგნელმა გლეხმა რომანოზ ნიკოს ძე რობაქიძემ ტყიბულელ გლეხს - გიორგი ივანეს ძე ბოჭორიშვილს უბოძა კუთვნილი უძრავ-მომრავი ქონების მესამედი. ტმმ. №11356.

გოლოული//ნასკური - დამოწმებულია 1894 წლის 24 ივნისსა და 1906 წლის 8 მაისს შედგენილ „კვიტანციაში“. ტმმ, №54/10, №54/11.

გოლოულის გვერდი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1916 წლის 4 იანვარს შედგენილ „ნასყიდობის ხელწერილში“, რომლის მიხედვით ქალაქ ქუთაისში მცხოვრებმა სიმონ არქიფოს ძე ჟორჟოლაძემ მანდიკორის საზოგადოების სოფელ ჭყეპში მცხოვრებ მიხეილ ლუკას ძე გოლოძეს მიჰყიდა „სოფელს ჭყეპის დაჩაშიდ“ სახნავი მიწა და „წაბრალის ტყიანი“, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ვარდენ ჟორჟოლაძის, დასავლეთით - ივანე გოლოძის, სამხრეთით - მიხეილ გოლოძის (მყიდველის) და ჩრდილოეთით - ილარიონ ბრეგაძის მიწის ნაკვეთები. ჩრდილოეთითვე გოლოულისგვერდს ღელე ჩამოუდიოდა (ჭყეპი); ტმმ, № 372. ტოპონიმი დამოწმებულია 1916 წლის 4 იანვრით დათარიღებულ „კვიტანციაშიც“. ტმმ, №549.

გოლოული//ნასიკოური - სახნავი და ტყე; დამოწმებულია 1906 წლის 8 მაისს შედგენილ „კვიტანციასა“ და „ნასყიდობის პირობის ხელის წერილში“. ჭყეპელმა აზნაურებმა ჟორჟოლაძეებმა იმავე სოფლის მესაკუთრე გლეხს - მიხეილ გოლოძეს მიჰყიდეს „საკუთრება ადგილი მდებარე ჩვენსავე სოფლის დაცაშიდ, სახელწოდებით გოლოული და იგივე ნასიკოური, სახნავი და ტყიანი“. დოკუმენტში სახელდებული ობიექტი მოცემულია შემდეგ საზღვრებში: „აღმოსავლეთით ჩვნივე და ჩვენის მონაწილების არხიპო და ნიკოლოზ ჟორჟოლაძეების ადგილით, დასავლეთით, არხიპო ჟორჟოლაძის ადგილით, სამხრეთით ვარდენ დორჟოლაძის და მისი მონაწილების ადგილებით, ჩრდილოეთით ესტატე ჟორჟოლაძის და მისი მონაწილების ადგილით“. ამ საზღვრებში მიწის ნაკვეთი და ტყე შეადგენდა 3 ქვევას და 340 კვ. საჟენს. ტმმ, №54/10, №375.

გუმა - დამოწმებულია 1915 წლის 25 ივლისს შედგენილ „პირობის წერილში“, რითაც ირკვევა, რომ საწირის საზოგადოების სოფელ ძიროვანში მცხოვრებმა გლეხმა ლუკა გიგოს ძე ქათამაძემ იმავე სოფელში მცხოვრებ მოსე ექვთიმეს ძე ქათამაძეს მიჰყიდა „მოდრავუძრავი საცხოვრებელი რაოდენიმე“, მათ შორის „შინა ფუძე „გუმას“

ადგილი“, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით და დასავლეთით - გზა, სამხრეთით - იაკო ქათამაძის, ჩრდილოეთით - მყიდველის კუთვნილი მიწა (მიროვანი). ტმმ, №1105.

გურუდულა - მიწის ნაკვეთი; 1. 1920 წლის 1 თებერვალს შედგენილი „ნასყიდობის ხელის წერილის“ მიხედვით სოფ. ნაბოსლევაში მცხოვრებმა მესაკუთრე გლეხებმა - ისიდორე და რაჟდენ პორფილეს ძე ქათამაძეებმა ჭყეპელ გლეხებს - ისმაილ, პოლიაკტორ, ონისიმე, ნესტორ, მოსე და დომეტი მერკვილაძეებს მიჰყიდეს „საწისქვილო... ადგილი, სახელწოდებული გურუდულა, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - სასოფლო გზა, დასავლეთით ჯინჯიხაძის, სამხრეთით - საბა ქათამაძის, ჩრდილოეთით - მერკვილაძის კუთვნილი მიწის ნაკვეთები. ტმმ, №4798; 2. მიწის ნაკვეთი („კვიტანცია“, 1. II. 1920 წ.); ნაბოსლეველმა გლეხებმა - ისიდორ და რაჟდენ პორფილეს ძე ქათამაძეებმა 20000 მანეთად იყიდეს გურუდულა „საწისქვილო ადგილი“, ჭყეპელი ბასილაძეებისა და მერკვილაძეებისაგან. დოკუმენტს ხელს აწერს რაჟდენ ქათამაძე (ნაბოსლევი). ტმმ, №47912.

გძელა - სახნავი; დამოწმებულია 1909 წლის 24 აგვისტოს შედგენილ „ნასყიდობის ხელის წერილში“, რომლის მიხედვით მანდიკორის საზოგადოების სოფელ ლაფეთის მკვიდრმა, გლეხმა ერასტი სტეფანეს ძე ბუხაიძემ ნესტორ ანტონის ძე და ივლიანე ივანეს ძე მახვილაძეებს მიჰყიდა მიწის ნაკვეთი გძელა, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ელია მახვილაძის, სამხრეთით - სერგია ბუხაიძისა და მისი ძმის, ჩრდილოეთით - მყიდველების მიწის ნაკვეთები, დასავლეთით - მდინარე (ლაფეთა). ტმმ, №47/1.

დაბაძველი - სოფელი. 1904 წლის 12 მარტს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“ დასახელებულია დაბაძველში მცხოვრები ანტონ გიორგის ძე როინიშვილი. ტმმ, №11010.

დაბაძვლის დაჩა - დასახელებულია 1896 წლის 7 ოქტომბერს შედგენილ „პირობაში“, რომლის თანახმად თავად ირაკლი წერე-

თელს საწირელი გლეხებისთვის მიუყიდა მეუღლის კუთვნილი ადგილი ჯავშია, მდებარე დაბაძვლის დაჩაში (დაბაძველი). ტმმ, №330/15. იხ. ჯავშია.

დაბლაზარა - დასახელებულია „ფარდისა და პირობის ხელწერილში“ (10.XI.1907 წ.). ასე იწოდებოდა სოფ. ტყიბულის ცენტრალური ნაწილი. ტმმ, № 1135/46.

დაბლანამოსახლი - საკარმიდამო მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1904 წლის 14 სექტემბერს შედგენილ „ფარდის წერილში“, რომლის მიხედვით სოფ. საწირეში მცხოვრებ გლეხს - მალხაზ სარდიონის ძე კუბლაშვილს წილად ერგო „ძველი ფუზე, ესე იგი დაბლა ნამოსახლი“, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით და სამხრეთით - პატია ცირეკიძის მიწის ნაკვეთი და „კორდანი“, დასავლეთით - ზაქარიას შვილების, ჩრდილოეთით - სარდიონ კუბლაშვილის მიწის ნაკვეთები (საწირე). ტმმ, №3307.

დაბლა სარჩობელა (?) - მიწის ნაკვეთი ცუცხვათში („პროტოკოლი“, 29. 01. 1903 წ.). ტმმ, №5011.

დაბლაფუძის გზა - დამოწმებულია 1919 წლის 10 მარტს შედგენილ „პირობაში“. საწირის საზოგადოების სოფელ საწირეში მცხოვრებ გლეხს - მეთოდე წყალობას ძე კუბლაშვილს მალხაზა ზურაბის ძე კუბლაშვილთან „დავა და ლაპარაკი“ ჰქონია დაბლაფუძის გზის თაობაზე (საწირე). ტმმ, №330/129.

დაბლაშარა - დასახელებულია „ფარდის წერილში“ (9. XII. 1923 წ.), როგორც ქვაკიბულას დასავლეთი სამანი (ძიროვანი). ტმმ, №1109.

დიდვაკე - მიწის ნაკვეთი ცუცხვათში („პროტოკოლი“, 29. 01. 1903 წ.). ტმმ, № 5011.

დიდივაკისბოლო - მიწის ნაკვეთი ცუცხვათში („პროტოკოლი“, 29. 01. 1903 წ.), ტმმ, №5011.

დიდი ნარვალი - ნაარხალი; დამოწმებულია „ფარდის წერილში“ (25. I. 1914 წ.). მდებარეობდა ოთხზიარში: „ამ ოთხზიარის ადგილებზე გიგოს ადგილში დაიწყება თავიდან ნარვალი, სამი საჟენის ნაწრეტი დიდ ნარვალში ჩავიდეს და სამ საჟენს აქით წამოვიდეს მსხლისკენ, ზღვრების თავზე და გამოიარს იასონას ადგილს, მერმეთ მელიტონას ადგილს, ვარდენას ადგილს და მერმეთ ვანოს ადგილზე და მიადგება სერგის ადგილს სხალთან და მერმეთ იტვირთოს ის ნარვალი სერგიამ და გაუშვას დიდჭალაშიდ“ (ძიროვანი). ტმმ, №1101.

დიდი საბეკი - სათიბი; დასახელებულია 1920 წლის 10 აგვისტოს შედგენილ „მოცვლილობის ხელწერილში“, რომლის თანახმად საწირის თემის სოფელ ტყიბულში მცხოვრებმა იაკო ბოჭორიშვილმა გიორგი ბოჭორიშვილს მისცა დიდი საბეკის სათიბი, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ფირანა ბოჭორიშვილის, დასავლეთით ნიკო მათეს ძე ბოჭორიშვილის მიწის ნაკვეთები, ჩრდილოეთით - ძველი საურმე გზა, სამხრეთით - რაჭის საზღვარი. მის სანაცვლოდ იაკო ბოჭორიშვილს მიუღია პატარა საბეკის სათიბი (ტყიბული). ტმმ, №1135/16.

დიდიშარა - გზა; დასახელებულია 1904 წლის 12 მარტს შედგენილ „ნაყიდობის წერილში“, რაც ჩრდილოეთიდან საზღვრავდა ანტონ როინიშვილის მიერ გაყიდულ „ჭალის ადგილს“ (დაბაძველი). ტმმ, №11010.

დიდიჭალა - დასახელებულია ტყიბულელი საეკლესიო გლეხების - პეტრია და გაბრიელ ბოჭორიშვილების მიერ ივანე გოგილას ძე ბოჭორიშვილისადმი მიცემულ „ნაყიდობის წერილში“, როგორც ტყიბულში მდებარე ადგილი. ტმმ, №11352.

დიდჭალა - დასახელებულია „ფარდის წერილში“ (25. I. 1914 წ.); კონტექსტი იხ. ზემოთ - დიდი ნარვალი.

დობილო გზასკვეშ - დამოწმებულია „ადგილ-მამულის მიჩენილობის წიგნში“ (ივნისი, 1868 წ.), როგორც წყალობა კუპრაშვილის მიწის ნაკვეთი (საწირე). ტმმ, №330/35.

დობილონაქცევი - დამოწმებულია „ადგილ-მამულის მიჩენილობის წიგნში“, როგორც წყალობა კუპრაშვილის მიწის ნაკვეთი (საწირე). ტმმ, №330/35.

დათვიბლაშე - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1902 წლის 14 ივლისს შედგენილ „პირობაში“, რომლის თანახმად საწირელმა გლეხმა ბასილ კვირიას ძე კუბლაშვილმა მალხაზა და სარდიონ ზურაბის ძე კუბლაშვილებს მიჰყიდა მიწის ნაკვეთები - **ვაშლარა** და **დათვიბლაშე** (საწირე). ტმმ, №33014. იხ. აგრეთვე, „ნაყიდობა“ (14. VII. 1902 წ.), და აქვე **ვაშლარა**.

ელისეს ნაყანები - მიწის ნაკვეთი („ფარდის წერილი“, 11 ივლისი, 1910 წ.); სახელდებული ობიექტი მდებარეობდა კურსების საზოგადოებაში შემავალ სოფ. ცუცხვათში. საზღვრები: აღმოსავლეთით - ღელე, დასავლეთით - მიხეილ პავლეს ძე გამთენაძის მიწის ნაკვეთი, სამხრეთით - გზა, ჩრდილოეთით - ვასილ გამთენაძის მიწის ნაკვეთი. ტმმ, №5014.

ვაკეტიტველი - დამოწმებულია 1912 წლის 16 ივლისს შედგენილ „პირობის წერილში“. მიწის ამ ნაკვეთის გამო ძვერელ აზნაურს - გიორგი მალხაზის ძე ღვინეფაძეს დავა ჰქონია საწირელ გლეხებთან - მალხაზ ზურაბის ძე კუბლაშვილთან, სპირიდონ ივანეს ძე და ნესტორ სპირიდონის ძე ტოფაძეებთან. „ჩვენ აღგვიდგა დავა შესახებ უძრავის ქონებისა, სახელდობ ვაკეტიტველის ადგილის თაობისა, რომელიც მდებარეობს სოფ. ძვერში“, - ვკითხულობთ პირობის წერილში. სახელდებული ობიექტი მოქცეული იყო შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - პირანა ფანჩულიძის, დასავლეთით და ჩრდილოეთით - სპირიდონ, გეორგი და ვლადიმერ ღვინეფაძეების, ხოლო

სამხრეთით - ლუკა და ფირანა ფანჩულიძეების მიწის ნაკვეთები (ძვერი). ტმმ, №33024.

ვაშლარა - 1. მიწის ნაკვეთი („კვიტანცია“, „ნაყიდობა“, 14. VII. 1902 წ.). საწირელმა მესაკუთრე გლეხმა ბასილ კვირიას ძე კუბლაშვილმა მალხაზა და სარდინ ზურაბის ძე კუბლაშვილებს მიჰყიდა „საკუთრება ადგილი, მდებარე საწირის სოფლის დაჩაშიდ, ორი ნაკვეთი, რომელიც არის მოხმული ერთიმეორეზე, პირველი ვაშლარა და მეორე დათვიბლაში“. ტერიტორია მოქცეული იყო შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ივანესა და მისი ძმების - კუბლაშვილების, დასავლეთით - მალხაზა და სარდინ კუბლაშვილების მიწის ნაკვეთები, ჩრდილოეთით - ლელები და მეთოდე კუბლაშვილის მიწის ნაკვეთი. „ნაყიდობას“ ხელს აწერენ ექვთიმე სირბილაძე და საწირის საზოგადოების მამასახლისი გერასიმე ქარქაშაძე (საწირე). ტმმ, №330/38, №3309; 2. საყანე; დამოწმებულია „ადგილ-მამულის მიჩენილობის წიგნში“ (ივნისი, 1868 წ.). ფლობდა წყალობა კუპრაშვილი (საწირე), ტმმ, №330/35.

ზარნაძეები - სოფელი; დამოწმებულია 1905 წლის 1 თებერვლით დათარიღებულ დოკუმენტში. ხელს აწერს: „მცხოვრები სოფელს ზარნაძეში“. ტმმ, №1135/43.

ზედაეზო - მიწის ნაკვეთი („ფარდის წერილი“, 11 ივლისი, 1910 წ.); სახელდებული ობიექტი მდებარეობდა სოფ. ცუცხვათში და მოქცეული იყო შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ლელე, დასავლეთით - გზა, სამხრეთით - ერემიასა და ჩრდილოეთით - მიხეილ გამთენაძის კუთვნილი მიწის ნაკვეთები. ტმმ, №5014.

ზედა სიმონეთის საზოგადოება - დასახელებულია 1917 წლის 21 ნოემბერს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“. ზედა სიმონეთის საზოგადოების სოფ. სიმონეთში მცხოვრებმა გლეხებმა - გიორგი მიქელის ძე გოგბერაშვილმა და ოქროპირ ლევანის ძე გიორგაძემ კურსების საზოგადოების სოფ. ცუცხვათში მცხოვრებ გლეხს - იულო

თედორეს ძე არაბიძეს მიჰყიდეს „არღანი კალიტური ორის ორ ნორმიანი (202.№.), ორ ვალიანი, ერთი ჩიხოლი, რვა კისტი თავის კორბით, ღვედით და პადოშკით“. ტმმ, №5016.

ზევითწყარო - საკარმიდამო მიწის ნაკვეთი („ფარდის წერილი“, 14. IX. 1904 წ.). ეკუთვნოდა საწირეში მცხოვრებ მალხაზ სარდიონის ძე კუბლაშვილს. ტმმ, №3307.

კდისთავი - 1909 წლის 14 ივნისს შედგენილ „ნაყიდობის წერილიდან“ ირკვევა, რომ სახელდებული ობიექტი მდებარეობს სოფ. კურსებში და ჩრდილოეთიდან საზღვრავდა იმ მიწის ნაკვეთს, რაც ესტატე კვიმსაძეს მიუყიდა გლეხ პავლე ლაზარეს ძე ბეროძისთვის. ტმმ, №4795.

კვირიას სამანი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ფარდის წერილში“, რომლის თანახმად სახელდებული ობიექტი წყალობას სამნის შემოგარენში მდებარეობდა (საწირე). ტმმ, №33015.

კორღანი - დასახელებულია „პირობის ხელწერილში“ (4.VI.1902 წ.), რომლის თანახმად სახელდებული ობიექტი აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა ქასრაშვილების მიერ ბოჭორიშვილისთვის მიქირავებულ მიწას „ტყიბულის სოფლის დაბა-ქალაქში“ (ტყიბული). ტმმ, № 11353.

კუბჩაშე (?) - დამოწმებულია „მოცვლილობის ხელწერილში“ (1. 05. 1922 წ.). სახელდებული ობიექტი მდებარეობდა „ტყიბულის დაჩაში“(ტყიბული). ტმმ, №1135/17.

კურსები - სოფელი; დასახელებულია 1. 1888 წლის 5 მაისს შედგენილ „პირობის წერილში“, რომლის მიხედვით არსებობდა სოფ. კურსები და ამავე სახელწოდების საზოგადოება. ტმმ, №42; 2. „ნასყიდობით პირობის ხელისწერილში“ (26 დეკემბერი, 1906 წ.). დამოწმებულია კურსების საზოგადოება და იმავე საზოგადოების სოფ. კურსებს მცხოვრები გლეხი ბესარიონ დავითის ძე აბესაძე; ტმმ, №1133; 3. 1911 წლის 23 სექტემბერს შედგენილ „პირობის ხელწე-

რილში“, რომლის მიხედვით ამ სოფელში ჭყეპელი მერკვილაძეები ფლობდნენ მიწის ნაკვეთს „მანდილოურის“ სახელწოდებით. ტმმ, №479/14.

კურსების საზოგადოება - დასახელებულია 1. 1888 წლის 5 მაისს შედგენილ „პირობის ხელწერილში“. ტმმ, №42; 2. 1902 წლის 15 ივნისს შედგენილ „პირობით ნასყიდობით ხელისწერილში“. ტმმ, №11314; 3. 1903 წლის 29 იანვარს შედგენილ „პროტოკოლში“. ტმმ, №5011.

ლადიმერა ავალიანის დუქანი - დამოწმებულია „ფარდისა და პირობის ხელწერილში“ (10. XI. 1907 წ.) და მდებარეობდა სოფ. ტყიბულში, რუბნელას მახლობლად. ტმმ, №1135/46.

ლაფეთა - სოფელი; დასახელებულია 1909 წლის 24 აგვისტოს შედგენილ „ნასყიდობის ხელის წერილში“, როგორც მანდიკორის საზოგადოებაში შემავალი სოფელი. ტმმ, №47/1.

ლევანას ნაყანები - მიწის ნაკვეთი („ფარდის წერილი“, 11 ივლისი, 1910 წ.). მდებარეობს კურსების საზოგადოების სოფ. ცუცხვათში. საზღვრები: აღმოსავლეთით და სამხრეთით - ღელე, ჩრდილოეთით - გზა, დასავლეთით - ცუცხვათელი გლეხის, მიხილ პავლეს ძე გამთენაძის მიწის ნაკვეთი (ცუცხვათი). ტმმ, №50114.

ლუკასოული - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1923 წლის 9 დეკემბერს შედგენილ „ფარდის წერილში“, როგორც წყაროსთან მდებარე ადგილი (ძიროვანი). ტმმ, №1109.

მანდალოური - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1911 წლის 23 სექტემბერს შედგენილ „პირობის წერილში“, რაშიც ვკითხულობთ: „ჩვენ პირველთ მოხსენებულთ პირებთ მერკვილაძეებთ გვაქვს მამული მდებარე ქუთაისის უუზდას შინა სოფელს კურსებს, სახელწოდებული მანდალოური, რაშიდაც არის თეთრი მიწა, ესე იგი თიხა, სამძვრებთა შორის აღმოსავლეთით - ადგილი თომა მერკვილაძის თავის მონაწილეებით, დასავლეთით - ღელე, ჩრდილოეთით - ადგი-

ლი ტერენტი ბერეკაშვილის, ხოლო სამხრეთით - ალექსანდრე გიორგაძე, ზომით მაგალითად ოთხი ქვევა, რაშიდაც არის ნამუშევარი და კარიერი გახსნილი...“ ტმმ, ხმგ, №47914.

მანდიკორი - 1. 1904 წლის 24 აგვისტოს შედგენილი „ნასყიდობის პირობის ხელისწერილიდან“ ირკვევა, რომ არსებობდა ქუთაისის მაზრის მანდიკორის საზოგადოება. ტმმ, №37/01; 2. 1904 წლის 26 სექტემბერს შედგენილ „კვიტანციაში“. ტმმ, №542.

მანდიკორის საზოგადოება - დასახელებულია რამდენიმე საბუთში: 1. 1903 წლის 6 მარტს შედგენილ „პირობის წერილში“ გვხვდება მანდიკორის საზოგადოების სოფელი ჭყევი. ტმმ, №479/13; 2. 1904 წლის 26 სექტემბრით დათარიღებულ „კვიტანციაში“ მოიხსენიება საზოგადოების მამასახლისი იოსებ ბაკურაძე; 3. 1906 წლის 5 მარტს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“; ტმმ, №5412; 4. აგრეთვე 1907 წლის 13 აპრილსა და 1914 წლის 18 იანვარს შედგენილ „ნასყიდობის წერილებში“. ტმმ, №47910; 4714, № 53.

მეჩხერას ღელე - იხ. ქვემოთ **ტოფაძის ღელე** (საწირე).

მონაზნეულა - მიწის ნაკვეთი („ფარდის წერილი“, 25. I. 1914 წ.); წილად ერგო მელიტონ ნიკოლოზის ძე ფორჩხიძეს, მძებს შორის უძრავ-მოძრავი ქონების გაყოფისას, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - მდინარე, დასავლეთით - ივანე ფორჩხიძის, ჩრდილოეთით - ბრეგაძის, სამხრეთით - ბრეგაძის კუთვნილ მიწის ნაკვეთთან ერთად, შარაგზა. იმავე საბუთში გვხვდება **მონარზნეულა** ფორმა (ძიროვანი). ტმმ, №1101.

მონარზნეულა - მიწის ნაკვეთი; იხ. **მონაზნეულა**.

მუხურა - სოფელი. დამოწმებულია: 1. 1887 წელს შედგენილ დოკუმენტში; მუხურელმა გლეხებმა - გლახუნა, ალფეზ და მალხაზ მურდაყანის ძე ოდიკაძეებმა იმავე სოფლის მკვიდრთ - იოსებ, ფილიპე და დარისპან როსიპის ძეთ, ნიკოლოზ, იკა, ალექსი და სოფრომა ივანეს ძეთ, ონისიმე ტატუას ძე და საჩინო გიორგის ძე ყვავაძეებს

მიჰყიდეს ტყიანი ადგილი „წიფლარის ტყიანი ადგილის“ სახელწოდებით. საზღვრები: აღმოსავლეთით და დასავლეთით - ბესარიონ ოდიკაძის კუთვნილი ტყე, ჩრდილოეთით - რუბომლის დეღე, სამხრეთით - ზურაბა ყვავაძის კუთვნილი მიწა. ტმმ, №522; 2. 1909 წლის 15 მარტს შედგენილ „ფარდის წერილში“. ტმმ, №501.

ნაბელღავი - 1. მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1915 წლის 15 იანვარს შედგენილ „კვიტანციაში“, რითაც ირკვევა, რომ ჭყეპელმა გლეხმა დიომინდე გრიგოლის ძე გოლოძემ მიხეილ და ბასილ ლუკას ძე გოლოძეებისგან 90 მანეთად შეისყიდა მიწის ნაკვეთი „ნაბელღავის“ სახელწოდებით. კვიტანციას ხელს აწერს ჭყეპის მამასახლისის თანაშემწე ტარასი ჭიქაბერიძე. ტმმ, №5414; 2. მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1904 წლის 24 აგვისტოს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, რითაც ირკვევა, რომ მანდიკორის საზოგადოების სოფ. ჭყეპში მცხოვრებმა ანზაურებმა ნიკოლოზ და პოლიევკტოს თეიმურაზის ძე ჟორჟოლაძეებსა და მიხეილ და ბასილ ლუკას ძე გოლოძეებს მიჰყიდეს მიწის ნაკვეთი „ნაბელღავის“ სახელწოდებით. დოკუმენტის შემდგენელი გვაუწყებს ობიექტის პარალელურ სახელწოდებასაც: „ნაბელღავი და იგუზ ხოპია“ (ორივე ჭყეპში). ტმმ, №371.

ნაბოსღები - სოფელი; 1. „ნასყიდობით პირობის ხელისწერილში“ (26 დეკემბერი, 1906 წ.) დასახელებულია ნაბოსღებს მცხოვრები გლეხი ნესტორ ბასილის ძე ხუჯაძე. ტმმ, №1133; 2. დასახელებულია 1918 წლის 7 მაისს და 1920 წლის 1 თებერვალს შედგენილ ნასყიდობის წერილებში, როგორც მანდიკორის საზოგადოებაში შემავალი სოფელი. ტმმ, №47914, №479/8.

ნაბოსღევი - 1. სოფელი კურსების საზოგადოებაში; ტმმ, №479/12.

ნაბოსღევის დაჩა - დასახელებულია 1906 წლის 26 დეკემბერს შედგენილ „ნასყიდობის პირობის ხელწერილში“. ტმმ, №1133.

ნანიკასოული - მიწის ნაკვეთი; 1903 წლის 26 ოქტომბერს შედგენილი „სოფლიური ნასყიდობით“ ირკვევა, რომ ქასრაშვილებმა ბოჭორიშვილს მიჰყიდეს „ერთი ნაკვეთი ადგილი სოფლის ტყიბულის დაჩაში, სახელწოდებული ნანიკასოული...“ (ტყიბული). ტმმ, №11355.

ნაპურალი - ტოპონიმი დასახელებულია 1883 წლის 12 აპრილით დათარიღებულ (წელი ვერ გავარკვეეთ) დოკუმენტში, რომლის თანახმად ნაპურალში მდებარეობდა წისქვილის სათავე (საწირე). ტმმ, №330/23; ერთ-ერთი „გარიგების პირობის ხელწერილი“ გვაუწყებს, რომ ივანე და ოსია მერაბის ძე და კოკოლა, ესაია და ივანე გიორგის ძე ცირეკიძეებმა, გლეხებს - მარკოზა კვირიას ძე, კიკოლა, პავლია და პორფილე დავითის ძე ცირეკიძეებს და მალხაზა და სარდიონა ზურაბის ძე კუბლაშვილებს გასაკეთებლად მისცეს „საწისქვილო ადგილი, სახელწოდებულს ნაპურალის ადგილშიდ, მდინარე სალიაზე (?)“ (საწირე). ტმმ, №33018.

ნასაკირები - მიწის ნაკვეთი მუხურაში; დამოწმებულია „ფარდის წერილში“ (15 მარტი, 1909 წ.). ტმმ, №501.

ნასიკოური - იხ. ზემოთ გოლოული (ჭყეპი).

ნაქცევი - დამოწმებულია 1868 წლის 11 ივნისს შედგენილ „ადგილ-მამულის მიჩენილობის წიგნში“. ესაა დოკუმენტი „ადგილ-მამულზედ დაბინავებისათვის დროებითად ვალდებულის გლეხის წყალობა კუპრაშვილის მამულში მებატონის მემკვიდრის თავადის გიორგის მხედისა ალექსანდრესი სოფელსა საწირეს, პირველს მიროვოს ნაწილში ქუთაისის უეზდისა“. გლეხი ფლობდა მიწის ოთხ ნაკვეთს. ტმმ, №330/35.

ნაჩიხვა - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1893 წლის 29 აპრილს შედგენილ „გარიგების წერილში“. ტმმ, №502.

ნაჩხიდარაულა (ნაჩხიდორაულა?) - მიწის ნაკვეთი („ნასყიდობა“, 9. II. 1902 წ.); ძიროვანელმა ისიდორე და პანტელეიმონ ივანეს ძე

სოფრომაძეებმა და გერასიმე კიკოლას ძე ცირეკიძემ იმავე სოფლის გლეხებს - გაბრიელა, ივანე და სპირიდონ პაპუნას ძე სოფრომაძეებს მიჰყიდეს სახელდებული ობიექტი, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - გოგია გელაძის, დასავლეთით და სამხრეთით - თვით მყიდველებისა და ბასილა სოფრომაძის, ჩრდილოეთით - მყიდველების კუთვნილი მიწის ნაკვეთები (ძიროვანი). ტმმ, №1102.

ნაციხურის ადგილი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ნასყიდობის წერილში“ (10. IV.1899 წ.). საზღვრები: აღმოსავლეთით - გიგო ქათამაძის ნასყიდი მიწის ნაკვეთი, დასავლეთით - გიორგი ცირეკიძის, ჩრდილოეთით - სირბილაძისა და სამხრეთით - ბუბაშვილების მიწის ნაკვეთები (საწირე). ტმმ, №1107.

ნაჯიხურევი - იხ. ჩონჩოხი (ქვემოთ).

ნებისოალი (წებისოალი?) - დამოწმებულია „ნასყიდობის პირობის ხელის წერილში“. საწირელმა ყმამ - სიმონ გიორგის ძე ცირეკიძემ იმავე სოფელში მცხოვრებ ყმას - მალხაზა და სარდიონ ზურაბის ძე კუბლაშვილებს მიჰყიდა „ნებისოალი“ (თუ წებისოალი?), შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით - მყიდველთა კუთვნილი მიწის ნაკვეთი, „ჩრდილოეთით შარა, რომელიც არის ჩამზღვრული ქვის სამნით, ზომით ირგვლივ შამოღობილი ორმოცდაოთხი საჟენი და სამზეურისკენ არის შვიდი ზღვარი“ (საწირე). ტმმ, №3308.

ნიგვზიანი - მიწის ნაკვეთი მუხურაში; დასახელებულია „ფარდის წერილში“ (15 მარტი, 1909 წ.). ტმმ, №501.

ნიგუზარის ადგილი - მიწის ნაკვეთი; 1898 წლის 26 სექტემბერს შედგენილ „პირობის ხელწერილში“ ვკითხულობთ: „მე ქუემორე ამისა ხელის მომწერმა, მცხოვრებმა ქუთაისის უეზდში, სოფელს კურსებსა შინა, მღუდლის დავიდ ბერაკაშვილის ასულმა ელენტია დალაქისშვილისმა მოგეცი ესე პირობის შემდექის ხელით წერილი, თქუნ, მცხოვრებს ამაუე კურსებსა შინა გლეხები - გიორგის გრიგო-

ლის ძეს და ბესარიონ დავითის ძეს აბესამეებთა, მას ზედა, რომელ მე ელენტია დალაქიშვილისმა გადმოგეცი... ერთის ნაკუეთის ნიგუზარის ადგილი. მასში ფასი სრული მივიღე ასორმოცდაათი მანეთი და დაუსტოვე ის ნიგუზარის ადგილი თქუენს მფლობელობის ქუეშე...“ ხელს აწერენ მღვდლის - დავით ბერეკაშვილის ასული ელენტია დალაქიშვილისა და კურსების საზოგადოების მამასახლისი დავით ნიშნიანიძე (კურსები). ტმმ, № 1132.

ნინიკასოული - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1907 წლის 10 ნოემბერს შედგენილ „ფარდის და პირობის ხელწერილში“, რომლის მიხედვით სოფ. ტყიბულში მცხოვრებ ძმებს - ბოჭორიშვილებს შორის უძრავ-მოძრავი ქონების გაყოფისას გიორგი ბოჭორიშვილს „ტყიბულის დაჩაში, თვით ბაზარში და ბაზრის მახლობლათ“ წილად ხვდა კიკოლა ქასრაშვილისგან ნაყიდი ადგილი „ნინიკასოული“, „იმ ხსენებულის ადგილზე დღეს დგმული სახლიანათ, რომელიც დღეს ხის სახლი დგას...“ (ტყიბული). ტმმ, №1135/46.

ნინიკასოული - მიწის ნაკვეთი; „გლეხმა სოგრატი გერასიმეს ძე ქასრაშვილმა, აპეკუნმა ობლისმა ათანა ქასრაშვილის დანარჩენი შვილისამ მოგაქირავე ერთი ნაკვეთი ობლის ადგილი სახელწოდებული ტყიბულის გვერდის ბოლოს ნინიკასოული თქვენი ამავე სოფელს ტყიბულში მცხოვრებს სერგია გარსევანის ძეს ბოჭორიშვილს...“, - ვკითხულობთ დოკუმენტში. ხელს აწერენ სოგრატი ქართველიშვილი, სპირიდონ ბოჭორიშვილი, ვასილ ვარდოსანიძე და ა. შ. ტმმ, №1135/11.

ნოღადირი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ნასყიდობის ქალაქში“ (24. 05. 1920 წ.). კურსებელმა ძმებმა - კონსტანტინე (სვიმონ) და აბესალომ პავლეს ძე გოგოლაშვილებმა პავლე ლაზარეს ძე ბეროდეს მიჰყიდეს „სახნავ-სათესი ადგილი, მდებარე კურსებშივე, სახელწოდებული ნოღადირი, ზომით მაგალითათ ორი ქვევა“. საზღვრები: აღმოსავლეთით - ევთიმე ბეროდის ობლების, დასავლეთით

- ივანე სვიმონის ძე გოგოლაშვილისა და დიანოს ანდრიას ძე ბეროდის, ჩრდილოეთითაც - დიანოს ბეროდის, სამხრეთით - ალექსი ზაქარეას ძე ბეროდის მიწის ნაკვეთები, „თავზედ საზოგადო შარა“ (კურსები), ტმმ, №36.

ომბალოს ადგილი - იხ. ქვემოთ ქატიასოული.

ოთხზიარი - მიწის ნაკვეთი; 1914 წლის 25 იანვარს დაწერილი „ფარდის წერილის“ მიხედვით ოთხზიარი თავის ძმებთან ერთად წილად რგებია ძიროვანში მცხოვრებ გიგო ნიკოლოზის ძე ფორჩხიძეს, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - მდინარე, დასავლეთით - გზა, ჩრდილოეთით - ივანე ფორჩხიძის მიწის ნაკვეთი და სერგი ფორჩხიძის „ნაკილი“ (ძიროვანი). ტმმ, №1101.

პატარა საბეკი - სათიბი; 1920 წლის 10 აგვისტოს შედგენილი „მოცვლილობის ხელწერილის“ თანახმად საწირის თემის სოფ. ტყიბულში მცხოვრებ იაკო ბოჭორიშვილს გიორგი ბოჭორიშვილისთვის მიუცია სათიბი, დიდი საბეკის სახელწოდებით, და სანაცვლოდ მიუღია პატარა საბეკი, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - გარსევან ბოჭორიშვილისა და მისი „მონაწილეების“, დასავლეთით - ამტონა ზურაბის ძე ბოჭორიშვილის, ჩრდილოეთით „მამღორსალიდგან“ (?) ჩამომავალი საურმე გზა, სამხრეთით - „რაჭის სამზღვრამდის“. ამისთვის მას მიუღია 1500000 (მილიონხუთასიათასი) მანეთი (ტყიბული). ტმმ, №1135/16.

პატია ცირეკიძის სამზღვარი // კორღანი - დასახელებულია „ფარდის წერილში“ (14. IX. 1904 წ.): „დაბლაფუზე ძველი ნამოსახლი, აღმოსავლეთით პატია ცირეკიძის სამზღვრამდის და იგივე კორღანამდის...“ (საწირე). ტმმ, №330/7.

პეტერა ღელე - ღელე; დამოწმებულია სოფ. მუხურაში მცხოვრები ვანია სამსონის ძე არაბიძის, სილოვან არაბიძის ობლების - კაენი და ვანიჩქა არაბიძეების აპეკუნის - ისმაილ გაბრიჭიძის „ფარდის

წერილში“, როგორც ობლების კუთვნილი მიწის ნაკვეთის საზღვარი ჩრდილოეთიდან (მუხურა). ტმმ, №5001.

რუბნელა - მიწის ნაკვეთი; მდებარეობდა „რკინიგზის აჩუყენიდან ტყიბულას წყლამდი“ (10. IX. 1907 წ., „ფარდისა და პირობის ხელწერილი“). ფლობდა გიორგი ბოჭორიშვილი (ტყიბული). ტმმ, №1135/46.

რუბოდლის დელე - დელე; ჰიდრონიმი დამოწმებულია 1887 წლის 25 სექტემბრით დათარიღებულ დოკუმენტში, სადაც მითითებულია, რომ რუბოდლის დელე წარმოადგენდა წიფლარად სახელდებული მიწის ნაკვეთის ჩრდილოეთ საზღვარს (მუხურა). ტმმ, №522.

საგზეური (სამზეური?) - დამოწმებულია სიმონ ცირეკიძის მიწის ნაკვეთის გაყიდვასთან დაკავშირებით შედგენილ „ნაყიდობის წერილში“. იხ. **ნებისოალი (წებისოალი?)**.

სათიბა - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1909 წელს შედგენილ „ნაყიდობის წერილში“. ბასილა უნცროსას ძე ფოჩხიძეს ძიროვანში მცხოვრებ მოსე ექვთიმეს ძე ქათამაძისთვის მიუყიდა „ერთი ნაკვეთი მიწა სახელწოდებული სათიბის ადგილი, მდებარე ძიროვანის დაჩაში“. მოცემულია საზღვრებიც: აღმოსავლეთით - გზა, დასავლეთით - ჭალა, სამხრეთით - ფილიფე და აღმასხანა ფოჩხიძეების, ჩრდილოეთით - კოსტია ნიკოლოზას ძის „სამზღვრამდი“ (ძიროვანი). ტმმ, №31106.

სალესავა - სახნავი, ტყე; დამოწმებულია 1902 წლის 15 ივნისს შედგენილ „ნაყიდობის ხელისწერილში“, რომლის მიხედვით კურსებელი ტრიფო ნიკოს ძე გოგოლაშვილის ქვრივმა - სალომე მესხმა, გლუხს, ბესარიონ დავითის ძე აბესაძეს მიჰყიდა 6 ქვევა მიწის ნაკვეთი, სახნავი და ტყე „სალესავას“ სახელწოდებით, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - სიკო და გიორგი გოგოლაშვილების, დასავლეთით - პავლე ბეჟანის ძე გოგოლაშვილის, სამხრეთით - ტრიფო გოგოლაშვილის, ჩრდილოეთით - სიკო, სოლომონ, თეოფილე და გი-

ორგი გოგოლაშვილების მიწის ნაკვეთები. ნასყიდობის დოკუმენტს ხელს აწერენ აზნაური გიორგი გოგოლაშვილი და კურსების საზოგადოების მამასახლისი ჭარხალაშვილი (კურსები). ტმმ, №1134.

სალია (?) - მდ. დასახელებულია „გარიგების პირობის ხელწერილში“ (საწირე). ტმმ, №330/18.

სამოსახლო - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ნასყიდობის ხელის წერილში“ (23 ივლისი, 1883 წ.). ჭყეპელმა გლეხმა ზაქარია შაქარას ძე ბაკურაძემ გლეხ იოსებ პეტრეს ძეს მიჰყიდა „სამოსახლო“, „შამოკორდნელი მეჭავანის წესით“. (ჭყეპი). ტმმ, №4799.

სამღებრო - დამოწმებულია „ფარდისა და პირობის ხელწერილში“ (10. IX. 1907 წ.) და მდებარეობდა რუბნელას მახლობლად (სოფ. ტყიბული). ტმმ, №1135/46.

სამჭელიშვილო - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ნასყიდობის წერილში“, სადაც ვკითხულობთ: „მოგეცით ჩვენ ქვემოთ ამისა ხელის მომწერელმა ქუთაისის ვეზდის და საწირის საზოგადოების სოფელსა ტყიბულს მცხოვრებმა საეკლესიო გლეხმა პეტრია გოგიას ძემ ბოჭორიშვილმა და ბიძამა ჩემა გაბრიელ კაციას ძემ ბოჭორიშვილმა შენ ამავე ვეზდისა და საზოგადოებისა და ამავე სოფელსა მცხოვრებს ივანეს გოგილას ძეს ბოჭორიშვილსა, მას შინა, რომელ მოგყიდე ჩემდამო კუთნილი ადგილი, მდებარე ტყიბულსავე, სახელდობ სამჭელიშვილოშიდ სახეოს ადგილი“. საზღვრები: აღმოსავლეთით - ლაზარე ბოჭორიშვილის, ჩრდილოეთით - პეტრესა და მამუკას კუთვნილი მიწები, დასავლეთით - დიდიჭალა, სამხრეთით - ივანე გოგილას ძე ბოჭორიშვილის მიწის ნაკვეთი. „ეს ადგილი იმყოფება ოცდათექვსმეტი საყენი სიგრძით და განით თავში ცამეტი საყენი და ბოლოშიდ თექვსმეტი საყენი“ (ტყიბული). ტმმ, №11352.

საშენებელა - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ფარდის წერილში“ (25 იანვარი, 1914 წ.). საზღვრები: აღმოსავლეთით - ბრეგაძის, ჩრდილოეთით - სოფრომაძეების მიწის ნაკვეთები და გზა, და-

სავლეთით - მდინარე, სამხრეთით - კვლავ სოფრომაძეების მიწა. იხ. ზემოთ გიგაულა (ძიროვანი). ტმმ, №1101.

საჩინო - სოფელი. დამოწმებულია 1916 წლის 4 იანვარს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“. საჩინო დასავლეთიდან ესაზღვრებოდა ფიქლოულას - მიწის ნაკვეთს სოფელ ჭყეპში. ტმმ, №373.

საჩხარო გზა - დამოწმებულია 1912 წლის 16 ივლისს შედგენილ „პირობის წერილში“. **ვაკეტიტველას** მიწის ნაკვეთის გამო ძველ დვინეფაძესა და საწირელ გლეხებს - კუბლაშვილებსა და ტოფაძეებს შორის სასამართლო დავა გამართულა. დავის გასარჩევად დანიშნულა მედიატორი დარახველიძე. მედიატორული განჩინება გვაუწყებს: „ვალდებული ვარ მე დვინეფაძე, მოგცე გზა მისასვლელად და გამოსასვლელად. იმა ადგილში, რომელშიდაც დღეს დავა გვაქუნდა, სახელდობ, იმ ადგილზედ, სადაცა დღეს გზა არსებობს, ესე იგი **საჩხარო გზიდან** ვიდრე სადავო ჩვენ შორის ადგილისა“ (ძვერი). ტმმ, №33024.

საცხენისკბოდე - 1. დასახელებულია „ფარდის წერილში“ (9. XII. 1923 წ.), როგორც ლუკასოულთან მდებარე (ძიროვანი). ტმმ, №1109;

საცხენისკლდე - მიწის ნაკვეთი (25. VII. 1915 წ., „პირობის წერილი“); საზღვრები: აღმოსავლეთით - გიორგი ფორჩხიძის, დასავლეთით - იულო ქათამაძის, ჩრდილოეთით - იაკო ქათამაძის მიწის ნაკვეთები, სამხრეთით - დელე (ძიროვანი). ტმმ, №1105.

საწირე - სოფელი; დასახელებულია 1. 1899 წლის 10 აპრილს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, როგორც საწირის საზოგადოებაში შემავალი სოფელი. ტმმ, №1107; 2. 1901 წლის 7 ივლისს შედგენილ „პირობის წერილში“. მასში მოიხსენიება საწირის საზოგადოების სოფ. საწირეში მცხოვრები მესაკუთრე გლეხი თომა კვირიას ძე კუბლაშვილი (ქუთაისში გადასახლებულა), ნიკოლოზ თედორეს ძე ქათამაძე, სოფიო ბახუტაშვილი-ქათამაძისა, ბასილ კვირიას ძე, მალ-

ხაზა და სარდიონ ზურაბის ძე კუბლაშვილები. დამოწმებულია აგრეთვე საწირის დაჩაში, სკიპსგაღმა მდებარე მიწის ნაკვეთები. ტმმ, №33028.

საწირის თემი - 1923 წლის 9 დეკემბერს შედგენილ „ფარდის წერილში“ დასახელებულია საწირის თემი და მასში შემავალი სოფელი ძიროვანი. ტმმ, №110/09. საწირის თემს ვხვდებით აგრეთვე 1930 წლის 24 ივნისს შედგენილ „პირობის სიაში“. ტმმ, №1109.

საწირის საზოგადოება - 1. 1902 წლის 12 იანვარს შედგენილ „პირობის წერილს“ ხელს აწერენ ნიკოლოზ ქათამაძე, მელიტონ კუბლაშვილი, გრიგოლ ქარქაშაძე და საწირის საზოგადოების მამასახლისი გერასიმე ქარქაშაძე. ტმმ, №330/28; 2. 1907 წლის 10 ნოემბერს შედგენილ „ფარდისა და პირობის ხელწერილში“ დასახელებულია საწირის საზოგადოებაში შემავალი სოფელი ტყიბული. ტმმ, №1135/46; 3. დასახელებულია 1915 წლის 20 ივნისს შედგენილ „კვიტანციაში“. დოკუმენტს ხელს აწერს საწირის საზოგადოების მამასახლისის თანაშემწე ივანე ქათამაძე. ტმმ, №11358.

საწისქვილო - დასახელებულია 1883 წლის 12 აპრილს შედგენილ „პირობის ხელწერილში“. „საწისქვილო ადგილი, - ვკითხულობთ საბუთში, - არის დღეს შამოსაზღვრული ერთი მხრით ქვის სამნებით და მიაჭრის, სათავეში ჯებირზე ჯვარი, ან ქვაზე და სათავეში სათავის თავისმიგდება, სადაც მოუხერხდება...“ (საწირე). ტმმ, №33018.

საწუმბე - ისლნარი; დასახელებულია „ფარდის წერილში“ (25. I. 1914 წ.), როგორც ძმებს შორის უძრავ-მოდრავი ქონების გამიჯვნისას სერგია ფორჩხიძისთვის მიკუთვნებული ადგილი, რასაც აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ბრეგაძის მიწის ნაკვეთი ესაზღვრებოდა, ხოლო დასავლეთით და სამხრეთით - გზა (ძიროვანი). ტმმ, №1101.

საჭურისწვერი - ტოპონიმი დამოწმებულია „ნასყიდობის წერილში“ (4 იანვარი, 1916 წ.), რითაც ირკვევა, რომ სახელდებული ობიექტი აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა ფიქლოულას. მსჯელობისათვის ვრცლად იხ. **ფიქლოულა** (ჭყევი). ტმმ, №373.

სახარდნე - დამოწმებულია „ადგილ-მამულის მიჩენილობის წიგნში“ (ივნისი, 1868 წ.); ფლობდა წყალობა კუპრაშვილი (საწირე). ტმმ, №33035.

სახტრისგვერდი - მიწის ნაკვეთი. დასახელებულია „ფარდის წერილში“ (25.I.1914 წ.). წილად რგებია სერგია ნიკოლოზის ძე ფორჩხიძეს, ბაბილაულასთან ერთად. სახელდებულ ობიექტს აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით ესაზღვრებოდა მეთოდე ქათამაძის, ხოლო დასავლეთით -ამტონა ქათამაძის მიწები (ძიროვანი). ტმმ, №1101.

სიმონეთი - სოფელი; დასახელებულია 1911 წლის 12 იანვარს შედგენილ დოკუმენტში, სადაც ვკითხულობთ: „ავიღე ვალათ მე მცხოვრებმა სოფელსა სიმონეთში გლეხმა პლატონ ივანეს ძე ბოჭორიშვილმა თერთმეტი თუმანი ფული (111 p.) შენ მცხოვრებისაგან სოფელსა ტყიბულში გლეხიდან გიორგი ივანეს ძიდგან ბოჭორიშვილიდგან ერთის წლის ვადით უსარგებლოთ“. დოკუმენტს ამოწმებს სიმონეთის საზოგადოების „პომომნიკი“ დავით ხოხიაშვილი. ტმმ, №1135/29.

სკიპი - მდინარე; დამოწმებულია 1. „პირობის წერილში“ (7 ივლისი, 1901 წ.): „მოგყიდეთ ჩვენი საკუთრება ადგილები საწირის დარჩაში. რაც ჩვენი ნაწილები იყო, სკიპს გაღმა...“ (საწირე). ტმმ, №33028; 2. 1904 წლის 30 მაისს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, რომლის თანახმად საწირელმა მესაკუთრე გლეხმა ბასილა კვირიას ძე კუბლაშვილმა მალხაზა და სარდიონ ზურაბის ძე კუბლაშვილებს მიჰყიდა „საკუთარი კორღნის ადგილი, მდებარე საწირის დარჩაში, მდინარე წყალსგაღმა, ესე იგი სკიპის გაღმა...“ (საწირე). ტმმ, №33039.

სულაულა - მიწის ნაკვეთი, „თავის ღობე-გალავნით“ უძრავ-მოდრავი ქონების გამიჯვნისას წილად რგებია ვარდენ ნიკოლოზის ძე ფორჩხიმეს, გიგაულასა და საშენებელასთან ერთად. სულაულას საზღვრები: აღმოსავლეთით - ბრეგაძის, დასავლეთით და სამხრეთით - მოსე ქათამაძის, ჩრდილოეთით - კოსტა ქათამაძის მიწის ნაკვეთები (მროვანი). ტმმ, №110/01.

ტოფაძის სამანი - დასახელებულია „ფარდის წერილში“, რომლის თანახმად სახელდებული ობიექტი კვირიას სამნის შემოგარენში მდებარეობდა (საწირე). ტმმ, №33015.

ტოფაძის ღელე //მეჩხერას ღელე - ღელე; დამოწმებულია „ნასყიდობის წერილში“ (30. V.1904 წ.). ღელე ჩრდილოეთიდან საზღვრავდა მიწის იმ ნაკვეთს, რაც საწირელ ბასილა კუბლაშვილს მიუყიდა მალხაზა და სარდიონ კუბლაშვილებისთვის (საწირე). ტმმ, №33039.

ტყიბულასგვერდი - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1918 წლის 2 ნოემბრით დათარიღებულ „ნასყიდობის პირობაში“. საწირის საზოგადოების სოფ. ტყიბულში მცხოვრები მესაკუთრე გლეხი ვერიკვა, ანტონა ქასრაშვილის ასული, კონდრატი ფანჩულიძის მეუღლე, „პირობის ხელწერილს“ აძლევს ტყიბულშივე მცხოვრებ გიორგი ივანეს ძე ბოჭორიშვილს, მიწის ნაკვეთის მიყიდვის შესახებ. საზღვრები: აღმოსავლეთით - ერმინე ჯიშიაშვილის, დასავლეთით - მაქსიმე და „მისი მონაწილე“ ქასრაშვილების, სამხრეთით - მყიდველ კონდრატი ფანჩულიძის, ჩრდილოეთით - ფირან ბოჭორიშვილის კუთვნილი მიწის ნაკვეთები (ტყიბული). ტმმ, №1135/15 (II).

ტყიბულას წყალი - დასახელებულია „ფარდისა და პირობის ხელწერილში“ (10. XI. 1907 წ.). ტმმ, №1135/46.

ტყიბული - სოფელი; 1. 1902 წლის 4 ივნისს შედგენილ „პირობის ხელწერილში“ დამოწმებულია საწირის საზოგადოების სოფ. ტყიბულში მცხოვრები რომანოზ ივანეს ძე, დიმიტრი პეტრიას ძე და

კიკოლა სიმონის ძე ქასრაშვილი. ტმმ, №11353; 2. ერთ-ერთ „ნასყიდობის წერილში“ დასახელებულია საწირის საზოგადოების სოფ. ტყიბულში მცხოვრები საეკლესიო გლეხები - პეტრია გოგიას ძე და ბიძამისი გაბრიელ კაციას ძე ბოჭორიშვილები. ტმმ, №11352. 3. 1903 წლის 26 ოქტომბრით დათარიღებულ „ნასყიდობის წერილში“ დასახელებულია სოფელ ტყიბულში მცხოვრები კიკოლა სიმონის ძე ქასრაშვილი, მისი ასული ევგენი ქასრაშვილი-კვინიხიძისა და სოლომონ ივანეს ძე ბოჭორიშვილი. ტმმ, №11355; 4. 1903 წლის 2 ოქტომბერს შედგენილ „კვიტანციაში“ დასახელებულია სოფ. ტყიბულში მცხოვრები კიკოლა სიმონის ძე ქასრაშვილი და სოლომონ ივანეს ძე ბოჭორიშვილი. ტმმ, №1354; 5. დასახელებულია 1915 წლის 20 ივნისს შედგენილ „კვიტანციაში“. დოკუმენტს ხელს აწერს საწირის საზოგადოების მამასახლისის თანაშემწე და ტყიბულის „პომოშნიკი“ ივანე ქათამაძე. ტმმ, №11358; 6. დამოწმებულია 1916 წლის 22 ოქტომბერს შედგენილ „პირობის წერილში“, როგორც ქუთაისის „უეზდის“ საწირის საზოგადოებაში შემავალი სოფელი. ტმმ, №1135/11; 7. 1918 წლის 15 ივნისით დათარიღებულ „პირობაში“ დამოწმებულია სოფ. ტყიბული და ამ სოფელში მცხოვრები მესაკუთრე გლეხი ვარლამ დიმიტრის ძე ქასრაშვილი. ტმმ, №1135/13; 8. 1918 წლის 18 ნოემბრით თარიღდება „პირობა“, რაშიც მოხსენიებულია „სოფელს ტყიბულში მცხოვრები აპეკუნი გარდაცვალებული ათანა ქასრაშვილის დანარჩენ მცირეწლოვანი ობლისა...“ ტმმ, №1135/14; 9. 1918 წლის 18 ნოემბრით დათარიღებულ „პირობის წერილს“ ხელს აწერს „ტყიბულის სოფლის კომისარი მელქისადეკ ბოჭორიშვილი“. ტმმ, №1135/14; 10. 1922 წლის 1 მაისს შედგენილ „მოცვლილობის ხელწერილში“ დასახელებულია სოფ. ტყიბულში მცხოვრები მაქსიმე ქასრაშვილი. ტმმ, №1135/17.

ტყიბულისგვერდი - 1. მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია „პირობის ხელწერილში“ (1907 წ., 11 დეკემბერი). საწირის საზოგადოების

სოფ. ტყიბულში მცხოვრებმა მესაკუთრე გლეხმა - დიმიტრი იაკოფას ძე ქასრაშვილმა გიორგი ივანეს ძე ბოჭორიშვილს მისცა „სოფელს ტყიბულის დაჩაში თვით ბაზარში სახელწოდებულს ტყიბულისგვერდის ადგილს“, მისი ხვედრი მიწის ნაკვეთი (ტყიბული). ტმმ, №11357; 2. დასახელებულია 1915 წლის 20 ივნისს შედგენილ „კვიტანციაში“: „მივიღე ასსამოცი მანეთი ნაღდი ფული თქვენ გიორგი ივანეს ძის ბოჭორიშვილისგან, რომელიც დღეის რიცხვში ტყიბულის გვერდს მიწას მოგყიდე. ამისი ნაფასური არის სრულად ეს ფული. ხელს ვაწერ ჩემს საკუთარს დიმიტრი ქასრაშვილი იაკოფას ძე“. ტმმ, №11358; 3. 1918 წლის 15 ივნისს შედგენილ „პირობაში“ დამოწმებული „ერთი ნაკვეთი ადგილი მდებარე ბაზარს ტყიბულში, სახელწოდებული ტყიბულიგვერდის ადგილი“. ტმმ, №1135/13; 4. ტოპონიმს ვხვდებით 1918 წლის 18 ნოემბრით დათარიღებულ „პირობის წერილშიც“. ტმმ, №1135/14; 5. 1922 წლის 1 მაისის „მოცვლილობის ხელწერილის“ მიხედვით ტყიბულელმა გლეხმა მაქსიმე ქასრაშვილმა და გიორგი ბოჭორიშვილმა ერთმანეთში გაცვალეს ადგილები, „მდებარე ტყიბულის დაჩაში“. ეს მიწებია ტყიბულისგვერდი და კუბჩაშე (?). ტმმ, №1135/17. 6. დასახელებულია 1922 წლის 1 მაისს შედგენილ საბუთში. ჩხარელმა მიხეილ მაქსიმეს (?) ძე კალატოზმა ტყიბულელ გიორგი ივანეს ძე ბოჭორიშვილს გადასცა „ტყიბულისგვერდი“, რაც შემოსაზღვრული იყო ბოჭორიშვილების, ქასრაშვილებისა და ჯიშიაშვილის მიწის ნაკვეთებით (ტყიბული). ტმმ, №1135/26.

უკლებას სამანი - დასახელებულია „ნაყიდობის წიგნში“. მსჯელობისათვის იხ. ქვემოთ - **ქათამაძის სამანი**.

ფარდის ადგილი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1923 წლის 9 დეკემბერს შედგენილ „ფარდის წერილში“, რომლის მიხედვით საწირის თემის სოფ. ძიროვანში მცხოვრებმა მოსე ექვთიმეს ძე ქათამაძემ თავის სიძეებს - ბესარიონ ნიკოლოზის ძე ცირკვიძეს და

რომანოზ ივანეს ძე კუბლაშვილს გაუნაწილა უძრავი ქონება, „შიგნი ფუზის ადგილი“, მათ შორის ფერდის ადგილი, რაც მოქცეული ყოფილა „ზევით შარაგზამდი, დაბლაწყარომდი“ (ძიროვანი). ტმმ, №1109.

ფიქლოულა - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია „ნასყიდობის წერილში“ (4 იანვარი, 1916 წ.). ქუთაისელ აზნაურს კონსტანტინე გრიგოლის ძე ჟორჟოლაძეს ჭყეპში მცხოვრებ მიხეილ ლუკას ძე გოლოძისა და ლევანტი პავლეს ძე ჭიქაბერიძისთვის მიუყიდა მიწის ნაკვეთი და ტყე „ჭყეპის დაჩაშიდ“, ფიქლოულას სახელწოდებით, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - საჭურისწვერი, ჭიქაბერიძისა და თედორე ბაკურაძის მიწის ნაკვეთი, დასავლეთით - საჩინო აბესაძისა და ბაკურაძის მიწის ნაკვეთები, სამხრეთით - ექვთიმე ბაკურაძისა და ალექსი ჟორჟოლაძის, ხოლო ჩრდილოეთით - პოლიაკტერ და ვარდენ ჟორჟოლაძეების მიწის ნაკვეთები (ჭყეპი). ტმმ, №3713; №3714.

ფხეკელა - მიწის ნაკვეთი ცუცხვათში („პროტოკოლი“, 29 იანვარი, 1903 წ.). ტმმ, №5011.

ფხეკელას ეწერი - მიწის ნაკვეთი ცუცხვათში („პროტოკოლი“, 29 იანვარი, 1903 წ.). ტმმ, №5011.

ქათამაძის სამანი - დასახელებულია „ნასყიდობის წიგნში“ (ჩყვზ წელი, 3 ოქტომბერი), რომლის მიხედვით სესიკა და ლაზარე ბასილაძეებმა პეტრე და პავლე არაბიძეებს, და ამ უკანასკნელთა ძმისწულებს - ბასილასა და გიორგის მიჰყიდეს „სამოსახლო გზას ზეით და ქათამაძისა და უკლებას სამნებს შუა, თავს შარამდი, ამათ შუა“. დოკუმენტის შედგენის „მოწამედ და გამრიგედ“ დასახელებულია ლევანა პატარიძე, დათია ქათამაძე, გოგია არაბიძე და მახარა ეგუტიძე. ტმმ, №5092.

ქატასოული//ომბალოს ადგილი - დამოწმებულია 1922 წლის 1 მაისს შედგენილ „ფარდის ხელწერილში“. ტყიბულელ თავისუფალ

მოქალაქეებს, ძმებს - მალაქია და გიორგი ბოჭორიშვილებს ტყიბულის ბაზარში ჰქონიათ „ორი ნაჭერი მიწა, სახელწოდებული ქატიას-სოული, იგივე ომბალოს ადგილი“. სახელდებული ობიექტი წარმოადგენდა სადუქნე ადგილს (ტყიბული). ტმმ, №1135/20.

ქეცროფოვანია (?) - მიწის ნაკვეთი; სახელდებული ობიექტი მდებარეობდა მანდიკორის საზოგადოების სოფელ ჭყეპში. 1883 წლის 23 ივლისს შედგენილ „ნასყიდობის ხელწერილს“, რაშიც ტოპონიმი დასახელებული, ხელს აწერენ აზნაური დავით ბესარიონის ძე მხეიძე, კაცია ჭიქაბერიძე და სხვანი. ტმმ, №47919; 1904 წლის 26 სექტემბერს შედგენილ „კვიტანციაში“ ვკითხულობთ: „აზრ ვასილ და ქაიხოსრო გიორგის ძემ ყიფიანებმა მივიღეთ ასი მანეთი ნაღდი ვერცხლისა. ფასად ჩუენგან მისყიდულის ადგილის ქეცროფოვანისა. შენ მიხეილ ლუკიას ძის გოლოძისაგან და ამით ვართ სრული კმაყოფილი. რასა შინა ჩვენს საკუტარს ხელს ვაწერთ აზრ ვასილი ყიფიანი, ქაიხოსრო ყიფიანი... ვემოწმები რწმუნებულის ჩემდამი ბეწდების დასმითა მანდიკორის საზოგადოების მამასახლისი იოსებ ბაკურაძე“ (ჭყეპი). ტმმ, №5412.

ქვაკიბულა - მიწის ნაკვეთი („ფარდის წერილი, 9. XII. 1923 წ.); დოკუმენტის მიხედვით სახელდებული ობიექტი მდებარეობდა „გზას ქვეშ“, რაც ძირითადად მოსე ექვთიმეს ძე ქათამაძეს უბოძებია სიძისთვის - რომანოზ ივანეს ძე კუბლაშვილისთვის (ძიროვანი). ტმმ, №1109.

ქვარნალა - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1903 წლის 29 იანვრით დათარიღებულ „პროტოკოლში“ (ცუცხვათი). ტმმ, №5011.

ქვეშაკლდე - ტოპონიმი დამოწმებულია 1904 წლის 15 ნოემბერს შედგენილ „ნასყიდობის წერილსა“ და „კვიტანციაში“; აგრეთვე 1909 წლის 12 ივნისს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“. ტმმ, №4795, ტმმ, №4712, №548. 1913 წლის 2 ოქტომბერს შედგენილი „კვიტანციით“ ირკვევა, რომ აზნაურმა ბიქტორ ფირანის ძე ჟორჯოლაძემ

ჭყეპელი მიხეილ ლუკას ძე გოლოძისგან მიიღო მიწის ნაკვეთი ქვე-შაკლდე (კურსები). ტმმ, №545.

ქოჩასოული - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1903 წლის 29 იანვრით დათარიღებულ „პროტოკოლში“ (ცუცხვათი). ტმმ, №5011.

ქოჩისოული (?) - მიწის ნაკვეთი ცუცხვათში („პროტოკოლი“, 29. 01. 1903 წ.). ტმმ, №5011.

ქუთაისი - ქალაქი; დასახელებულია: 1. 1901 წლის 7 ივლისს შედგენილ „პირობის წერილში“, რომლის მიხედვით საწირის საზოგადოების სოფ. საწირეში მცხოვრები მესაკუთრე გლეხი თომა კვირიას ძე კუბლაშვილი ქ. ქუთაისში გადასახლებულა. ტმმ, №33028; 2. 1911 წლის 23 სექტემბერს შედგენილ „პირობის ხელწერილში“, რომლის მიხედვით ქუთაისელმა არტემ ვასილის ძე მურალოვმა შეისყიდა და მიწის ნაკვეთი კურსებს, სახელწოდებით „მანდილოური“. აქ მოიპოვებოდა თეთრი თიხა. „მე მურალოვი ვალდებული ვარესრეთი თქვენი ადგილიდან ამოდებული თათრი მიწა წავიღო ჩმის ხარჯით და შრომით გელათის რკინისგზის სადგურზე და რამტელი ფუთიც გამოვა წონით სახელმწიფო სასწორზედ, თანახმად დუბლიკატის იმტელი თითვეულ ფუთზე მომცეთ თქვენ ადგილის მეპატრონე მერკვილაძეებთ თითო კაპიკი წონის თანვე თქვენის თანდასტრებით“ - კვითხულობთ დოკუმენტში. ტმმ, №479/14.

ღელე - დასახელებულია 1. მდინარის სახელწოდებად 1909 წლის 15 მარტს შედგენილ „ფარდის წერილში“ (მუხურა); ტმმ, №5011; 2. „პირობის წერილში“ (10. III. 1919 წ.) (საწირე); ტმმ, №330/129.

ყვიჩალასოული (ყვირალასოული ?) - მიწის ნაკვეთი („ფარდისა და პირობის ხელწერილი“, 10. XI. 1907 წ.); მდებარეობდა წყლისპირას (ტყიბული). ტმმ, №1135/46.

ყორენა - ტოპონიმი დამოწმებულია 1896 წლის 9 დეკემბერს შედგენილ „მოწმობაში“, რაშიც ვკითხულობთ: „...ნაუხეთ წყლის პირზე გატბორებული ცხმელა ყორენას ადგილში“. ტმმ, №33037.

ყორნალა - საყანე; დამოწმებულია „ადგილ-მამულის მიჩენილობის წიგნში“ (ივნისი, 1868 წ.), როგორც წყალობა კუპრაშვილის მიწის ნაკვეთი (საწირე). ტმმ, №33035.

ყორღანი - სამანი; დამოწმებულია 1919 წლის 10 მარტით დათარიღებულ „პირობის წერილში“ (საწირე). ტმმ, №330/129.

ყურძნალა - ტოპონიმს ვხვდებით 1918 წლის 7 მაისს შედგენილ „ნაყიდობის წერილში“, რომლის თანახმად კურსების საზოგადოების სოფ. ნაბოსლებში მცხოვრებმა ვასილ ლევანის ძე ხუჯაძემ ჭყეპში მცხოვრებ ისმაილ და პოლიოკტი მერკვილაძეებს მიჰყიდა მიწის ნაკვეთი „ყურძნალა“. მოცემულია საზღვრებიც: „აღმოსავლეთით საბა ქათამაძის ნაკილამდის, დასავლეთით ღელე, სამხრეთით ისევ საბა და გაბრიელ ბუხაიძის ნაკილამდის, ჩრდილოეთით საბა ქათამაძის ნაკილამდის“ (ნაბოსლები). ტმმ, №47914.

შუაწყალი - ღელე; დამოწმებულია 1888 წლის 5 მაისს კურსებელი აზნაურის - პავლე ბეჟანის ძე გოგოლაშვილის მიერ თანასოფლელი გლეხების, ელია და იოსებ დავითის ძე, სერაპიონ და ილარიონ ივანეს ძე, დიანოს ანდრიას ძე, ალექსი ზაქარიას ძე, ექვთიმე, ფარნაოზ, პავლე, ალექსანდრე და ვასილ ლაზარეს ძე ბეროძეებისადმი მიცემულ „ნასყიდობაში“, რომლის მიხედვით მიწის ნაკვეთი „ადგილობითი მამასახლისის ნესტორ გიორგაძისა და პომოშნიკის მაქსიმე დოლონაძისა... გეისამნა, რომელიც შეიცავს სივრცეს შუაწყალიდგან აღმოსავლეთისკენ ზღვრამდი თვრამეტი საჟენი, კიდევ შუაწყალიდგან მეორე ზღვარზედ თუთხმეტი საჟენი, კიდევ შუაწყალიდგან მესამე ზღვარზედ თოთხმეტი საჟენი და კიდევ შუაწყალიდგან დასავლეთისკენ ზღვრამდი ცამეტი საჟენი“. საბუთს ხელს აწერენ: პავლე გოგოლაშვილი, პავლე ალფაიძე, მაქსიმე დოლონაძე, ევგენი

ნიშნინიძე და კურსების საზოგადოების მამასახლისი ნესტორ გიორგაძე (კურსები). ტმმ, №42.

შვამდინარე წყალი - დასახელებულია „ნაყიდობის წერილში“ (12. III. 1904 წ.); დაბადველში მცხოვრები ანტონ გიორგის ძე როინიშვილის მიერ გაყიდული მიწის ნაკვეთი „ჭალისადგილი“ სამხრეთით ვრცელდებოდა „შვამდინარე წყლამდი“ (დაბადველი). ტმმ, №11010.

შინარა (?) - მიწის ნაკვეთი („ფარდის წერილი“, 11 ივლისი, 1910 წ.); სახელდებული ობიექტი მდებარეობდა კურსების საზოგადოების სოფ. ცუცხვათში და მოქცეული იყო შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - კოზმანის, სამხრეთით - მიხეილ გამთენაძის, ჩრდილოეთით - ერემიას კუთვნილი მიწის ნაკვეთეები, დასავლეთით - ღელე. ტმმ, №50114.

შროშა - სოფელი; დამოწმებულია „პირობის ხელწერილში“ (2 ნოემბერი, 1918 წ.): „ამას გარდა შროშის გზიდან შესავალი გზა სიგანით არშინნახევარი და სიგრძით ოცდაექვსი საჯენი“. ტმმ, №11357.

შროშის გზა - დასახელებულია „ფარდისა და პირობის ხელწერილში“ (10.XI.1907 წ.), როგორც რუბნელას საზღვარი („რკინისგზის აჩუქნიდან შროშის გზამდი“). ტმმ, №1135/46.

შუაწყალი - 1909 წლის 14 ივნისს შედგენილი „ნაყიდობის წერილიდან“ ჩანს, რომ სახელდებული ობიექტი მდებარეობს სოფ. კურსებში და სამხრეთიდან ესაზღვრება ქვეშაკლდეს. იმმ, № 4795. ტოპონიმი დასახელებულია აგრეთვე 1888 წლის 5 მაისს შედგენილ „პირობის წერილში“: „...შეიცავს სივრცეს შუაწყალიდგან აღმოსავლეთისკენ ზღვრამდი თვრამეტი საჟენი, კიდევ შუაწყალიდგან მეორე ზღვარზედ თუთხმეტი საჟენი, კიდევ შუაწყალიდგან მესამე ზღვარზედ თოთხმეტი საჟენი და კიდევ შუაწყალიდგან დასავლეთისკენ ზღვრამდი ცამეტი საჟენი...“ ტმმ, №42; 2. 1909 წლის 14 ივნისს შედგენილი „ნაყიდობის წერილის“ მიხედვით კურსებელმა ესტატე კვიმსაძემ თანასოფლელ პავლე ბეროძეს მიჰყიდა მიწის ნაკვეთი ქვე-

შაკლდე, რასაც სამხრეთით ესაზღვრებოდა ადგილი ჯეოსა და შუაწყლის სახელწოდებით (კურსები). ტმმ, №47915.

შუაღელე - დასახელებულია „პირობის ხელწერილში“ (4. VI. 1902 წ.), რომლის თანახმად ტყიბულელმა ქასრაშვილებმა სილოვან ივანეს ძე ბოჭორიშვილს მიაქირავეს „ტყიბულის სოფლის დაბა-ქალაქში სახლი დასადგამი ადგილი... ცხრა წლის ვადით“, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ყორღანი და ერმილე ჯაშიაშვილისა და სვიმონ არსენიძის მიწის ნაკვეთები, დასავლეთით - ჭელიშვილის „კორღნამდი“, სამხრეთით - შუაღელე, ჩრდილოეთით - იაკოფა ქასრაშვილისა და ჯაშიაშვილის მიწის ნაკვეთები. დოკუმენტს ხელს აწერენ: აზნაური სოლომონ კვინიხიძე, სოლომონ ივანეს ძე ბოჭორიშვილი, დიმიტრი ქასრაშვილი და სხვ. (ტყიბული); ტმმ, №11358.

ჩდილა - დამოწმებულია „მოცვლილობის ხელწერილში“ (1. 05. 1922 წ.); სახელდებული ობიექტი მდებარეობდა ტყიბულის დაჩაში (ტყიბული). ტმმ, №1135/17.

ჩევლა - მიწის ნაკვეთი მუხურაში; დამოწმებულია „ფარდის წერილში“ (15 მარტი, 1909 წ.). ტმმ, №501.

ჩერუას ადგილი - მიწის ნაკვეთი; 1904 წლის 1 მარტს შედგენილი დოკუმენტის მიხედვით საწირის საზოგადოების სოფ. საწირეში მცხოვრებმა გლეხებმა - სამსონ, ალექსი, არტემა და ვარლამა ზაქარიას ძე კუბლაშვილებმა იმავე სოფელში მცხოვრებ მალხაზა და სარდიონ ზურაბის ძე და გარსევან პეტრეს ძე კუბლაშვილებს 140 მანეთად მიჰყიდეს მიწის ნაკვეთი „ჩერუას ადგილის“ სახელწოდებით, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - გზა და მეთოდე და თადეოზ კუბლაშვილების მიწის ნაკვეთები, დასავლეთით - ღელე, მალხაზა კუბლაშვილისა და მალაქია ცირეკიძის მიწის ნაკვეთი, სამხრეთით - მიწის გამყიდველთა, ხოლო ჩრდილოეთით - ერთ-ერთი მყიდველის, გარსევან კუბლაშვილის მიწის ნაკვეთი. საბუთს ხელს აწერენ სოგრატო ცქიფურიშვილი და ალექსი კუბლაშვილი. ტმმ, №330/1;

ტოპონიმი „ჩერუა“ დასახელებულია 1893 წლის 28 თებერვალს შედგენილ „შერიგებით წერილში“. ტმმ, №3304; ჩერუას ადგილი დამოწმებულია 1904 წლის 14 იანვარს შედგენილ „პირობის წერილში“. ტმმ, №33040.

ჩიხის საზოგადოება - დამოწმებულია 1905 წლის 1 თებერვლით დათარიღებულ დოკუმენტში. ტმმ, №1135/43.

ჩონჩოხი//ნაჯიხურევი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ნასყიდობის წერილსა“ (13 აპრილი, 1907 წ.) და „კვიტანციაში“ (16 ოქტომბერი, 1909 წ.), რომლის მიხედვითაც აზნაურმა ქაიხოსრო გიორგის ძე ყიფიანმა კუთვნილი მიწის ნაკვეთის - ჩონჩოხის, იგივე ნაჯიხურევის გაყიდვის საფასურად მიიღო 100 მანეთი, მიხეილ ლუკას ძე გოლომისაგან. ტმმ, №4714; № 5413. ტოპონიმი დამოწმებულია 1907 წლის 13 აპრილს შედგენილ „კვიტანციაშიც“, რასაც ხელმოწერით ადასტურებს მანდიკორის საზოგადოების მკვიდრი (მამასახლისი?) დიდბარიძე. ტმმ, №5417.

ჩხარი - სოფელი; დასახელებულია 1907 წლის 26 იანვარს შედგენილ „პირობის ხელის წერილში“, რომლის თანახმად ჩხარის საზოგადოება შედიოდა შორაპნის მაზრაში, ხოლო გოგნი ჩხარის საზოგადოებაში შემავალი სოფელია. ტმმ, №11356.

ცუცხვათი - სოფელი კურსების საზოგადოებაში. ტმმ, №5012; №5015.

ცუცხვათის დარჩა - დასახელებულია 1903 წლის 29 იანვრით დათარიღებულ „პროტოკოლში“. ტმმ, №5011.

ძევრი - სოფელი; 1912 წლის 16 ივლისს შედგენილ „პირობის წერილში“ მოიხსენიება ძევრელი აზნაური გიორგი მალხაზის ძე ღვინევაძე, რომელსაც მიწის ნაკვეთის გამო დავა ჰქონდა საწირელ გლეხებთან, კუბლაშვილთან და ტოფაძეებთან ტმმ, №33024.

ძიროვანი - სოფელი; დასახელებულია 1891 წლის 18 ნოემბერს შედგენილ ქათამაძეების „ფარდის წერილში“; ტმმ, №11018; 2. 1899

წლის 10 აპრილს შედგენილი „ნასყიდობის წერილის“ თანახმად საწირელმა სტეფანე ბეჟანის ძე კუბლაშვილმა ძიროვნელ გლეხს - მოსე ექვთიმეს ძე ქათამაძეს მიჰყიდა ონისიძე და ივანე ცირეკიძეებისგან ნაყიდი „საწირის დაჩაები“. ტმმ, №1107; 3. სოფელი საწირის საზოგადოებაში (9. II. 1902 წ., „ნაყიდობა“); ტმმ, №1102; 4. 1904 წლის 12 მარტს შედგენილ „ნაყიდობის წერილში“ დასახელებულია ძიროვნაში მცხოვრები გლეხი მოსე ექვთიმეს ძე ქათამაძე. ტმმ, №11010; 4. დასახელებულია 1909 წლის 1 წიფობისთვის შედგენილ „ნაყიდობის ხელის წერილში“, როგორც საწირის საზოგადოებაში შემავალი სოფელი. ტმმ, № 11016; 6. **ძიროვანი** - სოფელი დამოწმებულია 1915 წლის 25 ივლისს შედგენილ „პირობის წერილში“, როგორც საწირის საზოგადოებაში შემავალი სოფელი. ტმმ, №1105.

წებიასეული - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ფარდის წერილში“, რომლის თანახმად სახელდებული ობიექტი წყალობას სამნის შემოგარენში მდებარეობდა (საწირე). ტმმ, №33015.

წისქვილის სათავე - ერთ-ერთი დოკუმენტის თანახმად, სოფ. საწირეში, ნაჰურალში მდებარე წისქვილის სათავე ამოშენებულია ქვითა და წნელის ღობით, რასაც „აქვს სიმაღლე არშინი და ორი ვე(-რ)შოკი, ესე იგი ახალი წისქვილი თაობა, რომელიც წისკულილი გაკეთეს საწირეში მცხოვრებლებმა, გლეხმა ოქრუა, ანდრია, მათია (?), გიორგი... ცქიფურიშვილებმა. არის წყალში დანიშნული ქუაზე ჯვარი“... ტმმ, №33023.

წისქვილისკარი - მიწის ნაკვეთი მუხურაში; დასახელებულია „ფარდის წერილში“ (15 მარტი, 1909 წ.). ტმმ. №501.

წყალობას სამანი - დასახელებულია „ფარდის წერილში“ (ჩყდგ წ., კზ თებერვალი), რომლის თანახმად სახელდებული ობიექტი კვირიას სამნის შემოგარენში მდებარეობს (საწირე). ტმმ, №323015.

წყაროსადგილი - მიწის ნაკვეთი (25. 07. 1915 წ., „პირობის წერილი“); საზღვრები: აღმოსავლეთით - იესე და ოლისიძე ქათამაძე-

ბის, სამხრეთით - იაკო ქათამაძის მიწის ნაკვეთი, დასავლეთით - გზა, ჩრდილოეთით - დელე და იულო ქათამაძის მიწის ნაკვეთი (ძიროვანი). ტმმ, №1105.

წყაროსგზა - დამოწმებულია „ფარდის წერილში“, რაც შედგენილია 1923 წლის 19 დეკემბერს (ძიროვანი). ტმმ, №1109.

ჭალისადგილი - მიწის ნაკვეთი (12. III. 1904 წ., „ნაყიდობის წერილი“); დაბაძველში მცხოვრებმა ანტონ გიორგის ძე როინიშვილმა მიჰყიდა ძიროვნელ მოსე ექვთიმეს ძე ქათამაძეს „ჭალის ადგილი, შემოკორღნილი ადგილი“, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ბუბაშვილის, დასავლეთით - როინიშვილების მიწა და ყორღანი, სამხრეთით - „შვა მდინარე წყლამდი“, ჩრდილოეთით - დიდი შარა (დაბაძველი). ტმმ, №11010.

ჭელიშვილის კორღანი - დასავლეთიდან ესაზღვრებოდა ქასრაშვილების მიერ ბოჭორიშვილისთვის მიქირავებული მიწა ტყიბულში (ტყიბული). ტმმ, №11353.

ჭოგნარი - 1910 წელს შედგენილ „ნაყიდობის წერილში“ დასახელებულია ჭოგნარის საზოგადოება და სოფ. ჭოგნარი: „ჭოგნარში მცხოვრებ ბიქტორ ბესარიონის ძე კობახიძემ მო(გ)ყიდე ერთი ცალი მოზუერი ფერათ ჭრელა, მოყიდე თქუენ მანდიკორის საზოგად(ო)ების სოფელ ჭყეპში მცხოვრებს ისმაილ ბასილას ძეს მერკვილაძეს. მო(გ)ყიდე შენ მე ჩემი საკუთარი მოზუერი შემდეგ ნიშნების და ფასი მივიღე სრულიათ... ბიქტორ კობახიძე“. ტმმ, №47915.

ჭყეპი - სოფელი; 1. 1903 წლის 6 მარტს, 1904 წლის 24 აგვისტოს და 1916 წლის 4 იანვარს შედგენილ ნასყიდობის პირობის წერილებში დასახელებულია მანდიკორის საზოგადოების სოფ. ჭყეპი. ტმმ, №371; 2. 1906 წლის 5 მარტს შედგენილი „ნასყიდობის წერილის“ მიხედვით ჭყეპი მანდიკორის საზოგადოებაში შემავალი სოფელია. ტმმ, №47910; 3. 1910 წელს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“ დასახელებულია ჭყეპში მცხოვრები ისმაილ ბასილას ძე მერკვილაძე.

ტმმ, №47915; 4. „ფარდის წერილში“ დასახელებულია ჭყეპის „პამომ-ნიკი“ კეთილადე, აგრეთვე ჭყეპელი მეთოდე ნიკოლოზის ძე და ისმაილ, ტრიფონ, პოლიაკტორ ვასილის ძე მერკვილაძეები (30 დეკემბერი, 1910 წ.). ტმმ, №4797; 5. 1912 წლის 10 თებერვალს შედგენილ „კვიტანციაში“ დასახელებულია ჭყეპელი აზნაურები - ნიკოლოზ და პოლიევკტორ თემურაზის ძე ჟორჟოლაძეები და გლეხები - მიხეილ და ბასილ ლუკას ძე გოლოძეები. №5416; 6. 1912 წლის 26 ნოემბრით თარიღდება „ნასყიდობის ხელისწერილი“, რომლის მიხედვით მღვდელ პეტრე გაბადაძის შვილმა ისიდორემ ჭყეპში მცხოვრებ გლეხს - ისმაილ, ტრიფონ და პოლიაკტონ ვასილის ძე მერკვილაძეებს მიჰყიდა დაახლ. 40 საჟენი ფართობის „ეზოს ადგილი“; ტმმ, №47111; 7. დასახელებულია 1913 წლის 13 დეკემბერს შედგენილ „კვიტანციაში“. ტმმ, №541.

ჭყორტოულა - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1. „კვიტანციაში“ (5 მარტი, 1906 წ.), რომლის თანახმად ჭყეპელმა გლეხმა ივანე იორდანეს ძე მერკვილაძემ 95 ვერცხლის მანეთი მიიღო ისმაილ, ტრიფონ და პოლიევკტორ ვასილის ძე მერკვილაძეებისგან, გაყიდული მიწის ნაკვეთის - ჭყორტოულას სანაცვლოდ (ჭყეპი); ტმმ, №47816; 2. „ნასყიდობის წერილში“ (5. III. 1906 წ.). ასე იწოდებოდა დაახლ. ნახევარი ქვევა „ადგილი დაბლარ-შამელიანი“ სოფ. ჭყეპში, რაც გლეხ ივანე იორდანეს ძე მერკვილაძეს 95 მანეთად მიუყიდა ისმაილ, ტრიფონ და პოლიევკტორ ვასილის ძე მერკვილაძეებისთვის. სახელდებული ობიექტი სამი მხრიდან მყიდველთა მიწის ნაკვეთით იყო შემოსაზღვრული, ხოლო სამხრეთით სასოფლო გზა გადიოდა (ჭყეპი). ტმმ, №47910.

ხიდპირი - დამოწმებულია საწირეში მცხოვრებ მალხაზა, წყალოზა და ზაქარია კუბლაშვილებისადმი მიცემულ „მოწმობაში“: „ხიდი პირას ალაგზედ... შევაფასეთ მოჭრილი საქარი და იმისი ზარალი თექვსმეტი მანეთათ“. 1895 წლის 23 ნოემბერს შედგენილ „მოწმობას“

ხელს აწერენ და ბეჭდის დასმით ამოწმებენ პეტრე ბოჭორიშვილი, სარდიონ ცირეკიძე და ფირანა გაბრიაძე („კეთილსინდისიანი მოწმეები“) (საწირე). ტმმ, №1330/36.

ხუცის დავითისოული - მიწის ნაკვეთი (25.VII.1915 წ., „პირობის წერილი“); საზღვრები: აღმოსავლეთით - სერაპიონ ფოჩხიძის, დასავლეთით და ჩრდილოეთით - დათა ქათამაძის მიწის ნაკვეთი, სამხრეთით - ღელე (ძიროვანი). ტმმ, №1105.

ხოპია - იგივე **ნაბელლავი** (იხ. ზემოთ).

ხოჭოული - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ფარდისა და პირობის ხელწერილში“ (10. XI. 1907 წ.) და მდებარეობდა სოფ. ტყიბულში. ტმმ, №1135/46.

ჯავშია - მიწის ნაკვეთი („პირობა“, 7. X. 1896 წ.); თავადმა ირაკლი წერეთელმა საწირელ გლეხებს - კუბლაშვილებს, ცირეკიძესა და ქათამაძეს მიჰყიდა „...მეუღლის კუთნული ადგილი ჯავშია, ადგილობრივი დაბადების დაჩაში, ფასად ოცდაათობხმეტი თუმანი“ (დაბადველი). ტმმ, №33015.

ჯეო - 1909 წლის 14 ივნისს შედგენილი „ნაყიდობის წერილის“ მიხედვით კურსებელმა გლეხმა ესტატე აღმასხანის ძე კვიმსაძემ თანასოფლელ გლეხს, პავლე ლაზარეს ძე ბერომეს მიჰყიდა მიწის ნაკვეთი ქვეშაკლდე, რასაც სამხრეთით ესაზღვრებოდა ადგილი ჯეოს სახელწოდებით (კურსები). ტმმ, №47915.

ჯვარი - სამანი; დასახელებულია „გარიგების პირობის ხელწერილში“, როგორც საწისქვილოს სათავგამო მდებარე სამანი და ჯებირი. დოკუმენტს ხელს აწერენ: გრიგოლ და კაცია ქარქაშაძეები, ხოლო ბეჭდის დასმითა და ხელმოწერით ამოწმებენ საწირის საზოგადოების „სუდეები“: გიგო გაბრიაძე, გრიგოლ ფორჩხიძე და ანდრია გაბრიაძე (საწირე). ტმმ, №33018.

ჯონია - 1. მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია ჭყეპელი აზნაურის - დავით ქაიხოსროს ძე ჟორჯოლაძისა და მისი ქვრივის - სოფიკო და-

ლაქიშვილის მიერ გლუხ მიხეილა ლუკიას ძე გოლაძისათვის მიცემული „პირობის ხელწერილში“ (18 იანვარი, 1914 წ.). სახელდებული ობიექტი ამ უკანასკნელს 160 მანეთად შეუძინია. ხელწერილს ხელს აწერენ დავით ჟორჯოლაძე და მანდიკორის საზოგადოების მამასახლისის თანაშემწე, სოფელ ჭყეპის „პომოშნიკი“ მეთოდე მერკვილაძე (ჭყეპი). ტმმ, №3716; 2. დამოწმებულია 1914 წლის 18 იანვარს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, რომლის თანახმად ჭყეპელმა ჟორჯოლაძეებმა გოლოძეს მიჰყიდეს მიწის ნაკვეთი ჯონია, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ექვთიმე ბასილას ძე ბაკურაძის, სამხრეთით - ლუკა ლანჩავას, ჩრდილოეთით - ქაიხოსრო ჭიქაბერიძის კუთვნილი მიწის ნაკვეთები, დასავლეთით - სასოფლო გზა და ისიდორე ლანჩავას მიწის ნაკვეთი (ჭყეპი). ტმმ, №53.

ქუთაისის აკად. ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერები

ალისმერეთი - სოფელი; არაერთგზის დამოწმებულია 18?? წლის ? აგვისტოს შედგენილ დოკუმენტში. აქვე მოგვყავს ამონარიდები „საყმით ქუთაისის მაზრისა სოფლის ალისმერეთისა ყმანი

ლოფსიანიძეები, რომელსაც აღმოაჩენს დრამატა მიტროპოლიტის დოსითეოზისა ჩლდუ - წელსა“: „ყმანი ეკუთვნოდენ მოსიძებს სამკვიდროთ რომლისათუის დაამტკიცა საუკუნო და საშვილისშვილოთ მათთვის იგინი. სახელდობ: **ალის იმერეთს** გიორგის მახარობელას შვილები დათიკოვისა ივანე, სიმონა მხიარულას შვილი ძმე ბითურთ...“; „... უბოძა მას ყმანი დანაშთენნი შემდგომად ამოწვეტილთა ბიძაშვილებთა მისთა მოსიძეებს გიორგის შვილებისა, სოფელსა **ალის იმერეთს**. სახელდობ: მამისთვალა, გოგიელა და პეტრიელა ლომსიანიძეები, ციოლშვილითურთ და ყოველივეს სასარგებლოდთა...“; „წერილი შეწირულობისა მღვთისმშობლის ეკლესიაზე ქუთაისის მიტროპოლიტის დოსითეოზისაგან ჩლჟუ წელსა ნ~ზრის ა: დდესა. რომელ **ალისიმერეთელთ** მცხოვრებლებს გიორგი და ბიძინა მოსიძებს მის დოსითეოზის ეკლესიის ყმანი ახლდენ, მაგრამ აღარ ინებეს მსახურება იმათი...“; „...სოფლის ალისიმერეთისა, ვერცათის, ზეგანის და ზანის კუთვნილობა მთელის მათისა ძველობით ყმების ლომციანიძეებისა...“; „ქუთაისის მაზრის ფოლის ალის იმერეთის მცხოვრებთა ყმათა, გოგია და მამისთავალა ლომსიანიძეთა, პასუხათ პირისპირ ამისა, მოახსენეს მიცემულსა სახელსა ზ~ა ქუთაისის მაზრის ნაჩალნიკისადმი, ა~დ წინაპარნი მათნი არ ყოფილან სამკვდრონი ყმანი მოსიძებისა, არამედ იყვნენ სამეფონი, ვითარ ნათლათ სჩანს დრამოტასა შ~ა ბოძებულში მეფის დიმიტრისაგან მათსა წინაპარზე, თუმცა მოსიძეები აცხადებენ უკუთნელობასა მათდამი...“; „სოფლის **ალისმერეთის** საეკლესიო ყმებთა: კაცია გრძელიძემ ჩამმამავალობა ყმების, გოგია და მამისთვალ ლოფსიანიძებისა უწყის მან შემდგომითი: ბაბუამ ლოფსიანიძებისა მყოფ (?) ეკლესიის ყმათ ცხოვრებდა პირეულათ სოფელსა კლდეს, საიდამაცა გადაესახლა ალის მერეთს, შემთხვევითა იმით, რომელ აქ იყო მოურავათ ეკლესიას აზნაური ლევან მოსიძე...“; „...იყუნენ ერთათ კლდისის ლოფსიანიძეებით საეკლესიო ყმებათ ღუთისმშობლის ეკლესიასა ბაბუა გოგია და მამის-

თვალას, გადმოესახლენ **ალისმერეთს** მსახურებდენ...“; „კაცთა, რომელ ბაბუა მოჰასუხეებისა ღმსიანიძეებისა ცხოვრებდა უწინ კლდის და იქიდამ გადაესახლა ალისმერეთში“. ქიმ, ხმგ, №1632.

ალისუბანი - სოფელი; დამოწმებულია მიტროპოლიტ ზაქარია ქვარიანის მიერ 1644 წლის 5 ივნისს შედგენილ შეწირულობის სიგელში: „ამას: გარეთ: არგუეთს: ალის: უბანს: ვიყიდეთ: დიაკონიძის: სეული: პარტახტი: პატას: კარგარეთელისაგან: და: კიდევ: სულაქველიძის: სეული: პარტახტი: და: დავასახლეთ: ჩუენი: გაზდილი: მახარობელი: კახიძე“. იხ. **არგვეთი**. ქიმ, ხმგ, №139.

ალისუბანი - სოფელი; დამოწმებულია 1826 წლის 7 აგვისტოს შედგენილ დოკუმენტში: „ქუთაისის მაზრისა მცხოვრებთა სოფლის ალისუბნისა საეკლესიო ყმებთა, გოგია და მამისთვალა ღმსიანიძეებთა, მასთან და აზნაურს ბეჟან აბდუშელიშვილთან წარუდგინეს სანახავათ და დასამტკიცებლათ ღენერალ მაიორს თავადს ზურაბ წერეთელს, ბოძებული მათდამი იმერეთის მეფეებისაგან, დავითის და სოლომონის“. ქიმ, ხმგ, №1632.

ალისუბანი - სოფელი; დამოწმებულია უთარილო დოკუმენტში. ქიმ, ხმგ, № 847.

ამაღლება - სოფელი; ქუთაისის გუბერნიის სასამართლოსადმი გაგზავნილ თავად გიორგი ლორთქიფანიძის „თხოვნაში“ ვკითხულობთ: „მე და კნიაზთ იოვანე, დიმიტრი, დავით, გრიგოლ, ქაიხოსრო, ლევან, როსტომს, ოტია და გიორგის ერისთვბთ გვაქვს გაუკოფელი ადგილები მდებარე ამაჲ უეზდს შ-ა სოფელთა **ამაღლებას** და ზეინდარს, ვენახიანი სამოცი ქცევა სახნავი, ორასი ტკილიანი (?) ადგილები ორიათასი იმერული“. ქიმ, ხმგ, №402.

ამაღლების სასახლე - დასახლებულია უთარილო „გაბჭობის წიგნში“: „საბუთის ძალითა მიცემულითა უკანასკნელის მეფე სოლომონისაგან, გარდაცვალებულთ თავადთ ანტონ და ლევან ერისთავებთადმი და აწ ცოცხლებით მყოფს გიორგისადმი რომელთათჳს

უბოძებია ჩემის მეუღლის ბაბუის ბეჟანის ძმების შოშიტას და ოტიას ხვდრი ნაწილი, ამალლებას სასახლე და თვრინს ზემოთ რაოდენნიმე ყმანი მათის მიწაწყლით. მის ბეჟან ერისთვს წილს გარდა, რომლის ძლით სარგებლობდენ ძენი მის ბეჟანისანი, ძის ძე ბეჟანისა, ძმა მეუღლისა ჩემისა სვმონ და თვთ მე ზემოხსენებულს წლადმდე ყოვლის მფლობელურის მონაწილეობით...“ ქიმ, ხმგ, №674.

არგვეთი - 1. ისტორიული მხარე; დამოწმებულია მიტროპოლიტ ზაქარია ქვარიალის მიერ 1644 წელს შედგენილ შეწირულობის სიგელში: „ამას: გარეთ: არგუეთს: ალის: უბანს: ვიყიდეთ: დიაკონიძის: სეული: პარტახტი: პატას: კარგარეთელისაგან: და: კიდევ: სულაქველიძის: სეული: პარტახტი: და: დავასახლეთ: ჩუენი: გაზდილი: მახარობელი: კახიძე“. ქიმ, ხმგ, №139; 2. სოფელი; დასახელებულია 1787 წლის 23 აგვისტოს შედგენილ „წყალობის წიგნში“: „ვინეზენი. მსახურებისა. შენისა. ზღვევა. და: აღნათქვამი. ჩვენი. აღვისრულეთ. გიწყალობეთ. არგვეთს. ოცი. კვამლი. კაცი“. ქიმ, ხმგ, №361.

ახალსოფელი - სოფელი; უთარილო დოკუმენტში („გაბჭობის წიგნი“) დასახელებულია „ახალსოფელს მცხოვრები ბერიკა რიჟამაძე მისი ცოლშვილით და საცხოვრებლით“. ქიმ, ხმგ, №1696/2.

ახარხაძის საყანე - ტოპონიმი დამოწმებულია 1768 წელს შედგენილ „წყალობის წიგნში“. იხ. ქვემოთ **ბაზისგული**.

ბაზისგული - ტოპონიმი დამოწმებულია იმერეთის მეფე სოლომონის II-ის ძის - ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ სვიმონ, დავით, ბეჟან, ქაიხოსრო და ბუჭუა მაჭავარიანებისადმი ბოძებულ „წყალობის წიგნში“ (1768 წ.): „გიბოძეთ ბაზისგულსა შინა მიწა სარბევს ზედა გზით ზეით ახარხაძის საყანეს გარდა ქავთარაძისა და ჩინჩალაძის სამზღვრამდი ასე უსადაოთ გვიბოძებია... არის ამის გამრიგე სახლთუხუცესი აბაშიძე დავით. ჩუ~ჭნი ვეზირი სარდალ-ბოქაული უხუცესი ნიჟარაძე მერაბ, მოურავი ჟდენტი პაატა, ხელოსანი დვალი სეხნია და კოვზირიძე დათუა. აღიწერა ჰელითა მთავარდიაკვნის იე-

სესითა...“. სიგელს ამტკიცებენ მეფე სოლომონი და მეფის ძე ალექსანდრე. ქიმ, ხმგ, №1825.

ბაზოული - მიწის ნაკვეთი; სოფ. კურსებში მცხოვრებ აზნაურ გოგოლაშვილებს 1860 წლის 10 მარტს შედგენილი „ნასყიდობის წერილით“ სოფ. კოკაში მცხოვრები საეკლესიო ყმებისთვის - გიორგი ლანჩავასა და ათანა ბასილადისათვის 25 მანეთად მიუყიდიათ მიწის ნაკვეთი ბაზოულის სახელწოდებით, რაც ისაზღვრებოდა ლანჩავების მამულითა და სამხრეთით - გზით (კოკა). ქიმ, ხმგ, №1675/17.

ბაღდათი - დამოწმებულია 1851 წლის 15 მარტს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, რითაც ირკვევა, რომ ქუთაისის გუბერნიასა და მაზრაში მდებარეობს ბაღდათის „უჩასტკი“ და მასში შემავალი სოფელი ფერსათი. ქიმ, ხმგ, №1657.

ბაში - სოფელი; ეკატერინე ერისთავს თავად ლორთქიფანიძეებისთვის უბოძებია ბაშს მგელია კაშია. ქიმ, ხმგ, №410.

ბეწასწვერი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ნასყიდობის ხელისწერილში“ (25 მარტი, 1875 წ.). გოგოლაშვილებს თომა ლანჩავასთვის მიუყიდიათ „სახორე და სახარდნე ...სახელწოდებული ბეწას წვერი“, რაც ისაზღვრებოდა დოღონაძეებისა და ლანჩავების კუთვნილი მიწის ნაკვეთებით და სამხრეთიდან - ღელეთი (კოკა). ქიმ, ხმგ, №1675/15. 4. 1833 წლის სექტემბრით დათარიღებულ დოკუმენტში. ძულუხელი მამუკა მახარობლის ძე ხურციძე ბზვანელ აზნაურებს - იესე და ეგნატე დავითის ძეებს, ზურაბ და სიმონ ზაალის ძე საკანდელიძეებს... დოკუმენტი დაუწერია ბზვანელ აზნაურს - ოტია იესეს ძე კანდელაკს. ქიმ, ხმგ, №1425. აზნაურ გიგო ეფთვიმეს ძე ჩხეიძის მიერ მამამისისადმი - აზნაურ ბესო ეფთვიმეს ძისადმი ბოძებულ უთარილო „პირობის წერილში“. ქიმ, ხმგ, №2357. 4. დასტურდება 1869 წლის 3 ოქტომბრით დათარიღებულ სიგელში. ქიმ, ხმგ, №686. 3.1819 წლის 11 ივნისს შედგენილ „ერთგულების, მორჩილების და მსახურების წერილში“: „ნებითა ღვთისათა ესე

მტკიცე ერთგულების წერილი მოგართვით თქვენ ჩვენს მემკვიდრე ბატონს დიდებულს თავადს ჩიჯავაძეს ნიკოლაოსს ჩუენ თქუენმა ყმებმა სრულიად საბეკის შემავალმა ერმა, აზნაურმა და გლეხმა, სამღუდელომ და საერომ, ვანს მცხოვრებმა საბეკას ციხეზე და სულორში მცხოვრებმა, ზზვანს მცხოვრებმა. დაცლის (?) შვილებში და რომანეთს და გადიდს და ნენობანს (ზენობანს? - ავტ.) მცხოვრებმა, რომელიც ქუემო ხელს ვაწერთ... ამ ზემო ხსენებულის ქვეყნის კაცების თხოვნით ჩვენ იერო დიაკონი ბესარიონ. ვწერ“. ქიმ, ხმფ, №222.

ზზვანი - სოფელი; დასახელებულია: 1. 1781 წლის 4 მარტს შედგენილ „პირობის ხელწერილში“: მოგვეცი გლეხ ნიკოლეიშვილთა კუთვნილი მიწა: ჯვარის სერის ეწრის ადგილი. გოგორისშვილის შარას (?) და ზზვანის საზღვრის შუა: ესენი შენის ბატონის და ხელმწიფის ნაბოძებისაგან. შენ. მოგვეცი. და ჩვენ ეს მტკიცე პირი მოგვიცემია დღეის იქით“. ქიმ, ხმფ, №10; 2. 1808 წელს შედგენილ „წყალობის წიგნში“, სადაც აღნიშნულია, რომ მდივანბეგ ვახუშტი ჩიჯავაძეს და მარიამ დადიანის ასულს ზზვანელი ხატისკაცებისთვის უბოძებიათ მამული. ქიმ, ხმფ, №444; 3. 1819 წლის 11 ივნისს შედგენილ „ერთგულების, მორჩილების და მსახურების წერილში“: „ნებითა ღვთისათა ესე მტკიცე ერთგულების წერილი მოგართვით თქვენ ჩვენს მემკვიდრე ბატონს დიდებულს თავადს ჩიჯავაძეს ნიკოლაოსს ჩუენ თქუენმა ყმებმა სრულიად საბეკის შემავალმა ერმა, აზნაურმა და გლეხმა, სამღუდელომ და საერომ, ვანს მცხოვრებმა საბეკას ციხეზე და სულორში მცხოვრებმა, ზზვანს მცხოვრებმა. დაცლის (?) შვილებში და რომანეთს და გადიდს და ნენობანს (ზენობანს - ავტ.) მცხოვრებმა, რომელიც ქუემო ხელს ვაწერთ... ამ ზემო ხსენებულის ქვეყნის კაცების თხოვნით ჩვენ იერო დიაკონი ბესარიონ. ვწერ“.ქიმ, ხმფ, №222; 4. 1869 წლის 3 ოქტომბრით დათარიღებულ სიგელში. ქიმ, ხმფ, №686; 5. აზნაურ გიგო ეფთვიმეს ძე ჩხეიძის მიერ მამამისისადმი - აზნაურ ბესო ეფთვიმეს ძისადმი ბოძებულ

უთარილო „პირობის წერილში“. ქიმ, ხმგ, №2357; 6. უთარილო დოკუმენტში, სადაც აღნიშნულია: „უსტავის გრამოტის შედგენის დროს კითხა კ^წ ნიკოლოზ ჩიჯავაძემ განსვენებულმა თქვენს კაცს ბიჭიას მიქელს მე დვალიშვილს ბზვანშიო სულაც არა მაქვსო ვარი უყო. მე რაც მაქვსო, რისაპიშვილების სანაკვეთო მაქვსო. სამი ქცევა მიწა მოიტოვა ტყე და კარგი მამული არც ოთხს დააკლდება...“ ქიმ, ხმგ, №444.

ბზვანის წმიდა გიორგის ეკლესია - ეკლესია. იმერეთის მეფე სოლომონ II-ს და მის მეუღლეს მარიამ დადიანის ასულს „წყალობის წიგნი“ (დათარიღებულია 1808 წლის 7 ივლისით) უბოძებიათ „ბზვანის წმიდის გიორგის ეკლესიის შემავალს მდივანბეგის ჩიჯავაძის ვახუშტის სახასო კაცებისთვის“ - ტყეშელაშვილებისთვის. ქიმ, ხმგ, №312.

ბიჩიოული - 1. მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ნასყიდობის წიგნში“ (4 თებერვალი, 1823 წ.). ზენობნელმა ბიჭი სიმონის ძე გოგოლაშვილმა კოკაში მცხოვრებ ზალიკა დოლონაძეს მიჰყიდა „დოლონაძის წისქვილს გაღმა ბიჩიოული ნაყიდიან მამისოულიანათ ...“ (კოკა). ქიმ, ხმგ, № 1675/04.

ბიჩიოული - 1. მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ნასყიდობის ხელწერილში“ (25 მარტი, 1875 წ.). გოგოლაშვილებს თომა ლანჩავასთვის მიუყიდათ ბეწასწვერი და ბიჩიოული. ეს უკანასკნელი ისაზღვრებოდა ლანჩავას, დოლონაძისა და სვინტრამეების მიწის ნაკვეთებით, ხოლო დასავლეთით ღელე ჩაუდიოდა (კოკა). ქიმ, ხმგ, №1675/15.

ბლისწყალი - დასახელებულია 1854 წლის 1 ნოემბერს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“: „ბიძაჩემის გასყიდულს ალაგსა და იოსებ წერეთლის ალაგსშუა ბლის წყლამდის...“ (კოკა). ქიმ, ხმგ, №1675/06.

ბოგირი - ტოპონიმი დამოწმებულია 1804 წელს შედგენილ დოკუმენტში. იხ. ქვემოთ **ჭყვიშური**. ქიმ, ხმგ, №1492.

ბოსლევო - 1. სოფელი; დამოწმებულია 1806 წელს შედგენილ დოკუმენტში: „კაპანადის. შვილები. სიმონიკა. და. გოგისა. აგყროდა. და ბოსლევს. ჩჳნს. მამულში. ესახლე. ამისთვის. გჳჯდრეთ. იმ თქჳნს. კაცს. მეფემაც. წყალობა. გიყო. წიგნით. ჩჳნც. გვიბომებია. თქუენ მეფის. ერთგული. იქმნე. ამ წყალობის. შემშლელი. არვინ. იქმნეს. გყავდეს. და გახმაროს. ღ~თმან. არის. წერილისა. ამის. მოწამე. წერეთელი. ზურაბ. და ბეჟანიკა. აღიწერა. ხელითა. მოძღვრისა. შვილის. წერეთლის. გრიგოლისათა. სეკდემბრისა. წელთა. ჩყვ“. ქიმ, ხმგ, №1021; 2. დამოწმებულია უთარილო დოკუმენტში („საჩივრის წიგნი“): „შედან.. რომ.. სახლობს. ბოსლე.. მერევს.. ოთხი.. კვამლი კაცი.. გაღარიბებული.. მიბრიყვა.. აბაშიძემ.. ციხე.. რომ.. გაცემული.. იყო.. წით~ძე.. ორი.. გლეხი: და თუნი და: გოგინი... ოცდა.. ოთხი.. გაყიდა.. და.. და თუნის: ცოლი... მოკლეს: პეტრეაშვილი...“ ქიმ, ხმგ, №847.

ბოყვასაგორავი - ტოპონიმი დამოწმებულია 1843 წლის 4 ივლისს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“. ზედობნელ საეკლესიო აზნაურს - ბიჭია სიმონის ძე გოგოლაშვილს სოფ. კოკაში მცხოვრები საეკლესიო გლეხისთვის - ივანა დათუკას ძე დოღონადისთვის მიუყიდა მიწის ნაკვეთი ბოყვასაგორავი, „გასავალ ჭალაში, თავში საქვეყნო შარას ქვეშ, ბოლოს ჭალამდის, აღმოსავლეთ ასევე მახარიკა დოღონადის საზღვრამდის. ბოყვასაგორავს...“ (კოკა). ქიმ, ხმგ, №1675/09.

გადიდი - 1. სოფელი; დამოწმებულია ერთ უთარილო დოკუმენტში: „თქჳნ თავადს ბატონს ჩიჯავაძეს ნიკოლოზს - ამა წერილს გამღვეთ ჩვენ ქვემო ამის ხელის მომწერნი თქუენის ეკკლესიის... გადიდს მცხოვრები ქამუშაძე (?) გიორგი და ჩემი შვილი ნიკოლოზა და სხვანი...“ ქიმ, ხმგ, №419; 2. დამოწმებულია 1823 წლის 23 აპრილს შედგენილ დოკუმენტში. ბეჟან ლორთქიფანიძეს და მის ძმებს

წილად ხვდათ „სოფელსა გადიდს მცხოვრებელი გოგიელა ლაგაძე, ივანიკა შერაძენიძე და მისი ძმა დათიელა, ბერი შერაძენიძე და მერაბა თამაზელასშვილი ბუჭუელა შერაძენიძე და იესელას შვილი გოგიელა და თამაზელას შვილი ოტიელა შერაძენიძე და ბუჭუელა კიკუტაძის ობოლი გლახუნია...“. ქიმ, ხმგ, №317.

გაენათი - დასახელებულია აფხაზეთის კათალიკოსისა და გაენათელი მიტროპოლიტის - ზაქარია ქვარიანის მიერ 1644 წელს შედგენილ შეწირულობის სიგელში, ხახულის ღვთისმშობლისადმი: „ამას: გარეთ: ქუთათის: ვაჭარი ბეშკენის: შვილი: პაპუა: გვიბოძა: მეფემ: ქრთამიც: მივართვით: და: შეგვიწირავს: გაენათისა: ხახულისა: და: საკურთხევლისა: მღთისმშობლისათვის: მეფის: ალექსანდრეს: სადღენგრძელოდ: და: სულისა: ჩვენისა: საოხად...“. ქიმ, ხმგ, №139.

გამოჩინებულის ეკლესია - ეკლესია; დამოწმებულია იმერეთის მეფე სოლომონის მიერ გურიის ერისთავთა - ქრისტეფორეს, გიორგის, როსტომისა და მაქსიმესადმი მიცემულ „წყალობის წიგნში“ (დოკუმენტი დაუთარიღებელია), სადაც ვკითხულობთ: „ვინებეთ და გიბოძეთ საჯავახოს საწინამძღვრო გამოჩინებულის ეკლესიის მამული და ყმა, სასახლე, ტყე და წყალი, რისაც მქონებელი ის ეკლესია არის, ყოვლითურთ შენთვის გვიბოძებია. ასრე რომ რომელიც შენ გინდოდეს, ბერი შენი უნდა იყოს იმ საყდარზედ და იმ ეკლესიასაც უნდა ემსახურებოდეს შენის მორჩილებით ძველთაგანაც თქვენი ყოფილა, ახლაც თქვენთვის გვიბოძებია... არის ამისი მოწამე და გამრიგებელი წერეთელი...“. ქიმ, ხმგ, №351.

გასავალი ჭალა - დასახელებულია ბიჭია სიმონის ძე გოგოლაშვილის მიერ სოფ. კოკაში მცხოვრებ დოღონაძისათვის ბოძებულ „ნაყიდობის წერილში“ (4 ივლისი, 1843 წ.). სახელდებული ობიექტი, როგორც ჩანს, მდებარეობდა ბოყვასაგორავის შემოგარენში (კოკა). ქიმ, ხმგ, № 1675/09.

გეგუთი - 1. სოფელი; დამოწმებულია XVIII ს. I ნახევარში შედგენილ საჩივარში: „ოკრიბა:| სახელო: ჩემი: სათავისთაო: გეგუთი: მეფე: ალექსანდრეს: მოცემული...“ ქიმ, ხმგ, №847; 2. დასახელებულია აფხაზეთის კათალიკოსისა და გაენათელი მიტროპოლიტის - ზაქარია ქვარიანის მიერ 1644 წელს შედგენილ შეწირულობის სიგელში, ხახულის ღვთისმშობლისადმი: „ქუთათის: ალაგი ვიყიდეთ:/ და მაგიერი: გლეხი: და: პარტახი: გეგუთს: მივართუით: და:/ დავესახლეთ; ქუთათის...“ ქიმ, ხმგ, №139.

გეზრული - სოფელი; დამოწმებულია მღვიმის ეკლესიის კუთვნილი ყმების ბეგარა-გადასახადების აღწერილობაში (1838 წ.). ქიმ, ხმგ, №437.

გელათი - 1. სოფელი; დასახელებულია 1804 წელს შედგენილ დოკუმენტში. ქიმ, ხმგ, №1492; 2. დასახელებულია მიტროპოლიტ ზაქარია ქვარიანის მიერ 1644 წელს შედგენილ შეწირულობის სიგელში, ხახულის ღვთისმშობლისადმი: „თვალთაგან: მიურულე-ბელსა: გელათისა:/ ხახულისა: და: საკურთხეველისა...“ ქიმ, ხმგ, №139.

გენათი - დასახელებულია აფხაზეთის კათალიკოსისა და გაენათელი მიტროპოლიტის - ზაქარია ქვარიანის მიერ 1644 წელს შედგენილ შეწირულობის სიგელში, ხახულის ღვთისმშობლისადმი: „ტამარსა: თქვენსა: გენათს: და: სამუალესა: ღ-თივ:/ ცხებულთაგან: და: ღ~თივ: გვირგვინოსანთაგან: პანგრატ/ ონიანთასა“... სიგელს მურის ბეჭდის დასმით ამოწმებს მეფე ალექსანდრე III (1639-1660 წწ.) ქიმ, ხმგ, №139.

გიორგი ხუცის საბამზე - იხ. ქვემოთ **ჭერეხი**.

გოგნი - სოფელი; XVIII ს-ის I ნახევრის საჩივარში მოიხსენიება **გოგინის** ფორმით. იხ. ზემოთ **ბოსლევი**. ქიმ, ხმგ, №847.

გოგნის უდაბნო - მონასტერი; დამოწმებულია „ქუთაისის ნაწილის სოფელსა სოჩხეს მცხოვრებთა საეკკლესიო ყმებთა, ოცთა

კომლთა, ბეშკენაძეებთა, არსენიძეებთა და შარვაძეებთაგან“ იმერეთისა და გურიის არქიეპისკოპოს სოფრონიოსისადმი გაგზავნილ თხოვნის წერილში, სადაც ვკითხულობთ: „როდესაც ოკრიბა ყოფილა მფლობელობასა შა თავადის ზაალ მხეიძისა, ჩვენცა თანასწორ ვყოფილვართ მის მხეიძისა, გარნა გარდაცვალებულა რა იგი მხეიძე უმემკვიდროდ. მაშინდელის წესისამებრ მამული მისი დაშენილა სამეფოდ; ხო პირველს მეფე სოლომონსა და დედოფალს მარიამს აღუშენებესთ რა გოგნის უდაბნო, მაშინ ჩვენ შეუწირივართ მის უდაბნოს მონასტრისათვის. და ჩვენ გვაქვს რა წინაპართგან ჩვენით მიწანი და ტყენი სარჩოდ ჩუნდა წოდებული სამხეიძოთ წყალთელის პირი, ესე ვითარნი დარჩენილ იყო ჩაუწერლად გუჯარსა შა ჩვენის შეწირულობისა...“ ქიმ, ხმგ, №1878.

გოგორისშვილის შარა - დამოწმებულია 1781 წლის 4 მარტს შედგენილ „პირობის ხელწერილში“. ქიმ, ხმგ, №10.

გომი - დასახელებულია 1804 წელს შედგენილ დოკუმენტში. იხ. ქვემოთ - **შუადის დარისდელე**. ქიმ, ხმგ, №1492.

გორა - სოფელი; თავად როსტომ ერისთავის ასულს - ეკატერინეს ბეჟან, ივანე და ნიკოლოზ ლორთქიფანიძეებისთვის უბოძებია გორას მცხოვრები გლეხი სიმონა აბრამალაძე. ქიმ, ხმგ, №410.

გუბისწყალი - მდინარე; დასახელებულია იმერეთის მეფე ალექსანდრეს მიერ შედგენილ უთარილო „წყალობის წიგნში“: „...წყალობა გიყავით და გიბოძეთ [...] ისნათის ღელეს და გუბის წყალშუა წყლის პირათ საყანე და სამოსახლო ადგილი. მოგცეს და გიბედნიეროს ღთმნ ჩვენს ერთგულობაშიდ ახლა უდროობაში ოტია ჩხეიძეს მამაშენი მოეკლა და მამული გაეცა და შევიტყვეთ და გიბოძეთ მესავე შვილს თანდარუხს სამი გლეხი, ორი რაზმადე და ერთი ვერულა-იშვილი მათის მამულ ალაგინათ სამ-სამი ჩარეკი სანთელი წელიწადში დაგცეს კურთხეულის მარიამ დედოფლის საფლავისთვის...“. ქიმ, ხმგ, №1345.

გურნა - სოფელი; დოკუმენტი უთარილა. დასახელებულია „სოფელსა გურნას მცხოვრები გოგია და ბასილა გამთენაძე მათის ცოლშვილით და საცხოვრებლით. სოფელსა გურნას მცხოვრები კოლა (?) დარსაძე მახარიკას შვილი თავის [...]ცხვრებით“. ქიმ, ხმფ, №1696/02.

დავითოურა - „ზომით ერთი ქცევა“ მიწის ნაკვეთი ისაზღვრებოდა აღმოსავლეთით და სამხრეთით ჩიჯავაძის, დასავლეთით - გიტო ლორთქიფანიძის მიწის ნაკვეთებით, ხოლ ჩრდილოეთით - მდ. სულორით (ისრით). ქიმ, ხმფ, №214.

დანაეთი - სოფელი; დამოწმებულია 1857 წლის 22 ნოემბერს შედგენილ საეკლესიო დოკუმენტში. მსჯელობისათვის იხ. ქვემოთ კვალთი. ქიმ, ხმფ, №287.

დარკვეთი - სოფელი; დამოწმებულია 1838 წლის დოკუმენტში: „აღწერილობა ბეგარათა, გარდასახადთა და სამსახურთა, კუთვნილთა ყმათა მღვიმის ეკლესიისადმი“. დარკვეთელ ყმებს - მათე, რამაზიკა გაფრინდაშვილებს, ბესიკ გაფრინდაშვილის ობოლს, მიქელა, გოგიტი, გიორგი, ლაზარე, ივანიკა, გოგიტი (II), სვიმონ, თედორიკა, ივანიკა (II), გრიგოლა, პავლიკა, სვიმონა, გოგიტი (III) ღულუნშიშვილებს, სვიმონიკა თაბაგარს, ივანე ბეარხალაშვილს (ჭარხალაშვილს?), ივანიკა ღულუნშიშვილს, სვიმონიკა, ივანიკა, მამუკელა ბრეგვაძეებს ემართათ სხვადასხვა სახის გადასახადი მღვიმის ეკლესიის სასარგებლოდ (ღვინო, სანთელი, შობის ძღვენი, მესეფეობა, პური, საკლავი, მუშაობა). ქიმ, ხმფ, №437.

დედლოვანი - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია „ნასყიდობის ხელწერილში“ (1848 წლის 9 დეკემბერი): „მიზომებია... ჩემი ხელად ნასყიდი მამული სახელ წოდებული დედლოვანი“. მიწის ნაკვეთი საბეკის „ურასტკის“ სოფ. ფერსათის მცხოვრებმა აზნაურმა სვიმონ დავითის ძე მდივანმა უბოძა „ამავე საბეკის ნაწილისა ფერსათის მცხოვრებთა საეკლესიო ყმებთა“. ტოპონიმი დედლოვანი დასახე-

ლებულია სხვა დოკუმენტშიც: „სამკვიდრონი ადგილი „სახელწოდებული დედლოვანი, ბედელი, ხე, ტყე წაბლარისა...“ ქიმ, ხმგ, №1654.

დვალისშვილები - სოფელი; დამოწმებულია 1789 წლის 17 მარტს შედგენილ დოკუმენტში, სადაც აღნიშნულია, რომ ბეჟან ლორთქიფანიძეს და მის ძმებს ერგოთ სოფ. დვალისშვილების მკვიდრნი - მახარა პაიკიძე, სვიმონიკა, ბეჟანა, იესე, მერაბ და გოგია დვალისშვილები. ქიმ, ხმგ, №317.

დიდვაკე - მიწის ნაკვეთი: 1808 წელს შედგენილი „წყალობის წიგნიდან“ ირკვევა, რომ მდივანბეგმა ვახუშტი ჩიჯავაძემ და მარიამ დადიანის ასულმა ბზვანელ ხატისკაცებს უბოძეს მიწის ნაკვეთი **დიდვაკის** სახელწოდებით, რაც მდებარეობდა „კეჭნარის წყაროს ზეით, წითელი მიწის გზას იქით, საწყევარას გზის იქეთ გარდაღმა. ამ საზღვრებს შიგნი ის ადგილი დიდვაკე თქვენთვის მიბოძებია... არის ამისი მოწამე. თვით ღმერთი, კაცთაგან მოწამე მოურავი ლორთქიფანიძე... ნაცვალი ჩიქუნაშვილი დათუნა და ვახტანგა. ხელოსანი აზრამიძე დავითა და საყვარელა... დამიწერია მე ლორთქიფანიძეს ბერს..“ ქიმ, ხმგ, №326.

დიდველი - ტოპონიმი დამოწმებულია უთარილო დოკუმენტში: „ეზობა... კ~დ ჩვენი სასახლე დიდველი თავისის ადგილით, მამულით და წყლით...“ ქიმ, ხმგ, №438/13.

დიდი ნაქცე(ვი) - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1797 წლის 30 აგვისტოს შედგენილ „საჩივრის წიგნში“: მეფე სოლომონს და მარიამ დედოფალს უდაბნოს მონასტრისთვის შეუწირავთ სოფხეთს მდებარე „წყალწითელას გამოღმა მიწა, ზეით დიდი ნაქცეს, დაბლა კასრას აქეთ, წყალწითელამდის“. ქიმ, ხმგ, № 1867.

დიხაშხო - სოფელი; დასტურდება 1823 წლის 23 აპრილს შედგენილ დოკუმენტში: ბეჟან ლორთქიფანიძესა და მის ძმებს, იმერეთის რამდენიმე სოფლის ყმა-გლეხთან ერთად, „ვარდში“ რგებია

„სოფელსა დიხაშხოს მცხოვრებნი სვიმონიკა მაღლაკელიძე და მისი ძმისწული დათიელა“. ქიმ, ხმგ, №317.

დოღონადის წისქვილი - დასახელებულია „ნაყიდობის წიგნში“ (4 თებერვალი, 1823 წ.): „მოგყიდე ადგილი ჩიყოულას [...] ადგილის თავზე ბეჟანა დოღონადის საზღვარქუემ დოღონადის წისქვილს გაღმა...“ (კოკა). ქიმ, ხმგ, №1675/04.

ეკლარა - ტოპონიმი დამოწმებულია 1830 წლის 11 თებერვალს შედგენილ დოკუმენტში: „სახელდობ ეწოდებ ეწოდების მას სანაოსა და უკეთუმთა აღმოჩნდების რომელ სწორედ ეწოდების ეკლარაი, არა არს არავითარი ეჭვი, რომელ იგი მეკუთვნის მე მემკვიდრეობით და მთხოვნელად შეახებს (?) მას ზედა ჩივილსა თვისსა უმართლოდ...“ ქიმ, ხმგ, №681.

ეწერი - დამოწმებულია 1781 წლის 4 მარტს შედგენილ დოკუმენტში: „მოგვეცი: გლეხი. კაცი: ჯახუტა ნიკოლეიშვილები და მისი შვილები.... ჯვარის სერის ეწრის ადგილი...“ სახელდებული ობიექტი, როგორც ჩანს, ჯვარისერზე მდებარეობდა. ქიმ, ხმგ, №10.

ვაკე - დასახელებულია 1841 წლის 24 აპრილს შედგენილ „თხოვნის წიგნში“: „შე აგრეთვე ვსთხოვეთ სიტყვიერად კმაყოფილებასა სოფლისა ვაკის მაზრის ნაჩალნიკად ფერდიევს, რომლის პრომოშნიკად იყო მაშინ თვით ნიკოლოზ ჩიჯავაძე...“ ქიმ, ხმგ, №678.

ვანი - 1. სოფელი; დამოწმებულია: 1819 11 ივნისს შედგენილ „ერთგულების წერილში“: „ვანს მცხოვრებმა საბეკას ციხეზე...“ ვრცლად იხ. **ზზვანი**. ქიმ, ხმგ, №222; 2.1823 წლის 23 აპრილს შედგენილ დოკუმენტში: „სოფელს ვანს მცხოვრებნი გოგიელა, ბიბილასვილი და დავითელა ბიბილასვილი“ „ფარდში“ წილად რგებია ბეჟან ლორთქიფანიძეს. ქიმ, ხმგ, №317.

ვაშლარა - დასახელებულია უთარილო საბუთში, კერძოდ, „საუდეო წიგნში“: „საციხისთო მკვიდრი ყმა იყო ორივე თავ მოტეხილ

სამანსა და სკიპს შუა ვაშლარას აქეთ ფიცი კი გაგვიჩდა მარა იმდენი კაცის საფიცარი არაფერი იყო და ისიც ხელთა გვაქ“ (საწირე). ქიმ, ხმფ, №1759.

ვაჭევი - 1.სოფელი; დასახელებულია 1615 წლით დათარიღებულ „შეწირულობის სიგელში“: „უცილებელად: შემოგწირეთ: ოთხი: ქალი: ცერცვაძენი: და ხრეთს: თავისი: სამკვიდრო: მამული: და: სასაფლაო: არ: მოუშალებთ: და: ვაჭევში: დავასახლებთ: და: ისრე: შემოგწირეთ: მისის: მთითა: ბართა: ტყითა: ველითა: საცნავითა: უცნავითა: სათიბითა: სამოვრითა: სამეზრითა და უძებრითა: სანადიროთა: წყლითა: წისქვილითა: და: ყოვლის: მისის: საზღურითა: იქით: რგანის: სოფლისკენ: კაჟის სამანი: და: თელაწმინდამდი: აქეთ: ღვთორისკენ: წიფელას: ჯვარამდი: ყოვლის: კაცის: უცილებელად: და: მოუსარჩლელად: თქვენთჳს: შემოგვიწირავს:.. პირველად: თქვენი: ყ-დ: პატოსანი: მონასტერი: [...]ეთურთა: და: განდგომილთა კაცთა: მიზეზითა მეფეთაგან: იავარ: ქმნილი: კეთილად: კსენებულსა: პაპასა: ჩუენსა: მეფეს: ბაგრატს: ღთის მ[...]რ-ის: ამირეჯიბის: აბულახსარისათჳს: მიეცა: და: მას: კეთილად: და: გულს: მოდგინედ: განეახლებინა: და: შეემკო: ტადარი: შენი: და: თუ: სადამე: მამული: თქვენი: იყო: ზოგი: მეფეთაგან: შეეწირა და ზოგი: სყიდვითა: და ზოგი: გაცვლით: თქვენ თჳს: შემეწირა და: ეს: ახლა: ჩუენგან: შეწირული: ვაჭევი: დარჩომოდა: აწე რადგან თქვენი ყოფილა: თქვენთჳსვე: მოგვიხსენებია...“ ქიმ, ხმფ, №125. 2.დამოწმებულია 1731 წლის 21 თებერვალს შედგენილ საბუთში. ვრცლად იხ. ქვემოთ **რგანი**. ქიმ, ხმფ, №83; 3. დასახელებულია უთარილო დოკუმენტში: „მეფე გიორგისგან შეწირულობის დავთარი წამოაყენა, რომელიც აცხადებდა **ვაჭევის** სამნად რკინის ჯვარს და რკინის ჯვარი დაკარგული იყო და აღარსად ჩანდა...“ ქიმ, ხმფ, №205.

ზარათი - სოფელი; 1.დამოწმებულია 1748 წელს შედგენილ „წყალობის წიგნში“: „...გაგირიგეთ: და. გიბოძეთ. ზარათს. ხატის. კა-

ცები: და. საყდარი. სასაფლაოთ. გქონდეს. და. გიბედნიეროს. ღთნ. ჩვენს. ერდგულობასა და. სამსახურში. თუ. შენ. ჩვნი. ერდგული. იქნე. და. ჩვნის. მტრისას. ჩვნი. გერჩის. ეს. ჩვნგან. ბომებული. წყალობის. წიგნი. აროდეს. არ. მოგიშალოთ. კაცთაგან. არის. ამისი. მოწამე. კ⁻ზი. გერმანე. გენათელი. გაბრიელ. ბატონიშვილი. მამუკა. მე მდივანს. გ⁻იგის. დამიწერია და. მოწამეც. ვარ. ამისი. დეიწერა. წიგნი. ესე. ქ⁻კსა. ქრისტეს. აქეთ. ჩღმთ. თვსა. მასს. კვ⁻. ქიმ, ხმგ, №1611; 2. დამოწმებულია იმერეთის მეფე გიორგისა და დედოფალ ანას მიერ პაატა, სეხნია და გაბრიელ მესხებისთვის ყმა-მამულის ბომების შესახებ შედგენილ „წყალობის წიგნში“ (1785 წ.): „პირველთაც. თქვენი. ნაყიდი. და. თქვენი. ყმა. ყოფილიყვენ. და მერმე. იაშვილი. გადმოგძალებოდათ. და. მას. ყავდა. ახლა. იაშვილს. ჩვენი. ღალატი. და. ორგულობა. შეაჩნდა. და. თქვენი. ისევ. თქვენ. გიბომეთ. ზარათს. ჭაბუკიანები. გიორგის. ხუცის. შვილები. და. მათი. სახლკარი. კაციას შვილები. და. მათი. სახლკარი. დათუას. შვილები. და შვილიშვილები. მათი. სახლკარით...“ ქიმ, ხმგ, №845.

ზარათის ეკლესია - დამოწმებულია ეფთვიმი გენათელისა და იოსებ კათალიკოსის მიერ შედგენილ საბუთში, რაშიც ვკითხულობთ: „ქ: ჩვეენ ყ⁻დ სამღვდელო გენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი ბატონი ჩემის ბრძანებას ასე ვამტკიცებ. ბატონმა ჩემა ბატონისშვილმა კათალიკოსმა იოსებ ზარათის ეკლესიას ასე ნესრ (?) განუჩინა რომ რომელიც ქვეყნისაგან და ვის ძესაგან შესაწირავი რამე შეეწიროდის არეს(?) ზედ რამე ხელი ქონდეს ყოველივე იმ ეკლესიას მოეხმარებოდეს და მისთვის დაიხარჯოდეს: და ახლა მეც ასე დამიმტკიცებია მისი ბრძანება და განჩინება რომელმანცა მისმა შემავალმა სამღვდელომ და ან[დ]ა საერომ მისი შესაწირი რამე მისდა მოუხმარებლად დახარჯოს სამღვდელო ყოვლის მისის წესისაგან დაჯნებული იყოს და საერო უზიარებელი იქმნეს...“ ქიმ, ხმგ, №2258.

ზეგანი - 1. დასახელებულია 1826 წლის 9 აგვისტოს შედგენილ დოკუმენტში. მოგვყავს ამონარიდები: „ლომსიანიძეების სახლისკაცნი, მცხოვრებნი ზეგანს, ხახუტელა და პაატელა ლომსიანიძეები, ცოლშვილითურთ მიყიდეს ბატონისშვილს კოსტანტინეს, რისთვისაც მისცეს იმას ნასყიდობის წერილი...“; „...მიწა მისი მიყიდეს ზეგანის მცხოვრებს საეკლესიო ყმას სეხნია გორგოდეს...“; „...სოფლის ალისიმერეთისა, ფერცათის, ზეგანის და ზანის კუთვნილობა მთელის მათისა... ყმების ლომსიანიძეებისა...“; „...მოსიძისა მიერ ორის სულის ყმების ლოფსიანიძეებისა სოფელსა ზეგანს მცხოვრებლებისა, სახელები იმათი მან არ უწყის...“; „...რომელ მოსიძებთა მიყიდეს ბატონის შვილს კოსტანტინეს ერთი კომლი ყმა ლომსიანიძე. ზეგანს მცხოვრები...“; „სოფლის ზეგანის სახელმწიფო ყმათა: ხახუტა და გოგია ლოფსიანიძებთა. სწორეთ ისინი იყვნენ მისყიდულნი ქაიხოსროს როსაპის და [...] მოსიძებისაგან ბატონისშვილს კონსტანტინე-ზე...“; „სოფლის ზეგანის საეკლესიო ყმათა პაატა გორგაძემ წინაპარნი ყმების, გოგია და მამისთვალა ლოფსიანიძეებისა, რამოდენიც მას ახსოვს, იყუნენ ერთათ კლდისის ლოფსიანიძებით საეკლესიო ყმებათ ღუთისმშობლის ეკლესიასა...“ ქიმ, ხმგ, №1632; 2. „ნასყიდობის წერილის“ (15 მარტი, 1851 წ.) მიხედვით, ფერსათელმა აზნაურებმა - სიკო და ოქროპირ ოტიას ძე ყიფიანებმა ბაღდათის „უჩასტკის“ სოფ. ზეგანში მცხოვრებ საეკლესიო ყმას - პეტრე პაატას ძე გორგოდეს (თუ გორგაძეს?) მიჰყიდეს მიწის ნაკვეთი ფერსათში, სახელწოდებით ლაშისბოლო. ქიმ, ხმგ, №1657.

ზედაგზა - დამოწმებულია ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ მაჭავარიანებისადმი 1768 წელს ბოძებულ „წყალობის წიგნში“: „გიბოძეთ...მიწა სარბევს ზედა გზით ზეით...“ (სარბევი). ქიმ, ხმგ, №1825.

ზედა (მ)ღვიმევი - სოფელი; დასახელებულია 1828 წლის სექტემბერს შედგენილ „წყალობის წიგნში“: „ზედა ღვიმევიდგან გზა ჩა-

მოვა საცხენოსლო იმას დაბლა კლდესა და კლდეს შვა ღელეიანა...“
ქიმ, ხმგ, №1285.

ზედა რგანი - სოფელი; 1. 1838 წლის დოკუმენტში („აღწერილობა ბეგარათა, გადასახადთა და სამსახურთა, კუთვნილთა ყმათა მღვიმის ეკლესიისადმი“) დასახელებულია „სოფელსა ზედა რგანს“ მცხოვრები ყმა-გლეხების - გრიგოლა და ივანე გაფრინდაშვილების, გოგილი (დასახელებულია 2-ჯერ), გოჩიტი, თედორიკა და გიორგიტი ბრეგვაძეების, სვიმონა გოციტაძის ბეგარა-გადასახადები. იმავე დოკუმენტში, სხვაგან, ვკითხულობთ: „თაბაგრებში და ზედარგანში მცხოვრებთ ბრეგვაძებთ მართებითა გადასახადი წოდებული სამუშაო“. ქიმ, ხმგ, №437; 2. სოფელი; დასახელებულია ქაიხოსრო და როსტომ წერეთლების მიერ ქვედამღვიმელებისათვის ბოძებულ „წყალობის წიგნში“: „ზედარგნიდან რომ გზა ჩამოვა და ღელეზედ ჩავა და ზედა ღვიმევიდგან გზა ჩამოვა საცხენოსლო ..“ ქიმ, ხმგ, №1285.

ზედობანი - სოფელი; დასახელებულია 1823 წლის 4 თებერვალს შედგენილ „ნაყიდობის წიგნში“. ქიმ, ხმგ, №1675/04; 2. 1843 წლის 4 ივლისს შედგენილ „ნაყიდობის წერილში“ დამოწმებულია ზედობნელი საეკლესიო აზნაური ბიჭია სიმონის ძე გოგოლაშვილი. ქიმ, ხმგ, №1675/09

ზედუბანი - 1. სოფელი; დასახელებულია 1831 წლის 11 დეკემბრის შედგენილ „ნაყიდობის წიგნში“. შორაპნის მაზრის სოფ. მსხლითში მცხოვრებ ბერძენიძეებს გიორგი ყიფიანისთვის მიუყიდათ „მამა-პაპის სოული ჩჳნი სამკჳდრო ზედუბანი ადგილი სახნავის მიწით, მიდვრით, ტყით და სასაფლაგოთი...“ ქიმ, ხმგ, №2307; 2. სოფელი; დასახელებულია 1842 წლის 12 ოქტომბერს შედგენილ „ნაყიდობის წიგნში“, როგორც ქუთაისის „უჩასტკის“ სოფელი. ქიმ, ხმგ, № 1675/02; 3. სოფელი; 1843 წლის 9 ივნისს დაწერილი ნაყიდობის წერილიდან ირკვევა, რომ გიორგი ყიფიანს აზნაურ პაატა და

მერაბ გურგენიძეებისაგან ორმოცდაშვიდ მანეთად უყიდია მიწის ნაკვეთი ზედუბანში. ქიმ, ხმგ, №2305.

ზეინდარი - სოფელი; როსტომ ერისთავის ასულმა ეკატერინემ მამიდაშვილებს, თავად ლორთქიფანიძეებს - ბედანს, ივანესა და ნიკოლოზს უბოძა „ზეინდრის ერისთავის საზიარო რაც არის, სახელმწიფო სამზღვარს ქუვთ მესამედი“ ... ქიმ, ხმგ, №410.

სხვა დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ერისთავებს ზეინდარს მცხოვრები სამი კომლი რიჟამაძეები - ივანიკა და დათუელა თამაზელას შვილები უბოძებიათ სხვისთვის. ქიმ, ხმგ, №923.

1856 წლის 26 ივნისით დათარიღებული დოკუმენტი გვამცნობს, რომ ზეინდარში მამულებს ფლობდნენ თავადი ლორთქიფანიძე და ერისთავები. ქიმ, ხმგ, №402.

ზეი(ნ)დრის ჭალა - უთარილო დოკუმენტში ვკითხულობთ: „სწერენ ზეიდრის ჭალის საკუთრებასა, და თავადთ დავით და როსტომ ერისთავთ თანხმობით გათარჯვასა, ოდესმე ასის წლით სიმოდესა (?), ოდესმე ორმეოცდაათორმეტის წლით, და ოდეს მე ოცდაათვრამეტის წლისასა, და საზღვრად სდებენ ღრმა ლელესა და თერეთას მდინარის ჩასართავსა... უკეთუ მოჰასუხის ყოფილიყო ზეიდარი, რადგან არა მკვიდრი მათი მოძმე იყო ა-დ ძმა შოშიტა და ოტია ერისთავთა - უკეთუ დავით და როსტომ ერისთავთა ჩამოართვა მეფემ თვისი ნაწილი გათარჯვა და განაწილება მათგან ზეიდრის ჭალისა სადღა საჭირო იყო და უკეთუ ამალლების საზღვარს ერთვის და ზეიდრის ჭალის განყოფილების საზღვარი დასდვს და განუნაწილეს, ნაცვალი ადგილი ამისი სადა არს და უკეთუ ნაცვალი ადგილი სხვას ადგილს მიიღეს დავით და როსტომ ერისთავებთა...“ ქიმ, ხმგ, №674.

ზემო მღვიმე - სოფელი; 1838 წლის დოკუმენტებში დასახელებულია „სოფელსა ზემო მღვიმეს გლეხნი გაფრინდაშვილები“. ესენი არიან: „მღვდელი პეტრე თავისის მამით“, დავით, ბერიკა, მარკოზა,

ოთია, პაპუა, გრიგოლ, დავით, ივანე, პეტრე, საბა, გოგიტი, პეტრე, ნიკოლოზ, ბესო, დავით, ნინია, პეტრე, ივანე, იოსე, პავლიკა, სვიმონ, სულხანა, ანდრია, სვიმონ და გრიგოლ გაფრინდაშვილები. ირკვევა, რომ ზემო მღვიმეში მცხოვრებ გაფრინდაშვილებს უწინ გუჯრით ემართათ ორ-ორი ჩარეკი სანთელი თითო კომლის, „და ამ დროში თითოს იძლევიან. გარდა ამისა მმართვებ ოთხ ოთხი კოკა ღვინო, შობისა ძღვენი. თითო ცხრა პური და ქათამი, ეგრეთჳ მუშაობა ყოვლივ გვარისა, ანუ შინაყობა“. ამას მოსდევს იმავე სოფელში მცხოვრები გლეხების - ბესიკ, გოგიტი, მამუკელა, ივანე და კაცია გაფრინდაშვილების ბეგარა: „ამათ მმართვებ შვიდ-შვიდი კოკა ღვინო და სხუ~ ბეგარა როგორც ზეით გაფრინდაშვილებს ისრე ამათი“. ქიმ, ხმფ, №437.

ზერაგიას საზღვარი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 18.. წლის ოქტომბერს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“. აზნაურ ბეკო ჩიქოვანს მიქელ ჩიხლაძისათვის მიუყიდა კახურას ტყე, რაც სამხრეთით „ზერაგიას საზღვრამდის“ ვრცელდებოდა. იხ. ქვემოთ **კახურა**. ქიმ, ხმფ, №1660.

ზოდი - სოფელი; 1. „შეწირულების სიაში“ ვკითხულობთ: „ზოდს ბოყოველს (?) ათი კოკა ღვინო. ერთი საკლავი. ორი საქორე ქათამი. ორი კოდი პური. საშობო ქათამი. და სამი პური:

ქ. მეორე ბოყოველს ათი კოკა ღვინო. მართებს ერთი საკლავი: ორი ქათამი: საქორე და საშობო ქათამი ერთი. ორი კოდი პური. და სამი პური.

ქ. მაღლუა ნავაძეს მართებს ექვსი კოკა ღვინო, საკლავი ერთი, საშობო ქათამი ერთი და სამი პური. ეს ნავაძე აყრილი არის და ორი მამული გამორთმეული აქვს, რითი გამოიღებს“. ქიმ, ხმფ, №256; 2. დამოწმებულია მღვიმის ეკლესიის კუთვნილი ყმების ბეგარა-გადასახადების აღწერილობაში (1838 წ.), საიდანაც ირკვევა, რომ ზოდელ გლეხებს - ქრისტესია, ივანიკა და მამუკა გაფრინდაშვილებს, „აქავ

ივანესთან შეყრილ“ ერმინდა(?) ნავაძეს, ხახუტა, ივანიკა და სესიკა აზმარაშვილებს მღვიმის ეკლესიის სასარგებლოდ ემართათ სხვადასხვა სახის გადასახადი. ქიმ, ხმფ, №437.

ზორეთი - სოფელი; დასახელებულია 1785 წლის 7 ოქტომბერს შედგენილ წყალობის წერილში, სადაც ვკითხულობთ: „გიწყალობეთ... ზორეთს ხოსიკა მიროტაძე. ორი კვამლი დათუაშვილები. მახარობელა ჩუბინიძე“. ქიმ, ხმფ, № 277.

თაბაგრები - სოფელი; 1. 1838 წლის დოკუმენტში („აღწერილობა ბეგარათა, გარდასახადთა და სამსახურთა, კუთვნილთა ყმათა მღვიმის ეკლესიისადმი, მდგომარისა შორაპნის მაზრასა შ“ა“) დასახელებულია თაბაგრელი გლეხების - მარკოზ მღვდლის, დათუა, პეტრე, ბასილ, სვიმონ, გოგიტი, ივანე, კიდევ ივანე, ბერიკა, გოგიტი, ოქროპირ, სვიმონა, გიორგიტა და სვიმონა თაბაგრების ბეგარა: „ამ ზემო აღნიშნულთ თაბაგრებს მართებსთ მეფის წერილით ორ-ორი ჩარეკი სანთელი და ახლა კი თითოს იხდიან, შობის ძღვენი და მუშაობა, ანუ შინაყმობა“. ამავე სოფელში მცხოვრებ ყმა-გლეხებს - მამუკი ჯიქიძეს, ბასილა ვახტანგაშვილს, გლახუა თაბაგარს („უშვილო“), გრიგოლას, ბუჭუა და გიორგა ბრეგვაძეებს ემართათ სხვადასხვა სახის გადასახადი. იმავე დოკუმენტში დამოწმებულია სოფლის სახელწოდება „თაბაგრევის“ ფორმით: „დათიკა ბრეგვაძე იმერეთსვე სოფელს თაბაგრევს; ლუკა ბრეგვაძე არის თაბაგრევს“. ქიმ, ხმფ, №437; 2. უთარილო დოკუმენტიდან ირკვევა, რომ თაბაგრებში მცხოვრებ გიგია ანდლოლაძეს ემართა შვიდი კოკა ღვინო, ერთი საკლავი, ორი საქორე ქათამი და ერთი კოდი პური; გიორგი ჯიქიძეს - ექვსი კოკა ღვინო, ერთი საკლავი, ორი საქორე ქათამი, ერთი კოდი პური; კაცია ჯიქიძეს - ექვსი კოკა ღვინო, ერთი საკლავი, ორი საქორე ქათამი და ერთი კოდი პური. ქიმ, ხმფ, №256.

თავმოტეხილი სამანი - ტოპონიმი დამოწმებულია უთარილო დოკუმენტში: „...საციხისთო მკვიდრი ყმა იყო. ორივე თავ მოტეხილ სამანსა და სკიპს შუა ვაშლარას აქეთ...“ (საწირე?). ქიმ, ხმგ, №1759.

თეთრამიწა - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ნასყიდობის ხელწერილში“ (25 მარტი, 1875 წ.). სოფ. კურსებში მცხოვრებმა აზნაურებმა - ვასილ, ბეკო და სიკო ბეჟანის ძე გოგოლაშვილებმა კოკაში მცხოვრებ გლეხს - თომა ლანჩავას მიჰყიდეს თეთრამიწა, რაც ისაზღვრებოდა ლანჩავას, სვინტრამეების კუთვნილი მიწებით და გზით (კოკა). ქიმ, ხმგ, №1675/15.

თელაწმინდა - სოფელი; დასახელებულია 1615 წელს შედგენილ „შეწირულების სიგელში“. იხ. ქვემოთ **ვაჭევი**. ქიმ, №125.

თერთა - მდინარე; დასახელებულია უთარილო დოკუმენტში. იხ. ზემოთ **ზეი(ნ)დრის ჭალა**. ქიმ, ხმგ, №674.

თვრინი - სოფელი; დასახელებულია უთარილო საბუთში. იხ. ზემოთ **ამაღლების სასახლე**. ქიმ, ხმგ, №674.

თოხნალაური - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ნასყიდობის წიგნში“: „ქ ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეცი მე დათუნა ავალიშვილ[იშვილ]მა ჩემა. ბუჭუამ სვიმონ, ზალიკა, მომავალმა სახლისა ჩვენისამან შენ გიორგი ავალიშვილსა და შვილსა შენსა ბუჭუას, იოანეს, სესიკას, პეტრეს და ზურაბს, მომავალსა სახლისა შენისასა, ასა ასე და ამა პირსა ზედა დაგჭირდა და მოგყიდეთ მამული და მიწაცა. იქვ. თოხნალაურში. თავს წყარომდი, ბოლოსაცა წყარომდი და შენის სათიბის მოდგმამდი, გვერდზე კვინიკაძის სამძღვრამდი, სხტიან. მიწიან, იქით მიდგმამდი ტყიან ავიღევით. ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა“. ქიმ, ხმგ. №1891.

თუზი - სოფელი; დასახელებულია XVIII ს. I ნახევარში შედგენილ საჩივარში: „რვა:.. კვამლი:.. კაცი... მუხურას. სოფელი:.. თუზი...“; „ვახტანგ და:.. მიქელ:.. თუზს:.. იყვენ: მიუვიდა:.. კაცი რომე:.. ლევან და:.. დავით:.. წერეთელი: გაისტუმრეს“. ქიმ, ხმგ, №847.

თუნი - სოფელი; დამოწმებულია XVIII ს. I ნახევარში შედგენილ საჩივარში. იხ. ზემოთ **ბოსლევი**. ქიმ, ხმგ, № 847.

იმერთი - ისტორიული მხარე; 1.1787 წლის 23 აგვისტოს შედგენილი „წყალობის წიგნი“ გვაუწყებს: „ყმა: იყავ. მარად. ერდგული. და: შემდგომად: მამისა: ჩემისა. გამიჭირდა: ქართლს გადავ(ა)რდით. და: შენ: ჩვენის. ერდგულობისათვის. ცოლ. შვილით. გადაგყვევ. და იმერთს. მიწა. და. შენი. მამული. ყოველივე. თვისი. და მეგობარი: დაუტევე: და: მრავალი: და: აურაცხელ. სამსახური. და: ერდგულობა: შეიძელ...“ ქიმ, ხმგ, № 361; 2.დამოწმებულია XVIII საუკუნის I ნახევარში შედგენილ საჩივრის წიგნში: „ჩვენი:. ჯოგის:. ცხენი:. კვიცის:. გარდა:. იმერთის:. დაიკარგა“. ქიმ, ხმგ, №847.

ინაშეური - სოფელი; ეკატერინე როსტომის ასულ ერისთავმა სოფ. ინაშეურში მცხოვრები იაკობ გრიგოლის (გირგოლის) ძე მიგრამვილი უწყალობა თავადებს - ბეჟან, ივანე და ნიკოლოზ ლორთქიფანიძეებს. ქიმ, ხმგ, №410.

იოანეს საბამზე - დასახელებულია ქაიხოსრო და როსტომ წერეთლების მიერ შედგენილ „წყალობის წიგნში“ (ქვედამღვიმე). იხ. ქვემოთ **ჭურები**.

ისრითი - სოფელი; 1. დასახელებულია უძრავი ქონების სიაში. თარიღი არ უზის. ქიმ, ხმგ, №214; 2. სოფელი; დასტურდება 1823 წლის 23 აპრილს შედგენილ დოკუმენტში. „სოფელსა ისრითს მცხოვრებნი გოგიელა ქამთარამე და მისი ძმა სვიმნიკა და ოსელია და მათის ბიძის ლაზარისასა და დათიელას შვილები და ხოსდიმიაძე (?)“ „ფარდში“ ერგოთ ბეჟან ლორთქიფანიძესა და მის ძმებს, იმერთის რამდენიმე სოფლის ყმა-გლეხთან ერთად. ქიმ, ხმგ, №317.

ისრითის სასახლე - ტოპონიმი დამოწმებულია 1781 წლის 4 მარტს შედგენილ დოკუმენტში: „ისრითის სასახლე მისის სამართლიანის ადგილით“. ქიმ, ხმგ, №10.

კაკაბაური - დამოწმებულია მიტროპოლიტ ზაქარია ქვარიანის მიერ 1644 წელს შედგენილ შეწირულობის სიგელში: „გაღმა: კვერსებს: საკათალიკოზო: ადგილი: საბჭალანგრიძეო: ჟამთა: ვითარებისაგან: გაოხრებულიყო: და: ჩუენ: მაქსიმე: კათალიკოზმა: ფიცით: და: ფეშქაშით: გუიბოძა/ საჭალანგრიძეო: და: კაკაბაური: პარტახტი: რაც: იყო: და: ჩუენ: იმაზედ: დავასახლეთ: ჟოჟუა: ჭიჭნაძე“; „...კვერსებს: საჭალანგრიძეო: რაც: არის: სრულად: და: კაკაბაური: პარტახტი: ჭიჭნაძეს: ჟოჟუასა: და: მის: შვილებს: თამაზასა: ბეჟასა: და: დათუნას: მივე...“ (კურსები). ქიმ, ხმგ, №139.

კალეურთა - სოფელი; დასტურდება მღვიმის ეკლესიის ყმა-გლეხთა გადასახადების აღწერილობაში (1838 წ.). ქიმ, ხმგ, №437.

კაპტონის დელე/კაპტონის წყალი - დასახელებულია 1804 წლით დათარიღებულ დოკუმენტში. იხ. ქვემოთ შუადის ღარისდელე. ქიმ, ხმგ, №1492.

კაპტონის წყალი - იგივე **კაპტონის დელე** (იხ.).

კაპტონის წყლისფონი - იხ. ქვემოთ **შუადის ღარისდელე**.

კარაბადინოულის ბოლო - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1843 წლის 6 ივლისს შედგენილ „ნაყიდობის წერილში“, საიდანაც ირკვევა, რომ ზედუბნელ ბიჭია გოგოლაშვილს კოკაში მცხოვრებ სიმონა ლომინას ძე დოლონაძისთვის 5 მანეთად მიუყიდა „ადგილი კარაბადინოულის ბოლოზედ, ადგილი წაბრალიანი და საყანანი“ (კოკა). ქიმ, ხმგ, №1675/09.

კაციას ზიარი - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1797 წლის 30 აგვისტოს შედგენილ საბუთში: „ლაფნარის სერს ზეით... კაციას ზიარს ჩამოდმა“ იმერეთის მეფე სოლომონს დავთრით შეუწირავს უდაბნოს მონასტრისთვის. იმავე საბუთში, სხვა ადგილას ვკითხულობთ: „მე რომ ზღურები მიწერია, იმას შიგნი ჩემს კაციას ზიარს ჩამოდმა არც მამის შენისსეული იყოს, არც ბაბუამენის, არც ხელობა ქონდეს. ეს მიწა, პირველი დავთარი რომ დაიკარგა, იმაშიდაც წერი-

ლიყოს. და ამ დავთარშიდაც ეწეროს, თუ ასე ისამართლოს ეს სადაო ალაგი წინამძღუარს დარჩეს, თუ წინამძღუარმან სამართალი ვერ შეძლოს, ალაგი შარვაძეს დარჩეს. წინამძღუარი ვერას შევა. ბერი მხეიძე“. ქიმ, ხმფ, №1867.

კაცხის მაცხოვრის ეკლესია - ეკლესია; დამოწმებულია უთარილო დოკუმენტში, რაშიც ვკითხულობთ: „ქ თავადი აბაშიძე დავით და ჯაფარიძე საჩინო და მისი სახლის კაცები დადევდენ კაცხის მაცხოვრის ეკლესიის მამულზედ და გავაბჭვეთ დავით აბაშიძემ, მეფე გიორგისგან შეწირულობის დავთარი“. ქიმ, ხმფ, №205.

კაცხის სამებაწმიდა - ეკლესია; დამოწმებულია 1731 წლის 21 თებერვალს შედგენილ საბუთში: „ქ: ესე: წიგნი: და: პირობა: მოგართვით: ჩვენ: კაცხის: სამება: წმიდის: შეწირულთ: ყმათა...“ ქიმ, ხმფ, №83.

კახურა - ტყე; დასახელებულია 1843 წლის 12 ოქტომბერს აზნაურ ბეკო ჩიქოვანისა და მისი შვილების - ოტას, გლახუას, დავითისა და სვიმონის მიერ მიქელ ჩიხლაძისადმი მიცემულ „ნასყიდობის წერილში“, საიდანაც ირკვევა, რომ ამ უკანასკნელს უყიდია ტყე „საშეშე, სახარდნე და საწკნელე“ კახურაში, შემდეგ საზღვრებში: „ქჯდა მხარეზედ ზერაგიას საზღვრამდის და ზედა მხარეზედ გზას ქვშ, დასავლეთის მხრით გზას შიგნით, აღმოსავლეთის მხრით გათარჯული გზამდის“. ქიმ, ხმფ, №1660.

კეჭნარეის წყარო - წყარო; დასტურდება 1808 წლის „წყალობის წიგნში“. ჩამოედინებოდა დიდვაკის ქვემოთ (ბზვანი). ვრცლად იხ. **დიდვაკე**. ქიმ, ხმფ, №326.

კეჭნარის წყალი - დასახელებულია 1804 წლით დათარიღებულ დოკუმენტში: „წყალობა გიყავით და გიბოძეთ. ჩვენი. სახასო მიწა და ტყე. ჭყვიშურშიდ. რომელიც სახლთუხუცესმა. ზურაბ. წერეთელმა. ტყის მცველებით. შამოგარონიათ... იქედამ რომ... თავ-

დაღმა [...] ჩამოყობა კეჭნარის წყლის. თავამდი კეჭნარის წყლის თავიდან რომ თავდაღმა...“ ქიმ, ხმფ, №1492.

კვალითი - სოფელი; დამოწმებულია 1857 წლის 22 ნოემბერს შედგენილ საეკლესიო დოკუმენტში, მღვდლების - გიორგი კლდიავისა (კლდიაშვილი) და გიორგი საყვარელიძისადმი გაგზავნილ საქმეში: „ვაგზავნი რა ამასთანავე თქუენდამო ნამდვილსა საქმეს, წარმოებულს იმერეთის საეპარხიო კანცელარიასა შინა საქმისაებრ ახტეხილის შორის მღვდლებთ: კვანტრიშვილისა და აბჟანდაძისა და მრევლთა სოფლებთ კვალითისა და დანაეთისა, რომლისაგანაც ნათლით დაინახავთ ვითარცა მათსა ხშირხშირსა საჩივარსა და უკმაყოფილებასა და ნერვიულსა მათ შორის თანასწორ მიღებულს ჩემ მიერ დამშვიდებისადმი მათისა ზომისა...“ ქიმ, ხმფ, №287.

კვინიკაძის საზღვარი - დამოწმებულია „ნასყიდობის წიგნში“. სახელდებული ობიექტი ესაზღვრებოდა მიწის ნაკვეთს თოხნალაურის სახელწოდებით. ვრცლად იხ. **თოხნალაური**. ქიმ, ხმფ, №1891.

კვინცხა - ტოპონიმი დასახელებულია 1821 წელს შედგენილ „ნასყიდობის წიგნში“: „მე გიორგიტა ბერაძემ შენ ღვდელს ბერაძეს დავითს... გამიჭირდა სამგლია მოგყიდე ჭალა გზას ზეითი ზით ყორეს ქვეითი სერის გადმოღმა ტყიანა, აქეთ კდეს აქეთ კვინცხას აქეთი, ფასიცი სრული ევიღე, როგორიცი გული შეჯერიდებოდა, ვინაცი ამაშიდი მოდავე კაცი გამოჩდეს, პასუხის მიმცემი მე ვიყო. არის ამის მოწამე და გამრიგე ივანიკა ბერაძე გიორგიტას შვილი“. ქიმ, ხმფ, №2382.

კინოთი - სოფელი; დასახელებულია 1811 წელს შედგენილ დოკუმენტში: „ჩემს ბიძაშვილს იმერეთის შორაპნის მაზრის სოფელსა კინოთში მოსახლეს აზნაურს ჯავშან ხახუტას ძეს ყანჩაველს... რომელ ჩვენნი წინაპარნი ერთურთის ძმობისაგან გაყრილიყვნენ და ჩვენთა წინაპართა აქ ქართლში უნებებიათ დასახლება...“ ქიმ, ხმფ, №1392.

კიჩიწყალი - მდინარე; დასახელებულია 1856 წელს რუსულ ენაზე შედგენილ დოკუმენტში, რომლის მიხედვით პავლე გრიგოლის ძე უკლებას გურიის დასამორჩილებლად მომავალი რუსეთის ჯარისთვის დახმარების გაწევის მიზნით მდ. ჩოლაბურზე გაუკეთებია „პორომი“, ინჟინრის დახმარების გარეშე. ამასთანავე, აუგია ოთხი საფოსტო სადგური; კერძოდ: სიმონეთის, ყვირილის, შორაპნისა და კიჩიწყლისა. ქიმ, ხმფ, №1989.

კლდე - დასახელებულია 1854 წლის 1 ნოემბერს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“ (კოკა). ქიმ, ხმფ, № 1675/06.

კლდეითი - იხ. ქვემოთ კლდეითი.

კლდეითი - სოფელი ქუთაისის მაზრაში; დამოწმებულია 1826 წელს დაწერილ „ღრამოტაში“: „...წარმოდგენილი მათგან ღრამატა მეფის: დიმიტრისა იმათ არ ეკუთვნის, არამედ არის მცხოვრებნისა ქუთაისის მაზრის სოფლის კლდეითის საეკლესიო ყმების ლომსიანებისა და მეფის დავითისა არის...“; „...ჯერ არს კუთუნილობა ღრამოტისა მეფის დიმიტრისა სოფლის კდეითის საეკლესიო ყმების ლომსიანიძეებისა და ეკითხოს მაიორს თავადს როსტომ ჩხეიძეს და აზნაურს გიორგი აბულაძეს უმართლობა ღრამოტისა მეფის დავითისა, ყმების ლომსიანიძეებზე ბოძებულისა...“; „...თუმცა მოსიძები აცხადებენ უკუთუნელობასა მათდამი ღრამოტისსა, რომელიცა მითომც ეკუთვნის კდეითის ლომსიანიძეებსა...“; „...რაოდენიც თვითონ ახსობს, გოგია და მამისთუალ ლომსიანიძეები და მამანი მათნი მარადის ითულებოდენ საეკლესიოთ ყმებათ ეკლესისა ღვთისმშობლისათჳს, რომელნიცა ერთათ ყმებათ კლდისის ლოფსიანიძეებში აძლეუდენ სარგოსა მათგან ეკლესის სასარგებლოთ, გადასახადს მიტროპოლიტს ქუთათელს და გარდა ამისა მათუე კლდისისა ლოფსიანიძეებით სწირეუდენ ეკლესის ფულს, სანთელს, პურს და აძლეუდენ საეკლესიოს დღესასწაულზე...“; „ბაბუამ ლოფსიანიძეებისა, მყოფი ეკლესის ყმათ, ცხოვრებდა პირუელათ სოფელსა კლდეს, საიდამაც გა-

დაესახლა ალისმერეთს, შემთხვევითა იმით, რომელ აქ იყო მიურათ ეკლესისა აზნაური ლევან მოსიძე...“; „...წარდგინებულ არს მმართველობაში შესამოწმებლათ სოფლის კლდისი საეკლესიო ყმამან კუჩია ლოფსიანიძეებმა, რომელ გადასახლებული კლდიეთიდანა ალისმერეთსა...“; „ბაბუა მოპასუხებისა ლომსიანიძეებისა ცხოურებდენ უწინ კლდისი და იქიდამ გადაესახლა ალისმერეთში; კვირია ლომსიანიძემ დაუმატა, რომელ ბაბუაც მოპასუხებისა და ბაბუამისი იყვნენ მკვიდრნი ძემანი და ცხოურებდნენ კლდის და ღრამატა მეფის დიმიტრისაგან მიცემულ არს ერთათ მათ წინაპარებზე“. ქიმ, ხმგ, №1632.

კლდისი - იხ. ზემოთ კლდიეთი.

კოკა - სოფელი; დასახელებულია: 1. 1823 წლის ოქტომბერს, 1823 წლის 4 თებერვალს და 1842 წელს შედგენილ „ნაყიდობის წიგნებში“. ზედუბნელ საეკლესიო აზნაურს - ბიჭია გოგოლაშვილს სოფ. კოკაში მცხოვრები საეკლესიო ყმების - ივანა, საყვარელა, კიკოლა და დათიკა გოგიას ძე ბასილაძეებისთვის მიუყიდა მიწის ნაკვეთი. ქიმ, ხმგ, №1675/02; 1675/03; 1675/04; 2.სოფელი; 1823 წლის 2 მაისს შედგენილ დოკუმენტში დასახელებულია კურსების საზოგადოების სოფელ კოკაში მცხოვრები პაატა იობიდის ქვრივი გულქან ახვლედიანი და გლეხი გოგია მამუკას ძე ლანჩავა. ქიმ, ხმგ, №1675/10; 3. 1848 წლის 26 ოქტომბერს შედგენილ საბუთში დასახელებულია სოფ. კოკას მცხოვრები საეკლესიო ყმა ხახუტა ლანჩავა. იქვე ვკითხულობთ: „ასე ვითარად რომელ ჩვნი მამა და ბიძა სისონა სვინტრაძე შენს ქვყანაში კოკას ნამოსახლი იყო პირვლიდგან მამა-პაპითურთ და ის ხსენებული ჩვნი მამისა და ბიძის ნამოსახლი ადგილი შენ ხახუტას მოგყიდეთ...“ ქიმ, ხმგ, №1675/11; 4. 1851 წლის 15 ივლისს შედგენილი „ნაყიდობის წერილის“ მიხედვით ცუცხვათელმა თავადმა სიმონ დავითის ძე აგიაშვილმა სოფ. კოკაში მცხოვრებ საეკლესიო ყმებს - პაატა იობიდის შვილებს, გოგია მამუკას ძე ლანჩავას, ლე-

ვან გოგიას ძე ჭედელს, ბათლომე სიმონას ძე დოლონაძეს, გოგია და-
თიკას ძე ლანჩავასა და სხვებს მიჰყიდა მიწის ნაკვეთი. ქიმ, ხმგ,
№1675/01; 5. 1875 წლის 25 მარტს შედგენილ „ნასყიდობის ხელისწე-
რილში“ მოიხსენიება სოფელ კოკაში მცხოვრები გლეხი თომა ლანჩა-
ვა, რომელსაც იმავე სოფელში მცხოვრები გოგოლაშვილებისგან
უყიდა „სახორე და სახარდნე“ ადგილები „ბეწასწვერის“ სახელწო-
დებით. ქიმ, ხმგ, №1675/15.

კორბეული - სოფელი; დამოწმებულია მღვიმის ეკლესიის
კუთვნილი ყმების ბეგარა-გადასახადების აღწერილობაში (1838 წ.).
ქიმ, ხმგ, №437.

კორისწყალი - მდინარე; ანტონ ერისთავის „საჩუქრის წიგნი-
დან“ ირკვევა, რომ სავენახე ადგილი ლაშისპირის სახელწოდებით
მდებარეობდა სადემეტრაოში, კორისწყალსა და საქუთათლო ყმების
მამულს შორის. ქიმ, ხმგ, №1820.

კურსები - სოფელი; დამოწმებულია: 1. მიტროპოლიტ ზაქა-
რია ქვარიანის მიერ 1644 წელს შედგენილ შეწირულობის სიგელში:
„ამას: გარეთ: ნოლას: ერთი: პარტახტი: გაბადაძის: სეული: ვიყიდეთ:
და: ლომთაძეს: გოჩიასა აქვს: ამას: გარეთ: გაღმა: კვურსებს: საკათა-
ლიკოზო: ადგილი...“; „ვიყიდე: ბატონის: ბრძანებით: ჯანიას: აბესა-
ლაძე: ოსია: მისის: შვილებით: და: მამულით: კვამლი: ერთი: ეს: ხუ-
თი: კვამლი: კაცი: და კვურსებს: საჭალანგრიძეო: რაც: არის: სრუ-
ლად: და: კაკაბაური: პარტახტი: ჭიჭნაძეს: ჟოჟუასა: და: მის: შვი-
ლებს: თამაზასა: ბეჟასა: და: დათუნას: მივე...“ ქიმ, ხმგ, №139; 2. და-
სახელებულია არაერთ ნასყიდობის წერილში. 1860 წლის 24 მარტს
შედგენილ ნასყიდობის წერილში მოიხსენიება „ქუთაისის უეზდის
კურსევის საზოგადოებასა და კურსებშიდგ მცხოვრებნი ანზაური ვა-
სილი, პავლე, სიკო ბეჟანის ძებთა გოგოლაშვილებნი“, რომლებმაც
იმავე საზოგადოების სოფ. კოკაში მცხოვრებ საეკლესიო ყმებს - გი-

ორგი მამიუკას ძე ლანჩავას და ათანა გიორგის ძე ბასილაძეს 25 მანეთად მიჰყიდეს მიწის ნაკვეთი. ქიმ, ხმგ, №1675/17.

ლაფნარის სერი - სერი; ტოპონიმი დასტურდება იმერეთის მეფე სოლომონის მიერ უდაბნოს მონასტრისადმი სოფხელი გლეხების შეწირულების წიგნში: „ქასრას იქეთ, წყალწითელამდის, ლაფნარის სერს ზეით, შენდა ჩემის კაცისა ზიარს ჩამოდმა დავთრით შესწირა. დღემდის შენც გაძლევდა მოდსა და ახლა მოდიცა წამართვით, აღარც ალაგს მაძლევ“. ქიმ, ხმგ, №1867.

ლაშისბოლო - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია „ნასყიდობის წერილში“ (5 მარტი, 1848 წ.), რითაც ირკვევა, რომ ფერსათელ აზნაურებს - სიკო და ოქროპირ ოტისა ძე ყიფიანებს სოფ. ზეგანში მცხოვრები საეკლესიო ყმისთვის - პეტრე პაატას ძე გორგოდისთვის (თუ გიორგადისთვის) მიუყიდათ ლაშისბოლო, რაც ისაზღვრებოდა ეგნატე და ქაქუჩა იოსელიანების კუთვნილი მიწის ნაკვეთებით (ფერსათი). ქიმ, ხმგ, №1657.

ლაშისპირი - ვენახი; დამოწმებულია სადემეტრაოელი ერისთავების მიერ შედგენილ „საჩუქრის წიგნში“: „სოფელსა სადემეტრაოს ჩემის ყმების ბეითაღმანად დაშთენილ სახასო ჩემი ვენახის მამული მქონდა, კოტორაშვილების ნაქონი, სახელდობ ლაშის პირი. ამ სამზღვრებს შუა: მარჯვნის მხარეს კორის წყალი. მარცხნის მხარეს საქუთათლო ყმების მამულეზამდის, აღმოსავლეთისავე ეგრეთვე საქუთათლო ყმების მამულეზამდის, და დასავლეთით კოტორაშვილების სამზღვრამდის“. მამული აღნიშნულ საზღვრებში თავად ანტონ გიორგის ძე ერისთავს საჩუქრად უბოძებია აზნაურ ანდრია იოსების ძე მარჯანოვისათვის (სადემეტრაო). ქიმ, ხმგ, №1820.

ლოფსიანთხევი - სოფელი; დამოწმებულია აზნაურ სიმონ ნინიას ძე ზაინდუროვის თხოვნაში, რაც მას ქუთაისის კომენდატისთვის გაუგზავნია (13 აგვისტო, 1835 წ.). დოკუმენტში ვკითხულობთ;

„...და რა გავრიგდით, წამომიყვანა ქუთაის დ. ქუთაისიდანაც წამიყვანა მან მელქონ სოლოროვმა და ჩამიყვანა ლოფსიანთხევს თავის ზაოდში, გინა საოტკეში და დამაყენა... ვემსახურე ორს თვეს და მერმეთ წამოვედი. ქუთაის სააღდგომოთ ჩვულობისამებრ და მერმეთ არც იქ წამიყვანა და არც სხვაგან და რა დავრჩი ქუთაის, არაფერი მითხრა...“
ქიმ, ხმგ, №448.

მაღალიკლდე - კლდე; დასახელებულია ქაიხოსრო და როსტომ წერეთლების მიერ ვაშაძეებისადმი ბოძებულ უთარილო „წყალობის წიგნში“. იხ. **ქიათურისწყალი**. ქიმ, ხმგ, №1285.

მაღველაური - ტოპონიმი დამოწმებულია უთარილო დოკუმენტში: „მოგართვით: ჩვენ: თქვენ: ბატონს: ჩვენს: ციხის: თავს: აგიაშვილს: ქაიხოსროს: და: თქვენს: შვილს: იოანეს: და: სხვათა: თქვენთა: შვილთა: და: მომავალთა: ასე: და: ამა: პირსა ზედა: რომ: ჩვენ: ქაიხოსროს: შვილებსა და შვილისშვილებსა: და: მე: სეხნასა და ჩემს: შვილებს შვ~ლებში: ერთმანეთში: დეობა იყო მაღველაურში: გლეხებში: და: ციხეში: მერკვილაძეში კაცებში: თობში: თეთრში: თუ: საქონელში: ცხენებში: გაუყოფელს: ალაგს: გარდა: მოვდექით: გაახელით: და: შამოგეხვეწეთ: ჩვენის: მოყვრენით: და: კერძოკაცით: და: გავრიგდით: ჩვენ: ერთმანეთში...“
ქიმ, ხმგ, №1700.

მაჭარაშვილის საბამზე - იხ. ქვემოთ **ჭერეხი**.

მერევი - სოფელი; დამოწმებულია XVIII საუკუნის I ნახევარში შედგენილ საჩივარში. იხ. ზემოთ **ზოსლევი**. ქიმ, ხმგ, №847.

მეჩხერა - მიწის ნაკვეთი, საკავი ტყე; დასახელებულია 1842 წლის 22 ოქტომბერს შედგენილ „ნაყიდობის წიგნში“. სოფ. კოკაში მცხოვრებ 4 მძას, საეკლესიო ყმებს - ბასილაძეებს ზედუბნელი საეკლესიო აზნაურისგან ოც მანეთად შეუძენიათ მიწის ნაკვეთი „მეჩხერას“ სახელწოდებით. დოკუმენტს ხელს აწერენ: აზნაური ეზია გოგოლაშვილი, ხელოსანი მამუკა ხუჯაძე, ხელოსანი გოგია ბასილაძე, ზალიკა და ივანა დოღონაძეები, მღვდელი სვიმონ ჯინჯიხაძე, აზნა-

ური ბიჭია გოგოლაშვილი. ქიმ, ხმფ, №1675/02. ტოპონიმი დამოწმებულია 1823 წლის 4 თებერვალს შედგენილ ნასყიდობის წერილშიც: „...სოფელსა კოკას მცხოვრებელმა ბიჭია გოგოლაშვილმა მოგყიდე ჩემი კაცისსოული. ამას გარდა კიდო ჩემი კაცის ნაყიდი ადგილი მეჩხერა... ელია ბასილაძეს საზღუარსა და ივანა დოღონაძეს შუა ბოლოს ჭალამდი“. ქიმ, ხმფ, №1675/03.

მლაშე - დასახელებულია მიტროპოლიტ ზაქარია ქვარიანის მიერ 1644 წელს შედგენილ შეწირულობის სიგელში, საიდანაც ირკვევა, რომ ქუთაისში, მწვანეყვავილას საგვარეულო მამულის შემოგარენში, მას გარკვეული ტერიტორია შეუსყიდა: „ამას: გარეთ: ხუციას: ქელბაქიანისაგან: და: მისის: განაყოფებისაგან: ადგილები: ვიყიდეთ; იქით: ქვერაულას: დელე: მლაშეს: იქით: რომ: დელეა...“ ქიმ, ხმფ, №139.

მსხლითი - სოფელი; ტოპონიმი დასახელებულია 1841 წლის 11 დეკემბერს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“: „მორაპნის უჩასტკასა შინა სოფლისა მსხლითს მცხოვრებელი სახელმწიფო აზნაური პაატა და მერაბა მერაბას ძე ბერძენიძენი გაძლევთ ამა ქემმარტს უმიზეზო ნასყიდობის წერილს თქვენ ამაჲ უჩასტკა შინა სოფელსა ჭარტალს მცხოვრებელს სახელმწიფო აზნაურს მამისთვალ დავითის ძე ყიფიანს [...] და კაპიტანს გიორგი ყიფიანს... მოგყიდეთ ჩუნ ჩუნი წილხდომილი ჩუნი მამა-პაპის სოული ჩუნი სამკვდრო ზედუბანი ადგილი“. ქიმ, ხმფ, №2307.

მუხიქედის ტყე - ტყე; დამოწმებულია 1884 წლის 12 თებერვალს შედგენილ დოკუმენტში: „ჩყბდ-სა წელსა თებერვლის იბ~ს დღესა მე წავიდე საერთო ბიძი ჩემის ჩიჯავაძის და ნაშთის საბუთებისაგან კ~ზ მანუჩარ ჩიჯავაძისგან მოცემული ვარსებთის ბარათი სამასი მანეთის რომელიც დაწერილია ჩყოგ-ს წელში. მას შ~ა ხელს ვაწერ თ~დი გრიგოლ ლორთქიფანიძე.

1881 წელს აგვისტოს პირველსა დღეს კიდევ ამოვიღე საბუთებში ორი საბუთი ერთი მალხაზი კორძაძისაგან მიცემული და მეორე ჩიჯავაძეების, მგელაძეების და ბარამიძეების და სხვების მუხიქედის ტყეზედ. თქვი გრიგოლ ლორთქიფანიძე“. ქიმ, ხმგ, №684.

მუხურა - სოფელი; დამოწმებულია XVIII საუკუნის I ნახევარში შედგენილ საჩივრის წიგნში: „ჩვენი: ჯოგის: ცხენი: კვიცი: გარდა: იმერეთს: დაიკარგა: რვა: კვამლი: კაცი... მუხურას“. ქიმ, ხმგ, №847.

მღვიმე - 1. მონასტერი; დასახელებულია შეწირულების წიგნში: „ქ. ეპა. წმინდაო მაცხოვარო მღვიმისაო, ხატო და პირო ქრისტეს მღთისა. ჩჳნისაო. ჩჳნ. შენს. მსასოებელს. და თაყვანისმცემელს. გვარწოდებით. წერეთლებმა. დავითის შვილმა. სვიმონმა. და ჩემა. ძმამ. გოგიამ. და ნიკოლოზმა. და პაპუნას. შვილმა ვახტანგ. და ოქროპირმა. ნიკოლოზის. შვილმა. როსტომმა. და ჩემა. ბიძაშვილებმა. მერაბამ და ჩემა. ბიძაშვილმა. ბერმა და ქაიხოსროს. შვილმა ქაიხოსრომ. ჩჳნმა შვილმა და ბეჟანის შჳლებმა: როსტომ და ჩჳნმა შჳლმან და მოძავალმან. სახლისა. ჩჳნისამან ვიგულისმოდგინეთ და მსასოებელ ვექმენით. თქჳნისა. განმაცხოვრებელისა. ქრისტეს. მღთისა. ჩჳნისა. და შემოგწირეთ და მოგართვით. ვითარცა. ერთი. მწვლილი. წინსოველს მოსახლე. ჩუბინიძე...“ ქიმ, ხმგ, №168; 2. სოფელი; დასახელებულია 1838 წლით დათარიღებულ დოკუმენტში: „აღწერილობა ბეგარათა, გარდასახადთა და სამსახურთა, კუთვნილთა ყმათა მღვიმის ეკკლესიისადმი, მდგომარისა შორაპნის მაზრასა შა“. მღვიმევის ყმებს - დეკანოზ იოვანეს, ნიკოლოზს, გრიგოლს, ქაქუჩს, მღვდელ გიორგის, ნატრიას, გოგიას, კიკოს, გრიგოლს, დათიკას, ლაზარეს, ნიკოლოზს, დათიკას, სვიმონსა და როსტომს (გვარები უცნობია) „მმართვებსთ ახლა თვითოეულს კომლს ნახევარ ჩარექი სანთელი ანუ ორ კომლს ერთი ცხვარი წელიწადში, ხოლო პირველ მმართვებთ ღრამოტითა მეფე, ხოლო მნათისათა (?) ორ-ორი ჩარექი სანთე-

ლი, მაგრამ ღრამოტა გაფხევილი არის და საქმეზე გაგზან გამოგზავნა...“ ქიმ, ხმგ, №437.

მღვიმის მონასტერი - მონასტერი; დასახელებულია 1807 წლით დათარიღებულ „წყალობის წიგნში“: „ქ.: წყალობითა მღთისათა ესე წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩვენ მღვიმის მონასტრის არხიმანდრიტმა იოვანე ქართველმა შენ ჩვენის მაცხოვრის მემკვიდრე გლეხს გაფრინდაშვილს ივანე ჩერგეხს შვილთა და მომავალთა შენთა, ასე და ამა პირსა ზედა რომე გამიჭირდა უადგილობით და ივარგოდი და შემოგვეხვეწე და მოგეცით ჭიქოურში ერთი ღელე ალაგი ზეით თავზედ დიდი კლდე აქვს და ზედ ხეები არის ამოსული. იმ კლდის სწორათ ყვირილის პირამდნ და აქეთ ნაპირზედ ცხემლა არის და ქვეით სოჭი და იმ კლდესა და ცხემლასა და სოჭს შუა მოგვიცემია მოგცეს და გიბედნიეროს ღმერთმა ჩვენს ერთგულობაში და სამსახურში“. ქიმ, ხმგ, №882.

მღვიმის უდაბნო - მონასტერი; დასახელებულია 1859 წლის 10 მაისს შედგენილ „პირობის წერილში“: „ჩუწნ ქვემორე ამისა ხელის მომწერელთ წინამძღვარმა მღვიმის უდაბნოასა მღუდელ მონაზონმა სერაპიონ და ყმებთ, დათია და ბერია მიქელის ძეთ და ღვთისია გაბელას ძემ და მისმა ძმისწულმა ონოფრემ პაპუნას ძემ ღულუნისშვილმა, საფუძველსა ზ~ა მოწერილობისა იმერეთის ეპისკოპოსის გერმანესი კ. მარტიდამ ამა წელსა ჩყნთ-სა დავსდევით ეს პირობის წერილი, მას შინა რომელ ჩუწნგანს ღუთისას ყვირილაზედ მახლობლად სამონასტრო ღრუდოასა მონასტრის ადგილში გარდაწყვეტილებით მიტროპოლიტის დავითის სანახევროდ მაქენდა აღშენებული წისქვილი, რომლისა ნახევარს მონასტერს ვაძლევიდი...“ ქიმ, ხმგ, №364.

მცვიანა - ტოპონიმი დამოწმებულია მიტროპოლიტ ზაქარია ქვარიანის მიერ 1644 წელს შედგენილ შეწირულობის სიგელში, საიდანაც ირკვევა, რომ ქუთაისში, მწვანეყვავილას საგვარეულო მამუ-

ლის შემოგარენში, მას გარკვეული ტერიტორია შეუსყიდია, რაც შემდეგნაირად ისაზღვრებოდა: „ამას: გარეთ: ხუცისას: ქელბაქიანისაგან: და: მისის: განაყოფებისაგან: ადგილები: ვიყიდეთ; იქით: ქვერაულას: დელე: მლაშეს: იქით: რომ: დელეა: და: იმას: აქათ: ჭორტიკელაურას: დელემდი: ზეით: და მცუივანას: დადმა: ვიდრე: რიონამდე“. ქიმ, ხმგ, №139.

მძორეთი - სოფელი; დასახელებულია 1787 წლის 23 აგვისტოს შედგენილ „წყალობის წიგნში“: „გიწყალობეთ... მძორეთს. ხოსიკა: მიროტაძე: მისი. შეწყობილი კირკიტაძეები: მოსახლობით. სახლ. კარით. ორი გლეხი. დათუაშვილი. გოგიტელა. და მამუკელა. მათის ძმებით. და სახლკარით. ერთი. ჩუბინიძე. მახარობელა. მათის. ძმებით. ცოლშვილით. და: სახლ. კარით“. ქიმ, ხმგ, №361.

ნაბოსლევის ქედი - ქედი; დასახელებულია 1772 წელს შედგენილ „საუდეო წიგნში“: „ქ: ესე წიგნი მოგართვით თქვენ საწირელმა თემისა მი საყდრის კაცმა თქვენ ციხისთავს აგიაშვილს ქაიხოსროს ასე რომ სამანსა და სკიპს შუა და გედევეთ მერმეთ ბატონის ხემწიფვის კარზედ გავსამართლდით ბატონმა ხემწიფემ დავით ჩხეიძე ბოქაულათ გიჩინა და სამნებზედ მოფიცარი გაჩდა და თქვენ მოიყვანეთ ასოცი კაცი... ნაბოსლევის ქედს აქეთ წაბლარის გვერდს აქეთ თავ მოტეხილ სამნამდის ორ ბოგირსა და ჯავშიას შუა და საჯანგის დელეს შუა თქვენ დაგრჩა ფიცით ამოიღეთ ბატონის კარზედ გენათელი და კროჭი და თქვენ და დევებულყავით გაბჭობილყავით და თორმეტი მსახური გენათელს გასჩენოდა და ორმოცდა ათი კაცი კროჭს გასჩენოდა და ორივეს დაუფიცეთ და ეს ალაგები თქვენ დაგრჩა...“ ქიმ, ხმგ, №1759.

ნავარძეთი - დასახელებულია 1731 წლის 21 თებერვალს შედგენილ „პირობის წერილში“: „ქ: ესე: წიგნი: და: პირობა: მოგართვით: ჩვეან: კაცხის: სამება: წმიდის: შეწირულთ: ყმათა: საყდრელთა: რგანელთა: ნავარძელთა: ვაჭველთა...“ ქიმ, ხმგ, №83.

ნავენახარისთავი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1860 წლის 24 მარტს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“. სახელდებული ობიექტი ისაზღვრებოდა ლანჩავების კუთვნილი მიწის ნაკვეთებით (კოკა). ქიმ, ხმგ, №1657/17.

ნასაკირევი - მიწის ნაკვეთი, „ზომით ერთი ქცევა“ (ისრითი). ქიმ, ხმგ, №214.

ნასაკირევისთავი - ტყე; ორი ქცევა მიწა ისაზღვრებოდა ომიადის, გაბუნიასა და სხვათა მიწის ნაკვეთებით (ისრითი). ქიმ, ხმგ, №214.

ნასარეიას მონატეხი - ტოპონიმი დასახელებულია 1804 წელს შედგენილ დოკუმენტში. იხ. ქვემოთ **შუალის ღარისღელე**. ქიმ, ხმგ, №1492.

ნასელარი - დასახელებულია 1804 წელს შედგენილ დოკუმენტში. „...თავს. ნასელარს გამარჯვებული. ბოგირი. იქედამ. რომ. თავდაღმა შარა. ჩამოყოზა. კეჭნარის წყლის. თავამდი. კენჭნარის წყლის თავიდამ რომ თავდაღმა მიუყოზა და თვით ზურაბისშვილის. ყანის თავამდი. იქედამ. სანავარდოსკე...“ ქიმ, ხმგ, №1492.

ნაწისქვილევი - 1823 წლის 25 ნოემბერს შედგენილი საბუთიდან ირკვევა, რომ სოფ. კოკაში მცხოვრებ პაატა იობიძის ქვრივს - გულქან ახვლედიანს გლეხ გოგია ლანჩავასთვის მიუყიდა მიწის ნაკვეთი ნაწისქვილევის სახლწოდებით (კოკა). ქიმ, ხმგ, №1675/10.

ნოღა - მსჯელობისათვის იხ. **ტუფურიშის ჭალა**. ქიმ, ხმგ, №139.

ოკრიბა - ისტორიული მხარე; დასახელებულია XVIII საუკუნის I ნახევარში შედგენილ საჩივრის წიგნში: „დაიკარგა: თორმეტი: ბკო:.. ოკრიბა: სახელი:.. ჩემი:“ ქიმ, ხმგ, №847.

ონჯოხეთი - სოფელი; დამოწმებულია 1823 წლის 23 აპრილს შედგენილ დოკუმენტში, სადაც ვკითხულობთ, რომ „სოფელსა ონჯოხეთს მცხოვრებნი ბასილიკა ორმოცამე და საბიელა და გაბრიელა

ორმოცამე“ „ფარდში“ ერგოთ ბეჟან ლორთქიფანიძესა და მის ძმებს. ქიმ, ხმფ, №317.

ოხოშირლების საზღვარი - დასახელებულია 1851 წლის 15 ივლისის შედგენილ „ნაყიდობის წერილში“. ცუცხვათელმა თავადმა სიმონ აგიაშვილმა კოკში მცხოვრებ საეკლესიო ყმებს - იობიძეს, ლანჩავას და სხვებს მიჰყიდა მიწის ნაკვეთი, რაც დასავლეთით „ოხოშირლების საზღვურამდის“ ვრცელდებოდა (ცუცხვათი). ქიმ, ხმფ, №1675/01.

პასიეთი - სოფელი; 1. ტოპონიმი დამოწმებულია სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლისა და მისი ძმისწულის - სარდალ ქაიხოსრო წერეთლის, ძმის - მოურავ ბერი წერეთლისა და ძეთა - სვიმონისა და გრიგოლის, აგრეთვე ძმისწულ როსტომ წერეთლის მიერ მღვდელ დავით გოდერძის ძე წერეთლისადმი 1805 წელს ბოძებულ „წყალობის წიგნში“: „ასრე და ესე ვითარად. რომე ყმინ თავიანათ. ადგილზედ შევიწროვებული კაცნი იყავითო: მოხვედით და გვევედრეთ. და ჩვენი სახასო ადგილი პასიეთის მიწა გვთხოვეთ და ჩვენ შეგიწყალებთ და გიბოძეთ ჩვენი სახასო მიწა ადგილი. პასიეთი ქვედა კოჟნარის მიაჭრის ქვედამ შუა ტბასა და ფარქოსადის სამძღვარს ზეით“. ქიმ, ხმფ, №140; 2. დამოწმებულია უთარილო დოკუმენტში: „პასიეთი რომლისათვისცა უმეტესისა წყალობისა თანამდებ იყო სახლი სამეფო ჩჳნი ოჯახსა თქუდნსა ზედა, ამისთვის რომ ძველნი მამაპაპანი თქუდნნი მამაპაპათა ჩჳნთა და მეფეთა წინაშე რიცხვით ორასზედ უმეტესნი ჳრმლით და თოფით დააკლდენ სიცოცხლესა და ამისთვის რომელნიცა წინაპართა მეფეთა მეფისა სოლომონისა. და მეფისა დავითის მიერ ბოძებულნი მამულნი გაქჳნდენ სოფლითა ამით და გიმტვიცეთ და ლწ ჩვენსა ერთგულებასა შინა მოგახმაროსთ კწთა კაცთაგან უცილებელად... აწ არიან წიგნისა ამის თანა მოწამედ, წულუკიძე ოტია, და ძმა მისი სეხნია, მაჩაბელი ზურაბ... აღიწერა ხე-

ლითა მოძღვრისა ძის ოსე მღვდლის გაბაშვილისათა... თთვსა აპ-რილსა“. ქიმ, ხმფ, №438/13.

პატრიქეთი - სოფელი; 1. დაუთარიღებელ დოკუმენტში („პი-რობის წიგნი“) ვკითხულობთ: „ქ. ჯერჩინებითა თავად. დაუსაბამოსა ღვთისა. მამისა. ძისა. და სულისა-წმინდისათა. ესე. და მტკიცედ შე-უშლელ შეუცვალელებელი. უკუნისამდე. საბოლოოთ. გასათავებელი. სა-უდეო წიგნი. მოგეცი. მე. შენმა ძმამ. აგიაშვილმა. ბერმა. და ჩემა. ძმის. წულმა. სვიმონ და ბეჟანმა. თქვენ. ჩემს. ძმას. ციხისთავს ქაი-ხოსროს. და თქვენს. შვლს ივანეს. ანტონის. დავითს. სვიმონ და გოგი-ას. და სხვათა. ძეთა. და მომავალთა თქვენთა ყოვლთავე. ასე და. ამა. პირსა. ზედა. რომე. პატრიქეთში. გედევზოდით და. ბედნიერს. ხელ-მწიფეს მეფეს. სოლომონის ბრძანებით მოვრიგდით და ამის. და სა-მაგიეროთ. მოგვცით. დავითელა ჯანელიძე. და მისი. ძმა მათის. ცოლშვლით. სულელას შვლები. და ივანა ჯანელიძე. მისის ცოლშვი-ლით. სახკარით. ალაგით და მამულით. რისიც მქონებელი. დღეს არს. ყოვლისფერით მოგეცით“. ქიმ, ხმფ, №1741; 2. დასახელებულია XVIII საუკუნის I ნახევარში შედგენილ საჩივარში: „სამი:. ვვამლი:. გოდუაძემი:. პატრიქეთს:. მეფისთვის:. ქრთმით:. მიართმევინა“. ქიმ, ხმფ, №847.

რგანი - სოფელი; დამოწმებულია 1731 წელს შედგენილ სა-ბუთში, რაშიც ვკითხულობთ: „ქ. ესე: წიგნი: და: პირობა: მოგარ-თვით: ჩვენ: კაცხის: სამება: წმიდის: შეწირულით: ყმათა: საყდრელ-თა: რგანელთა: ნავარძელთა: ვაჭველთა: ჯოყოველთა: რკვიელთა: საკურწელთა: საზავნოს: ნებიერიძენტა: სარგვეშელთა: და: ყოველ-თა: თემობით: ჩვენის: სალოცავის: საყდრის: შამოსავალთა: შეწი-რულთა: ყმათა: თქვენ ჩვენს: პატრონს: დიდის: აბაშიძის: გიორგის: შვილს: აბაშიძეს: ლევანს: სკუკუნოსმცა: არს: სახსენებელ. და: კურ-თხევა: მისი: ასე: და ამას: პირსა: ზედა: რომე: საქერო: გვედავა: ბნე-ლი: და მოგვიკვეთეთ: რომ: ველარავინ: გამოგვართვას: ქვრივი: ვერ-

ცარავინ: მოგვიშლის: ღ⁻ თნ და ამ: მაცხოვარმან: განაძლიეროს: ცხო-
რება: შენი: ამ: სოფელს: განგადლოს: სიცოცხლით: და მას: საუკუნოსა:
ცხოვნებით: მეუღლე: შენი: ძენი: და ასულნი: შენი: ცოცხალნი: შენი:
მრავალ: ჟამიერ: ყოს: ქრისტემან: მაცხოვარმან: და: მიცვალებულთა:
შენთა: წიაღთა: შინა: აჰბრაამისთა: განსვენება: გრქვას: ქრისტემან:
მოვედ: კურთხეულ: მამისა: ჩემისაო: და დაიმკვიდრე: სასუფევე-
ლი...“ ქიმ, ხმფ, №83.

რგვალი ყანა - მიწის ნაკვეთი; ეკუთვნოდა ცერცვაძეებს და
მათგან შეუძენია დათიკა შეყილაძეს. იხ. **სპარიეთი**. ქიმ, ხმფ, №554.

რიონი - მდინარე; დამოწმებულია მიტროპოლიტ ზაქარია ქვა-
რიანის მიერ 1644 წელს შედგენილ შეწირულობის სიგელში: „ამას:
გარეთ... ადგილები: ვიყიდეთ; იქით: ქვერულას: ღელე: მლაშეს:
იქით: რომ: ღელეა: და: იმას: აქათ: ჭორტიკელაურას: ღელემდი: ზე-
ით: და მცუივანას: დაღმა: ვიდრე: რიონამდე“. ქიმ, ხმფ, №139.

რკვია - სოფელი; დამოწმებულია 1731 წელს შედგენილ სა-
ბუთში. ვრცლად იხ. **რგანი**.

რკინისჯვარი - ტოპონიმი დამოწმებულია უთარილო დოკუ-
მენტში: „მეფე გიორგისგან შეწირულობის დავთარი წამოაყენა, რო-
მელიც აცხადებდა ვაჭევის სამნად რკინის ჯვარს და რკინის ჯვარი
დაკარგული იყო და აღარსად ჩანდა. და ქვის სამანზედ მიგვიძღვა
დავით აბაშიძე და ასე უჩივლა. ამას აქეთ მაცხოვარის შეწირული
არის და თქუჴნ ართმევთ, რისთვის არ ვიცი...“ ქიმ, ხმფ, №205.

რუფოთი - სოფელი; 1785 წლის 7 ოქტომბერს შედგენილ სა-
ბუთში დასახელებულია „რუფოთს. სამი. გლეხი: სოფრომაძე“. ქიმ,
ხმფ, №361. სხვა საბუთში გვხვდება „რუფოთს. რობაქიძე. ორი გლე-
ხი: გელაშვილი. სამი გლეხი. სოფრომაძე“. ქიმ, ხმფ, №277.

რცხემლარას ტყე - ტოპონიმს ვხვდებით 1830 წლის 11 მარტს
შედგენილ „ნასყიდობის წიგნში“, რაც გიორგი იაშვილს ტყის მიყიდ-
ვასთან დაკავშირებით უბოძებია დოკვაძეებისათვის. დოკუმენტში

ვკითხულობთ: „დამჭირდა და მოგყიდეთ ჩვენი კერძი რცხემლარას ტყე და ფასიც სრული ავიღეთ, როგორც გული შეგვიჯერდებოდა...“
ქიმ, ხმგ, №1641.

საბანელა - მიწის ნაკვეთი; დაუთარიღებელ „გაბჭობის წიგნში“ ვკითხულობთ: „ქ. გენათელ მიტროპოლიტი ეფთიმე და აგიაშვილი ივანე გავაბჭვეთ გენათელმა უჩივლა საბანელა დავთარში მიწერია და ნამოსახლი კაცის ადგილისა და საბანელას მიწას მართმევ და მე-დავები, მარა რასთვის არ ვიცი დავთარიც მოიტანა და იმ დავთარში საბანელა არ უწერია გენათელს აგიაშვილმა აშორო უთხრა აწ ასე გავაჩინეთ წამოაკენოს აგიაშვილმა ოცდაათი გლეხი კაცი და ბატონისათვის რომ საზღვარი უჩენებია. ისევ იმ საზღვარზე გაიაროს და ასე უფიცოს ეს მიწა და ეს ადგილი არც საბანელას მიწა იყოს არც შენი ეკლესიის მებეგრე კაცი ამ ალაგზე სახლებულიყოს არც ეს ალაგი შენს დავთარში ეწეროს და არც გელათის შეწირული ეს იყოს არც არავის შეეწიროს ეს ალაგი გელათისათვის თუ ასე უფიცოს ალაგი აგიაშვილს დარჩეს და თუ ვერ უფიცოს ალაგი გენათელს დარჩეს“.
ქიმ, ხმგ, №1728.

საბანელასპირი - ტოპონიმი დასახელებულია 1854 წლის 1 ნოემბერს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“. აზნაურ ბიჭია გიორგის ძე წერეთელს ჭალასთავს მცხოვრები საეკლესიო ყმისთვის - ილარიონ კიკოლას ძე ხუჯაძისათვის მიუყიდია „კლდეში საბანელას პირზედ“ მდებარე მიწის ნაკვეთი (კოკა). ქიმ, ხმგ, №1675/06.

საბანბეები - ადგ. ქვედამღვიმეში; ტოპონიმი დასახელებულია ქაიხოსრო და როსტომ წერეთლების მიერ შედგენილ „წყალობის წიგნში“: „ესე წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ... ამ ხუთთა კვამლთა ასე და ამას პირსა ზედა რომ შამოგვეხვეწეთ და წიგნი გვთხოვთ ამ ადგილების. ვისმინეთ ვედრება თქვენი და მანამდისაც რამად ცხოვრებულხართ თქვენ, გიმუშავიათ მუშაერთს (?) საბანბე-

ბი და როდესაც მოვიდოდა ბანზა მაცხოვარს მიაართმედიტ სამ-
თლეს...“ ქიმ, ხმფ, №1285.

საბეკა - სოფელი; 1. დასახელებულია 1819 წლის 11 ივნისს
შედგენილ „ერთგულების წერილში“, რაც თავად ნიკოლოზ (ნიკო-
ლოს) ჩიჯავაძეს უბოძეს მისმა ყმებმა, „სრულიად საბეკის შემავალ-
მა ერმა, აზნაურმა და გლეხმა, სამღვდელომ და საერომ“. საბუთში
აღნიშნულია, რომ „რამაზა ახვლედიანი მოხელეთ გახლდათ. და
უსამართლობისა მისისათვის ჩუნ ყვლანი თქუნი ყმები გეკდრეთ არ-
ზით მის გარდაყენებას და წყალობა გვიყავით და ჯდრება ჩუნი ისმი-
ნეთ და ის მოხელობისაგან გარდაყენეთ და ჩუნ ერთგულების წერი-
ლი გვთხოვთ“. ქიმ, ხმფ, №222; 2. დამოწმებულია 1848 წლის 9 დე-
კემბრით დათარიღებულ „ნასყიდობის ხელწერილში“, სადაც აღნიშ-
ნულია, რომ ფერსათი „საბეკის უჩასტკში“ შემავალი სოფელია. სხვა-
გან ვკითხულობთ: „მოგეცი ესე... ნასყიდობის ხელის წერილი თქვენ
ამავე საბეკის ნაწილისა ფერსათის მცხოვრებთ საეკლესიო ყმებთა...“.
ქიმ, ხმფ, №1754. საბეკის „უჩასტკი“ დასტურდება 18.. წლის .. მარ-
ტის „ნასყიდობის წერილშიც“. ქიმ, ხმფ, №1654; 3. დასახელებულია
1841 წლის 24 აპრილს შედგენილ დოკუმენტში. ესაა თხოვნა „საბე-
კის უჩასტკის სოფელსა ქედს მცხოვრებთა სახაზინო ყმებთა მიქელა
და ლაზარე გოგაძეებთაგან“: „ესევითარი ტყე თვინიერ მთავრობის
ცნობისა ერთისა ოდენ მძლავრებითა თვისითა ყოვლის უმართლოთ
ჩამოგვართვა ამავე უჩასტკის საბეკას მცხოვრებმა პრაპორშიკმა თა-
ვადმა ნიკოლოზ ჩიჯავაძემ“; „თავადს ოტია ნიჟარაძეს, რომელიც
დღეს არაა პომოშნიკად საბეკას ნაწილის ზასედატელისა...“ ქიმ, ხმფ,
№678;

საბეკას ციხე - ტოპონიმი დასტურდება 1819 წლის 11 ივნისით
დათარიღებულ „ერთგულების წერილში“: „ვანს მცხოვრებმა საბეკას
ციხეზე“. ვრცლად იხ. **ბზვანი**. ქიმ, ხმფ, №222.

სა(ზ)ჭალანგრიძეო - დამოწმებულია მიტროპოლიტ ზაქარია ქვარიანის მიერ 1644 წელს შედგენილ შეწირულობის სიგელში: „ამას: გარეთ: ნოდას: ერთი: პარტახტი: გაბადამის: სეული: ვიყიდეთ: და: ლომთაძეს: გოჩიასა აქვს: ამას: გარეთ: გაღმა: კვურსებს: საკათალიკოზო: ადგილი: საზჭალანგრიძეო: ჟამთა: ვითარებისაგან: გაოხრებულიყო: და: ჩუენ: მაქსიმე: კათალიკოზმა: ფიცით: და: ფემქაშით: გუიბომა/ საჭალანგრიძეო: და: კაკაბაური: პარტახტი: რაც: იყო: და: ჩუენ: იმაზედ: დავასახლეთ: ჟოჟუა: ჭიჭნაძე“; „ვიყიდე: ბატონის: ბრძანებით: ჯანაის: ახესალაძე: ოსია: მისის: შვილებით: და: მამულით: კვამლი: ერთი: ეს: ხუთი: კვამლი: კაცი: და კვურსებს: საჭალანგრიძეო: რაც: არის: სრულად: და: კაკაბაური: პარტახტი: ჭიჭნაძეს: ჟოჟუასა: და: მის: შვილებს: თამაზასა: ბეჟასა: და: დათუნას: მივე...“ (კურსები). ქიმ, ხმგ, №139.

სადემეტრაო - სოფელი; 1824 წლის 1 აპრილს შედგენილი „საჩუქრის წიგნიდან“ ირკვევა, რომ თავადს, პოდპოლკოვნიკ ანტონ გიორგის ძეს და მის შვილებს - როსტომ, იოანე და დიმიტრი ერისთავებს სოფელ სადემეტრაოში ჰქონდათ ყმების ბეითალმანად „დაშთენილი სახასო... ვენახის მამული“. კოტორაშვილების ნაქონი სავენახე ნაკვეთი ლაშისპირად იწოდებოდა. ქიმ, ხმგ, №1820.

საზანო - სოფელი; დამოწმებულია 1731 წლის 21 თებერვალს შედგენილ საბუთში: „ქ: ესე: წიგნი: და: პირობა: მოგართვით: ჩვენ: კაცხის: სამება: წმიდის: შეწირულთ: ყმათა... საზავნოს: ნებეირიძენთა...“ ქიმ, ხმგ, №83.

საზედარგნო - კლდე; დასახელებულია ქაიხოსრო და როსტომ წერეთლების მიერ შედგენილ „წყალობის წიგნში“ (თარიღი ვერ დავადგინეთ): „ჭიათურას წყალს აქეთ იმ წყლის სათავეში რომ სამნები ნიშნავს კლდემდი საზედარგნოსა და ამ ადლის შვა იქიდამ წაყვება იმ კლდესა და წყალს შვა გამოიარს...“ (ქვედა მღვიმე). ქიმ, ხმგ, №1285.

საკურწე - სოფელი; დამოწმებულია: 1. 1731 წელს შედგენილ საბუთში. ვრცლად იხ. **რგანი**; 2. 1844 წლით დათარიღებულ დოკუმენტში: „ჩვენ ღვთივ აღმატებულმან პატრონმან და მეფეთ მეფემან გიორგიმ ჩუნდა გასამარჯვებლად და მომავალთა სადღენგებლოთ მოგახსნეთ და შემოგწირეთ შენ საშინელო პატიოსანო მღვ(ი)მისა მღვთის მშობელო, სულისა ჩვნისა სამოხად შამოგვიწირავს **საკურწეს** ორი გლეხი ბრეგუაძე რუსმანაშვლები ორი კომლი კაცი მათის ცოლ-შვილითა და ყოვლისფერითა... იქავს სოფელსა საკურწეს აზნაურს კროჭსა ყავს დღეს და უკანასკნელი მეფეთა დროშიდაც მოყვანდა (?)“. ქიმ, ხმგ, №30

სამგლია - ჭალა; დასახელებულია 1821 წელს შედგენილ „ნასყიდობის წიგნში“. იხ. ზემოთ - **კვინცხა**. ქიმ, ხმგ, №2382.

სამტრედე - ტყე; მამია გურიელის სიგელი. უთარილო: „ქ. ნებითა ღვთისათა ესე უტყუარი წიგნი დაგიწერინეთ და გიბოძეთ ჩვენ ბატონმან და ხელმწიფემან გურიელმან მამიამ შენ ჩემს აზნაურს ესეს და შენს ძეთა შვილს გიორგის ივანეს ძე მჭელიძებს მას ზ~ა რ~ლ ქრთამიც გულის საჯერისი მომართვით და გიბოძეთ ადგილი, ტყე სახელდობ სამტრედე: აღმოსავლეთით ესამზღვრების ძველი საშებრენო (?) სასერე, დასავლეთით ბახვის წყალი...“ ქიმ, ხმგ, №1294.

სამჭიკიასთავი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ნასყიდობის ხელწერილში“ (25 მარტი, 1875 წ.). ისაზღვრებოდა სვინტრაძეებისა და ლანჩავას კუთვნილი მიწის ნაკვეთებით (კოკა). ქიმ, ხმგ, №1675/15.

სამხეიძო - მიწის ნაკვეთი; ტოპონიმი მოიხსენიება ქუთაისის მაზრის სოფ. სოჩხეთის მკვიდრ არსენიძეთა და შარვაძეთა „თხოვნის წიგნში“, ქუთაისის სასამართლოსადმი, სადაო მიწის დაბრუნებასთან დაკავშირებით. დოკუმენტი შედგენილია 1842 წელს: „...მას ჟამდამავე (?) ჩვენდა სამუშაოდ სამხეიძოდ წოდებული მიწა არა იყო მას შეწირულობის საბუთსა შ~ა მოხსენებულ“. ქიმ, ხმგ, №1874. სამ-

ხეიძო დამოწმებულია სოჩხისელი ბეშკენაძეების, არსენიძეებისა და შავაძეების თხოვნის წერილში (1841 წ.), იმერეთისა და გურიის არქი-ეპისკოპოს სოფრონიოსისადმი: „...ჩვენ გვაქვს რა წინაპართაგან ჩვე-ნით მიწანი და ტყენი სარჩოდ ჩვენდა წოდებული სამხეიძოთ წყალ-თელას პირი...“ ქიმ, ხმგ, №1878.

სანავარდო - დასახელებულია 1804 წელს შედგენილ დოკუმენ-ტში. იხ. ზემოთ **ნასელარი**. ქიმ, ხმგ, №1492.

სანიავე - ტოპონიმი მოიხსენიება მოურავ გოგისა იშხნელის მიერ ფორჩხიძეებისათვის მიწის ბოძების შესახებ შედგენილ საბუთ-ში: „მოგეცი სამძღვარად საქარია... და სანიავისკენ ღელე აქვს სამ-ძღვრათ და სამნიც აგდია...“. ქიმ, ხმგ, №1976.

სარბევი - სოფელი; დამოწმებულია იმერეთის მეფე სოლომონ II-ის პირმშოს - ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ 1768 წელს მაჭავა-რიანებისადმი ბოძებულ „წყალობის წიგნში“: „გიბოძეთ ბაზისგულ-სა შინა მიწა სარბევს ზედა გზით ზეით“. ქიმ, ხმგ, №1825.

სარგვეში - სოფელი; დამოწმებულია 1731 წელს შედგენილ სა-ბუთში: „ქ: ესე: წიგნი: და: პირობა: მოგართვით: ჩვენ: კაცხის: სამება: წმიდის: შეწირულით: ყმათა: საყდრელთა: რგანელთა: ნავარძელთა: ვაჭველთა: ჯოყოველთა: რკვიელთა: საკურწელთა: საზავნოს: ნები-ერიძენთა: სარგვეშელთა: და: ყოველთა: თემობით: ჩვენის: სალოცა-ვის: საყდრის: შამოსავალთა: შეწირულთა: ყმათა...“ ვრცლად იხ. ზე-მოთ - **რგანი**. ქიმ, ხმგ, №83.

სასევი - სოფელი; დასტურდება მღვიმის ეკლესიის ყმა-გლეხ-თა გადასახადების აღწერილობაში (1838 წ.). ქიმ, ხმგ, №437.

სატალახია - ტოპონიმი გვხვდება იმერეთის მეფე სოლომონ II-ის (1789-1810 წწ.) „წყალობის წიგნში“: „ქ წყალობითა ღუთისათა ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრატოვანმან მეფეთ მეფემან მეორემან სოლომონ ესე წყალობის წიგნი დაგიწერე და გიბოძე თქვენ შენ და ძე[თა] ხელოსანს ნიკოლოზს გაბრიელს, ივანიკას და იესიკას

შვილთა თქუნთა და მომავალთა ასე და ამა პირსა ზედა ან რაიმე შამოგვეხვეწეთ და ვისმინეთ ვედრება თქუნი და გიბოძე ალაგი კალოიანმა რომ იფიცა იმას გადმოღმა ჩაჩუას საზღვარს აქით და ჯვარს გარდმოღმა სატალახია მოგცეს და გიბედნიეროს ღმერთმა“. ქიმ, ხმფ, №1199.

სატახია - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია იმერეთის მეფე დავითისა და მისი მეუღლის - ანნა ორბელიანის მიერ სვიმონ ქურციკიძისადმი ბოძებულ „წყალობის წიგნში“, საიდანაც ირკვევა, რომ მეფე-დედოფალს მისთვის უბოძებია ორმოცი ურმის მოსავალი საყანე „სატახიას“ სახელწოდებით. საბუთი დაწერილია 1799 წელს, ვახუშტი ნიჟარაძის მიერ. ქიმ, ხმფ, №1864.

საქართველო - დამოწმებულია „დათხოვების ფურცელში“ (1839 წ., 24 აგვისტო), სადაც ვკითხულობთ: „წარმოგიდგენთ ამისი საჯავახოს მთავარანგელოს სოფელს მცხოვრები ჩემი ყმა ნატრია კაცისა შვილი ნიკოლოის შვილი გაშვებულ არს თვს ფულის ამოსაგებად საქართველო სოფლის ქალაქსა შინა ორის თვს ვადით...“ ქიმ, ხმფ, №2085.

საქარია//საქარო - ტოპონიმი დამოწმებულია 1802 წელს შედგენილ „წყალობის წიგნში“, საიდანაც ირკვევა, რომ მოურავ გოგისა იშხნელს მამა-შვილ ივანე, ხოსიკა და გოგია ფორჩხიძეებისთვის უბოძებია მიწის ნაკვეთი ძევრულის პირას: „მოგეცი სამძღვართ საქარია და სამნებიც აგდია და სანიავისკენ ღელე აქვს სამძღვრათ და სამნიც აგდია და საქაროსკენ. საქარი აქვს თარჯი და სამნიც აგდია და ბოლოს წყლამდის მომიცემია...“. ქიმ, ხმფ, №1976.

საყდარი - ტოპონიმი დამოწმებულია 1731 წლის 21 თებერვალს შედგენილ „მეწირულების სიგელში“. ვრცლად იხ. **რგანი**. ქიმ, ხმფ, №83.

საჩინო - სოფელი; გვხვდება 1823 წლის 23 აპრილით დათარიღებულ დოკუმენტში: „თავადნი საჩინოს მოურავნი პაპუნა ლორ-

თქიფანიძის ძე ტატუა და გრიგოლის ლორთქიფანიძის ძენი ბეჟან და მისნი ძმანი იოვანე და ნიკოლოზ განვყავით ტატუსაგან ბეჟანსა და მის ძმებს ერგო ფარდშიდ სოფელსა დვალისშვილებში მცხოვრებნი მახარა პაიკიძე და სვიმონიკა დვალისშვილი, ბეჟანა დვალისშვილი, იესე დვალისშვილი, მერაბა დვალისშვილი და მისი ძმა გოგია, სოფელსა გადიდს მცხოვრებელი გოგიელა ლაგაძე“. ხმფ, №317.

საცუცხვათო - დასახელებულია უთარილო დოკუმენტში: „აწ. ასე. გავაჩინეთ. წამოაყენოს. აგიაშვილმა. თორმეტი. გლეხი. კაცი. და ასე. შეაფიცოს. არც. ის. ადგილი. ხატის. შეწირული. იყოს. არც. გვენეტაძენის. ის. ადგილი. არცა სამკვიდრო და არ. ნაყიდი. იყოს. და კიდეც. ის. ადგილი. საციხისთო. და საცუცხვათო იყოს. თუ ასე. უფიცოს. ადგილი. გენათელმა. აგიაშვილს. მისცეს. და თუ. ვერ. უფიცოს. ადგილი. ხატის. ყოფილა. და გენათელს. დარჩეს“. იხ. ქვემოთ **ტყირიბულა**. ქიმ, ხმფ, №1774.

საწერეთლო - დამოწმებულია: 1. უთარილო საბუთში („წყალობის წერილი“): „ებოძა მილიშვილისსეული (?) საწერეთლოში თავისის ყმით, მამულით, ადგილით, მიწით და წყლით...“ ქიმ, ხმფ, №438/13; 2. 1807 წელს დაწერილ „წყალობის წიგნში“: „ვინებე და მოუძღუანე წმიდასა მონასტერსა შენსა, ყვირილას წყალს გაღმართი საწერეთლო, სვირის შემავალიანათ“. იხ. **ყვირილა**. ქიმ, ხმფ, №274.

საწირე - სოფელი; დასახელებულია „პირობის წიგნში“. დოკუმენტი დაუთარიღებელია: „აგიაშვილსა. ქაიხოსროს.. ჩვენ.. საწირელმა.. გელაშვილმა (?).. გიორგიმ.. [...]ამ.. მამუკამ.. ასე და ამა.. პირსა.. ზედა.. ფიცი.. გაგვიჩდა... ალაგებზე.. ჩიტორელიძის.. სეულზე..“. ქიმ, ხმფ, №1765.

საწისქვილოს წყალი - დასახელებულია ქაიხოსრო და როსტომ წერეთლების მიერ ქვედამღვიმელებისათვის ბოძებულ „წყალობის წიგნში“: „ღვიმელების საწისქვილოს წყალი რომ ერთვის ყვილის

წყალს სამონასტრო წისქვილიც დგას ამას რომ შეყვები, თქვენი წისქვილებიც არის...” (ქვედა მღვიმე). ქიმ, ხმგ, №1285.

საწყევარა - გზა; ტოპონიმი გვხვდება 1808 წლის „წყალობის წიგნში“. საბუთი გვაუწყებს, რომ დიდვაკედ სახელდებული მიწის ნაკვეთი მდებარეობდა „კეჭნარეის წყაროს ზეით, წითელი მიწის გზას იქით, საწყევარას გზის იქეთ გარდაღმა“. ამ საზღვრებსშიგნით მოქცეული ტერიტორია თავად ვახუშტი ჩიჯავაძეს ხატის კაცებისთვის უბოძებია (ბზვანი). ქიმ, ხმგ, №326.

საჯავახო - დამოწმებულია: 1. იმერეთის მეფე სოლომონის დაუთარილებელ „წყალობის წიგნში“: „გიბოძეთ თქვენ გურიის ერისთვის შვილს ქრისტეფორეს, შვილთა შენტა გიორგის, როსტომს და მაქსიმეს ასე: ვითარად რომ ჩვენი დიდი ნამსახური. და ერთგული იყავი და ძველი მეფეების წყალობაც ქონდათ ის მამული ახლა. ჩვენ შამოგვევედრეთ და ვინებეთ და გიბოძეთ საჯავახოს საწინამძღვრო გამოჩინებულის ეკლესიის მამული...” ქიმ, ხმგ, №351; 2. 1804 წელს შედგენილ საბუთში: „გაღმა პირზედ. საჯავახოსკე“. მსჯელობისათვის იხ. **ცხენკბილა**. ქიმ, ხმგ, №1492.

საჯავახოს მთავარანგელოსი - სოფელი; დამოწმებულია 1839 წლის 24 აგვისტოთი დათარილებულ „დათხოვების ფურცელში“, სადაც ვკითხულობთ: „წარმოგიდგენთ ამისი საჯავახოს მთავარანგელოს სოფელს მცხოვრები ჩემი ყმა ნატრია კაცისა შვილი ნიკოლოის შვილი გამზებულ არს თვს ფულის ამოსაგებად საქართვლო სოფლის ქალაქსა შინა ორის თვს ვადით რომელსაც მიცემასა ზედა ჯეროვნი-სა ბილეთისა ჯეროვანი დაყოვნება არა არს ჩყლბ წელთა აგვსტოს კგ.

მე მთავარანგელოზის ეკლესიის მთავარ დიაკონი დავით ცინცაძე ხელს ვაწერ“. ქიმ, ხმგ, №2085.

სვინტრა - სოფელი; დამოწმებულია მღვიმის ეკლესიის ყმა--გლეხთა გადასახადების აღწერილობაში (1838 წ.): „კიკოლა ბრეგვაძე

სოფელსა სვინტრას. ეს ხდილობს ერთს ჩარექს სანთელს“. ქიმ, ხმგ, №437.

სვირი - სოფელი; დასახელებულია: 1. 1797 წლის 7 იანვარს შედგენილ „შეწირულების წიგნში“: „ვინებე და მოუძღუანე წმიდასა მონასტერსა შენსა, ყვირილას წყალს გაღმართი საწერეთლო, სვირის შემავალიანათ, რომელიც ჩვენი საჯარო მოსაკრეფი პური იყოს. უნაკლულოდ და უცილებელად ყოველთა მიერ რომ ყოველთავის თავის ჟამზე შენს წმიდას მონასტერს მოერთმეოდეს, მხოლოდ ამ წყალ გაღმართისა სვერის შემავალთ: წარსამართებელად მეფობისა მისისა, მეფისა ჩუნისა სოლომონ მეორისათა: და სახსენებელად საუკუნოდ მონასტერსა შინა შენსა საოხად სულისა ჩემისა და მარადის მოსახსენებელად“. ქიმ, ხმგ, №274; 2. მღვიმის ეკლესიის ყმა-გლეხთა გადასახადების აღწერილობაში (1838 წ.). ქუთაისის მაზრის სოფ. სვირში მცხოვრებ პეტრე კაპანაძეს „მართებს მეფის დავითის ღრამოტით ერთი ლიტრა სანთელი და ახლა სამს ჩარექს იხდის, ერთი ცხვარი და სამი ჩაფი ღვინო“. ქიმ, ხმგ, №437.

სიმონეთი - სოფელი; 1. 1851 წლის 15 ივლისს შედგენილ „ნაყიდობის წერილში“ დასახელებულია ქუთაისის გუბერნიის სიმონეთის „უჩასტკა“. ამ უკანასკნელში შედიოდა სოფელი ცუცხვათი. ქიმ, ხმგ, №1675/01; 2. დასახელებულია რუსულ ენაზე 1856 წელს შედგენილ დოკუმენტში, რომლის მიხედვით პავლე გრიგოლის ძე უკლებას გურიის დასამორჩილებლად მომავალი რუსეთის ჯარისთვის დახმარების გაწევის მიზნით მდ. ჩოლაბურზე გაუკეთებია „პორომი“, ინჟინრის დახმარების გარეშე. ამასთანავე, აუგია ოთხი საფოსტო სადგური; კერძოდ: სიმონეთის, ყვირილის, შორაპნისა და კიჩიწყლისა. ქიმ, ხმგ, №1989.

სკანდე - სოფელი; დასახელებულია XVIII საუკუნის I ნახევარში შედგენილ საჩივარში. ქიმ, ხმგ, №847.

სკიპი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია უთარილო საბუთში, კერძოდ, „საუდეო წიგნში“: „ქ.: ესე წიგნი მოგართვით თქვენ საწირელმა... საყდრის კაცმა თქვენ თქვენ ციხისთავს აგიაშვილს ქაიხოსროს ასე რომ სამანსა და სკიპს შუა და გედევით მერმეთ ბატონის ხემწიფის კარზედ გავსამართლდით...“; „საცხისთო მკვიდრი ყმა იყო ორივე თავ მოტეხილ სამანსა და სკიპს შუა ვაშლარას აქეთ ფიცი კი გაგვიჩდა მარა იმდენი კაცის საფიცარი არაფერი იყო და ისიც ხელთა გვაქ“ (საწირე). ქიმ, ხმგ, №1759.

სოჩხე - სოფელი; 1. დამოწმებულია 1797 წლის 30 აგვისტოს შედგენილ დოკუმენტში: „წინამძღუარი მოსე და შარვაძე კაციელა მხეიდის კაცი... (?) წინამძღუარმან უჩივლა მეფე სოლომონმა და მარიამ დედუფალმან უდაბნო აღაშენა. შესწირეს სოჩხეს გლეხები...“ ქიმ, ხმგ, №1867; 2. 1841 წელს შედგენილ „გაყოფის დავთარში“ დასახელებულია „სოფელსა სოჩხეს მცხოვრები მიწდიაშვილი მამუკა, იესიკა და კაცინა მათის ცოლშვილით და საცხოვრებლით“. ქიმ, ხმგ, №1696/02.

სოჩხესი - სოფელი ქუთაისის მაზრაში; დამოწმებულია არსენიძეთა და ვეკილების - ბასილა და დათიკა ბემკენაძეების თხოვნის წერილში. ქიმ, ხმგ, №1874. სოჩხესი გვხვდება ბემკენაძეების, არსენიძეებისა და შარვაძეების თხოვნის წერილშიც, იმერეთისა და გურიის არქიეპისკოპოს სოფრონიოსისადმი: „წყალწითელას პირის ადგილები შემოგვიწირავს სარჩოდ ჩვენის შემოწირულის ყმების სოჩხესლებისაო“ ქიმ, ხმგ, №1878.

სპარიეთი - დასახელებულია 1806 წლის 10 სექტემბერს შედგენილ „ნაყიდობის წიგნში“. წყალობიკა და თაზიკა ცერცვაძეებმა დათიკა შეყილაძეს მიჰყიდეს „სამკვიდრო ადგილი სპარიეთს რგვალი ყანა“. ქიმ, ხმგ, №554.

სულორი - 1. მდინარე; დასახელებულია სიაში, უძრავი ქონების შესახებ (უთარილოა), სადაც აღნიშნულია, რომ „დავითოურად“

სახელდებული მიწის ნაკვეთი ჩრდილოეთით მდ. სულორით ისაზღვრებოდა. ქიმ, ხმგ, №214; 2. სოფელი; დამოწმებულია „ერთგულეზის, მორჩილებისა და მსახურების წერილში“. ვრცლად იხ. **ზზვანი**. ქიმ, ხმგ, №222.

ტბაშავა - დასახელებულია 1804 წელს შედგენილ დოკუმენტში. იხ. **ცხენკბილა**. ქიმ, ხმგ, №1492.

ტელეფა - სოფელი; დასახელებულია 1785 წლის 7 ოქტომბერს შედგენილ წყალობის წერილში: „გიწყალობეთ... ტელეფაში. ორი. ქართველი. კაცები“. ქიმ, ხმგ, №277; სხვა საბუთში დასახელებულია „კიდევ. ტელეფაში. კალატოზის ძმა და შვილები. ორი. გლეხი. ღოსაი და ოქროა და ბერიკელა. მათი. ძმები. მათი ცოლშვილით. ალაგ. მამულით. ბოჭორიშვილი. სვიმონიკა. ცოლშვილით. და. ალაგ. მამულით“. ქიმ, ხმგ, №361.

ტუფურისის ჭალა - ჭალა; დამოწმებულია მიტროპოლიტ ზაქარია ქვარიანის მიერ 1644 წელს შედგენილ შეწირულობის სიგელში: „გავაკეთეთ ტუფურისის: ჭალა: ზუარით: ამას: გარეთ: ნოდას: ერთი: პარტახტი: გაბადაძის: სეული: ვიყიდეთ“. ქიმ, ხმგ, №139.

ტყირიბულა - ტოპონიმი დასახელებულია უთარღო „პიროზის წიგნში“: „...ფიცი: გაგვიჩადა: ალაგებზე: ჩიტორელიძის: სეულზე: ტყირიბულაში: საყანებზე: ფიცი: [.....]: ვქენით: წყალობა: გვიქენით: და : მოგვაბარეთ: სამოდოთ: და სამსახურით:“. დოკუმენტში „მოწამედ“ დასახელებულია უდაბნოს არქიმანდრიტი დანიელ, ხუცესი გიორგი ტოფაძე და გიორგი ყიფიანი, მოურავი კაცია ჟოჟოლაძე (?), ხელოსანი მამუკა ლაფერაძე, აგრეთვე მახარელა ლაფერაძე. დოკუმენტი დაუწერია ჭელიშის ბერს - გრიგოლს, მთავარდიაკონ ლევანს... ქიმ, ხმგ, №1765.

ტყირიბულა მოიხსენიება სხვა დოკუმენტშიც. სადაც ვკითხულობთ: „ქ. დაბძანდა ბტნი. მეფე. სოლომონ. დარბაისელნი. თან. იახლნენ. გენათლის. ეფთვიმის. და. აგიაშვილის. ქაიხოსროს სამარ-

თალში და აგიაშვილმა. უჩივლა. თქვენსა. კაცებს. გვენეტაძენს. ტყირბულაში. ჩემი. ადგილი. სამოცი. ურმის. აქეს. და სჭამს. გენათელმა უპასუხა. ის. ადგილი. ხახულისა მღვთისმშობლის. შეწირული. არის. და. გვენეტაძენს. სამკვიროთ. აქეს. აგიაშვილმა. ამორო. უთხრა...“ ქიმ, ხმგ, №1774.

უდაბნო - სოფელი; 1. დამოწმებულია ქუთაისის მაზრის სოფელ სოჩხეთის მკვიდრ არსენიძეთა „თხოვნაში“ (1842 წ.): „იმერეთის მეფემან სოლომონმან პირველმა შეგუწირა ჩუენ მყოფნი მას ჟამად რვა მოსახლედ აღნიშნულს მის მიერ გოგნის უდაბნოს გარნა რადგან ქონებული მასა ჟამადმავე ჩვენდა სამუშაოდ სამხეიძოდ წოდებული მიწა არა იყო მას შეწირულობის საბუთსა შა მოხსენებულ ამას გამო შუამდგომლობისამებრ იმა მონასტრის წინამძღურისა მანუე მეფემან შესწირა უდაბნოს საკუთარითა ღრამოტითა სამუშაო ადგილიცა... ამის გამო წინამძღვარმან მის უდაბნოსამან მოგუცა ჩუენ სიგელი რომელ იმ ადგილებთაგან რაოდენსაცა ჩუენ დავამუშავებთ...“ ქიმ, ხმგ, №1874; 2. უთარილო პირობის წიგნში „მოწამედ“ დასახელებულია „უდაბნოს: მამა: არქიმანდრიტი: დანიელ:“. ვრცლად იხ. ზემოთ - **ტყირბულა**. ქიმ, ხმგ, №1765.

უშოლთა - დასახელებულია 1846 წლის 10 აპრილს ობჩის აზნაურ ლალიძის მიერ იმავე სოფელში მცხოვრები გლეხის - დავითაშვილისადმი მიცემულ „ნაყიდობის წიგნში“; დოკუმენტის მიხედვით აზნაურს გლეხისთვის მიუყიდია გარდაცვლილი ყმის საცხოვრებელი: „შქმერს: უშოლთას: დაუშვილი: ტოტიკი: და: ციცუკი: მათი: ცოლით: შვილით: სახლით: კართ: მამულით: ალაგით: საძებრით: უძებრით...“ დოკუმენტში მოიხსენიება „კაცთაგან: ამისი: გამრიგე: და მოწამე: კარისა: ჩვენისა: დეკანოზი: პეტრე: მოურავი: გოდაბრელიძე: კაცია“ და ჯაფარიძის ქალი მარიამ. დოკუმენტს ბოლოში დასმული აქვს ოთხკუთხა ბეჭედი, წარწერით: „მონა ღთისა პაპუნა“. ქიმ, ხმგ, №166.

უხუთი - სოფელი; დასახელებულია 1834 წლის 29 მარტს შედგენილ „წყალობის წერილში“, რითაც ირკვევა, რომ თავად როსტომ ერისთავის ასულმა ეკატერინემ მამიდაშვილებს, თავადებს - ბეჟან, ივანე და ნიკოლოზ ლორთქიფანიძეებს უწყალობა უხუთს მცხოვრები გლეხები - ლაზარე, ქაქუჩა, გოგია სიმონის ძე ხურციძეები, ბერი გიორგამე, გლახუნა ხურციძე; „ამათ თანაჲ მამული უხუთს სოფელსა მდებარე ჩჳნის გადაშენებულის ყმის ქარჩხადისსეული ნახევარი ხ-ო საყანე, ტყე და წყალი...“ ქიმ, ხმფ, №410.

ფარქოსადის საზღვარი - მიწის ნაკვეთი; ტოპონიმი დასტურდება სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლის „წყალობის წიგნში“: „პასიეთი ქვედა კოჴნარის მიაჭრის ქვეიდამ შუა ტბასა და ფარქოსადის სამდღვარს ზეით“. ქიმ, ხმფ, №140.

ფარცხანაყანევი - სოფელი; დასახელებულია იმერეთის მეფე ალექსანდრეს მიერ შედგენილ „წყალობის წიგნში“: „...გიბოძეთ ასე [...] რმე შენ კახიანი მამუკა ფარცხანა-ყანევს... და გავყიდეთ მერმე მაჩაჩვენს (მამაჩვენს? - ავტ.) შემოხვანწდით და დავხსენით თათრისაგან სამნივე ძმანი თქვენის მამულით... და ათ მარჩილათ... წყალობა გიყავით“. ქიმ, ხმფ, №1345.

ფერსათი - სოფელი; 1. დამოწმებულია 1842 წლის 9 დეკემბრით დათარიღებულ „ნასყიდობის ხელწერილში“, როგორც სოფელი „საბეკის უჩასტკისა“. ფერსათელ ივანე დავითის ძე მდივანს საეკლესიო ყმებისათვის (ბიძინა, ბეჟანა, პაატა, ესე და გოგია) უბოძებია მამული „დედლოვანის“ სახელწოდებით. ქიმ, ხმფ, №1754; 2. 1851 წლის 15 მარტს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“ დამოწმებულია ბაღდათის „უჩასტკში“ შემავალი სოფელი ფერსათი. ქიმ, ხმფ, №1657.

ვითი - დასახელებულია გიორგი ყიფიანისა და მისი შვილების - კაციასა და ვახუშტის (მესამე შვილის სახელი დოკუმენტის მარჯვენა ნაწილის დაზიანების გამო ვერ ამოვიკითხეთ) მიერ

მღვდელ ნიკოლოზ ბეშკენაძისა და მისი ძმების - სეხნას, ბასილასა და კვრიასადმი 1826 წელს შედგენილ „საუდუო წიგნში“: „...ასე ვითარად რომელ მე ფიეთს. დაგედევე. რომელიც შენ. გაქს. ბეშკენაძეს. იმ ადგილებში დავრიგდით. ამაში. არც. ჩემი შვილი. და მომავალი და არც. ჩემი საყმო. კაცი. არ გედოს“. დოკუმენტს ხელს აწერენ მღვდელი ბართლომე და დავით ყიფიანი, აგრეთვე ივანიკა ხერხაძე და ბერუკა არსენიძე. ქიმ, ხმფ, №1880.

ფუთურიძისეული პარტახი - ტოპონიმი დასახელებულია 8 მარტს შედგენილ „პირობის წიგნში“ (წელი ვერ დავადგინეთ): „ერთი. ძიძიგურის შვილი. და პარტახი. ფუთურიძის სოული ჳნახი და [...] მოგვცით“. ქიმ, ხმფ, №1741.

ქანმელიძისეული - მიწის ნაკვეთი, „ზომით ერთი ქცევა“, მოქცეული იყო შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით - სულორი, დასავლეთით და სამხრეთით - ჩიჯავაძის კუთვნილი მიწის ნაკვეთი. მუზეუმის საინვენტარო წიგნით გაურკვეველია დოკუმენტის შედგენის თარიღი (ისრითი). ქიმ, ხმფ, №214.

ქასრა - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1797 წლის 30 აგვისტოს შედგენილ „საჩივრის წიგნში“. მეფე სოლომონს და მარიამ დედოფალს უდაბნოს მონასტრისთვის შეუწირავთ „სოჩხეს გლეხები, წყალწითელას გამოღმა მიწა, ზეით დიდ ნაქცევს, დაბლა ქასრას იქეთ, წყალწითელამდის...“. ქიმ, ხმფ, №1867.

ქედი - სოფელი; დასახელებულია 1841 წლის 24 აპრილს შედგენილ დოკუმენტში, როგორც საბევის „უჩასტკის“ სოფელი. მსჯელობისათვის ვრცლად იხ. **ძერულასბოლო**. ქიმ, ხმფ, №678.

ქელბაქიანის საზღვარი - დასახელებულია აფხაზეთის კათალიკოსისა და გაენათელი მიტროპოლიტის - ზაქარია ქვარიანის მიერ 1644 წელს შედგენილ შეწირულობის სიგელში, ხახულის ღვთისმშობლისადმი: „ჩუენმა: გამდელმა: მე/ფეთ: მეფემ: პატრონმა: გიორგიმ: და: უშვილოს: კაცის: აბესალომ: მასხარაშვილის: სეული: ადგი-

ლი: ტყე: და: მიწა: გვიბოძა:/ ქელბაქიანის: საზღვარამდის: და: ადვა-
შენეთ: ეკლესია...“ ქიმ, ხმფ, №139.

ქვედა კოჭნარი - დამოწმებულია სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლის „წყალობის წიგნში“ (1805 წ.): „გიბოძეთ ჩვენი სახასო მიწა ადგილი. პასიეთი ქვედა კოჭნარის მიაჭრის ქვედამ შუა ტბასა და ფარქოსადის სამძღვარს ზეით“. ქიმ, ხმფ, №140.

ქვედა(მ)ღვიმე - სოფელი; დასახელებულია თავად ქაიხოსრო და როსტომ წერეთლების მიერ შედგენილ უთარილო „წყალობის წიგნში“, საიდანაც ირკვევა, რომ მათ „ქვედა ღვიმეს“ მცხოვრები ვაშაძეებისა და დეკანოზიშვილებისათვის უბოძებიათ მიწის ნაკვეთები. ქიმ, ხმფ, №1285.

ქვემო ხევი - სოფელი; დამოწმებულია 1838 წლის დოკუმენტში. „სოფელს ქვემო ხევს საბატონო მიწაზედ“ მცხოვრებ გლეხებს - გიგიტა, სვიმონ და თევდორე გურულიშვილებს (თუ გურიელიშვილებს?) „ერთობრივ მართებთ ორ-ორი კოდი პური, სამ-სამი კოკა ღვინო, სამზე ერთი ცხვარი, შობის ძღვენი და მუშაობა, ანუ შინაყმობა“. ქიმ, ხმფ, № 437.

ქვერაულას ღელე - ღელე; დასახელებულია მიტროპოლიტ ზაქარია ქვარიანის მიერ 1644 წელს შედგენილ შეწირულობის სიგელში, საიდანაც ირკვევა, რომ ქუთაისში, მწვანეყვავილას საგვარეულო მამულის შემოგარენში, მას გარკვეული ტერიტორია შეუსყიდია: „ამას: გარეთ: ხუციას: ქელბაქიანისაგან: და: მისის: განაყოფებისაგან: ადგილები: ვიყიდეთ; იქით: ქვერაულას: ღელე: მლაშეს: იქით: რომ: ღელეა...“ ქიმ, ხმფ, №139.

ქუთათი - დასახელებულია აფხაზეთის კათალიკოსისა და გაენათელი მიტროპოლიტის - ზაქარია ქვარიანის მიერ 1644 წელს შედგენილ შეწირულობის სიგელში, ხახულის ღვთისმშობლისადმი, საიდანაც ირკვევა, რომ მამამისს ქუთათისში მამული უყიდია პაატა აბაშიძისაგან: „ჩუენის: მკვიდრის: მამის: მამულითა: აბაშიძის: პატასა-

გან: ქუთათის: ალაგი ვიყიდეთ: და მაგიერი: გლეხი: და: პარტახი: გეგუთს: მივართუით: და: დავესახლეთ; ქუთათის: და: მერმე: შეგვიწყალა: და: შეგვიბრალა: ჩუენმა: ლ`თულად: მოწყალემა: და: მობრალულმა: ჩუენმა: გამდელმა: მე/ვეთ: მეფემ: პატრონმა: გიორგიმ: და: უშვილოს: კაცის: აბესალომ: მასხარაშვილის: სეული: ადგილი: ტყე: და: მიწა: გვიბოძა:/ ქელბაქიანის: საზღუარამდის: და: აღვაშენეთ: ეკლესია: მთავარ: ანგელოზთა: და: ციხე: და: სახლ: კარი: და: შევჰქენით: სრულად: უშენი ადგილი: ასრე: რომე: ამაზედ: მინდღემი: კაცი: არ: არ: სახლებულიყო: არის: ვაჭარი: ქუთათის: ნასყიდა: იორდანაშვილი: კომლი: ერთი. მისის: ალაგით: და: ძმებით...“; „ამას: გარეთ: ქუთათის: ვაჭარი ბეშკენის: შვილი: პაპუა: გვიბოძა: მეფემ: ქრთამიც: მივართვით: და: შეგვიწირავს: გაენათისა: ხახულისა: და: საკურთხევლისა: მღთისმშობლისათვის: მეფის: ალექსანდრეს: სადღენგრძელოდ: და: სულისა: ჩვენისა: საოხად...“ ქიმ, ხმფ, №139.

ქუთაისი - ქალაქი; დამოწმებულია ქუთაისის კომენდატ ეგნატე იოაკიმის ძე ნასკოვისადმი აზნაურ სიმონ ნინიას ძე ბაინდუროვის თხოვნაში (13 აგვისტო, 1835 წ.): „...ორგზის მომიგზავნა კვალად ქუთაისის მცხოვრები სტეფან ფეიქროვი რომ მოჯამაგირეთ დამიდექიო... და გავრიგდით წამომიყვანა ქუთაის და ქუთაისიდანაც წამიყვანა მან მელქონ სოღიროვმა... ქუთაის საადღგომოთ ჩვულობისამებრ და მერმეთ არც იქ წამიყვანა და არც სხვაგან და რა დავრჩი ქუთაის, არაფერი მითხრა...“. გამრიგედ და მოწამედ საბუთში დასახელებულია ქუთაისში მცხოვრები ვახტანგა წვრიანაშვილი... ქიმ, ხმფ, №448.

ღვითორი - სოფელი; დამოწმებულია 1731 წელს შედგენილ „შეწირულობის სიგელში“. იხ. ზემოთ **ვაჭევი**. ქიმ, ხმფ, №125.

ღრმაღელე - ღელე; დასახელებულია უთარილო დოკუმენტში. იხ. **ზეი(ნ)დრის ჭალა**. ქიმ, ხმფ, №674.

ღრუდო - სამონასტრო მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1859 წლის 10 მაისს შედგენილ დოკუმენტში „პირობის წერილში“: „ყვირილაზედ მახლობლად სამონასტრო ღრუდოდა“ (მღვიმევი). ვრცლად იხ. **მღვიმის უდაბნო**. ქიმ, ხმგ, №364.

ყვაურის ტყე - ტყე; დასახელებულია 8 მარტს დაწერილ დოკუმენტში. წელი არ არის მითითებული. დოკუმენტში ვკითხულობთ: „...მოგვცით. და სახარდნე. ყვაურს ტყეში. რაც. გერგებოდა. შენი. კერძი. მოგვცით. და რუა ქცევა. საყანე. უნდა. მოგვცე. ამისი მოწამე და გამრიგე სახუცესი აბაშიძე დავით. ერისთვის შვილი შოშიტა. მდივანბეგი. დავით ერისთავი“ (პატრიკეთი). ქიმ, ხმგ, №1741.

ყვილისწყალი - მდინარე; დასახელებულია ქაიხოსრო და როსტომ წერეთლების მიერ ქვედამღვიმელებისათვის ბოძებულ „წყალობის წიგნში“: „ღვიმელების საწისქვილოს წყალი რომ ერთვის ყვილის წყალს სამონასტრო წისქვილიც დგას ამას რომ შეყვები, თქვენი წისქვილებიც არის...“ (ქვედა მღვიმე). ეს უნდა იყოს მდინარე ყვირილა. ქიმ, ხმგ, №1285.

ყვირილა - 1. მდინარე; 1797 წლის 7 იანვარს შედგენილ შეწირულობის წიგნით ქუთათელ მიტროპოლიტ დოსითეოსს მაქსიმე კათალიკოსისთვის შეუწირავს უძრავი ქონება. საბუთში ვკითხულობთ: „...ამისთვის ვინებე და მოუძღუანე წმიდასა მონასტერსა შენსა, ყვირილას წყალს გაღმართი საწერეთლო, სვირის შემავალიანათ...“ ქიმ, ხმგ, №274; 2. მდინარე; დასახელებულია 1807 წელს შედგენილ „წყალობის წიგნში“. ქუთათელ მიტროპოლიტ დოსითეოს წერეთელს (1781-1820 წწ.) მაქსიმე კათალიკოსისთვის შეუწირავს ყვირილის გაღმა, საწერეთლოსა და სვერში მდებარე უძრავი ქონება: „იმ კლდის სწორათ ყვირილის პირამდნ და აქეთ ნაპირზედ ცხემლა არის და ქვეით სოჭი“. ქიმ, ხმგ, №882; 3. საფოსტო სადგური; დასახელებულია 1856 წელს რუსულ ენაზე შედგენილ დოკუმენტში, რომლის მიხედვით პავლე გრიგოლის ძე უკლებას გურიის დასამორჩი-

ლებლად მომავალი რუსეთის ჯარისთვის დახმარების გაწევის მიზნით მდ. ჩოლაბურზე გაუკეთებია „პორომი“, ინჟინრის დახმარების გარეშე. ამასთანავე, აუგია ოთხი საფოსტო სადგური; კერძოდ: სიმონეთის, ყვირილის, შორაპნისა და კიჩიწყლისა. ქიმ, ხმფ, №1989; 4. დასახელებულია 1859 წლის 10 მაისს შედგენილ „პირობის წერილში“: „...რომელ ჩუჭნგანს ღუთისას ყვირილაზედ მახლობლად სამონასტრო ღრუდოდა...“ ვრცლად იხ. **მღვიმის უდაბნო**. ქიმ, ხმფ, № 364; 5. დასახელებულია ქაიხოსრო და როსტომ წერეთლების მიერ ვაშაძეებისადმი ბოძებულ „წყალობის წიგნში“ (XIX ს.): „კლდესა და კლდეს შვა ღელეიანა ყვირილასა და მაღალ კლდეს შვა ჭიათურას წყლის სათავეში რომ სამძღვარია, იმასა და მას შვა ჩვენი საკერძო მესამედი რაც გვერგება, ყველა თქვენთვის გვიბოძებია, სამონასტრო სამს წისქვილს გარდა...“ (ქვედა მღვიმე). ქიმ, ხმფ, №1285.

შავის(?) ტყე - ტოპონიმს ვხვდებით 1781 წლის 4 მარტით დათარიღებულ „გარიგების წერილში“, რაც კაცია და ბეჟან ჩიჯავაძეებს მიუციათ ბიძაშვილებისთვის - ვახუშტი, ქაიხოსრო და გიორგი ჩიჯავაძეებისთვის: „შავის (?) ტყე სანადირო მისის სამართლიანის საზღვრით, ტყიან წყლიანათ“. ქიმ, ხმფ, №10.

შერთულა - იხ. ქვემოთ **შუალის ღარისღელე**.

შერთული - სოფელი; უთარილო დოკუმენტში დასახელებულია „სოფელსა შერთულში მცხოვრები გოგია და მისი შული სესიკა მათის ცოლშულით და საცხოვრებლით:

სოფელსა შერთულშიდ მცხოვრები დათიკა და მისი შული და მისი მძა სესიკა დათუაძე მათის ცოლშულით და საცხოვრებლით“. ქიმ, ხმფ, №1696/02.

შორაპანი - საფოსტო სადგური; დასახელებულია 1856 წელს რუსულ ენაზე შედგენილ დოკუმენტში, რომლის მიხედვით პავლე გრიგოლის ძე უკლებას გურიის დასამორჩილებლად მომავალი რუსეთის ჯარისთვის დახმარების გაწევის მიზნით მდ. ჩოლაბურზე გა-

უკეთებია „პორომი“, ინჟინრის დახმარების გარეშე. ამასთანავე, აუგია ოთხი საფოსტო სადგური; კერძოდ: სიმონეთის, ყვირილის, შორაპნისა და კიჩინყელისა. ქიმ, ხმგ, №1989.

შორაპნის მაზრა - დამოწმებულია 1826 წლის 9 აგვისტოს შედგენილ „განჩინებაში“, მოსიძეებისა და ლომსიანიძეების საქმეზე: „აზნაურებსა შორაპნის მაზრისა ფირან გუნცამეს და ბეჟან აბდუშელიშვილთან, რომელთაცა უწყიან მდგომარეობა მის წერილებისა...“; „თანამდებობის აღმასრულებელის შორაპნის მაზრის ნაჩალნიკობისა, კაპიტანის“; „ნიკოლოზმან თანხმობითა გიორგისათა იგი და მთელი ცოლშუილით მიყიდა შორაპნის მაზრაში რომელდასაც ორჯონიკიძეს“; „დროსა მეფის სოლომონისა ბ= მეფობისსა მისყიდულან მოსიძეების მიერ ყმების ლოფსიანიძეებისაგან ხახუტა და პაატელა ბატონის შვილს კოსტანტინეზე და დავითელა მცხოვრებსა შორაპნის მაზრაში, ვიდასაც ორჯონიკიძეზე, მიწა იმისი საეკლესიო ყმას სეხნია გორგოძეზე და მამისთუალ ლომსიანიძე დასასჯელათ უმორჩილობისათჳს მისისა იყო წაყვანილ ნებისამებრ მეფისა მოჯალაბეთ“. ქიმ, ხმგ, №1632.

შუატბა - დამოწმებულია სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლის „წყალობის წიგნში“: „პასიეთი ქვედა კოჟნარის მიაჭრის ქვედამ შუატბასა და ფარქოსადის სამძღვარს ზეით“ (პასიეთი). ქიმ, ხმგ, №140.

შუადის ღარისღელე - დასახელებულია 1804 წელს შედგენილ დოკუმენტში: „ტბაშავის წყაროდამ. აყოლებით. რომელიც გელათის შეწირულების. ქვით შესამნული არის. შუადის ღარისღელეზედ. იმ შუადის ღელის პირშიდ ნასარეიას მონატეხი ნაყანვეი რომ არის. იქანა და წვრილი. ქვა. ასვია. ღელის. პირამდის. მიაწევს. და. იქედამ მერე შუადის ღარის. ღელე არის. საზღვარი. გაღმით. საჯავახოსკენ. გელათს. გელათს. შევწირე. ისე. დაბლით. ჩაყოლებით. და გამოღმით. კაპტონის წყლამდის. შუადის ღარს რომ შამოერთვის იქნამდის. და იმ. შერთულს ზეით. კაპტონის ღელე [...]. ფონამდინარევიანათ. კაპ-

ტონის. წყლის. ფონი: რომ არის. ზეით. გომის. თავშიდ. იმ ფონშიდ. გელათის. შეწირულობის. ქვის ზღვარი...“ ქიმ, ხმგ, №1492.

შუქრუთი - სოფელი; უთარილო დოკუმენტში (შეწირულების სიაში) დასახელებულია „შუქრუთს ჩაჩანიძე სამი კომლი კაცი“ და მათი საბატონო გადასახადი. ქიმ, ხმგ, №256.

შუყერი - სოფელი; დამოწმებულია მიტროპოლიტ ზაქარია ქვარიანის მიერ 1644 წელს შედგენილ შეწირულობის სიგელში, საიდანაც ირკვევა, რომ მას შუყერელი გლეხი დათვია ლომსიანიძე ხახულის ღვთისმშობლისთვის შეუწირია: „შევსწირეთ: ამას: გარეთ: შუყერს: ერთი: გლეხი: ლომსაბერიძე: დათვია: და მისი: შვილი: გოჩია: ვიყიდეთ: მისის: მამულით: დიდებულისაგან: მამუკასაგან: კვამლი: ერთი...“ ქიმ, ხმგ, №139.

შქმერი - დასახელებულია 1776 წლის 11 აპრილს შედგენილ „პირობის წიგნში“, რომლის მიხედვით სარდალი პაპუნა წერეთელი, მისი ძმა ზურაბი და სხვა წერეთლები ჯრუჭის მონასტერს სწირავენ შქმერში მცხოვრებ გოგიტა და ცუციკი დაუშვილებს, ცოლ-შვილით და ქონებით. ქიმ, ხმგ, №166.

ჩიტოვრა (?) - მიწის ნაკვეთი; ერთი უთარილო დოკუმენტის მიხედვით მდებარეობდა სოფ. ისრითში და იყო „ზომით ორი ქცევა“. ქიმ, ხმგ, №214.

ჩიყოულა - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1823 წლის 4 თებერვალს შედგენილ „ნასყიდობის წიგნში“. ზედუბნელმა ბიჭია სიმონის ძე გოგოლაშვილმა კოკაში მცხოვრებ ზალიკა დოლონაძეს მიჰყიდა მიწის ნაკვეთი „ჩიყოულა“ (კოკა). ქიმ, ხმგ, №1675/04.

ჩოლაბური - მდინარე; დასახელებულია 1856 წელს რუსულ ენაზე შედგენილ დოკუმენტში, რომლის მიხედვით პავლე გრიგოლის ძე უკლებას გურიის დასამორჩილებლად მომავალი რუსეთის ჯარისთვის დახმარების გაწევის მიზნით მდ. ჩოლაბურზე გაუკეთე-

ბია „პორომი“, ინჟინრის დახმარების გარეშე. ამ სამსახურისტვის ის ოქროს მედლით დაუჯილდოებიათ. ქიმ, ხმგ, №1989.

ჩხარი - სოფელი; დამოწმებულია მღვიმის ეკლესიის ყმა-- გლეხთა გადასახადების აღწერილობაში (1838 წ.). ჩხარში მცხოვრებ სომეხ გახუა (თუ გაბო?) ალხაზიშვილს ემართა „ჩარექნახევარი სანთელი, ერთი სტილი სანთლის გული და ერთის მარჩილის საკმეველი“. იმავე საბუთის მიხედვით, „ამავე სოფელსა კიკოლა გაფრინდაშვილი პირველიდგანაც მღვიმის ეკლესიის ყმა იყო მას უკანაც გიორგი ბატონიშვილმა შემოსწირა, მაგრამ ეს სამი წელიწადია სახაზინოდ არის, ორ მანეთს იხდის, და საეკლესიოდ არაფერზე არა ცხად არს, თუ რა მიზეზით ამის ზემორე აღნიშნული გლეხნი ყველანი საეკლესიო მიწებზედ სახლობენ, და ეგრეთჲ თავიანთ ნასყიდობაზედაც გარეშე საბატონო მიწებზედ...“ ქიმ, ხმგ, №437.

ციყელა - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია უთარბლო დოკუმენტში. „ზომით ორი ქცევა“ მიწა მოქცეული იყო ტყეშელაშვილისა (ალმ.) და მყავანამის (დას.) მიწის ნაკვეთებს შორის (ისრითი). ქიმ, ხმგ, № 214.

ციხისუბანი - სოფელი; დასახელებულია 1823 წლის 23 აპრილს შედგენილ საბუთში, რომლის მიხედვით ბეჟან ლორთქიფანიძეს და მის ძმებს „ფარდში“ რგებიათ „სოფელსა ციხის უბანს მცხოვრებნი იესელა გაბუნია დემეტრელას შვილი და თედორია და პატელა გაბუნია“. ქიმ, ხმგ, № 317.

ცუცხვათი - სოფელი; 1841 წელს შედგენილ აგიაშვილების „გაყოფის წიგნში“ დასახელებულია „სოფელსა ცუცხვათის მცხოვრებნი: ოქროპირა, ოტია და ანდრია ბურჯანაძე, დავითელას შვილები მათის ცოლშვილით და საცხოვრებლით:.. მღვდელი პეტრე კუპრაშვილი, მისი შული სესიკა, თავის ცოლშვილით და საცხოვრებლით, ნატრია და მისი ძმა, დათიკა გამთენაძე მათის საცხოვრებლით:.. სესიკა და ბეჟანა მესხორაძე სიმონიკა შული მათის ცოლშვილით და სა-

ცხოვრებით:.. გოგიელა უძვარუა (?) მოჯალაზე თავის მიწა-წყლით და საცხოვრებით: პაპუნია კუპრაშვილი, მისი ძმა კიკოლა, მისი ძმის წული მამისა, მათის ცოლშვილით და საცხოვრებით:.. ზალიკა კუპრაშვილი კაციელა და სესიკა მათის ცოლშვილით და [...] ცხოვრებით:.. დათიკა კუპრაშვილი, მისი ძმა კაციელა და მამისთვალა მათის ცოლშვილით და საცხოვრებით:.. სიმონიკა ჭელიშვილი მისი ცოლშვილით და მათის საცხოვრებით“. ქიმ, ხმფ, №1696/02.

ცუცხვათი - სოფელი; 1851 წლის 15 ივლისს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“ დასახელებულია სიმონეთის „უჩასტკაში“ შემავალი სოფელი ცუცხვათი. ქიმ, ხმფ, № 1675/01.

ცხენკბილა - ტოპონიმი დასახელებულია 1804 წლით დათარიღებულ დოკუმენტში: „იქედამ. სანავარდოსკე. კათოლიკოზის. საზღვრამდის. იმ. შესამნულს. გარეთ. გაუტეხელი. ტყე. ცხენკბილაშიდ. კიკნაძის. თოფურის. ძველ ნაყანევის გორშიდ. ქვის. ზღვარი... ასვია და იმ ქვის ზღვარიდამ ტბაშავა წყაროს ფონს ზეით. გაღმა პირზედ. საჯავახოსკე...“ ქიმ, ხმფ, №1492.

ძე(ვ)რულა - მდინარე; „ქ ნებითა და შეწევნითა მღთისათა ესე წიგნი მოგეცი მე მოურავმა იშხნელმა გოგისამ შენ ფორჩხიძეს ივანეს და შენს შვილს ხოსიკას და გოგიას, ასე და ესე ვითარად რომე ბატონი ჩემის მეფე სოლომონის წყალობა ადგილი მქონდა და შენ მირონი იყავი ჩემი და ნამსახური და მთხოვე ძერულის პირზე ადგილი და ქრთამიც გამოგართვი და სიყვარულობის გულისათვის მოგეცი თავს სამძღვართა საქარია და სამნებიც აგდია და სანიავისკენ ღელე აქვს სამძღვართ და სამანიც აგდია და საქაროსკენ. საქარი აქვს თარჯი და სამნიც აგდია და ბოლოს წყლამდის მომიცემია აშებს (?) შუა და მოგცეს ღმერთმან და გიბედნიეროს ყოვლის კაცის უცილებლად...“ ქიმ, ხმფ, №1976.

მევერა - სოფელი; დასახელებულია XVIII საუკუნის I ნახევარში შედგენილ საჩივრის წიგნში: „მევერს: ნიკალაძე. წკადის. ენუქი-ძეები: ორი: გლეხი. კაცია და: იოანე“. ქიმ, ხმფ, № 847.

ძერულასბოლო - ტყე; საბეკის „უჩასტკის“ სოფელ ქედში მცხოვრები სახაზინო ყმების - მიქელა და ლაზარე გოგაძეების თხოვნის წერილი (1841 წლის 24 აპრილი) გვაუწყებს: „გვაქვდა რა ჩვენ მამა პაპით სამკვიდრო ტყე, მდებარე ამავე უჩასტკასა შა. წოდებული **ძერულას ბოლოთ**; რომელიც იქმნების ზომით რვა ქცევა, ღირებული ოცდა თორმეტ მანეთად ვეცხლისა; ესევეთარი ტყე თვინიერ მთავრობის ცნობისა ერთისა ოდენ მძლავრობითა თვისითა ყოვლის უმართლოთ ჩამოგვართვა ამავე უჩასტკის საბეკას მცხოვრებმა პრაპორშიკმა თავადმა ნიკოლოზ ჩიჯავაძემ, რომლის შდ იქმნების ესე მშვიდე წელი; რომლისათვის პირველად ვევედრეთ თვით მას ჩიჯავაძეს დაბრუნებასა ტყისა მის, გარნა გვობრძანებდა ყოველთვის მიცემასა, მაგრამ რადგან აღარ მოგვცა, შევაჩვილით სიტყვიერად ამასაგანსა ზა, მაშინ ჩვენდა მოურავათ მყოფს პრაპორშიკს თავადს ოტია ნიჟარაძეს, რომელიც დღეს არაა პომოშნიკად საბეკას ნაწილის ზასედატელისა, თუმცა მან ნიჟარაძემ გამოუცხადა ჩიჯავაძეს მაშინ, რათა დაგვიბრუნოს ჩვენი ადგილი...“ ქიმ, ხმფ, №378.

ძველი ნაყანევი - ტოპონიმი დასახელებულია 1804 წლით დათარიღებულ დოკუმენტში. იხ. **ცხენკბილა**.

ძიროვანი - სოფელი; 1841 წელს შედგენილ აგიაშვილების „გაყოფის წიგნში“ დასახელებულია „სოფელსა ძიროვანს მცხოვრები გძელაძე ბეჟანა და სიმონა მისი ცოლშვილით და საცხოვრებლით“. ქიმ, ხმფ, №1696/02.

ძუყნური - სოფელი; 1841 წელს შედგენილ აგიაშვილების „გაყოფის წიგნში“ დასახელებულია „სოფელსა ძუყნურს მცხოვრები სფირდონა და მახარა ლაფერაძე მათის ცოლშვილით და საცხოვრებლით“. ქიმ, ხმფ, №1696/02.

წაბლისწყარო - მიწის ნაკვეთი; კურსების საზოგადოების სოფ. კურსებში მცხოვრებ აზნაურ გოგოლაშვილებს საკლესიო ყმების-თვის - გიორგი მამიუკას ძე ლანჩავასა და ათანა გიორგის ძე ბასილაძისთვის 25 მანეთად მიუყიდათ მიწის ნაკვეთი სოფელ კოკაში, „წაბლის წყაროდ“ წოდებული, რაც ისაზღვრებოდა ლანჩავებისა და იობიძის კუთვნილი მიწებით (კოკა). ქიმ, ხმგ, №1675/17.

წაბრალიანი ღელე - ღელე; დასახელებულია 1843 წლის 12 ივლისს შედგენილ „ნაყიდობის წერილში“. მოცემულია საზღვრებიც: „მეორე ადგილი წაბრალიანი ღელე გაღმით ბოლოს ბასილაძის საზღვრამდის, თავშიდ გოგილა დოლონაძის საზღვრამდის...“ (კოკა). ქიმ, ხმგ, №1675/09.

წალდელა - დასახელებულია 1857 წლის 12 ოქტომბერს თავად ნიჟარაძის მიერ მღვდელ ივანე სანებლიძისათვის ბოძებულ წყალობის წიგნში: „მოგეცი თქვენ ივანე მღვდელს სანებლიძეს ზომად კნზ ნიჟარაძემან მდებარე არდგილი სახელდობ წალდელაში ზომით ოთხი ქცევა სამღვრებთა შორის, აღმოსავლეთით მერაბ და ბიჭო ნიჟარაძეების ადგილამდის, დასავლეთით [...] ღვინიანიძის არდგილამდის, სამხრეთით კ-ნზ აგიაშვილის არდგილამდის, ხოლო ჩიდილოვეთით კიდე ღვინიანიძის ადგილამდის. ესე ხსენებული არდგილი მოგეცა თქვენ კნზ ნიჟარაძებთაგან საშვილიშვილოდ სამფილვებელოთ აწი მოგცეს ღმერთმა და გიბედნიეროს“. საბუთს ხელს აწერს თავადი მერაბ ნიჟარაძე. ქიმ, ხმგ, №1011.

წასრი (?) - სოფელი; დამოწმებულია მღვიმის ეკლესიის კუთვნილი ყმების ბეგარა-გადასახადების აღწერილობაში (1838 წ.). ქიმ, ხმგ, №437.

წითელი მიწის გზა - გზა; ტოპონიმი დამოწმებულია 1808 წელს შედგენილ „წყალობის წიგნში“, სადაც აღნიშნულია, რომ დიდვაკედ სახელდებული მიწის ნაკვეთი, რაც მდებარეობდა „კეჭნა-

რეის წყაროს ზეით, წითელი მიწის გზას იქით“, ვახუშტი ჩიჯავაძეს ბზვანელი ხატისკაცებისთვის უბოძებია (ბზვანი). ქიმ, ხმგ, №326.

წინასოფელი - სოფელი; მოიხსენიება მღვიმის ეკლესიის კუთვნილი ყმების ბეგარა-გადასახადების აღწერილობაში (1838 წ). ქიმ, ხმგ, №437.

წინასოფელი - სოფელი; დასახელებულია 1817 წლის 4 იანვარს შედგენილ „შეწირულების წიგნში“, საიდანაც ირკვევა, რომ წერეთლებს მღვიმევის მონასტრისთვის შეუწირავთ „წინასოფელს მოსახლე. ჩუბინიძე. გიგიაშვილის შვილები. გრიგოლა და მისი. ძმანი და მათი. ბიძა. დათიკა. მათი. ბიძაშვილი ივანიკა. მათის. ალაგ. მამულით. ჭურ. მარნით. ვენახ. გარემოთი. საყანითა. ტყითა. მიდრითა. და საყდარ. სამარხითა. საძებრითა და უძებრითა... თუმცა ადრეუ სხვას. მძლავრებით მიელო. ჩვნის ოჯახებისათვის. ეს ჩუბინიძე. გლეხი. და თქვნთვს. შემოეწირა. მაგრამ მეფეებ(მ)აც. რომ. გამოიძიეს. და განიხილეს. ისევ ჩვნ გვბოძეს. და წყალობის წიგნიც განგვახლეს“. ქიმ, ხმგ, №168.

წირქვალი - სოფელი; 1. დამოწმებულია უთარილო „შეწირულების სიაში“. იმერეთის მეფე ალექსანდრეს ჯვარისმამისთვის შეუწირავს მღვიმის მონასტერი, ხატები და გლეხები. საბუთში დასახელებულია წირქვალში მცხოვრები ორი გლეხი გურიელი, რომლებსაც ემართათ „სამსამი კოკა ღვინო და თითო ქათამი საშობო და სამსამი პური და ოროლი კოდი პური და მსახურობა“, აგრეთვე გიგია ბრეგაძე, რომელსაც ემართა ხუთი კოკა ღვინო, ერთი ქათამი, სამი პური და ორი კოდი პური. ქიმ, ხმგ, №256; 2. სოფელი; 1838 წლის დოკუმენტში დასახელებულია წირქვალელი გაფრინდაშვილების - სვიმონის, პეტრეს, ივანეს, გრიგოლას, მათეს, პავლიკასა და თურანის ბეგარა-გადასახადი. მათთან ერთად დასახელებულია „მამუკელა და მასთან შეყრილნი გოგნიძენი - ნიკოლოზ და კვირია“. გაფრინდაშვილებს და გოგნიძეებს ამ დოკუმენტის მიხედვით ემართათ

„თვთოს ოთხ ოთხი კოკა ღვინო ორ-ორი ჩარეკი სანთელი, შობის ძღვენი, ცხრა პური და ქათამი და მუშაობა ყოვლის გვარისა ანუ შინაყმობა, სანთელს ამ დროში თითო ჩარეკს იხდიან, ხოლო ადრე მმართველიათ ორ-ორი ჩარეკი“. სხვადასხვა სახის ბეგარა ჰქონიათ დაკისრებული ჩიტო და გრიგოლ გაფრინდაშვილებს, მღვდლებს - გიორგი და ეგნატე გურულიშვილებს, მიქელა, მათე, დავით, პეტრე, ივანე, დათიკა, გიგიტი, სვიმონ და თევდორე გურულიშვილებს. ამათგან უკანაკნელი სამი სოფელი ქვემო ხევის საბატონო მიწაზე სახლობდა. ქიმ, ხმგ, №437.

წიფელსაჯვარი - ტოპონიმი დამოწმებულია 18.. წლის შეწირულობის სიგელში. იხ. ზემოთ ვაჭევი. ქიმ, ხმგ, №125.

წკადისი - სოფელი; დასახელებულია XVIII საუკუნის I ნახევარში შედგენილ საჩივრის წიგნში: „ძევერს:. ნიკალაძე. წკადის. ენუქიძეები: ორი:. გლეხი. კაცია და:. იოანე...“ ქიმ, ხმგ, №847.

წყალთელა - მდინარე ამ ფორმით დამოწმებულია „ქუთაისის ნაწილის სოფელსა სოჩხეს მცხოვრებთა საეკლესიო ყმებთა, ოცთა კომლთა, ბემკენაძეებთა, არსენიძეებთა და შარვაძეებთაგან“ იმერეთისა და გურიის არქივისკოპოს სოფრონიოსისადმი გაგზავნილ თხოვნის წერილში: „...ჩვენ გვაქვს რა წინაპართგან ჩვენით მიწანი და ტყენი სარჩოდ ჩუენდა წოდებული სამხეიძოთ წყალთელის პირი...“ ქიმ, ხმგ, №1878.

წყალწითელა - მდინარე; დამოწმებულია 1841 წელს შედგენილ დოკუმენტში: „მეფე სოლომონმა და მარიამ დედუფალმან უდაბნო აღაშენა. შესწირეს სოჩხეს გლეხები, წყალწითელას გამოღმა მიწა, ზეით დიდ ნაქცეს, დაბლა ქასრას იქეთ, წყალწითელამდის...“ ქიმ, ხმგ, №1867.

მდინარე დასახელებულია იმერეთისა და გურიის არქივისკოპოს სოფრონიოსისადმი სოჩხისელი საეკლესიო ყმების - ბემკენაძეების, არსენიძეებისა და შარვაძეების თხოვნის წერილშიც: „ჩვენ

გვაქვს რა წინაპართაგან ჩვენით მიწანი და ტყენი სარჩოდ ჩვენდა წოდებული სამხეიძოთ წყალთელას პირი, ესე ვითარნი დარჩენილ იყო ჩაუწერლად გუჯარსა შა ჩვენის შეწირულობისა... თანახმად თხოვნისა ჩვენისა ინებეს მეორისა გუჯარისა მის მონასტრისადმი, და აღაწერინეს განცხადებითა მას შა, რომელ წყალწითელას პირის ადგილები შემოგვიწირავს სარჩოდ ჩვენის შემოწირულის ყმების სო-ჩხისლებისაო“. ქიმ, ხმფ, №1878.

წყაროსფონი - დასახელებულია 1804 წელს შედგენილ დოკუმენტში. იხ. **ცხენკვილა**. ქიმ, ხმფ, №1492.

ჭალასთავი - 1. სოფელი; დასახელებულია 1831-41 წლებით დათარიღებულ „ფარდის ქალაქადმი“: „საუმფროსოთ. ოკრიბაში. ჭალასთავს. ნასყიდელა. სირბილაძე. მისი. ცოლშვილით. მეორე. ივანიკა. ჭელისშვილი. ნარიკა. ბერუჩა. მათის. ცოლშვილით. მესამეთ. კაციელა. მესხურაძე სერიკა. დათიკა. ბეჟანა. სვიმონა. მათის. ცოლშვილით. მახარობელა. ჯანელიძე. თავისი ძმებით. და ყოფით. კვირიკა ჩხოზაძე. დათიელა. მახარობელა. მათის ცოლშვილით პაატელა. გიგატაძე (?). დემეტრია. თანდილია. მათი ცოლშვილით. მამიელა ძოდუშავილი. მისი. ძმებით და ყოფით. ამ ანაწერში აღებული (?) მამ: თ-ი თეიმურაზ აგიაშვილი“. ქიმ, ხმფ, №1783/123; 2. სოფელი; დასახელებულია აგიაშვილების გაყოფის წიგნში (1841 წ.): „ჭალასთავს მცხოვრები ელია და ეგნატე სირბილაძე მათის ცოლშვილით და საცხოვრებლით“. ქიმ, ხმფ, №1696/2; 2. 1854 წლის 1 ნოემბერს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“ დასახელებულია ჭალასთავს მცხოვრები საეკლესიო ყმა ილარიონ კიკოლას ძე ხუჯაძე. ქიმ, ხმფ, №1675/06.

ჭარტალი - სოფელი; დასახელებულია „ნასყიდობის წერილში“ (1841 წ., 11 დეკემბერი). მსხლითელ ბერძენიძეებს შორაპნის „უჩასტსა შინა სოფელსა ჭარტალს“ მცხოვრები სახელმწიფო აზნაურისთვის - მამისთვალ ყიფიანისთვის მიუყიდიათ „მამა-პაპისოული... სამკვდრო ზედუბანი ადგილი...“ ქიმ, ხმფ, №2307.

ჭელიში - სოფელი; დასახელებულია 1751 წელს შედგენილ დოკუმენტში: „არის ამისი მოწამე... დამწერი:.. მდივანი:.. ჭელიშის: ბერი:.. გრიგოლ“. ვრცლად იხ. **ტყირიბულა**. ქიმ, ხმფ, №1765.

ჭერეხი - ვაკე-ყანა; დასახელებულია ქაიხოსრო და როსტომ წერეთლების მიერ ვაშაძეებისადმი ბოძებულ „წყალობის წიგნში“ (XIX ს., სექტემბერი; ზუსტი თარიღი ვერ გავარკვეეთ): „გვიბოძებია სამონასტრო სამს წისქვილს გარდა და ვაკეყანა ჭერეხს გარდა დეკანოზის იოანეს საბანბესა და გიორგის ხუცის და ბუჭარაშვილის (მაჭარაშვილის?) საბანბეს გარდა ყოველი...“ (ქვედა მღვიმე). ქიმ, ხმფ, №1285.

ჭიათურისწყალი - ღელე; დასახელებულია ქაიხოსრო და როსტომ წერეთლების მიერ ვაშაძეებისადმი ბოძებულ „წყალობის წიგნში“ (XIX ს.): „ჩვენ ჩვენი სარგო მესამედი რაც გვერგება ჭიათურას წყალს აქეთ იმ წყლის სათავეში რომ სამნები ნიშნავს კლდემდი...“; იმავე დოკუმენტში, სხვა ადგილას ვკითხულობთ: „კლდესა და კლდეს შვა ღელეიანა ყვირილასა და მაღალ კლდეს შვა ჭიათურას წყლის სათავეში რომ სამძღვარია, იმასა და მას შვა ჩვენი საკერძო მესამედი რაც გვერგება, ყველა თვექნთვის გვიბოძებია...“ (ქვედა მღვიმე). ქიმ, ხმფ, №1285.

ჭიქოური - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1807 წელს შედგენილ „წყალობის წიგნში“: „შემოგვეხვეწე და მოგეცით ჭიქოურში ერთი ღელე ალაგი ზეით თავზედ დიდი კლდე აქვს და ზედ ხეები არის ამოსული. იმ კლდის სწორათ ყვირილის პირამდნ და აქეთ ნაპირზედ ცხემლა არის და ქვეით სოჭი...“ ქიმ, ხმფ, №882.

ჭოგნარი - სოფელი; 1848 წლის 2 ოქტომბერს შედგენილ ნასყიდობის საბუთში დასახელებულია „ქუთაისის უჩასტკსა სოფელსა ჭოგნარში“ მცხოვრები საეკლესიო ყმა თომა კიკოლას ძე სვინტრაძე და მისი ძმა გრიგოლ. დოკუმენტის შედგენის გამრიგედ და მოწამედ მითითებულია ჭოგნარელი ხელოსნები - ხოსია ბასილაძე და ლაზარე ბუხაიძე, იმავე სოფელში მცხოვრები გიორგი ბასილაძე, ივანა

ბრეგაძე, ივანა დოლონაძე, გაბრიელა ლომთაძე, სიმონა ყვავაძე, გრიგოლა ლანჩავა, ნიკოლოზ ბასილაძე, ბესო დოლონაძე, დათია ბასილაძე და მიქელა კვიციანი. ქიმ, ხმგ, №1675/11.

ჭოლევი - დამოწმებულია მიტროპოლიტ ზაქარია ქვარიანის მიერ 1644 წელს შედგენილ შეწირულობის სიგელში: „ვიყიდეთ: ჭოლევის: ბიძინას: ცხეიძისაგან: სამი: გლეხი: მათის: მამულითა: და ცოლშვილითა: შოშიტა: ოყერეშლიძე: კვამლი/ი: ერთი: ხახუტა: ოყერეშლიძე: კვამლი: ერთი ჩუჩხუნა/ძე: გოჩია: და: ზაზუტა: კვამლი: ერთი: ჭიჭნაძის: გოჩიასა: და: ს/ულთამას: სეული: პარტახტები: და ჩუჩხუნაძის: სეული: პარტა/ხტები: ამას: გარეთ: კიდევ: გვიბოძა: ჩუენმა: გამზდელმა: ბატონმა:/ მეფეთ: მეფემ: გიორგიმ: ფეშქაშითა: იქვივ: ჭოლევის: გამსახურდი: ოყერეშლიძე:/ და: მისი: ძმის: წულები: გიორგას: შვილ ე/ბი: კვამლი: ერთი...“; „ჩუენ: დავასახლეთ: აგრევე: მანაველ: ჭიჭნაძე: ჭოლევის: ბატონიშვილს: გენათელს: ეშოვნა: ნიშნსა: და: საწირავში: გომქათელიანისაგან: და: ერთი: ბარათი: ხახული-სა...“ ქიმ, ხმგ, №139.

ჭორტიკელაურას ღელე - ღელე; დასახელებულია მიტროპოლიტ ზაქარია ქვარიანის მიერ 1644 წელს შედგენილ შეწირულობის სიგელში, საიდანაც ირკვევა, რომ ქუთაისში, მწვანეყვავილას საგვარეულო მამულის შემოგარენში, მას გარკვეული ტერიტორია შეუსყიდია, რაც შემდეგნაირად ისაზღვრებოდა: „ამას: გარეთ: ხუციას: ქელბაქიანისაგან: და: მისის: განაყოფებისაგან: ადგილები: ვიყიდეთ: იქით: ქვერაულას: ღელე: მლაშეს: იქით: რომ: ღელეა: და: იმას: აქათ: ჭორტიკელაურას: ღელემდი: ზეით: და მცუივანას: დაღმა: ვიდრე: რიონამდე“. ქიმ, ხმგ, №139.

ჭყვიში - სოფელი; „ნასყიდობის წერილი“ (1849 წ., 10 აპრილი) გვაუწყებს: „მე ქვემორე ამისა ხელის მომწერელმან საჯავახოს უჩასტკის სოფელსა ჭყვიშის მცხოვრებმან სახელმწიფო ყმამან ივანე ლაზარეს ძემ ლეჟავამ ესე ნასყიდობის წერილი მოგეცით თქვენ ამავე

უჩასტკისა შინა მცხოვრებს სოფელსა ჭყვიშს საბატონო ყმებს გლახ-
ვას მამუკას ძეს, დავით პაპუნას ძეს, ნარსია ივანეს ძეს, იესე ვატას
ძეს შენგელიებს, მას შინა, რომელ მაქუნდა მე მდებარე ადგილი ჩემ-
დამო კუთვნილი თქვენდა მახლობლად სამი ქცევა ნახევარი ვოცდა
ათ ვოცდა ათის მხრიდ მოზომილი აღმოსავლეთით და ეგრეთვე
ჩრდილოეთის მხრით თქვენი კუთვნილი ადგილი უვარს საზ-
ღვრათ დასავლეთის მხრით აზნაურის კახიანების გორამდის და სამ-
ხრეთით ბარიანა ჩემს თხრილამდი ისრეთვე ჩემს ადგილამდი შემო-
საზღვრით იგრულუ თქვენთვის მომიყიდია და მიმღები ვარ სრუ-
ლისა საფასისა მე სახელმწიფო ყმა ივანე ლეჟავა...“ ქიმ, ხმგ, №2048.

ჭყვიშური - მიწის ნაკვეთი, ტყე; დასახელებულია სოლომონ
II-ის (1789-1810 წწ.) მიერ ქაჯაიებისა და კახიანებისადმი მიცემულ
„წყალობის წიგნში“: „წყალობა გიყავით და გიბოძეთ. ჩვენი. სახასო
მიწა და ტყე. ჭყვიშურშიდ. რომელიც სახლთუხუცესმა. ზურაბ. წე-
რეთელმა. ტყის მცველებით. შამოგარონიათ. თავს. ნასელარს. გამარ-
ჯვებული. ბოგირი...“ ქიმ, ხმგ, №1492.

ხალიფაური - ტოპონიმი დამოწმებულია 1813 წლის 8 სექტემ-
ბერს შედგენილ „შეწირულების წიგნში“, რომლის მიხედვით როს-
ტომ ბარათაშვილის ძეს - ბერს და მის ცოლ-შვილს მღვიმის მონას-
ტრისთვის შეუწირავთ დედის ნამზითვი ხალიფაური და წინამ-
ძღვრისთვის დაუვალებიათ მათი ოჯახის გარდაცვლილი და ცოცხა-
ლი წევრებისათვის ყოველი წლის 8 სექტემბერს წირვის ჩატარება:
„შემომიწირავს და მომირთვევია. ეს ალაგი ხალიფაური. ამისის საყ-
დრით სასაფლაოთი სამოსახლო-გარემოთი, ვენახი მისის ჭურ მარ-
ნითა წყარო-წყალი მისის ალაგითა გარე ყანითა რისაც მქონებელი
იყო ტყე სახორე და სასარე. სათიბები და ბაღი ბახჩა და ყოველივე ამ
ხალიფაურის სამართლიანი ალაგი რ~ლიც ჰქონია. და ან მე მქონდა.

დაყიდი და უყიდი. და ყოვლის კაცის უცილებელი. შემოგწირეთ და მოგართვით წო მონასტერო მღვიმის მაცხოვრისაო...“. საბუთს ბეჭდების დასმით ამოწმებენ მეფე დავითის ასული მზეხათუნ და მიტროპოლიტი. ქიმ, ხმფ, №268.

ხანი - სოფელი; დამოწმებულია 1826 წელს შედგენილ „განჩინებაში“: „...სოფლის ხანის სახელმწიფო ყმათა პაპუნა პეხუელიძემ, გაუგონია მას, რომელ წინაპარნი ყმების ლოფსიანებისა უკუთუნოდეს მეფეს, მაგრამ რამოდენიც თვთონ ახსობს, გოგია და მამისთუალ ლოფსიანები და მამანი მათნი მარადის ითვლებოდენ საეკლესიოთ ყმებათ ეკლესისა ღვთისმშობლისა...“. ქიმ, ხმფ, №1632.

ხვილიფი - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია გიორგი ერისთავის მიერ 1814 წელს შედგენილ „ნასყიდობის წიგნში“, რაც მას კვირელას შვილ იოსებასა და ნიკოლოზასთვის, აგრეთვე კაციელა გურიელისათვის მიუცია: „მოგყიდე ხვილიფში რაც ქცევა ადგილი ლევანის და როსტომის საზღვარშუა და ფასიც მოგვართვ“. ქიმ, ხმფ, №1837.

ხრეთი - სოფელი; 1. დამოწმებულია უთარילו დოკუმენტში („გაბჭობის წერილი“): „საჩინომ დმ მისმა სახლის კაცებმა უპასუხეს მეფეს გიორგის, თავისი სახასო კაცები აუყრია ხრეთს ცერცვაძეები, ჩვენი კაცების სახლისკაცი და ვაჭევს დაუსახლებია და ხრეთს, რომელიც სამკვიდრო მიწა-წყალი ქონია, იმიანათ კაცხის მაცხოვრისთვის შეუწირავს და ეს სამანი ჩვენი კაცების ჩაგდებული არის. ამ სამგლეთას (?) ეგ თქვენ კაცები ხრეთიდან წამოყვანილი ცერცვაძეები და ეს ჩვენი ცერცვაძეები ერთობის სამკვიდროობით ხმარობდენ თვარამ მიწა ხრეთის აღარ. დავით აბაშიძემ აშორო უთხრა: ჩვენ ასე გავაჩინეთ. რამდენს ათს მარჩილათ ის სადეო ალაგი ღირდეს, იმდენი გლეხი კაციდან ამაველი სხვა კაცი წამოაყენოს დავით აბაშიძემ, სამანზედ შედგეს და საზღვარზედ შემოუაროს და ასე უფიცოს, ამ

სამანსა და საზღვარს აქეთ არც ხრეთის...“ ქიმ, ხმგ, №205; 2. სოფელი; დასახელებულია უთარილო სბაუთში. იხ. ზემოთ ვაჭევი.

ჯავშია (?) - მიწის ნაკვეთი; უთარილო დოკუმენტი, კერძოდ, აგიაშვილისა და გელათელი გლეხის მიწის შესახებ შედგენილი „სათავდებოს წიგნი“, გვამცნობს: „ქ აგიაშვილები. და საგელათო კაცი გივენეტაძეები ალაგიზე. დეობიდენ. და ბატონს მეფეს. შეეხვეწენ და თივთან (?) მეფე და მისი ბირძანებას მორჩილი თან ახილდენ და ის. სადეო ალაგი დაიარეს. საზღვრებიც ვნახეთ მაგრამ აგიაშვილს რომ დავთარი აქ, როგორც იმ დავთარში სწერია ის საზღვრებიც იმ დავთარს ემოწმენ გამოცხადებულად მაგირამ საგენათილო კაცმა აგიაშვილს დეობა არ მოშალეს ღელეს გაღმა ჯავშია ჩჷნი არის და რას გჷმართლები არ ვიცი. აგიაშვილმა აშორო უთხრა... ღელეს გაღმა ჯავშია რომ ქვია, იმ ადგილს ის თქჷნი იყოს, არც გელათის შეწირული იყოს, არც ნაყიდი ქონდეს და არც თქჷნი სამიკვიდრო იყოს და კიდევ საციხისთო იყოს ღელეს გაღმა ჯავშია. თუ ასე უფიცოს, რას ემართლება... და ადგილი აგიაშვილს დარჩეს, თუ ვერ იფიცოს, ეკილესიას“. ქიმ, ხმგ, №1777.

ჯვარი - ტოპონიმი დამოწმებულია იმერეთის მეფე სოლომონ II-ის (1789-1810 წწ.) „წყალობის წიგნში“ (დოკუმენტი დათარიღებული არ არის): „...გობოძე ალაგი... იმას გადმოღმა ჩაჩუას საზღვარს აქით და ჯვარს გარდმოღმა სატალახია მოგცეს და გიბედნიეროს ღმერთმა...“ ქიმ, ხმგ, №1199.

ჯვარის სერი - სერი; დამოწმებულია კაცია და ბეჷან ჩიჯავაძეების მიერ ბიძაშვილებისათვის - ვახუშტი, ქაიხოსრო და გიორგი ჩიჯავაძეებისათვის მიცემულ „გარიგების წერილში“, რაც შედგენილია 1781 წლის 4 მარტს. ქიმ, ხმგ, №10.

ჯინზევი - ტოპონიმი დამოწმებულია როსტომ ერისთავისა და მისი შვილების - გიორგისა და მეთოდის მიერ გიორგი საჩინოს ძე გამყრელიძისადმი ბოძებულ წყალობისა და საფიცრის წიგნში (უთარილა), საიდანაც ირკვევა, რომ ერისთავებს ჯინზეველი გლეხი გაბრიელა (გვარი არ იკითხება. განირჩევა მხოლოდ „ტრეკე..“) უწყალობეს. ქიმ, ხმგ, №84.

ჯოყოეთი - სოფელი; დამოწმებულია 1731 წელს შედგენილ საბუთში: „ქ: ესე: წიგნი: და: პირობა: მოგართვით: ჩვენ: კაცხის: სამება: წმიდის: შეწირულთ: ყმათა: საყდრელთა: რგანელთა: ნავარძელთა: ვაჭველთა: ჯოყოველთა...“ ქიმ, ხმგ, №83.

წყალტუბოს ისტორიული მუზეუმის ხელნაწერები

აკავანა - მიწის ნაკვეთი; 1879 წლის 17 აპრილს შედგენილ „ფიცის წიგნში“ ვკითხულობთ: „აკავანას ადგილი არის ნაყიდი ხუცის და ერგება რამოდენიმე ნაწილი“ (ჭაშლეთი). წმმ, №38/20.

არყისა - 1. მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1895 წლის 1 მაისით დათარიღებულ „პირობის წერილში“. საზღვრები: აღმოსავლეთით - პავლე ჩუბინიძის, დასავლეთით - ვასილ კიბორძალიძის, ჩრდილოეთით - ბასილ კურციკიძის მიწის ნაკვეთები, სამხრეთით - ლელე; 2. მიწის ნაკვეთი; საზღვრები: აღმოსავლეთით - პეტრე კიკოლიაშვილის, დასავლეთით - ბუჭუნა კურციკიძის, ჩრდილოეთით - ბუჭუნა კენჭაძის მიწის ნაკვეთები, სამხრეთით - ლელე (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

ბალა//ბალეი - მიწის ნაკვეთი; ტოპონიმი დამოწმებულია 1918 წლის 20 მარტს შედგენილ „პირობის წერილში“: სოფ. რიონში მცხოვრებ მღვდელ ტარასი იოანეს ძე მორჩაძეს და მის ძმას ისაიას, აგრეთვე ამავე სოფლის მკვიდრთ - გაბრიელ და პავლე სიმონის ძე, ანანია სოლომონის ძე, სერაპიონ და ლეონტი ანდრიას ძე, კირილე და ლუკა ნიკოს ძე, ამბაკო და გარსევან მაქსიმეს ძე მორჩაძეებს და დომენტი მორჩაძის მემკვიდრეებს საერთო საკუთრებაში ჰქონდათ „რიონის დაჩაშიდ აღნიშნული მეყვეანის პლანშიდ №241, სახელდობრ „ბალა“, ზემოთ ექვსი დესიატინა და ვორასი კვადრატნი საყენი“, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით - ლელე, დასავლეთით - თედორე მამრიკიშვილის კუთვნილი მიწის ნაკ-

ვეთი, სამხრეთით - გზა და ჭოლეველთა კუთვნილი მიწები (რიონი). წმმ, №38/19.

ბაღი - დასტურდება 1918 წლის 20 მარტით დათარიღებულ საბუთში. სახელდებული ობიექტი სამოსახლოდ მიუცია ანდრია მორჩაძეს უფროსი შვილისთვის (რიონი). წმმ, №38/04.

ბაჯიორი - მიწის ნაკვეთი („ფიცის წიგნი“, 17 აპრილი, 1879 წ.): „რამოდენიმე ნაწილი ერგება ხუცესს“ (ჭაშლეთი). წმმ, №38/20.

ბერიყანა - მიწის ნაკვეთი („პირობის წერილი“, 1 მაისი, 1895 წ.); საზღვრები: ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით - პავლე ჩუბინიძის, დასავლეთით - ბუჭუნა კიკოლიაშვილისა და სამხრეთით - ბუჭუნა კენჭაძის მიწის ნაკვეთები (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

ბერყანა - მიწის ნაკვეთი (17 აპრილი, 1879 წ.): „ერგება მღვდელის რამოდენიმე ნაწილი“ (ჭაშლეთი). წმმ, №38/20.

ბზარნალის პირი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1903 წლის 1 დეკემბერს შედგენილ „მედიატორების განჩინებაში“. საზღვრები: აღმოსავლეთით - პეტრე შვანგირაძის, სამხრეთით - შვანგირაძეების, ჩრდილოეთით - ივანე ჩეჩელაშვილისა და ონისიმე შვანგირაძის, დასავლეთით - სერაფიონ ჯიმშელიაშვილის მიწის ნაკვეთები. წმმ, №38/40.

ბიჭია მესხისოული // ლაშე - მიწის ნაკვეთი; ტოპონიმი დასახელებულია 1918 წლის 20 მარტს შედგენილ საბუთში. სოფ. რიონში მცხოვრებმა მღვდელმა ტარასი იოანეს ძე მორჩაძემ იმავე სოფელში მცხოვრებ სერაპიონ და ლევანტი ანდრიას ძე მორჩაძეებს 550 მანეთად მიჰყიდა სახელდებული ობიექტი („ბიჭია მესხის სოული, იგივე ლაშე“), „ზომით... მეოთხედი ქცევა“, რასაც აღმოსავლეთით პლატონ სირბილაძის, დასავლეთით გარსევან მორჩაძის, ჩრდილოეთით - „ობლის“ გიორგი მორჩაძის „თომა და სხვა გოგლიჩაძეების ადგილი“ ესაზღვრებოდა (რიონი). წმმ, №38/13.

ბოგირი - მიწის ნაკვეთი მდ. სემის ნაპირას, „რომელშიდაც ნახევარი ეკუთვნის მიხეილ გრიგოლის ძეს ჯიმშელიეშივილის და მეორე ნახევარი სერაფიონს და მის მონაწილეებს და დავითს და მისს მონაწილეებს“ („მედიატორების განჩინება“, 1 დეკემბერი, 1903 წ.). წმმ, №38/40.

ბოგირისყელი - ტყე (17 აპრილი, 1879 წ.): „ბოგირის ყელზე ტყე ერგებათ რამოდენიმე ნაწილი ხუცესს და ადამუკას, ცირლილადის საზღვრებს შუა“ (ჭაშლეთი). წმმ, №38/20.

ბრეკი - იხ. აქვე **კორტოხა** (რიონი).

გელო(ვ)ანის ყანა - მიწის ნაკვეთი; ტოპონიმი დასახელებულია 1879 წლის 17 აპრილით დათარიღებულ დოკუმენტში: „გელოანის ყანა არის რამოდენიმე ნაწილი ხუთის და ადამუკასიც“ (ჭაშლეთი). წმმ, №38/20.

გადაჭრილი ცაცხვისძირი - სამანი; ტოპონიმი დასტურდება ლოლაბერიძეთა „პირობის ხელწერილში“, სადაც აღნიშნულია, რომ ლეკერწად სახელდებული ობიექტის მეორე ნაკვეთი ისაზღვრებოდა გადაჭრილი ცაცხვისძირით (ქვილიშორი). წმმ, №7181/2527.

გვაშტიბი - სოფელი; კომონიმი დასტურდება 1900 წლის 18 სექტემბერს შედგენილ „პირობის ხელწერილში“, როგორც ქუთაისის მაზრაში შემავალი საზოგადოება. წმმ, №38/51.

გვაშტიბი - სოფელი; კომონიმი დასტურდება 1908 წლის 26 იანვარს დაწერილ „ნასყიდობის წერილში“, სადაც აღნიშნულია, რომ გვაშტიბის საზოგადოების სოფ. ცხუნკურში მცხოვრებმა გლეხმა ბასილ გიორგის ძე ჯიმშელიეშივილმა ამავე სოფელში მცხოვრებ გლეხს - დავით სიმონის ძე ჯიმშელიეშივილს მიჰყიდა მიწის ნაკვეთი, სახელწოდებით „თედორწმინდა“. წმმ, №38/35.

გვერდე - მიწის ნაკვეთი; ესაზღვრებოდა აღმოსავლეთით - სერაფიონ ჯიმშელიეშივილის, დასავლეთით - დავით შვანგირადის, სამხრეთით - გიორგი კეთილაძის მემკვიდრეთა მიწის ნაკვეთებს, ხო-

ლო ჩრდილოეთით - ისიდორე ჯიმშელეიშვილის მამული (გვამტი-
ბი). წმმ, №38/40.

გორები - სახნავი და ტყე; ტოპონიმი დასტურდება 1909 წლის
11 თებერვალს შედგენილ „ნასყიდობის პირობის წერილში“. ლეჩხუ-
მის მაზრის დერჩის საზოგადოების სოფ. დერჩში მცხოვრებმა თა-
ვადმა ვალერიან ვარდენის ძე ასათიანმა სოფელში ჭაშლეთში
მცხოვრებ გლეხს - მიხეილ პავლეს ძე კიბორძალიძეს მიჰყიდა დერ-
ჩში მდებარე სახნავი და ტყე **გორები** (?), შემდეგ საზღვრებში: აღმო-
სავლეთით - „იკო და ევრასტი ასათიანების სამზღვარი **ბრევი**“, და-
სავლეთით - ვალერიან ასათიანის მიწის ნაკვეთი, რაც „იქვე იმიჯნე-
ბა სამი ქვით“. სამხრეთით - ტყიანი დიდი სერი, ჩრდილოეთით -
ასათიანისა და თედორე კიბორძალიძის კუთვნილი დიდი მუხები
(დერჩი). წმმ, №38/31.

გრძელარი - 1. მიწის ნაკვეთი, ტყე (17 აპრილი, 1879 წ.): „სა-
კუთრება ხუცის არის“; „გრძელარის ტყის ადგილი ერგება რამოდე-
ნიმე ნაწილი ხუცესს და ადამუკასაც“. (ჭაშლეთი). წმმ, 38/20; 2. მიწის
ნაკვეთი („პირობის წერილი“, 1 მაისი, 1895 წ.). საზღვრები: აღმოსავ-
ლეთით - გზა, დასავლეთით - ბუჭუნა კიკოლიაშვილის კუთვნილი
მიწა, სამხრეთით - ბეკო მანაგაძის, ხოლო ჩრდილოეთით - დათიკა
კენჭაძის ტყე (ჭაშლეთი). წმმ, №38/39...

გრძელაში - ტოპონიმი დასტურდება აზნაურ ბიჭია ჭაბუკია-
ნის მიერ ლევან ძონენიძისადმი მიცემულ „მოცვლილობის წერილ-
ში“, მდ. როინისპირას მდებარე ადგილის სახელწოდებად (ზარათი).
წმმ, №38/37.

გუგუნეში - სახნავი მიწა; დასტურდება „პირობის წერილში“
(1895 წ. 1 მაისი). საზღვრები: აღმოსავლეთით - გოგია მანაგაძის, და-
სავლეთით - უშანგი ასათიანის, სამხრეთით - ბუჭუნა ბუცხრიკიძისა
და ჩრდილოეთით - ბეკო მანაგაძის საკარმიდამოები. იმავე დოკუ-
მენტში, სხვა ადგილას ვკითხულობთ, რომ გუგუნეში აღმოსავლე-

თით ბუჭუა კენჭადის მიწის ნაკვეთი და პავლე ჩუბინიძის ტყე, სამხრეთით - პეტრე კიკოლიაშვილის, ჩრდილოეთით - ბუჭუნა კენჭადის მიწის ნაკვეთები ესაზღვრებოდა (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

გუგუნეიშის ბოლო - სახნავი მიწა („პირობის წერილი“, 1 მაისი, 1895 წ.); დასავლეთით პეტრე მანაგაძის, სამხრეთით და ჩრდილოეთით პავლე ჩუბინიძის კუთვნილი მიწის ნაკვეთებით ესაზღვრებოდა, ხოლო აღმოსავლეთით დეღე ჩაუდიოდა (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

გუგუნეიშის ვაკე - მიწის ნაკვეთი (17 აპრილი, 1879 წ.): „არის ხუცის საკუთრად“; „ვაკე გუგუნეიშის საყანე ადგილი ერგებათ რამოდენიმე ნაწილი მღვდელს და ადამუკას ქურციკიძისა და ცირლილადის საზღვრების შუა“ (ჭაშლეთი). წმმ, №38/20.

დიდი სერი - ტყიანი სერი; დასტურდება 1909 წლის 11 თებერვალს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“ (დერჩი). წმმ, №38/31.

დობილო (?) - მიწის ნაკვეთი (17 აპრილი, 1879 წ.): „დობილოში ჩვიბინიძის საზღვართან ჭინჭაროულა მღვდლის არის საკუთრად“ (ჭაშლეთი). წმმ, №38/20.

ეზო - მიწის ნაკვეთი („პირობის წერილი“, 1 მაისი, 1895 წ.); საძოვრები: აღმ. და დას. - მაღლარი მამულები ვასილ კიბორძალიძისა, ჩრდ. - თედორე კიბორძალიძის, სამხრ. - მამუკია კიბორძალიძის მაღლარი (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

ეზოსთავი - მიწის ნაკვეთი („პირობის წერილი“, 1 მაისი, 1895 წ.); ობიექტს აღმოსავლეთით და დასავლეთით ესაზღვრებოდა გზა, სამხრეთით - გოგია კენჭადის, ხოლო ჩრდილოეთით - ვასილ სესიას ძე კიბორძალიძის მაღლარი მამული (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

ეცერი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „პირობის წერილში“ (1 მაისი, 1895 წ.); საზღვრები: აღმოსავლეთით - ბუჭუა კიკოლიაშვილის, დასავლეთით - გლახუა ჩუბინიძის, სამხრეთით - ბასილა კურ-

ციკიძის, ჩრდილოეთით - ვასილ კიბორძალიძის მიწის ნაკვეთები (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

ენერი - 1. მიწის ნაკვეთი; ტოპონიმი დასტურდება „პირობის წერილში“ (1 მაისი, 1895 წ.) და მოცემულია შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - გოგია კურციკიძის, დასავლეთით და ჩრდილოეთით - ბუჭუნა კენჭაძის, სამხრეთით - ბუჭუნა კურციკიძის კუთვნილი მიწის ნაკვეთები. (ჭაშლეთი); 2. მიწის ნაკვეთი. საზღვრები; აღმოსავლეთით - პავლე ჩუბინიძის ტყე, დასავლეთით ნიკო კიკოლიაშვილის, სამხრეთით - ვასილ სესიას ძე კიბორძალიძის კუთვნილი სახნავი მიწები, ჩრდილოეთით დათიკა უკენჭაძის ტყე. (ჭაშლეთი). წმმ, №38/39; 3. მიწის ნაკვეთი (1903 წლის 1 დეკემბერი); საზღვრები: აღმოსავლეთით - მიქაელ და გლახუა ჯიმშელიშვილების, დასავლეთით - სერაფიონ ჯიმშელიშვილის, სამხრეთით - დიმიტრი ცინარიძის, ჩრდილოეთით ბასილ სულაბერიძის მიწის ნაკვეთები (გვამტიბი). წმმ, №38/40.

ვაკებაჯიორი - ტყე (17 აპრილი, 1879 წ.); „ერგება რამოდენიმე ნაწილი ხუცესს მანაგაძის და კიბორძალიძეების საზღვრებს შუა“ (ჭაშლეთი). წმმ, №38/20.

ზარათი - სოფელი; დამოწმებულია აზნაურ ბიჭია ჭაბუკიანის მიერ ლევან მოწენიძისადმი მიცემულ „მოცვლილობის წერილში“. იხ. **გრძელაში**. წმმ, №38/37.

ზემო დერჩი - სათიბი; ტოპონიმი დასტურდება 1916 წლის 20 დეკემბერს ლეჩხუმის მაზრის დერჩის საზოგადოების სოფ. ჭაშლეთში მცხოვრები გლეხების - დავით გიორგის ძე და ლევანტი დიმიტრის ძე კიბორძალიძეების მიერ მიხეილ პავლეს ძე კიბორძალიძისადმი მიცემულ ნასყიდობის ხელწერილში. ნახევარი ქცევა სათიბი მოქცეული იყო შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - გზა, დასავლეთით - სარდიონ ზაალის ძე ასათიანის, სამხრეთით - თედორე და

ლევანტი კიბორძალიძეებისა და ევტიხი ახვლედიანის მიწის ნაკვეთები (ჭაშლეთი). წმმ, №38/32.

თანთაველი - 1. მიწის ნაკვეთი (1 დეკემბერი, 1903 წ.); საზღვრები: აღმოსავლეთით - ანტონ და ალექსი შვანგირაძეების, დასავლეთით - როსტომ ქუთათელაძის, ჩრდილოეთით - მელიტონ კეთილაძისა და კოსტა ჯიმშელიეიშვილის, სამხრეთით - სერაფიონ ჯიმშელიეიშვილის მიწის ნაკვეთები. წმმ, №38/40; 2. მიწის ნაკვეთი („მედიატორების განჩინება“, 1903 წ., 1 დეკემბერი); საზღვრები: აღმოსავლეთით - პავლე კინწურაშვილის, სამხრეთით - კოსტა ჯიმშელიეიშვილის მიწის ნაკვეთები; 2. აღმოსავლეთით - სერაფიონ ჯიმშელიეიშვილის, დასავლეთით - გიგო და მიხეილ კეთილაძეების, სამხრეთით - ალექსი შვანგირაძის და მიხეილ კეთილაძის მიწის ნაკვეთები. წმმ, №38/40.

თედორწმინდის თავი - მიწის ნაკვეთი; „მახარემ შვანგირაძემ სამაგიერო ადგილი მიიღოს აგრეთვე ერთი ნაკვეთ ადგილშიდ სახელდობ თედორ წმინდის თავშიდ, ორივე მხარეს ექმნეს მონაწილეობა“ (1 დეკემბერი, 1903 შ. „მედიატორების განჩინება“). წმმ, №38/40.

თედორწმინდის სახარდნისბოლო - ტოპონიმი დასტურდება 1908 წლის 26 იანვარს დაწერილ ნასყიდობის პირობის ხელწერილში: ბასილ გიორგის ძე ჯიმშელიეიშვილს დავით სიმონის ძე ჯიმშელიეიშვილისათვის მიუყიდა მიწის ნაკვეთი, სახელწოდებით „თედორწმინდა სახრდნეს ბოლ, ზომით ნახევარი ქცევა, ანუ მეტი, ან ნაკლები“ (ცხუნკური). წმმ, 38/35. იგივე ტოპონიმი გვხვდება 1908 წლის 23 თებერვლით დათარიღებულ „ნასყიდობის პირობის ხელწერილში“. წმმ, №38/30.

ივაწმინდა - 1. მიწის ნაკვეთი (17 აპრილი, 1879 წ.); „ივაწმინდას სახორე ად სახარდნე ტყე ადამუკას და ხუცეს ერგება რამოდენიმე ნაწილი“ (ჭაშლეთი). წმმ, №38/20; 2. სახნავი მიწა („პირობის წერილი“, 1 მაისი, 1895 წ.); აღმოსავლეთ სზადვრად მითითებულია ბუ-

ჭუნა კენჭაძის მიწის ნაკვეთი, ჩრდილოეთით - გზა, დასავლეთით - ღელე, სამხრეთით - ბეკო მანაგაძის ტყე (ჭაშლეთი). წმმ, 38/39.

კაშიეთი - მიწის ნაკვეთი (17 აპრილი, 1879 წ.); „ფიცის წიგნი“ გვაუწყებს: „კაშიეთის ადგილი პატარა შემოზომით არის ხუცის გიორგის საკუთრება“ (ჭაშლეთი). წმმ, №38/20.

კაშიეტი (თუ კაბეტი ?) - სახნავი მიწა („პირობის წერილი“, 1 მაისი, 1895 წ.); საზღვრები: აღმოსავლეთით - პეტრე კიკოლიაშვილის, დასავლეთით - ბასილა კურციკაძის, სამხრეთით - ბეკო მანაგაძისა და ჩრდილოეთით - ვასილ სესიას ძე კიბორძალიძის მიწის ნაკვეთები (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

კიბიეთი - 1. მიწის ნაკვეთი (17 აპრილი, 1879 წ.): „კიბიეთის ადგილი კიბორძალიძეების საზღვართან ერგება რამოდენიმე ნაწილი მღვდელს“, „კიდევ კიბიეთში წყლის პირზედ ერგება და არის ადამუკასი რამოდენიმე ნაწილი“ (ჭაშლეთი). წმმ, №38/20; 2. სახნავი მიწა; საზღვრები: აღმოსავლეთით - მდ. ვათეთრა (?), სამხრეთით - ღელე, ჩრდილოეთით - პეტრე კიკოლიაშვილისა და დასავლეთით - პავლე ჩუბინიძის საკარმიდამოები („პირობის წერილი“, 1895 წ. 1 მაისი); 3. სახნავი. საზღვრები: აღმოსავლეთით - ბეკო მანაგაძის, დასავლეთით და ჩრდილოეთით - გლახუა ჩუბინიძისა და სამხრეთით - პეტრია კიკოლიაშვილის საკარმიდამოები; 4. სახნავი; საზღვრები: აღმოსავლეთით - გლეხ ვასილ სესიას ძე კიბორძალიძის მიწის ნაკვეთი. დასავლეთით - პავლე ჩუბინიძის ტყე, სამხრეთით - პეტრია კიკოლიაშვილის მიწის ნაკვეთი, ჩრდილოეთით - ღელე. წმმ, №38/39.

კიბიეთის ტყე - ტყე („პირობის წერილი“, 1 მაისი, 1895 წ.); საზღვრები: აღმოსავლეთით და სამხრეთით - ვასილ სესიას ძე კიბორძალიძის კუთვნილი ადგილი, ჩრდილოეთით პავლე ჩუბინიძის კუთვნილი მიწა, დასავლეთით - გზა (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

კორგაში - სახნავი, ტყე; ტოპონიმი დამოწმებულია 1911 წლის 7 ივლისს შედგენილ საბუთში. სოფ. დერჩში მცხოვრებ კონიას, თა-

ვად ლევან ასათიანის ქვრივს, და მის შვილებს - დავით და ნიკო ასათიანებს დერჩის საზოგადოების სოფელ ჭაშლეთში მცხოვრები გლეხისთვის - მიხეილ პავლეს ძე კობორძალიძისათვის მიუყიდათ „სახნავი და ტყიანი ადგილი სახელწოდებული კორვაში ას ოც მანეთ ფულათ“ (დერჩი, ჭაშლეთი). წმმ, №38/14.

კორტოხა ბრეკსქვეშ - საყანე; ტიპონიმი გვხვდება 1905 წლის 6 ოქტომბერს შედგენილ „ნასყიდობის ხელწერილში“. ქუთაისის მაზრის რიონის საზოგადოების სოფ. რიონში მცხოვრებმა მღვდელმა ტარასი ივანეს ძე მორჩაძემ და მისმა ძმამ - ისაიამ, იმავე სოფლის მკვიდრთ, ბიძაშვილებს - ანდრია, გაბრიელ, პავლე და სოლომონ სიმონის ძეთა და იასონ ფილიპეს ძე მორჩაძეებს მიჰყიდეს საყანე მიწის ნაკვეთები: კორტოხა ბრეკსქვეშ და კორტოხა ბრეკსზევით. პირველ ობიექტს აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა დომენტი და ანდრია მორჩაძეების „სამანი“, დასავლეთით - მდ. რიონი, სამხრეთით - სესია მორჩაძის ნაკვეთი, ჩრდილოეთით - თვით მღვდლის კუთვნილი მიწები, „ახალ ჩაყრილ მზღვრების სამნითა“ (რიონი). წმმ, №38/23.

კორტოხასთავი ბრეკსზევით - საყანე; ტიპონიმი დასტურდება „ნასყიდობის ხელწერილში“ (6 ოქტომბერი, 1905 წ.) საზღვრები; აღმოსავლეთით - მორჩაძეების, გოგლიჩიძისა და მხეცაძის სამანი, დასავლეთით და სამხრეთით - მღვდელ ტარასი მორჩაძისა და მისი ძმის - ისაიას, ჩრდილოეთით - მოსე გოგლიჩიძის სამანი (რიონი). წმმ, №38/23.

კორტოხეი - მიწის ნაკვეთი; ტიპონიმს ვხვდებით 1918 წლის 20 მარტით დათარიღებულ დოკუმენტში. სოფ. რიონში მცხოვრებ პავლე სიმონის ძე მორჩაძეს იმავე სოფელში მცხოვრებ სერაპიონ და ლევანტი ანდრიას ძე მორჩაძეებისათვის მიუყიდა ადგილი კორტოხეი - 1/5 ქვევა, შემდეგ საზღვრებში; დასავლეთით - მდ. რიონი, აღმოსავლეთით - დომენტი მორჩაძის, სამხრეთით - გაბრიელ მორ-

ჩადისა და ჩრდილოეთით - თვით მყიდველთა კუთვნილი მიწის ნაკვეთები (რიონი). წმმ, №38/45.

კორტოხეისთავი - მიწის ნაკვეთი რიონის დაჩაში. ტოპონიმი დამოწმებულია 1915 წლის 15 ოქტომბრის შედგენილ ნასყიდობის ხელწერილში, სადაც აღნიშნულია, რომ მღვდელმა ტარასიმ და მისმა ძმამ - აზნაურმა ისაია იოანეს ძე მორჩაძემ ამავე სოფელში მცხოვრებ სერაპიონ და ლევანტი ანდრიას ძე მორჩაძეებს მიჰყიდეს სახელდებული ობიექტი, ზომით - ათი კვადრატული საჟენი, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ალექსი მორჩაძის, დასავლეთით და ჩრდილოეთით - დომენტი მორჩაძის, ხოლო სამხრეთით - პეტრე მხეცაძის კუთვნილი მიწის ნაკვეთები. ამასთანავე, ირკვევა, რომ სახელდებული ობიექტი რიონისპირას მდებარეობდა (რიონი). წმმ, №38/17.

ლაშე - 1. მიწის ნაკვეთი („პირობის წერილი“, 1 მაისი, 1895 წ.); საზღვრები: აღმოსავლეთით და დასავლეთით - გზები, სამხრეთით - ბეკო მანაგაძის ტყე, ჩრდილოეთით - ტყე (ჭაშლეთი). წმმ, №38/39; 2. მიწის ნაკვეთი, დასახელებულია 1903 წლის 1 დეკემბერს შედგენილ „მედიატორების განჩინებაში“. ობიექტს დასავლეთით ესაზღვრებოდა ლუკა ჯიმშელეიშვილისა და ირაკლი ცინარიძის მიწის ნაკვეთები. სამხრეთით - ირაკლი ცინარიძის, ჩრდილოეთით - სერაფიონ ჯიმშელეიშვილის მიწის ნაკვეთები (გვაშტიბი). წმმ, №38/40; 2. მიწის ნაკვეთი; იხ. ზემოთ **ბიჭია მესხისოული** (რიონი).

ლეკერწა - 1. სახნავი, ტყე; სახელდებული ობიექტი (13 ქცევა) ქუთაისის მაზრის სოფელ ხომულში მცხოვრებ აზნაურებს - ნიკო პაატას ძე, სიკო, ლუარსაბ და პლატონ ლევანის ძე ღოღაბერიძეებს სენაკის მაზრის სოფელ კინჩხაში მცხოვრებ ყმა ბუჭა გიორგის ძე ქაროსანიძისათვის მიუყიდათ (ხომული). წმმ, №7177/დ-2522; 2. ტოპონიმს ვხვდებით 1875 წლის 25 ივლისით დათარიღებული „ნასყიდობის წერილში“. წყალტუბოს საზოგადოების სოფელ ხომულში

მცხოვრებ აზნაურებს - ნიკო პატარიძეს, სიკო, ლუარსაბ და პლატონ ლევანის ძე ღოღაბერიძეებს, იმავე საზოგადოებაში მცხოვრები ყმებისთვის - სიმონ გაბრიელის ძისა და მისი შვილებისთვის - ნიკო, ივანე, მოსე, მარკოზ და კონსტანტინე ქაროზანიძეებისთვის მიუყიდათ 4 ქვევა მიწის ნაკვეთი, ლეკერწად წოდებული. (ხომული) წმმ, №7184/დ-2530; 3. 1887 წლის 22 მარტით დათარიღებული „ნასყიდობის წერილის“ თანახმად, ქვილიშორელ ყმებს - ნიკო, მოსე, მარკოზ და კონსტანტინე სიმონის ძე ქაროზანიძეებს მიწის ნაკვეთი ლეკერწა მიუყიდათ იმავე სოფელში მცხოვრები გლეხისათვის - ბუჭა გიორგის ძე ქაროზანიძისათვის, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ქორქაშვილების, სამხრეთით - მღვდელ ბუჭა ქაროზანიძის მიწის ნაკვეთები, ხოლო დასავლეთით და ჩრდილოეთით - გზა (ქვილიშორი). წმმ, №7178/დ-2524; 4. მიწის ნაკვეთი; მოიხსენიება 1890 წლის 1 აპრილით დათარიღებულ დოკუმენტში. აზნაურ ღოღაბერიძეებს სახელდებული ობიექტი მიუყიდათ ქვილიშორელ ბუჭუა გიორგის ძე ქაროზანიძისათვის. საზღვრები: აღმოსავლეთით - მყიდველის ეზო, დასავლეთით - გზა, ჩრდილოეთით და სამხრეთით - გლეხ სესია კინწურაშვილის კუთვნილი მიწის ნაკვეთი (ხომული); წმმ, №7186/დ-2532. ტოპონიმი „ლეკერწა“ დასტურდება „კვიტანციაშიც“ (1 ოქტომბერი, 1906 წ.). წმმ, №7188/დ-2534; 5. სახნავი, ტყე; ტოპონიმი დასტურდება 1906 წლის 1 ოქტომბრით დათარიღებული „ნასყიდობის ხელწერილში“, სადაც აღნიშნულია, რომ აზნაურმა პლატონ ლევანის ძე ღოღაბერიძემ წყალტუბოს საზოგადოების სოფ. ქვილიშორში მცხოვრებ ფილიპე ბუჭუას ძე ქაროზანიძეს მიჰყიდა სოფ. ხომულში, დაჩაში მდებარე სახნავი და ტყიანი ადგილი ლეკერწას“ სახელწოდებით, „რომელიც დაკორღნილი არის“, და ისაზღვრებოდა შვანგირაძისა და ღოღაბერიძეების კუთვნილი მიწის ნაკვეთებით (ხომული). წმმ, №7190/დ - 2536. ტოპონიმს ვხვდებით არაერთ სხვა დოკუმენტშიც.

ლეყერეთი - სოფელი; დასახელებულია „პირობის წერილში“ (1 მაისი, 1895 წ.). წმმ, №38/39.

მამუკაჩასული - მიწის ნაკვეთი; საზღვრები: აღმოსავლეთით - ვასილ სესიას ძე კიბორძალიძის სამოსახლო, დასავლეთით - „მამული დაბლარი“, ჩრდილოეთით - „მაღლარი მამული“ მიხეილ პავლეს ძე კიბორძალიძისა და სამხრეთით - გზა (ჭაშლეთი). ტოპონიმი მოიხსენიება 1895 წლის 1 მაისის შედგენილ „პირობის წერილში“. წმმ, №38/39.

მაღლარის სახარდნე - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1903 წლის 1 დეკემბერს შედგენილ „მედიატორების განჩინებაში“. საზღვრები: აღმოსავლეთით - სერაფიონ ჯიმშელიეიშვილის, დასავლეთით - ბასილ ჯიმშელიეიშვილის, სამხრეთით - იესე ჯიმშელიეიშვილის, ჩრდილოეთით - როსტომ ჯიმშელიეიშვილის მიწის ნაკვეთები. წმმ, №38/40.

მელოური - მიწის ნაკვეთი; საზღვრები: „დავით მამუკას ძის და მისი ძმისწულების ზიარი, რომლებიდგანაც ნახევარი ეკუთნის სერაფიონს და მის მონაწილეებს და დავითს და მის მონაწილეებს და მეოთხე ნახევარი დავით მამუკას ძეს ჯიმშელიეიშვილს და მის ძმისწულებს“ (1 დეკემბერი. 1903 წ., „მედიატორების განჩინება“) წმმ, №38/40.

მუხნარე - მიწის ნაკვეთი; გვამტიბის საზოგადოების სოფ. ცხუნკურში მცხოვრები გლეხი დომეტი ნიკოლოზის ძე ჯიმშელიეიშვილი სახელდებულ ობიექტს უცვლის სხვას. დოკუმენტი 1910 წლის 28 ტებერვლით თარიღდება (ცხუნკური). წმმ, №38/02.

მუხნარი - მიწის ნაკვეთი; ტოპონიმი დასახელებულია 1910 წლის 28 თებერვლით დათარიღებულ საბუთში: გვამტიბის საზოგადოების სოფელ ცხუნკურში მცხოვრებმა გლეხმა დომენტი ნიკოლოზის ძე ჯიმშელიეიშვილმა სახარდნე ადგილი „მუხნარე“ „მოუცვალა“ დავით სიმონის ძე ჯიმშელიეიშვილს. სხელდებული ობიექტის საზ-

ღვრები: აღმოსავლეთით - ირაკლი ჯიმშელიშვილის, დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით - თვით დავით ჯიმშელიშვილის კუთვნილი მიწის ნაკვეთები (ცხუნკური). წმმ, №38/02.

ნატბევი - მიწის ნაკვეთი (20 მარტი, 1918 წ.); საზღვრები: აღმოსავლეთით - ექვთიმე გოგილჩაძის, დასავლეთით - გაბრიელ მორჩაძის, სამხრეთით - ილიკო და სიმონ გოგილჩაძეების, ჩრდილოეთით - გერასიმე გოგილჩაძის კუთვნილი მიწის ნაკვეთები, ჩრდილოეთიდანვე - ხატის ადგილები. ამ საზღვრებში მოქცეული ობიექტი სოფ. რიონში მცხოვრებ პავლე სიმონის ძე მორჩაძეებს მიუყიდა სერაპიონ და ლევანტი ანდრიას ძე მორჩაძეებისათვის (რიონი). წმმ, №38/45.

ნამეწყრი - მიწის ნაკვეთი (17 აპრილი, 1879 წ.): „ნამეწყრის ადგილი მანაგაძის ყანის ბოლოზედ არის ადამუკის და ხუცის“ (ჭაშლეთი). წმმ, №38/20.

ნასენავარი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1903 წლის 1 დეკემბერს შედგენილ „მედიატორების განჩინებაში“. ობიექტი მოქცეული იყო შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - სერაფიონ ჯიმშელიშვილის, დასავლეთით - ნიკო ჯიმშელიშვილის, სამხრეთით - მიქაელ ჯიმშელიშვილის მიწის ნაკვეთები. ჩრდილოეთით საზღვარი სოფ. ძეძილეთზე გადიოდა (ცხუნკური). წმმ, №38/40.

ნასიმიდარის სახარდნე - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1903 წლის 1 დეკემბერს შედგენილ „მედიატორების განჩინებაში“. საზღვრები: აღმოსავლეთით - იესე ბასილას ძე ჯიმშელიშვილის, დასავლეთით - სერაფიონ ჯიმშელიშვილის, ჩრდილოეთით - როსტომ ჯიმშელიშვილის მიწის ნაკვეთები, სამხრეთით - გზა (ცხუნკური). წმმ, №38/40.

ნაყანევა - მიწის ნაკვეთი (17 აპრილი, 1879 წ.): „შემოსაზღვრული ხუცის საკუთრება არის“ (ჭაშლეთი). წმმ, №38/20.

ნაყვერბალას თავი - მიწის ნაკვეთი (17 აპრილი, 1879 წ.): „ცირ-ლილამის საზღვრებშუა ერგება რამოდენიმე ნაწილი ხუცესს“ (ჭამ-ლეთი) წმმ, №38/20.

ნაყვერბალი - სახნავი მიწა („პირობის წერილი“, 1 მაისი, 1895 წ.); აღმოსავლეთით - ბუჭუნა კენჭადის, დასავლეთით - ბასილა კურციკიძის, სამხრეთით და ჩრდილოეთით - პავლე ჩუბინიძის მიწის ნაკვეთები ესაზღვრებოდა (ჭამლეთი). წმმ, №38/39.

ნახისტერისოული (?) - საკარმიდამო ადგილი; ტოპონიმი დასტურდება „მოცვლილობის წერილში“ (შედგენილი „ჩყნე~სა წელსა აგვისტოს ე~სა დღესა“), სადაც აღნიშნულია, რომ ქუთაისის მაზრის სიმონეთის „უჩასტკის“ სოფელ ზარათში მცხოვრებმა აზნაურმა ბიჭია ოქროპირის ძე ჭაბუკიანმა იმავე სოფელში მცხოვრებ სახაზინო ყმას - ლევან ნიკოლოზის ძე ძოწენიძეს მოუცვალა „სამოსახლო ადგილი სახელწოდებული ნახისტრის სოული“, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ბასილა არიშვილისა და ბიჭია ჭაბუკიანის სახლისკაცის - პეტრე ჭაბუკიანის კუთვნილი მიწა (ზარათი). წმმ, №38/37.

ობოლეთი - 1. მიწის ნაკვეთი; დასტურდება 1918 წლის 20 მარტით დათარიღებულ საბუთში: „ზომით... მთელათ ექვსი ქცევა, რომელიც აღნიშნულია მექვეანის პლანშიდ № 3“. სახელდებული ობიექტი წარმოადგენდა „დაკორღნილ ადგილს“. საზღვრები: გაბრიელ, ტარასი და გარსევან მორჩაძეების, დასავლეთით - პავლე და ანანია მორჩაძეების. სამხრეთით - ანანია მორჩაძის კუთვნილი მიწის ნაკვეთი, სამხრეთით აგრეთვე - ლეღე, ჩრდილოეთით - ტარასი და გარსევან მორჩაძეების მიწები; 2. მიწის ნაკვეთი; „ნახევარი ქცევა“, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ტარასი და გარსევან მორჩაძეების, სამხრეთით - პავლე და ანანია მორჩაძეების, დასავლეთით - ტარასი მორჩაძისა და ერმილე ჯღამაძის კუთვნილი მიწის ნაკვეთები, ჩრდილოეთით - მდ. რიონი (რიონი). წმმ, №38/11.

ობოლეთი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1918 წლის 20 მარტით დათარიღებულ საბუთში, როგორც „სიკოლია მორჩაძის სოფელი“. სახელდებული ობიექტი ანდრია მორჩაძეს უფროსი შვილისთვის სამოსახლოდ მიუცია (რიონი). წმმ, №38/04.

ონჭეიში - სოფელი; დასახელებულია „პირობის წერილში“ (1 მაისი, 1895 წ.). წმმ, №38/09.

ორბოულა - მიწის ნაკვეთი (17 აპრილი, 1879წ.): „ხუცისა და ადამუკეის არის ცირღილაძისა და მანაგაძის საზღვრებ შუა“ (ჭაშლეთი). წმმ, №38/20.

ოხოლვანი - მიწის ნაკვეთი ჭაშლეთში. „ჩვენ ექვსმა პირმა ესრეთ ვიცით ოხოლვანის ადგილი რცხილართან ირგვლივ შემოსაზღვრული ეს არის ადამუკა და მღვდლის გიგო კიბორძალიძენის“ („ფიცის წიგნი“, 17 აპრილი, 1879 წ.) წმმ, №38/20; 2. სახნავი მიწა („პირობის წერილი“, 1 მაისი, 1895 წ.). სახელდებულ ობიექტს აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა ვასილ სესიას ძე კიბორძალიძის, დასავლეთით - ბეკო მანაგაძის. სამხრეთით - დავით ასათიანისა და ჩრდილოეთით - ბუჭუა კიკოლიაშვილის კუთვნილი მიწის ნაკვეთები (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

ოჯიშვილე - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1918 წლის 20 მარტს შედგენილ დოკუმენტში, სადაც აღნიშნულია, რომ სახელდებული ობიექტი სერაპიონ და ლევანტი მორჩაძეებს უყიდიათ სოფ. რიონში მცხოვრებ პავლე სიმონის ძე მორჩაძისაგან (რიონი). წმმ, №38/45.

პარტახი - მიწის ნაკვეთი (17 აპრილი, 1879 წ.): „პარტახის ადგილი ქურციკიძის ადგილთან ადამუკეის და ხუცის არის“ (ჭაშლეთი). წმმ, №38/20.

პარტახისბოლო - სახნავი მიწა; ტოპონიმი დასტურდება 1895 წლის 1 მაისს შედგენილ „პირობის წერილში“ და საზღვრებად მითითებულია: „სამის კუთხით ტყე პეტრე კიკოლიაშვილისა“ და დასავ-

ლეთით ბეკო მანაგაძის კუთვნილი მიწის ნაკვეთი (ჭაშლეთი). წმმ, №38/38.

პარტახის ტყე - ტყე; ტოპონიმი დასტურდება 1895 წლის 1 მაისის შედგენილ „პირობის წერილში“. საზღვრები: აღმოსავლეთით - პავლე ჩუბინიძის, დასავლეთით - ბასილ კურციკიძის, ჩრდილოეთით - ბეკო მანაგაძის კუთვნილი მიწის ნაკვეთები, სამხრეთით - მდინარე „ღელე“ (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

რიონი - 1. მდინარე; დასახელებულია 1918 წლის 20 მარტით დათარიღებულ საბუთში. წმმ, №38/11; 2. სოფელი; დასახელებულია 1895 წლის 1 მაისის შედგენილ „პირობის წერილში“; წმმ, 38/39; 1918 წლის 20 მარტს შედგენილ დოკუმენტში. წმმ, №38/45.

რიონის დაჩა - მდინარისპირა ჭალა; ტოპონიმი დასახელებულია 1915 წლის 15 ოქტომბრითა და 1918 წლის 20 მარტით დათარიღებულ საბუთებში (რიონი). წმმ, №38/17; №38/19.

რცხილარი - მიწის ნაკვეთი ოხოლვანთან (17 აპრილი, 1879 წ.); „ჩვენ ექვსმა პირმა ესრეთ ვიცით ოხოლვანს ადგილი რცხილართან“ (ჭაშლეთი). წმმ, №38/20.

საბრეგელა - მიწის ნაკვეთი; 1895 წლის 1 მაისის შედგენილ „პირობის წერილში“ მოცემულია შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - სოფ. ჩორთისის, დასავლეთით - სოფ. ონჭეიშის, სამხრეთით - სოფ. ლეყერეთის ტყეები, ჩრდილოეთით - სოფ. ჭაშლეთის სახნავები. საბრეგელა ეწოდება მთას ჩორთისასა და ჭაშლეთში; ტყეს ჯვარისაში, ლეხიდრისთავში, ჩორთისასა და ჭაშლეთში. საბრეგელი ტყეა სორმონში (წყალტუბოს რ-ნი), ხოლო საბრეგისთავი სახნავის სახელწოდებაა შუყერში (ტყიბულის რ-ნი) (ჭაშლეთი). წმმ, №38/39; 2. დასტურდება 1918 წლის 20 მარტის საბუთში, როგორც „ძმების ზიარი“ (რიონი). წმმ, №38/04.

საბრეგველა - 1. („ფიცის წიგნი“, 17 აპრილი, 1879 წ.): „საბრეგველას კიდევ პატარა ადგილი საყანე რამოდენიმე ნაწილი ერგებათ

ხუცესს და ადამუკას მანაგაძის და კიბორძალიძის ყანას გარდმოღ-
მა“, „საბრეგველაში კიდევ ყანის ადგილი რამოდენიმე ნაწილი ერგე-
ბათ ხუცესს და ადამუკას კიბორძალიძის საზღვრის ყელზედ“ (ჭაშ-
ლეთი). წმმ, №38/20; 2. სახნავი მიწა (ჭაშლეთი); საზღვრები: აღმო-
სავლეთით - გოგია ბუცხრიკიძისა და „სამის მხრით მცხოვრებნი
სოფლის ჭაშლეთის ადგილები“ („პირობის წერილი“, 1895 წ. 1 მაი-
სი). დოკუმენტში, სხვა ადგილას „საბრეგველა“ შემდეგ საზღვრებშია
მოქცეული: 1. აღმოსავლეთით - პეტრე კიკოლიაშვილის, დასავლე-
თით - გოგია მანაგაძის, სამხრეთით - პავლე ჩუბინიძისა და ჩრდი-
ლოეთით - ბეკო მანაგაძის კუთვნილი მიწის ნაკვეთები; 2. აღმოსავ-
ლეთით და დასავლეთით - პავლე ჩუბინიძის ტყე, სამხრეთით - ბე-
კო მანაგაძის კუთვნილი მიწის ნაკვეთი. ჩრდილოეთით - ღელე; 3.
აღმოსავლეთით - ვასილ სესიას ძე კიბორძალიძის კუთვნილი ადგი-
ლი, დასავლეთით - გოგია მანაგაძის, სამხრეთით და ჩრდილოეთით
- ღელეები (ჭაშლეთი). წმმ, №38/39; 3. მიწის ნაკვეთი (20 მარტი, 1918
წ.); საზღვრები; აღმოსავლეთით იოსებ მორჩაძის. დასავლეთით - ან-
ტონ გოგილჩაძის, სამხრეთით - ანანია მორჩაძისა და ჩრდილოეთით
- თვით სერაპიონ და ლევანტი მორჩაძეების კუთვნილი მიწის ნაკვე-
თები (რიონი). წმმ, №38/45;

საბრეგველას ყანა - საყანე (17 აპრილი, 1879 წ.): „ჩვიბანიძის ყა-
ნას ქვეშ ერგებათ რამოდენიმე ნაწილი ადამუკას და ხუცესს“ (ჭაშ-
ლეთი). წმმ, №38/20.

საისლია - მიწის ნაკვეთი („მედიატორების განჩინება“, 1903 წ.,
1 დეკემბერი); 1. საზღვრები: აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით -
ბასილ ჯიმშელეიშვილის, დასავლეთით - სერაფიონ ჯიმშელეიშვი-
ლის, სამხრეთით - ილარიონ ჯიმშელეიშვილის მიწის ნაკვეთები; 2.
მიწის ნაკვეთი; საზღვრები: აღმოსავლეთით ბასილ ჯიმშელეიშვი-
ლის, დასავლეთით - ფარნაოზ ჯიმშელეიშვილის მიწის ნაკვეთები,
სამხრეთით - სერაფონი, ჩრდილოეთით - დიმიტრი ცინარიძის მიწი

ნაკვეთი; 3. მიწის ნაკვეთი; საზღვრები: აღმოსავლეთით - ალექსი ჯიმშელეიშვილის, დასავლეთით - ბასილ ჯიმშელეიშვილის, სამხრეთით - სერაფიონ შვანგირაძის მიწის ნაკვეთები, ჩრდილოეთით - სერაფიონ ჯიმშელეიშვილის მიწის ნაკვეთები. წმმ, №38/40.

საისლიეს სახარდნე - მიწის ნაკვეთი („მედიატორების განჩინება“, 1903 წლის 1 დეკემბერი); საზღვრები; აღმოსავლეთით - ალექსი და ფარნაოზ ჯიმშელეიშვილების. დასავლეთით - კოსტა ჯიმშელეიშვილის, ჩრდილოეთით - ნიკო ჯიმშელეიშვილის მიწის ნაკვეთები, სამხრეთით - სერაფიონი. წმმ, №38/40.

საკიბორძალიძო - დასახელებულია 1895 წლის 1 მაისს შედგენილ „პირობის წერილში“ (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

სალოცველა - სახნავი მიწა; საზღვრები: აღმოსავლეთით - ბუჭუა კურციკიძის, ჩრდილოეთით - ბეკო მანაგაძისა და დასავლეთით - ბუჭუნა კენჭაძის მიწის ნაკვეთები, სამხრეთით - მიხეილ კიბორძალიძის ტყე (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

სამანჩვია - მიწის ნაკვეთი; ტოპონიმი დასტურდება ვასილ სესიას ძე კიბორძალიძის მიერ 1895 წლის 1 მაისს მიხეილ პავლეს ძე კიბორძალიძისადმი მიცემულ „პირობის წერილში“, და საზღვრებად მითითებულია: აღმოსავლეთით - გზა, დასავლეთით - ვასილ კიბორძალიძის „ადგილი“, სამხრეთით - პავლე ჩუბინიძის მიწის ნაკვეთი და ჩრდილოეთით - ბეკო მანაგაძის ტყე (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

სამანჩვიას ცივწყალა - მიწის ნაკვეთი (17 აპრილი, 1879 წ.): „რამოდენიმე ნაწილი ერგება ხუცესს“ (ჭაშლეთი). წმმ, №38/20.

საროკუა - მიწის ნაკვეთი (1903 წლის 1 დეკემბერი); საზღვრები: აღმოსავლეთით ბასილ ჯიმშელეიშვილის, დასავლეთით - სერაფიონ ჯიმშელეიშვილის, სამხრეთით -ლუკა ჯიმშელეიშვილის, ჩრდილოეთით - ივანე ჯიმშელეიშვილის კუთვნილი მიწის ნაკვეთები. წმმ, №38/40.

საროკუს სახარდნე - მიწის ნაკვეთი (1903 წლის 1 დეკემბერი); საზღვრები: აღმოსავლეთით - სერაფონი, დასავლეთით - პარმენ ცინარიძის, სამხრეთით - ალექსი და სერაფიონ ჯიმშელეიშვილების, ჩრდილოეთით - სესია და მიქაელ ჯიმშელეიშვილების მიწის ნაკვეთები. წმმ, №38/40.

სასაფლაოს ადგილი - სასაფლაო ჭაშლეთის მაცხოვრის ეკლესიის შემოგარენში; დასახელებულია „პირობის წერილში“ (1 მაისი, 1895 წ.). წმმ, №38/39.

საფიჩხია - მიწის ნაკვეთი; ტოპონიმი დასტურდება 1922 წლის 27 იანვარს შედგენილ „პირობის ხელწერილში“, სადაც აღნიშნულია, რომ სოფ. რიონში მცხოვრებმა ონისიმე, კატოლა და ლომნა იესეს ძე მორჩაძეებმა ამავე სოფელში მცხოვრებ სერაპიონ და ლევანტი ანდრიას ძე მორჩაძეებს 600 000 მანეთად მიჰყიდეს „მამაპაპისოული ადგილი“, დაახლოებით 4 ქვევა, სახელწოდებით „საფიჩხია“, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - გზა, დასავლეთით - კოსტა და მაქსიმე მხეცაძეების, სამხრეთით - გიგო და სერაპიონ მორჩაძეების, ხოლო ჩრდილოეთით - ერმილე ჯღამაძის კუთვნილი მიწის ნაკვეთები (რიონი), წმმ, №38/19.

საფიცობელი - მიწის ნაკვეთი; ტოპონიმი გვხვდება 1901 წლის 16 სექტემბერს შედგენილ „ნასყიდობაში“. მესაკუთრე გლახებს დათიკა და ლევანტი კიბორძალიძეებს მიხეილ ჰავლეს ძე კიბორძალიძისათვის მიუყიდიათ სახელდებული ობიექტი, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ბეკო მანაგაძის, დასავლეთით - მღვდელ მათე ხვადაგიანის, აგრეთვე აკოფა კენჭაძის, ჩრდილოეთით - ივანე და ანტონ კიკოლიაშვილების კუთვნილი მიწები, სამხრეთით - გზა (ჭაშლეთი). წმმ, №38/33.

საშეჭურა - მინდორი; ტოპონიმი დასტურდება ვასილ სესიას ძე კიბორძალიძის მიერ მიხეილ ჰავლეს ძე კიბორძალიძისადმი 1895 წლის 1 მაისს მიცემულ „პირობის წერილში“. საზღვრები: აღმოსავ-

ლეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით - მაღლარი (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

საცორებელასთავი - მიწის ნაკვეთი („პირობის წერილი“, 1 მაისი, 1895 წ.); საზღვრები: დასავლეთით და ჩრდილოეთით - ბუჭუნა კენჭაძის, სამხრეთით - ბასილა ქურციკიძის, აღმოსავლეთით - ვასილ სესიას ძე კიბორძალიძის მიწის ნაკვეთები (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

საწისქვილო - მიწის ნაკვეთი ვათეთრას ნაპირზე („პირობის წერილი“, 1 მაისი, 1895 წ.); საზღვრები: აღმოსავლეთით ბერუკელა ძნელაძის კუთვნილი მიწა, დასავლეთით - გლახუა ჩუბინიძის, სამხრეთით - პავლე ჩუბინიძის ტყეები, ჩრდილოეთით - პეტრე კიკოლიაშვილის სახნავი მიწები. ამ საზღვრებში მოქცეული მიწის ნაკვეთის „ორი კვადრატნი საყენი მეტი ანუ ნაკლები“ ერგებოდა „პირობის წერილის“ შემდგენელს - ვასილ სესიას ძე კიბორძალიძეს (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

საწუნა - მიწის ნაკვეთი (1 მაისი, 1895 წ.); საზღვრები: აღმოსავლეთით - ვასილ კიბორძალიძის სახნავი მიწის ნაკვეთი, დასავლეთით - უშანგ ასათიანის ტყე, სამხრეთით - ბეკო მანაგაძისა და ჩრდილოეთით - გლახუა ჩუბინიძის სახნავი მიწის ნაკვეთები (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

საჭილია - დასტურდება 1911 წლის 19 დეკემბრით დათარიღებულ „ფარდის წერილში“. ანდრია სიმონის ძე მორჩაძე უფროს შვილს - სერაპიონს სამოსახლოდ მისცა „საჭილია“, მიწის სხვა ნაკვეთებთან ერთად (რიონი). წმმ, №38/04.

სახტარისის ტყე - ტყე; ტოპონიმი დასტურდება 1895 წლის 1 მაისს შედგენილ „პირობის წერილში“. საზღვრები: აღმოსავლეთით - გზა, დასავლეთით - დაბლარმამული, სამხრეთით - პეტრე კიკოლიაშვილის, ჩრდილოეთით - ბუჭუნა კიკოლიაშვილის ტყე (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

სახტრის მინდორი - მინდორი; ისაზღვრებოდა დასავლეთით და სამხრეთით - გზით, აღმოსავლეთით - სერაფიონ ჯიმშელიძევილის, ჩრდილოეთით - თეიმურაზ ჯიმშელიძევილის ეზოთი. წმმ, №38/40.

სემი - მდინარე; ჰიდრონიმს ვხვდებით „ნასყიდობის ხელწერილში“ (23 მარტი, 1891 წ.). სოფ. ცხუნკურში მცხოვრებმა გლეხმა ნიკო მამისთვალის ძე ჯიმშელიძე იმავე სოფელში მცხოვრებ ძმებს - იესე, დათა, ნესტორა და გერასიმე სიმონის ძე ჯიმშელიძევილებს მიჰყიდა მისი წილი („მოცედი ნაწილი“) სამთავლიანი წისქვილისა, „მდგომარე მდინარეს სემში“ (ცხუნკური). წმმ, 38/47; 1893 წლის 2 თებერვლით დათარიღებული „ფარდის წერილით“ ირკვევა, რომ მესაკუთრე გლეხს - სიმონ დავითის ძე ჯიმშელიძევილის და მის შვილებს - იესეს, დავითს, ნესტორსა და გერასიმეს წისქვილი უდგათ „მდინარე სემში“. წმმ. №38.

სიმონიკასეული - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1895 წლის 1 მაისს შედგენილ „პირობის წერილში“. საზღვრები: აღმოსავლეთით - თედორე კიბორძალიძის მაღლარი და „შიარი მამულები“, ჩრდილოეთით - მიხეილ პავლეს ძე კიბორძალიძის მაღლარი (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

სიპისას გზისყელი - მიწის ნაკვეთი (17 აპრილი, 1897 წ.): „სიპისას გზის ყელზე წაბლარი არის ხუტის კვირია ჭელიძის ზიარად“ (ჭაშლეთი). წმმ, №38/20.

სხეორიში - მიწის ნაკვეთი (17 აპრილი, 1879წ.): „არის ადამუკეის საკუთრად, თავის შემოზომით“ (ჭაშლეთი). წმმ, №38/20.

ტონტორეისოული - დასტურდება 1911 წლის 19 დეკემბრით დათარიღებულ „ფარდის წერილში“, რითაც ირკვევა, რომ ანდრია სიმონის ძე მორჩაძეს უფროსი შვილისთვის - სერაპიონისთვის სამოსახლოდ მიუცია სახელდებული ობიექტი, ტარასი მორჩაძისგან ნასყიდი, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - გზა და თვით ანდრია

მორჩადის კუთვნილი მიწის ნაკვეთი, დასავლეთით - სოლომონ მორჩადის, ჩრდილოეთით - ანდრია მორჩადის კუთვნილი მიწის ნაკვეთები, სამხრეთით - გზა (რიონი). წმმ, №38/04.

ტონტორეისოული - მიწის ნაკვეთი რიონის „დაჩაში“. ობიექტი დასახლებულია 1915 წლის 15 ოქტომბერს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“. მღვდელმა ტარასიმ და მისმა ძმამ აზნაურმა ისაია იოანეს ძე მორჩაძემ ამავე სოფელში მცხოვრებ სასულიერო პირებს - სერაპიონ და ლევანტი ანდრიას ძე მორჩაძეებს მიჰყიდეს სახელდებული ობიექტი, „ზემოთ... მესამედი ქცევა“, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ანდრია სიმონის ძე მორჩადის, დასავლეთით და ჩრდილოეთით - მიწის ნაკვეთის გამყიდველთა კუთვნილი მიწები, ხოლო სამხრეთით - გზა (რიონი). ტოპონიმი დამოწმებულია აგრეთვე 1908 წლის 17 აგვისტოს შედგენილ ნასყიდობის წერილში. წმმ, №38/16; №38/17.

ულელტეხილისბოლო - ადგ. (1903 წლის 1 დეკემბერი); საზღვრები: აღმოსავლეთით - ლუკა, დომენტი და ბასილი ჯიმშელიშვილების, დასავლეთით - სერაფიონ ჯიმშელიშვილის, სამხრეთით - ივანე ჯიმშელიშვილის, ჩრდილოეთით - გაბრიელ და სიმონ მიქელას ძე ჩიხლაძეების კუთვნილი მიწის ნაკვეთები. წმმ. №38/40.

ქვაბისთავის სახარდნე - მიწის ნაკვეთი (1 დეკემბერი, 1903 წ., „მედიატორების განჩინება“); საზღვრები: აღმოსავლეთით - ალექსი და ფარნაოზ ჯიმშელიშვილების, სამხრეთით - ალექსი შვანგირაძის, ჩრდილოეთით - მიქელ ჯიმშელიშვილის დასავლეთით სერაფიონ ჯიმშელიშვილის მიწის ნაკვეთებს. წმმ, №38/40.

ქვაბისთავის წიახისთავი - საყანე ადგილი (1 დეკემბერი, 1903 წ., „მედიატორების განჩინება“); დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მიწის „ნახევარი ეკუთვნის სერაფიონს და მის მონაწილეებს და მეორე ნახევარი დავითს და მის მონაწილეებს“. წმმ, №38/40.

ქვილოშორი - სოფელი. დამოწმებულია ღოღობერიძეთა „პირობის ხელწერილში“. წმმ, №7181/2527.

ღელე - მითითებულია მდინარის სახელწოდებად 1895 წლის 1 მაისს შედგენილ „პირობის წერილში“, სადაც აღნიშნულია, რომ ეს მდინარე სამხრეთიდან საზღვრავს პარტახის ტყედ სახელდებულ ობიექტს (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

ღელედი - 1. მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1903 წლის 1 დეკემბერს შედგენილ „მედიატორების განჩინებაში“. ობიექტი ისაზღვრებოდა აღმოსავლეთით- სიმონ ჯიმშელეიშვილის, დასავლეთით - სერაფიონ ჯიმშელეიშვილის, ჩრდილოეთით - დიმიტრი ცინარიძის კუთვნილი მიწის ნაკვეთებით, და სამხრეთით - გზით. წმმ, №38/40; 2. საყანე; გვხვდება 1916 წლის 8 ნოემბერს შედგენილ „პირობის ხელწერილში“. გვამტობის საზოგადოების სოფ. ცხუნკურში მცხოვრებმა დავით და გერასიმე ჯიმშელეიშვილებმა ერთმანეთს გაუცვალეს საყანე მიწის ნაკვეთები. დავითს ერგო „საყანე ორი ნაკვეთი თავის საკავებლით“. წმმ, №38/24.

ჩორთისა - სოფელი („პირობის წერილი“, 1 მაისი, 1895 წ.). წმმ, №38/39.

ჩრტილის ჭალა - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1903 წლის 1 დეკემბერს შედგენილ „მედიატორების განჩინებაში“. ობიექტს აღმოსავლეთიდან და სამხეთიდან ესაზღვრებოდა სერაფიონ ჯიმშელეიშვილის, დასავლეთიდან - დავით ჯიმშელეიშვილის მიწის ნაკვეთები, ჩრდილოეთით - გზა. წმმ, №38/40.

ჩუნეში - სოფელი; კომონიმი დასტურდება 18 წლის აგვისტოს შედგენილ ნასყიდობის ხელწერილში, სადაც აღნიშნულია, რომ ხონის „უჩასტკის“ სოფ. ჩუნეში მცხოვრებმა თავადმა სიკო დავითის ძე ლორთქიფანიძემ და მისმა შვილმა ტაიამ სოფ. ცხუნკურში მცხოვრებ საეკლესიო ყმებს მამუკა ივანეს ძე ჯიმშელეიშვილს და მის შვილებს, აგრეთვე საბაია და სიმონა (?) დავითის ძე ჯიმშელეიშვილებს

მიჰყიდეს ნასხიდელა ჯიმშელეიშვილისეული ექვსი ქცევა მიწის ნაკვეთი. წმმ, №38/36.

ცაცხვის ტყე - ტყე; დასახელებულია „პირობის წერილში“ (1 მაისი, 1895 წ.); საზღვრები: აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით - გზა, დასავლეთით - ბუჭუა კიკოლიაშვილის, სამხრეთით - ვასილ სესიას ძე კიბორძალიძის მიწის ნაკვეთები (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

ცივწყალა - მიწის ნაკვეთი; საზღვრები: „სამის მხრით ტყე პავლე ჩუბინიძის“, ჩრდილოეთით-ვასილ სესიას ძე კიბორძალიძის სახნავი (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

ცივწყალა//ცივცკალა - სახნავი მიწა; დასტურდება 1895 წლის 1 მაისს შედგენილ „პირობის წერილში“. საზღვრები: აღმოსავლეთით - გზა, სამხრეთით - ვასილ სესიას ძე კიბორძალიძის ტყე, ჩრდილოეთით ბეკო მანაგაძის ტყე (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

ცივწყალე - მიწის ნაკვეთი (1903 წლის 1 დეკემბერი); საზღვრები: აღმოსავლეთით 0 გიგო კეთილაძისა და სერაფიონ ჯიმშელეიშვილის, დასავლეთ - მიქაელ ჯიმშელეიშვილის, სამხრეთით - გლახუა ჯიმშელეიშვილის, ჩრდილოეთით - აბსილ სულაბერიძის მიწის ნაკვეთები. წმმ, №38/40.

ცხუნკური - სოფელი; დასახელებულია 1900 წლის 18 სექტემბერს შედგენილ პირობის ხელწერილში, როგორც ქუთაისის მაზრის გვაშტიბის საზოგადოებაში შემავალი სოფელი. წმმ, №38/51.

ცხუნკური - სოფელი; კომონიმი დასტურდება 18 წლის აგვისტოს შედგენილ ნასყიდობის ხელწერილში, საიდანაც ირკვევა, რომ სოფ. ჩუნეშში მცხოვრებ თავად სიკო დავითის ძე ლორთქიფანიძეს ცხუკურში მცხოვრები საეკლესიო ყმებისთვის მიუყიდა ექვსი ქცევა მიწის ნაკვეთი. წმმ, №38/36.

წაბლარი - 1. ტყიანი მინდორი; ტოპონიმი დამოწმებულია 1904 წლის 4 იანვრით დათარიღებულ საბუთში, საიდანაც ირკვევა,

რომ ქუთაისის მაზრის სოფელ რიონში მცხოვრებმა მღვდელმა ტარასიმ და მისმა ძმამ - ისაია იოანეს ძე მორჩაძეებმა გაყიდეს კუთვნილი ტყიანი ადგილი „წაბლარი“, შემდეგ საზღვრებში: დასავლეთით და ჩრდილოეთით - ღელე და „კორღნები“, ერთთვალისანი ღელის წისქვილით. „შენობით და მოწყობილობით“, რაც შეუძენია ანდრია სიმონის ძე და მღვდელ ალექსი ივანეს ძე მორჩაძეებს (რიონი). წმმ, №38/15; 2. დასტურდება 1918 წლის 20 მარტის საბუთში, როგორც „ძმების ზიარი“ (რიონი). წმმ, №38/04.

წაბლარისგორა - 1. ტყე (17 აპრილი, 1879 წ.); „წაბლარის გორის ადგილი ტყე გამოღმა ერგებათ ადამუკას და ხუცესს საზიაროდ“ (ჭაშლეთი). წმმ, №38/20; 2. მიწის ნაკვეთი („პირობის წერილი“, 1 მაისი, 1895 წ.); საზღვრები: დასავლეთით - გიგო ჭელიძის ტყე, სამხრეთით - ბუჭუნა კურციკიძის, ჩრდილოეთით - ვასილ კიბორძაძის, აღმოსავლეთით - ბუჭუნა კიკოლიაშვილის მიწის ნაკვეთები (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

წაბრალი - ტოპონიმი დამოწმებულია 1918 წლის აპრილის შედგენილ საბუთში (რიონი). წმმ, №38/12. სხვა დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „რიონის დაჩაშიდ ზემლემრის მიერ ადგილების კორღნობის დროს მოუტანა კორღანშიდ დაკორღნილი დარჩა ეხლად გარდაცვალებულის მამაჩემის მღვდლის იოანე მორჩაძის სახელზედ თქვენ საკუთრება ადგილი მდებარე რიონის დაჩაშიდ სახელდობ „წაბრალი“, ზომით განი თავშიდ ვორსაჟენნახევარი და ბოლო სამი საჟენი და სიგრძით ვოცი საჟენი“. მოცემულია საზღვრებიც: აღმოსავლეთით - გზა, დასავლეთით - სიმონ და სხვა გოგილჩაძეების, სამხრეთით და ჩრდილოეთით - ტარასი მორჩაძის კუთვნილი მიწის ნაკვეთები (რიონი). წმმ, №38/10.

ჭაშლეთი - სოფელი; დასტურდება 1901 წლის 16 სექტემბერს შედგენილ „ნასყიდობაში“. წმმ, №38/33.

ჭაშლეთის მაცხოვრის ეკლესია - ეკლესია; დასახელებულია 1895 წლის 1 მაისს შედგენილ „პირობის წერილში“ (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

ჭეჭელოულა - სახნავი მიწა („პირობის წერილი“, 1 მაისი, 1895 წ.); შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით გოგია მანაგაძის, დასავლეთით და ჩრდილოეთით - დათიკა კენჭაძის კუთვნილი მიწის ნაკვეთები, სამხრეთით - ვასილ სესიას ძე კიბორძალიძის კუთვნილი ტყე (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

ჭინჭაროულა - მიწის ნაკვეთი (17 აპრილი, 1879 წ.); „ჭინჭაროულას ადგილი გამოყოფილი დამუკვის არის“ (ჭაშლეთი). წმმ, №38/20.

ხვამლი - ტოპონიმი მოიხსენიება პირობის ხელწერილში (8 ნოემბერი, 1916 წ.). გვაშტიბის საზოგადოების სოფ. ცხუნკურში მცხოვრებმა დავით და გერასიმე სიმონის ძე ჯიმშელეიშვილებმა ერთმანეთს გაუცვალეს საყანე მიწის ნაკვეთები. გერასიმეს ერგო „ხვამლი, საინსლე თავის საკავებლით და საყანით“, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - თვით გერასიმე ჯიმშელეიშვილის, დასავლეთით და ჩრდილოეთით - ნესტორ ჯიმშელეიშვილის კუთვნილი მიწის ნაკვეთები, სამხრეთით - გზა (ცხუნკური). წმმ, №38/24.

ხომული - სოფელი; დამოწმებულია დოკუმენტში #7177/დ-2522.

ხრამები - მიწის ნაკვეთი („პირობის წერილი“, 1 მაისი, 1895წ.); ოთხივე მხრიდან ისაზღვრებოდა ბასილა ქურციკიძის მამულით (ჭაშლეთი). წმმ, #38/39.

ხუნტრაცი - მიწის ნაკვეთი ლეკერწას აღმოსავლეთით; საზღვრები: სამხრეთით, ჩრდილოეთით და დასავლეთით სოფ. ხომულ-

ში მცხოვრები აზნაურების - ნიკო პაატას ძე, სოფო, ლუარსაბ და პლატონ ლევანის ძე ღოღობერიძეების კუთვნილი სახნავი ადგილები. ამ საზღვრებში მოქცეული სახელდებული ობიექტი მეპატრონეებს გადაუციათ სოფელ ქვილიშორში მცხოვრები გლეხისათვის - ბუჭუა გიორგის ძე ქაროზანიძისთვის, შემდეგი პირობით: „ამ საზღვრებს შიგნით უნდა მოასწორო, გურშამო უნდა შეაკაო. ასეთ რომ საქონლისაგან არ უნდა დაიქცეს და არც სხვა პირი უნდა შევიდეს დამქცევი და მალულად მომპარავი“ (ქვილიშორი). წმმ, №7181/დ-2527.

ჯვარი - საყანე (17 აპრილი, 1879 წ.): „ჯვარზედ ყანის ადგილი მანაგაძის საზღვრებშუა რამოდენიმე ნაწილი ერგება მღვდელს“ (ჭაშლეთი). წმმ, №38/20.

ჯვარწყალე/ჯვარწყალეი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1903 წლის 1 დეკემბრის შედგენილ „მედიატორების განჩინებაში“. ობიექტს აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა ივანე ჩეჩელაშვილისა და დავით შვანგირაძის, დასავლეთით - კოსტა ჯიმშელიშვილის მიწის ნაკვეთები, სამხრეთით - სერაფიონ ჯიმშელიშვილის მიწის ნაკვეთი და „ქვის სამნები, რომლებიც სამ ადგილას არის ჩაგდებული“, ჩრდილოეთით - ალექსი მახარას ძე შვანგირაძის მიწის ნაკვეთი. იმავე დოკუმენტში, სხვაგან ვკითხულობთ: „ამ ადგილზედ არის მიმატებული 27 კვადრატნი საყენი, „ჯვარწყალეის ადგილზედ ბასილ უნცროსას ძის ჯიმშელიშვილის განაყოფზედ“. წმმ, №38/40.

ჯვარწყალეი - იგივე **ჯვარწყალე**.

ჯინჭაროული - სახნავი მიწა („პირობის წერილი“, 1 მაისი, 1895 წ.); საზღვრები: აღმოსავლეთით - პეტრე მანაგაძის, დასავლეთით და ჩრდილოეთით გიგო „ჭედლიდზის“ მიწის ნაკვეთები. (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

ჯირკნალა - სახნავი მიწა; ტოპონიმი დასტურდება 1895 წლის 1 მაისს ვასილ სესიას ძე კიბორძალიძის მიერ მიხეილ პავლეს ძე კიბორძალიძისადმი დაწერილ „პირობის წერილში“. საზღვრები: აღმოსავლეთით - ვასილ კიბორძალიძის კუთვნილი მიწა, დასავლეთით -

პავლე ჩუბინიძის, სამხრეთით - ბუჭა კენჭაძის მიწის ნაკვეთები.
ჩრდილოეთით - მდინარე (ჭაშლეთი). წმმ, №38/39.

ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერები

ბურღვანისთავი - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია „ნასყიდობის ქაღალდში“ (დეკემბერი, 1909 წ.). არქივო აზრანაშვილმა იასონ ტყემალაძეს მიჰყიდა მიწის ნაკვეთი, „მდებარე სოფელს მოხოროთუბანს, სახელწოდებული ბურღვანის თავი, ზომით მაგალითათ ოცი კვატრათი საჟენი, სავზღვართეთა შორის აღმოსავლეთით ლუარსაბ აზრანაშვილი, დასავლეთით სასოფლო გზა, სავხრეთით ივანე ლობჯანიძე, ჩრდილოეთით იოსებ აზრანაშვილი...“ (მოხოროთუბანი). ჭმმ, №406/122.კ.

გაღმამშლის ყანა (?) - დამოწმებულია „ნასყიდობის ქაღალდში“ (10. X. 1912 წ.). სახელწოდების ზუსტი წაკითხვა ვერ მოვახერხეთ. მოცემულია საზღვრებიც: აღმოსავლეთით - ეკლესიის მიწა, დასავლეთით - მდინარე მოხურა, სამხრეთით - მოსე და გიორგი ჩუმამშვილების მიწები, ჩრდილოეთით - საჩხერის, ანუ სასოფლო გზა (მოხვა). ჭმმ, №336/08.

მოხოროთუბანი - სოფელი; დასახელებულია 1909 წლის დეკემბერში შედგენილ „ნასყიდობის ქაღალდში“, რაშიც ვკითხულობთ: „მოხოროთუბანს გლეხმა არქიფო ზურაბის ძემ აზრანაშვილმა მოქყიდეთ ჩემი საკუთარი ადგილი თქვენ ამავე სოფელს მცხოვრებს სასულიერო წოდებისა იასონ მანასძეს ტყემალაძეს მდებარე სოფელს მოხოროთუბანს, სახელწოდებული ბურღვანის თავი ...“. ჭმმ, №406/122.კ.

მოხვა - სოფელი; დასახელებულია 1912 წლის 10 ოქტომბერს შედგენილ „ნასყიდობის ქაღალდში“, როგორც ჩიხის საზოგადოებაში შემავალი სოფელი. დოკუმენტში მოიხსენიება მოხვაში მცხოვრები გლეხი გრიგოლა როსტომის ძე ჩუმაშვილი და მისი ბიძაშვილი მოსე ოტიას ძე ჩუმაშვილი. ჭმმ, №336/08.

მუხურა - დასახელებულია „ნასყიდობის ქაღალდში“ (10. X. 1912 წ.), როგორც დასავლეთი საზღვარი გრიგოლა როსტომის ძე ჩუმაშვილის მიერ გაყიდული მიწის ნაკვეთისა (მოხვა). ჭმმ, №336/08.

სასოფლო გზა/საჩხერის გზა - დასახელებულია „ნასყიდობის ქაღალდში“ (10. X. 1912 წ.), როგორც ჩრდილოეთი საზღვარი გრიგოლა ჩუმაშვილის მიერ გაყიდული მიწის ნაკვეთისა (მოხვა). ჭმმ, №336/08.

საჩხერის გზა - იხ. სასოფლო გზა.

საწკრიალო წყალი - იხ. საწკრიალო ღელე.

საწკრიალო ღელე/საწკრიალო წყალი - ღელე; 1912 წლის 10 ოქტომბრით დათარიღებული „ნასყიდობის ქაღალდი“ გვაუწყებს, რომ **საწკრიალო ღელე** წარმოადგენდა მოსე ოტიას ძე ჩუმაშვილის მიერ გრიგოლა ჩუმაშვილისგან ნაყიდი მიწის ნაკვეთის - ხერთას სამხრეთ საზღვარს: „ნაჭერი ხერთა, სამძღარშორისა აღმოსავლეთით შრალი ღელე, როგორც ჩამოისწორებს **საწკრიალო ღელემდის**, დასავლეთით გრიგოლა სხირტლამის ადგილი, როგორც ეისწორეფს სწორა სიმალღეზე, სამხრეთით **საწკრიალო წყალი**, ჩრდილოეთით

ასევე გრიგოლა ჩუმაშვილის ადგილი, როგორც გადაისწორებს დასახელებული რცხმელა...“ (მუხვა). ჭმმ, № 336/08.

შრალი დელე - დელე; დამოწმებულია 1912 წლის 10 ოქტომბერს შედგენილ „ნასყიდობის ქალაღდში“. სახელდებული ობიექტი წარმოადგენდა ხერთას აღმოსავლეთ საზღვარს (მუხვა). ჭმმ, №336/08.

ხერთა - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ნასყიდობის ქალაღდში“ (10. X. 1912 წ.). მოხველმა გრიგოლა როსტომის ძე ჩუმაშვილმა ბიძაშვილს - მოსე ოტიას ძე ჩუმაშვილს მიჰყიდა „ორი ნაჭერი ადგილი, მდებარე მოხვაში“. მათ შორის ხერთად წოდებული მიწის ნაკვეთი ისაზღვრებოდა შემდეგი სახით: აღმოსავლეთით - შრალიდელე, დასავლეთით - გრიგოლა სხირტლადის, ჩრდილოეთით - გრიგოლა ჩუმაშვილის მიწის ნაკვეთები (მუხვა). ჭმმ, №336/08.

ხარაგაულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერები²

ელისოული - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1924 წლის ოქტომბერში შედგენილ „განჩინებაში“, რომლის მიხედვით ლაშეში მცხოვრებმა ძმებმა - გიორგი და ბიქტორ დიმიტრის ძე მანჯავიძეებმა ერთმანეთში გაცვალეს მიწის ნაკვეთები - „ელისოული სამოსახლოები“ და ხატის მამული. „არის ორივე ადგილები ჩასამნული. კომიტეტმა ადგილობრივ განვიხილეთ და ყოველივე მათი მოთხოვნა დაავაკმაყოფილეთ. მხოლოდ სტოლბებს ბიქტორი არსობს და რაგვავს პირდაპირ სამნებზედ. და გიორგი მანჯავიძე იღებს კანალს, ასწორებს გზის საცილებლათ ნიაღვრისაგან“, - ვკითხულობთ დოკუმენტში (ლაშე). იხ. **ხატის მამული**. ხმმ, IV- 5375.

ლაშე - სოფელი; 1885 წლის 21 სექტემბერს შედგენილ საბუთში დასახელებულია ლაშეში მცხოვრები გლეხის - დიმიტრი მანჯავიძის ობლები. ხმმ, IV - 5355.

² აქ წარმოდგენილია ხარაგაულის მუზეუმში დაცული საბუთების მცირე ნაწილი.

თეთრაწყარო - სოფელი; დასახელებულია „ნასყიდობის წერილში“ (13 მარტი, 1860 წ.), როგორც ხარაგაულის „უჩასტკის“ სოფელი“. ხმმ, IV-5351.

თეთრაწყარო - სოფელი; დასახელებულია სხვა დოკუმენტშიც (პირი). ხმმ, IV-5352.

ლაშე - სოფელი; დასახელებულია 1924 წლის 5 ოქტომბერს შედგენილ „განჩინებაში“, მანჯავიძეთა მიწის ნაკვეთების შესახებ. ხმმ, IV-5375.

ლაშე - სოფელი; დასახელებულია „ნასყიდობის წერილში“, რომლის მიხედვით თეთრაწყაროში მცხოვრებმა საბატონო ყმამ - ბერო გიორგის ძე სებისკვერადემ სოფ. ლაშეში მცხოვრებ საბატონო ყმებს - ხოსრო, საბა, დიმიტრი და სამსონა ბაქრადეებს მიჰყიდა მიწის ნაკვეთი საქარიქედი. ხმმ, IV-5352.

ნაზაგირები - გზა; დასახელებულია 1885 წლის 21 სექტემბერს შედგენილ „პროტოკოლში“. დოკუმენტს ხელს აწერს მღვდელი გიორგი მანჯავიძე (ლაშე). ხმმ, IV-5352.

საქარიქედი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ნასყიდობის წერილში“ (13 მარტი, 1860 წ.). საზღვრები: აღმოსავლეთით - იოსებ სებისკვერადის, დასავლეთით - გოგი სებისკვერადის მიწის ნაკვეთები, „იქით-აქეთ გვერდებზე ხატის „მამულის, თაუზაროს და აბჟანდაძის სამძღურამდის“ (თეთრაწყარო). ხმმ, IV-5351.

ჩხერი - სოფელი; დასახელებულია 1904 წლის 5 სექტემბერს შედგენილ „ვექსილში“, რომლის მიხედვით სოფ. ჩხერში მცხოვრებმა აზნაურმა ივლიტა და აღრაფინა აღაფოზას ასულმა კიკნაძეებმა გიგო ბუჭუას ძე ჭიპაშვილისგან გარკვეული დროით ისესხეს ხუთი თუმანი დოკუმენტს ხელს აწერენ ივლიტე და აგრაფინა კიკნაძეები. ხმმ, IV - 5356.

ხარაგაული - 1860 წლის 13 მარტს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“ დასახელებულია ხარაგაულის „უჩასტკი“ სოფელი თეთრაწყარო. ხმმ, IV-5351.

ხატის მამული - 1. მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1924 წლის 5 ოქტომბერს შედგენილ „განჩინებაში“, რომლის მიხედვით მძებმა მანჯავიძეებმა ერთმანეთში გაცვალეს მიწის ნაკვეთები - ელოასოუ-

ლი და ხატის მამული (ლაშე). ხმმ, IV-5375; 2. მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ნასყიდობის წერილში“, რომლის მიხედვით სახელდებული ობიექტი წარმოადგენდა თეთრაწყაროელი ყმის - ბერო სების-კვერამის მიერ გაყიდული მიწის ნაკვეთის - საქარიქედის მიჯნას (თეთრაწყარო). ხმმ, IV-5352.

ხონის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერები

ალიათი - მიწის ნაკვეთი; დასახელებული „ნასყიდობის წერილში“ (6 მარტი, 1913 წ.). საზღვრები: აღმოსავლეთით - დიმიტრი მიქელას ძე ჩიხლაძის, დასავლეთით და სამხრეთით - მღვდელ ყარამან ნესტორის ძე ჩიხლაძის, ჩრდილოეთით - გიორგი კიკოლას ძე ჩიხლაძის მიწის ნაკვეთები (გორდი.) ხიმ, №1731/85.

ბასილა - დამოწმებულია „ფარდის წერილში“ (20 აგვისტო, 1898 წ.), რომლის მიხედვით სახელდებული ობიექტი მდებარეობს წისქვილთან და სამხრეთით ისაზღვრება წისქვილის წყლის „კანაოთი“ (საწულუკიძეო). ხიმ, №4346/01.

ბატურასესული - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1891 წლის 9 ოქტომბერს შედგენილ „პირობაში“, რითაც ირკვევა, რომ სახელდებული ობიექტი კონსტანტინე გიგოს ძე ჩიქოვანს მიუყიდა თანასოფლელ აზნაურ მიხეილ ივანეს ძე ვაჩნაძისათვის, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - კონსტანტინე ჩიქოვანისა და ფირანა

ჩიხლაძეს შორის სადაო ადგილი, დასავლეთით და ჩრდილოეთით - გზა, სამხრეთით - მყიდველის მიწა (გორდი). ხიმ, №2808.

ბალისთავი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია „ნასყიდობის ხელის წერილში“ (13 იანვარი, 1914 წ.), რომლის მიხედვით აზნაურმა გრიგოლ ჩიქოვანმა თანასოფლელ გლეხებს - გიორგი, ნეოფიტე და გერასიმე (ჯიბილო) დიმიტრის ძე ფირცხალავეებს მიჰყიდა კუთვნილი მიწის ნაკვეთი ბალისთავის სახელწოდებით, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით - ჩიქოვანების, დასავლეთით და სამხრეთით - ფირცხალავას მიწის ნაკვეთები (გორდი). ხიმ, №2687.

ბოსთანეს ღელე - ღელე; 1921 წლის 26 ივლისს შედგენილ „ნასყიდობის ხელწერილის“ მიხედვით სახელდებული ობიექტი წარმოადგენს ბოსტანას ტყის აღმოსავლეთ საზღვარს (ნამაშევი). ხიმ, №4592.

ბოსტანა - ტყე; დამოწმებულია 1921 წლის 26 ივლისს შედგენილ „ნასყიდობის ხელწერილში“, რომლის მიხედვით ნამაშეველმა აკაკი წულუკიძემ თანასოფლელ ალფეს ფარცვანიას მიჰყიდა ბოსტანაში მდებარე „ერთი ქცევა ეწერი, სამძღვრებთა შორის: აღმოსავლეთით ბოსთანეს ღელე, დასავლეთით - ეშრის დიდი გზა, სამხრეთით კონსტანტინე წულუკიძის მიწა, დასავლეთით, ჩრდილოეთით - პაჭუ წულუკიძის მიწა“ (ნამაშევი). ხიმ, №4592.

ბოყოურა - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1898 წლის 20 აგვისტოს შედგენილ „ფარდის წერილში“ (საწულუკიძეო). ხიმ, №4346/01.

გაღმა მიდორი - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1898 წლის 20 აგვისტოს შედგენილ „ფარდის წერილში“ (საწულუკიძეო). ხიმ, №4346/01.

გვაშთიბი - სოფელი; დასახელებულია 1917 წლის 8 იანვარს შედგენილ ნასყიდობის წერილში, რომლის მიხედვით ქუთაისის მაზრის გვაშთიბის საზოგადოების სოფ. გვაშთიბში მცხოვრებმა თავად ასლან ალექსის ძე ლორთქიფანიძის ქვრივმა, მიქეოაძის ასულმა სენაკის მაზრის კინჩხის საზოგადოების სოფ. ღვედში მცხოვრებ ილარიონ ივანეს ძე სულაბერიძეს მიჰყიდა სახნავი და ტყე (ძედილეთი). ხიმ, №3732/19.

გვაშტიბი - სოფელი; დასახელებულია 1914 წლის 15 მარტს შედგენილ „ნასყიდობის პირობის ხელის წერილში“. ხიმ, №3709.

გვაშტიბი - სოფელი; დასახელებულია 1905 წლის 25 ივნისს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, რომლის მიხედვით გვაშტიბელ მარიამ მიქაძეს, მეუღლეს თავად ლორთქიფანიძისა, ძედილეთელ ოტია ბენიძისთვის მიუყიდა სახნავი და ტყე საყვრებია (ძედილეთი). ხიმ, №3703.

გვაშტიბის საზოგადოება - დასახელებულია „ნასყიდობის პირობის ხელის წერილში“, რომლის მიხედვით ძედილეთი სოფელია ხსენებულ საზოგადოებაში. ხიმ, №3732/19.

გვერდვი - ტყე; დაახელებულა „ნასყიდობის ხელისწერილში“ (11 დეკემბერი, 1899 წ.), რომლის მიხედვით გორდელმა აზანურმა სოლომონ კიმოტეს ძე ჩიქოვანმა ღვედში მცხოვრებ სიმონ გიორგის ძე ლიპარიძეს მიჰყიდა ტყე გვერდვის სახელწოდებით. ოცემულია საზღვრებიც: აღმოსავლეთით - სამაღლიის ღელე, დასავლეთით - დათუნია ლიპარიძის, სამხრეთით - გლახუა გოდერიძისა და მიწის ნაკვეთები, ჩრდილოეთით - შარაგზა და ანდრია სულაბერიძის მიწის ნაკვეთი (ღვედი). ხიმ, №2787.

გორა - ტყე; დამოწმებულია „ნასყიდობის წერილში“ (20 იანვარი, 1890 წ.), რომლის მიხედვით საწულუკიძეოში მცხოვრებმა გერა-

სიმე დიმიტრის ძე კერესელიძემ თანასოფელელ ელიზბარ დიმიტრის ძე კერესელიძეს მიჰყიდა ტყიანი ადგილი „გორას,, სახელწოდებით, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - წულუკიძის, დასავლეთით - კერესელიძის მიწის ნაკვეთები, სამხრეთით - კერესელიძეების თხრილი, ჩრდილოეთით - დედალაურის დიდი გზა (საწულუკიძე-ო) . ხიმ, №4342; 2. ტყე; დამოწმებულია „ფარდის წერილში“ (20 აგვისტო, 1898 წ.) (საწულუკიძეო). ხიმ, №4346/01; 3. სახნავი; დასახელებულია „ნასყიდობის წერილში“ (25 აპილი, 1900 წ.); საზღვრები: აღმოსავლეთით - კონსტანტინე ჩიქოვანის, დასავლეთით - გიორგა ფირცხალავასა და დათა ზერაგას, სამხრეთით - ფირანა ლაჭავასა და ჩრდილოეთით - სიმონია ფირცხალავას მიწის ნაკვეთები (გორდი). ხიმ, №2818.

გორდი - სოფელი; დასახელებულია 1857 წლის 2 აგვისტოს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, როგორც მარტვილის მაზრაში შემავალი სოფელი. ხიმ, №2860; 2. 1885 წლის 15 თებერვალს შედგენილ პირობის წერილში, როგორც კინჩხის საზოგადოებაში შემავალი სოფელი. დოკუმენტში ვკითხულობთ „მე ქუემორე ამისა ხელის მომწერი სენაკის უეზდის კინჩხის საზოგადოების სოფელსა გორდს მცხოვრები აპეკუნი ობოლთა და ქონებათა ზედა აწ უკვე გარდაცვალებულის ნიკო ზალიკას მის ლაჭავას და ნაშთის დათიკა პეტრეს ძე კირთაძე ასრე პირობის წერილის გაძლევ თქუწნ ამავე საზოგადოების და ამავე გორდის სოფელსა შინა მცხოვრებს ზემორე ხსენებულის გარდაცვალებულის მამასა სიმონ ლაჭავას, მას შინა, რომელ თქუწნ ორთა მათსა გკონდათ ნასყიდი...“. ხიმ, №2816; 3. 1891 წლის 7 ივნისს შედგენილ „პირობის ხელწერილში“, რომლის მიხედვით ხუნწელ ჩიქოვანებსა და გორდელ აზნაურ მიხეილ ივანეს ძე ვაჩნაძეს გორდსა და ხუნწში ჰკონდათ საერთო ადგილები. აქედან გორდის მამუ-

ლი ვაჩნაძის საკუთრებაში დარჩენილა. ხიმ, №2811; 4. 1891 წლის 9 ოქტომბერს შედგენილ „პირობაში“. ხიმ, №2808; 5. დასახელებულია 1899 წლის 11 დეკემბერს შედგენილ „ნასყიდობის ხელწერილში“, რომლის მიხედვით გორდელმა აზნაურმა სოლომონ კიმოთეს ძე ჩიქოვანმა ღვედში მცხოვრებ სიმონ გიორგის ძე ლიპარიძეს მიჰყიდა სანადელო მწის ნაკვეთები. ხიმ, №2574; 6. 1900 წლის 25 აპრილს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“. ხიმ, №2818; 7. 1905 წლის 3 სექტემბერს შედგენილ „პირობის ხელწერილში“, რომლის მიხედვით გორდელმა კონსტანტინე გოგას ძე ჩიქოვანმა თანასოფლელ გლეხს - დიმიტრი საბას ძე ფირცხალავას მიჰყიდა მიწის ნაკვეთები. ხიმ, №1731/85; 8. 1908 წლის 25 აპრილს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, ხიმ, №2686; 9. 1909 წლის ოქტომბერში შედგენილ საბუთში, რომლის მიხედვით გორდელმა ივანე ნიკოს ძე ჩიხლაძემ თანასოფლელ ჩიქოვანისაგან ისესხა 65 მანეთი. ხიმ, №3213; 10. 1913 წლის 6 მარტს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, რომლის მიხედვით გორდელმა ვლადიმერ იოსეს ძე მიქაბერიძემ თანასოფლელ ჩიხლაძეებს მიჰყიდა მიწის ნაკვეთები. ხიმ, №1731/85; 11. 1913 წლის 13 იანვარს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, რითაც ირკვევა, რომ აზნაურმა გრიგოლ ბესარიონის ძე ჩიქოვანმა გორდელ გლეხებს მიჰყიდა მიწის ნაკვეთები. ხიმ, №2687; 12. 1913 წლის 13 ივლისს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, ხიმ, №2834; 13. 1915 წლის 13 იანვარს შედგენილ „ნასყიდობაში“, რომლის მიხედვით გორდელმა ვერა ბობოხიძემ ერთი უღელი ხარი მიჰყიდა მელიტონ სიმონის ძე ლაჭავას. ხიმ, №2679; 14. 1916 წლის 13 ნოემბერს შედგენილ საბუთში. ხიმ, №2808.

გორმაღალი - სახნავი, ტყე; დასახელებულია „ნასყიდობის წერილში“ (8 იანვარი, 1917 წ.), რომლის მიხედვით გვამტიბში მცხოვრებმა მიქელაძის ასულმა სენაკის მაზრის კინჩხის საზოგადოების

სოფ. ღვედში მცხოვრებ ილარიონ ივანეს ძე სულაბერიძეს მიჰყიდა სახნავი და ტყე გორმალის სახელწოდებით, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ლორთქიფანიძის, დასავლეთით - სამსონ ალექსის ძე უგულავას მიერ იჯარით აღებული მიწის ნაკვეთები. ჩრდილოეთით - თავად მელიტონ დავითის ძე ლორთქიფანიძის მიწის ნაკვეთი, სამხრეთით - ეგნატე მახარას ძე გოდერიძის მიწის ნაკვეთი (მედილეთი). ხიმ, №3732/20.

გოჩაჯიხაისი - სოფელი; დასახელებულია 1. 1901 წლის 16 დეკემბერს შედგენილ საბუთში, რომლის მიხედვით გოჩაჯიხაისი სოფელია კუხის საზოგადოებაში. ხიმ, №3732/19; 2. 1901 წლის 28 დეკემბერს შედგენილ პირობის წერილში, რომლის მიხედვით კუხის საზოგადოების სოფ. გოჩაჯიხაისში მცხოვრებმა თანასოფელმა გლეხებმა დიანოს სტეფანეს ძე ებგვერამძემ და ალექსი ივანეს ძე ცაგარეიშვილმა ერთმანეთში გაცვალეს მიწის ნაკვეთები. ხიმ, №4889/33.

გოჩაჯიხაიში - სოფელი; დასახელებულია 1. 1891 წლის 12 აგვისტოს შედგენილ „ჩაბარებით ფურცელში“, დასახელებულია გოჩაჯიხაიშელი გლეხები - ნიკო, ტიმოთე და დიმიტრი პეტრეს ძე ცაგარეიშვილები. ხიმ, №4888/05; 2. 1893 წლის 9 ოქტომბერს შედგენილ პირობის წერილში, დასახელებულია გოჩაჯიხაიშში მცხოვრები დაძმმა მაკრინა და ივლიანე ცაგარეიშვილები. №4889/27; 3. 1894 წლის 2 მარტს შედგენილ პირობის წერილში, როგორც კუხის საზოგადოებაში შემავალი სოფელი. ხიმ, №4889/34; 4. 1908 წლის 15 აპრილს შედგენილ „ნასყიდობის პირობის ხელწერილში“. ხიმ, №4889/38; 5. 1892 წლის 22 აპრილს შედგენილ საბუთში, როგორც კუხის საზოგადოებაში შემავალი სოფელი. ხიმ, №4889/40; 5. 1913 წლის 12 აგვისტოს

შედგენილ „ნასყიდობის ხელწერილში“, როგორც კუხის საზოგადოებაში შემავალი სოფელი. ხიმ, №4889/56.

გუბისწყალი - სოფელი; 1890 წლის 25 აპრილს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“ დასახელებულია წყალტუბოს საზოგადოების სოფ. გუბისწყალში მცხოვრები გლეხი ფირცხალავა. ხიმ, № 2818.

დედალაური - სოფელი; 1. 1908 წლის 20 იანვარს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“ სოფელი „დედალაურის“ ფორმით არის დასახელებული. ხიმ, №4342; 2. 1914 წლის 20 ოქტომბერს შედგენილ „ნასყიდობის ხელის წერილში“, რომლის მიხედვით დედალაურელმა მოსე და გერასიმე პეტრეს ძე პაპაევებმა საწულუკიძეოში მცხოვრები გიორგი გიორგის ძე ჭუბაბრიასაგან შეიძინეს მიწის ნაკვეთები. ხიმ, №4001; 3. დამოწმებულია „ნასყიდობის წერილში“ (21 დეკემბერი, 1913 წ.), როგორც ნახახულევის საზოგადოებაში შემავალი სოფელი. ხიმ, №4852; 4. დამოწმებულია 1913 წლის 29 ივნისს შედგენილ „ნასყიდობის ხელის წერილში“, როგორც ნახახულევის საზოგადოებაში შემავალი სოფელი. ხიმ, №48002.

ეწერი - 1. ტყე; დასახელებულია 1893 წლის 9 ოქტომბერს შედგენილ პირობის წერილში. (გოჩაჯიხაიში). ხიმ, № 4889/27; 2. ტყე; დასახელებულია 1908 წლის 27 აპრილს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, რომლის მიხედვით კუხელმა გლეხებმა - კოწია ზაქარიას ძე ცაგარეიშვილმა და გრიგოლ თედორეს ძე კოსტავამ გოჩაჯიხაიშელ გლეხს - გაბრიელ (გაბრია) ნიკოს ძე ცაგარეიშვილს მიჰყიდეს ტყე ეწერა, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით - ნიკო ებგვერადის, დასავლეთით - ბასილე ცაგარეიშვილის, სამხრეთით - ანდრია მოსეს ძე და ნიკო პეტრეს ძე ცაგარეიშვილის მიწის ნაკვეთები (გოჩაჯიხაიში). ხიმ, №4888/05; 3. მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1908 წლის 25 აპრილს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“, რომ-

ლის მიხედვით კინჩხის საზოგადოების სოფ. გორდში მცხოვრებმა გლეხებმა - მიხეილ და პორფილე პეტრეს ძე, ალექსი და გიორგი სტეფანეს ძე კირთაძეებმა თანასოფლელ გლეხს - დიმიტრი ფირცხალავას მიჰყიდეს მიწის ნაკვეთი „ეწერი“, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ნიკოლოზ და ანდრია ბზიკაძეების, დასავლეთით - ვატა კირთაძის (?), სამხრეთით - ნიკო და ანდრია ბზიკაძეებისა და იოსე ბობოხიძის, ჩრდილოეთით - ვატა და პეტრე კირთაძეების მიწის ნაკვეთები (გორდი). ხიმ, №4686. 4. მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1916 წლის 13 ნოემბერს შედგენილ საბუთში, რომლის მიხედვით სამსონ (ჯოლორია) გიორგის ძე ბობოხიძეს შეუძენია მიწის ნაკვეთი შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ბასა ჯანჯღავას, ჩრდილოეთით - ვატაია კირთაძის, დასავლეთით - ქაქუჩა ბობოხიძის, სამხრეთით - სირბისტო (სილიბისტრო) ბობოხიძის მიწის ნაკვეთები. დოკუმენტს ხელს აწერს როსტომა გელენიძე (გორდი). ხიმ, №2810; 5. სახნავი მიწა; დასახელებულია 1913 წლის 12 აგვისტოს შედგენილ „ნასყიდობის ხელწერილში“, რომლის მიხედვით გოჩაჯიხაიშელმა გლეხმა ზოსიმე ანდრიას ძე ცაგარეიშვილმა თანასოფლელ ილარიონ ანდრიას ძე ცაგარეიშვილს მიჰყიდა სახნავი მიწა „ეწერა“, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ივანე ნიკოლოზის ძე და ნესტორ სიმონის ძე ცაგარეიშვილების, სამხრეთით - ალექსი მიხეილის ძე ცაგარეიშვილის მიწის ნაკვეთები, დასავლეთით და ჩრდილოეთით - სასოფლო გზა (გოჩაჯიხაიში). ხიმ, №4889/56; 6. სახნავი; დასახელებულია „ნასყიდობის წერილში“ (25 აპრილი, 1900 წ.). საზღვრები აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით - ფირანა ღაჭავას, დასავლეთით და სამხრეთით - მიქელა ზერაგას მიწის ნაკვეთები (გორდი). ხიმ, №2818.

ვაკეღელე (?) - მიწის ნაკვეთი; დასახელებულია 1914 წლის 15 მარტს შედგენილ „ნასყიდობის პირობის ხელისწერილში“, რომლის მიხედვით გვაშტიბელმა ასლან ალექსის ძე ლორთქიფანიძემ სოფ. ძეძილეთში მცხოვრებ გლეხებს - ილიკო ივანეს ძე ხალიჩავასა და ილაკრი პავლეს ძე გიორხელიძეს მიჰყიდა საყანე მიწის ნაკვეთი ვაკეღელე(?), შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - ალან ლორთქიფანიძის, დასავლეთით - ტარასი და თეიმურაზ ბენიძეების. ჩრდილოეთით - დიმიტრი ჩიხლაძისა და ალექსი ბენიძის, სამხრეთით - იარონ ლორთქიფანიძის მიწის ნაკვეთები (გვიშტიბი). ხმმ, №3709.

ზედაბოლო - მიწის ნაკვეთი (ნაყილობის წერილი, 21 აგვისტო, 1899 წ.); ძეძილეთელთმა გლეხმა ბესო გიორხელიძემ თანასოფლელი ოტია ბიჭიას ძე ბენიძეს 16 მანეთად მიჰყიდა მიწის ნაკვეთი „ზედაბოლოს“ სახელწოდებით, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - დარისმან და ჯაბულო ბენიძის, დასავლეთით - თამაზა გიორხელიძის, სამხრეთით - ბესო გიორხელიძის, ჩრდილოეთით - ოტია ბენიძის მიწის ნაკვეთები (ძეძილეთი). ხიმ, №3717.

თურჩუ - მთა; დასახელებულია „ნასყიდობის წერილში“ (6 მარტი, 1913 წ.). ხიმ, №1731/85.

თხილარი - ტყე; დასახელებულია „ფარდის ქაღალდში“ (8 დეკემბერი, 1902 წ.). კუხში მცხოვრებმა ლუბა იოსების ასულმა ვაშაკიძემ, მეუღლემ ილაკრი კაკაბაძისა და დაბა ხონში მცხოვრებმა ნატალია ნიკოლოზის ასულმა ვაშაკიძემ, მეუღლემ კოწია ჭავჭავანიძისამ, გაიყვეს ტყიანი ადგილები. პირველს ერგო თხილარი - ორი ქცევა და ექვსასი კვადრატული საეენის ფართობი, „რომელიც არის ორი ნაჭრათ. პირუელი ნაჭერი სამძღვრებთა შორის შეცული აღმოსავლეთით - იგორ გორდაძე, დასავლეთით - კოწია ჭავჭავანიძე, ჩრდილოეთით დავით გორდაძე და დასავლეთით ისევ ლუბას არდგილი. ამ

არდგილს ეწოდება სახელად თხილარი. მეორე ნაჭერი სამძღვრებთა შორის აღმოსავლეთით ისევ ლუბა, დასავლეთით კაკაბამეების სამძღვარი და თხრილი, ჩრდილოებით - ნატალიას არდგილი და სამხრეთით ილაკრი კაკაბამის და ოქრუკა (კა)კაკაბამის თხილარი...“ (კუხი, ხონი). ხიმ, №4531/5.

კეკინარა - მიწის ნაკვეთი; 1907 წლის 3 თებერვალს შედგენილი „ნასყიდობის წერილის“ მიხედვით საწულუკიძეოში მცხოვრებმა გლეხმა ალექსი ბასილის ძე სურმაჯამ და მისმა მეუღლემ თვა ჭედიამ თანასოფლელ ლევან პეტრეს ძე მეძველიას მიჰყიდეს მიწის ნაკვეთი „კეკინარას“ სახელწოდებით, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით - სასოფლო გზები, დასავლეთით დავით ფსხილამის, სამხრეთით - გლახუა შულლამის მიწის ნაკვეთები. „ამა საზღვრებს შუა მდებარე ადგილი თავისი ზედ დგმული ხეებით მოგვიდეთ თქვენ და ფასი მივიღეთ შვიდასი მანეთი“, ვკითხულობთ დოკუმენტში (საწულუკიძეო). ხიმ, №3373.

კინჩხის საზოგადოება - დასახელებულია 1. 1885 წლის 15 თებერვალს შედგენილ საბუთში, რომლის მიხედვით გორდი სოფელი კინჩხის საზოგადოებაში. ხიმ, №2816; 2. 1891 წლის 8 აგვისტოს შედგენილ საბუთში („ფარდის წერილი“). ხიმ, №2574; 3. 1914 წლის 13 იანვარს შედგენილ „ნასყიდობის ხელისწერილში“, რომლის მიხედვით სოფელი გორდი კინჩხის საზოგადოებაში შედიოდა. ხიმ, №2687; 4. 1913 წლის 7 მაისს შედგენილ საბუთში, რომლის მიხედვით კინჩხის საზოგადოების მამასახლისია ი. ჩიხლაძე. ხიმ, №2809; 5. 1900 წლის 25 არილს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“. ხიმ, №2818; 6. 1917 წლის 8 იანვარს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“ დასახელებულია კინჩხის საზოგადოების სოფ. ღვედი. ხიმ, №3732/19.

კოსტანტინე წულუკიძის გორა - დასახელებულია 1921 წლის 26 ივლისს შედგენილ „ნაყიდობის ხელწერილში“. ხიმ, №4592.

კომოლოურისძირი - დამოწმებულია 1910 წლის 30 იანვარს შედგენილ „პირობის ხელის წერილში“. „გვაშტიბის საზოგადოების სოფელსა ძეძილეთის მცხოვრებნი არსენ დავითის ძე ჩიხლაძე და ალექსი ბიჭიას ძე ბენიძე თვექენ ამავე ვეზდის და ამავე საზოგადოების საოფელსა ამავესა შა მცხოვრებს ოტია ბიჭიას ძეს ბენიძეს, რომელიც რომა კომოლოურის ძირის მიწაზედ და გზაზეც გაძლევთ ჩვენ ზემოთ მოხსენებულ პირები არსენ და ალექსი ორ საჟენ გზას რამდენზედაც თქვენი არდგილის ბოლო რაც არის, რომელიც დღეს არის გასავნული და ქვებ ჩაყრილი და თუ ოდესმე პლანის გზა მოადგეს იმ ალაგს იმ შემთხვევაშიდ ჩვენ არსენ და ალექსიმ ვიტვირთოთ მხოლოდ კი თქვენ ოტიას არ გექმნებათ ყორე, რომ ქვევით დაწიოთ ჩვენ არსენ და ალექსიმ ეს გაზომილი ადგილი საზღვრებთა შორის უნდა დავტალოთ წიფობისთვის დამლევზედ...“ (ძეძილეთი). ჯტმ, №3731/04.

კონწოლოური - მიწის ნაკვეთი; დამოწმებულია 1915 წლის 26 ოქტომბერს შედგენილ „ნაყიდობაში“, რომლის მიხედვით ძეძილეთელმა ნოვე ბესარიონის ძე ჩიხლაძემ თანასოფელელ ოტია ბიჭიას ძე ბენიძეს მიჰყიდა მიწის ნაკვეთი კონწოლოური, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით - დავით კოპალიანის, ჩრდილოეთით - თეოფანე ჩიხლაძის, სამხრეთით - ოტია ბენიძის მიწის ნაკვეთები, დასავლეთით - გაზ. დოკუმენტს ხელს აწერენ: ვარდენ კიკაჩეიშვილი და გვაშტიბის საზოგადოების მამასახლისის თანაშემწე იაკოვ გიორხელიძე (ძეძილეთი). ხიმ, №3715.

კუხა - ღელე; დამოწმებულია 1902 წლის 31 მარტს შედგენილ ნასყიდობის წერილში, რომლის მიხედვით ღელე კუხა სამხრეთით

ესაზღვრება საყანე მიწის ნაკვეთს - შვაკუხას (საწულუკიძე). ხიმ, №4994/41.

კუხი - სოფელი; დასახელებულია 1. 1893 წლის 20 მარტს შედგენილ საბუთში. ხიმ, №4889/42; 2. 1901 წლის 3 ივლისს შედგენილ „ფარდის ხელწერილში“ დასახელებულია კუხში მცხოვრები ილაკრი და ალექსადრე გიორგის ძე კაკაბაძეები. ხიმ, №4543/04; 3. 1902 წლის 8 დეკემბერს შედგენილ „ფარდის ხელწერილში“. ხიმ, №4543/5; 4. დასახელებულია 1908 წლის 27 აპრილს შედგენილ „ნასყიდობის წერილში“. ხიმ, № 4888/05; 5. 1915 წლის 1 სექტემბერს შედგენილ საჩივრის წერილში დასახელებულია სოფ. კუხის მსაჯულები - ვაჭარაძე, ანდრიაძე და მოსიძე (?). ხიმ, №4889/40.

